ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში

2018

1. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა 10
მიზანი: 1.1. სისხლის სამართლის პოლიტიკის, კანონმდებლობისა და პრაქტიკის გაუმჯობესება ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესების მიზნით, საერთაშორისო და კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისად 10
2. სამართლიანი სასამართლოს უფლება და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა 15
მიზანი: 2.1. დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების სისტემის უზრუნველყოფა 15
მიზანი: 2.2 ხარისხიანი მართლმსაჯულებისა და პროფესიონალიზმის უზრუნველყოფა 19
მიზანი: 2.3 სასამართლო სისტემის ეფექტიანობის უზრუნველყოფა 21
მიზანი: 2.4 მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა 24
მიზანი: 2.5. პროკურატურის და ინდივიდუალური პროკურორების დამოუკიდებლობის გაზრდა 26
მიზანი: 2.6 საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება და ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბება 29
მიზანი: 2.7 საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება 34
3. ადამიანის უფლებები და სამართალდამცავი სისტემა 36
მიზანი: 3.1. დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის იზოლატორში შესახლებულ პირთა დაცვის პროცედურული და ინსტიტუციური გარანტიების გაძლიერება 36
მიზანი: 3.2. ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფა 39
4. ბრალდებულთა, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა უფლებები 43
მიზანი: 4.1.ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებების დაცვა საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად 43
მიზანი: 4.2. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე (მოწყვლადი) ბრალდებულების/მსჯავრდებულების უფლებების დაცვის უზრუნველყოფა პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში 53
მიზანი: 4.3 ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ხელშეწყობა 57
მიზანი: 4.4. ყოფილ მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია 61
მიზანი: 4.5 პენიტენციური სისტემის მართვა, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომებით ... 64
5. წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლა 69
მიზანი: 5.1. ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის უზრუნველსაყოფად ძალისხმევის გაძლიერება 69
მიზანი: 5.2 ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მყოფ პირთა ჯანმრთელობის უფლების დაცვა 75
6. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა 76
მიზანი 6.1 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პატივისცემის უზრუნველყოფა და პერსონალური მონაცემების დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრება 76
7. გამოხატვის თავისუფლება 77
მიზანი 7.1 გამოხატვის თავისუფლების და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა 81
8. შეკრების თავისუფლება 83
მიზანი 8.1 შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების მაღალი სტანდარტით დაცვის გარანტიების შექმნა 84
9. შრომითი უფლებები 86
მიზანი 9.1. შრომის უფლების დაცვა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად 86
10. საკუთრების უფლების დაცვა 89
მიზანი 10.1. საკუთრების უფლების დაცვის უზრუნველყოფა/ხელშეწყობა 97
11. ეკოლოგიური უფლებები 100
მიზანი 11.1. ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის შინასახელმწიფოებრივი სამართლებრივი გარანტიების განმტკიცება გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესის საჯაროობის მექანიზმების გაუმჯობესებით და გარემოსდაცვით სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საერთაშორისო სამართლებრივი კრიტერიუმების დანერგვით, აგრეთვე გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება 100

12. გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება ... 102
მიზანი: 12.1 გენდერული თანასწორობის ეროვნული მექანიზმების გაძლიერება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე ... 103
მიზანი: 12.2 სახელმწიფო პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის პრინციპების ინტეგრირება ... 105
მიზანი: 12.3 კოორდინაციის გაძლიერება გენდერული თანასწორობის საკითხებზე ... 109
მიზანი: 12.4 მართლმსაჯულების განხორციელების გზით გენდერული თანასწორობის პრინციპების გაძლიერება ... 110
მიზანი: 12.5 პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის მხარდაჭერა ... 113
მოქმედების სფერო - ქალთა ეკონომიკური გაძლიერება ... 115
მიზანი: 12.6 შრომის ბაზარზე ქალთა მონაწილეობის გაზრდა და შრომით ურთიერთობებში გენდერული თანასწორობის დამკვიდრების ხელშეწყობა ... 115
მიზანი: 12.7. ქალთა აუნაზღაურებელი შრომის აღიარება, შემცირება და რედისტრიბუცია ... 120
მიზანი: 12.8 სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება ... 122
მიზანი: 12.9 ეკონომიკურ რესურსებზე ქალთა თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა ... 125
მოქმედების სფერო - გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ჯანმრთელობის სფეროში ... 128
მიზანი: 12.10 სქესობრივი და ეპროდუქციული ჯანდაცვის უზრუნველყოფა ... 129
მიზანი: 12.11 სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ განათლება და ცნობიერების ამაღლება ... 130
მოქმედების სფერო - ქალებისა და გოგონების მიმართ საზიანო პრაქტიკებთან ბრძოლა ... 131
მიზანი: 12.12 მავნე პრაქტიკების აღმოფხვრისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება ... 131
მოქმედების სფერო - გენდერული თანასწორობა განათლების სფეროში ... 137
მიზანი: 12.13 განათლების რგოლში ჰორიზონტალური და ვერტიკალური სეგრეგაციის დაძლევა ... 138
მიზანი: 12.14 სასკოლო სახელმძღვანელოებსა და პროგრამებში გენდერული თანასწორობის პრინციპების ინტეგრირება და პოპულარიზაცია ... 141
მიზანი: 12.15 განათლების დარგის პროფესიონალთა შესაძლებლობების გაძლიერება გენდერული თანასწორობის საკითხებში ... 143
მიზანი: 12.16 პროფესიული სეგრეგაციის დაძლევა ... 145
მიზანი: 12.17 კულტურის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ... 146
მიზანი: 12.18 სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ... 149
16. ბავშთა უფლებები ... 149
მიზანი: 16.1. პრევენციული და ოჯახის მხარდამჭერი სახელმწიფო მექანიზმების გაძლიერება ... 153
მიზანი: 16.2. ღარიბი და მოწყვლადი ბავშვებისა და მათი ოჯახების და განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების მომსახურების გაძლიერება და დახვეწა ... 158
მიზანი: 16.3. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის შექმნა და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ... 159
მიზანი: 16.4. ბავშვთა ძალადობისაგან დაცვის პრევენციული მექანიზმების ჩამოყალიბება და გაძლიერება ... 164
მიზანი: 16.5. ძალადობის მსხვერპლ ბავშვთათვის სარეაბილიტაციო მექანიზმების გაუმჯობესება/გაძლიერება ... 168
მიზანი: 16.6. შეზღუდული შესაძლებლობის და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების დიდი ზომის სამზრუნველო დაწესებულებათა დეინსტიტუციონალიზაცია ... 172
მიზანი: 16.7. რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე მუნიციპალიტეტების მიერ ადმინისტრირებული ბავშვთა თავშესაფრების და სკოლა-პანსიონების რეგულირების სფეროში მოქცევა ... 174
მიზანი: 16.8. ბავშვთა დაცვის საკითხებზე უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაძლიერება ... 176
17. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა ... 177
მიზანი: 17.1 ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების დისკრიმინაციული მოპყრობისაგან დაცვის ხელშეწყობა და მათი მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა ... 177
მიზანი: 17.2. ეთნიკურ უმცირესობათა წვდომის გაუმჯობესება მასმედიასა და ინფორმაციაზე ... 179
მიზანი: 17.3 ცნობიერების ამაღლება ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ ... 180
მიზანი: 17.4 ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისთვის თანაბარი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა ... 182
მიზანი: 17.5. ეთნიკური უმცირესობებისათვის ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება ... 184

მიზანი: 17.6. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების კულტურისა და თვითმყოფადობის დაცვის უზრუნველყოფა ... 187
მიზანი: 17.7. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება და ინფორმირებულობის გაზრდა სხვადასხვა სფეროში მიმდინარე პროგრამების/სერვისებისა და სიახლეების შესახებ ... 189
18. რელიგიის თავისუფლებისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვა ... 189
მიზანი: 18.1. სეკულარიზმის და რელიგიური ნეიტრალიტეტის განმტკიცება ... 190
19. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები ... 197
მიზანი: 19.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა და მათი საზოგადოებაში სრული ჩართულობა ... 203
20. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა ... 220
მიზანი: 20.1. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა ... 220
მიზანი: 20.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულთან ბრძოლა/პრევენცია ... 227
21. იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები ... 234
მიზანი: 21.1. დევნილთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი ადეკვატური საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა, სამართლებრივი, კულტურულ-ეკონომიკური გაძლეირება და ინტეგრაცია ... 234
მიზანი: 21.2. საერთაშორისო ძალისხმევის მობილიზება ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების და მათი უფლებების დაცვის ხელშეწყობის მიზნით ... 242
22. მიგრანტთა და ლტოლვითა უფლებები ... 245
მიზანი: 22.2. საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ... 245
23. ეკო-მიგრანტთა უფლებები ... 246
მიზანი: 23.1. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) სამართლებრივი და სოციალური დაცვა და ინტეგრაცია ... 246
24. ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები ადამიანების უფლებების დაცვა ... 248
მიზანი 24.1 ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები ადამიანების უფლებათა დაცვის ხელშეწყობა ... 248
მიზანი: 24.2. გამოყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრები ადამიანების უფლებების დაცვა და მათი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება ... 252
მიზანი: 24.3. საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის უფლების დაცვა ... 254
მიზანი: 24.4. ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრებ პირთათვის განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ... 255
მიზანი: 24.5. კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობისათვის საქართველოს სხვა მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომი სიკეთეებითა და შესაძლებლობებით სარგებლობის უზრუნველყოფა ... 259
25. ბიზნესი და ადამიანის უფლებები ... 265
მიზანი: 25.1. თავისუფალი მეწარმეობის უზრუნველყოფა/ხელშეწყობა ... 265
26. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვა პოლიტიკის წარმოების პროცესში და კარგი მმართველობის ინსტრუმენტების განვითარება ... 268
მიზანი: 26.1. კორუფციის პრევენცია და ანტიკორუფციული პოლიტიკის ეფექტური გატარება ... 268
27. ადამიანის უფლებების საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება ... 268
მიზანი: 27.2 სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობა ... 269
მიზანი: 27.3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებთან დაკავშირებით საერთასორისო ორგანიზაციების ანგარიშებში მოცემული რეკონენდაციების შესრულება ... 271

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2018-2020) 2018 წლის შესრულების ანგარიშს, რომელიც შემუშავდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს მიერ და განკუთვნილია, როგორც სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებებისათვის, ასევე საქართველოს მთავრობისათვის და წარმოადგენს ინფორმაციულ დოკუმენტს საქართველოს სამინისტროებისა და სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის.

ანგარიში მოიცავს 2018 წლის ბოლომდე გათვალისწინებული აქტივობების შესრულების შესახებ ინფორმაციას. მასში მოცემულია სამოქმედო გეგმის საფუძველზე განსახორციელებელი აქტივობების სტატუსი, მათი შესრულების ინდიკატორები, მოცემულია სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი უწყებების და პარტნიორი უწყებების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, ასევე მის შესრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. დოკუმენტით გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის №629 დადგენილებით დამტკიცებული პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოს მოთხოვნები სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის შემუშავებასთან დაკავშირებით, დაცულია თანმიმდევრობა და მისი შემუშავების წესი.

ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელებული ის ცალკეული საქმიანობები, რომლებიც შესაბამისობაშია ,,საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014 - 2020 წლებისთვის)" დამტკიცების შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილებასთან. აღნიშნული ანგარიში ასახავს იმ თანმიმდევრულ პოლიტიკას, რომლის საბოლოო მიზანია ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით როგორც ხარისხობრივი, ისე, რაოდენობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება. ანგარიშში წარმოდგენილი განხორციელებული რეფორმები, მათი ხელშესახები სამართლებრივი და ინსტიტუციური ცვლილებები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეროვნულ დონეზე არსებულ გამოწვევებსა და საჭიროებებს, რაც ამ მიმართულებით განგრძობადი განვითარებისათვის აუცილებელი წინაპირობაა.

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2018-2020 წლებისთვის) დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 აპრილის №182 დადგენილებით, რომლითაც განისაზღვრა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში გასატარებელი ღონისძიებები და პასუხისმგებელ უწყებათა უფლებამოსილების ფარგლები. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება და მიღწეული შედეგების შენარჩუნება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სამართლებრივი ფასეულობებისა და დემოკრატიული სახელმწიფოს სტანდარტების შესაბამისად დაცვას.

2018 წლის შესრულების ანგარიშის მიზანს წარმოადგენს არა მხოლოდ განსაზღვრული ამოცანების მიღწევის ფორმულირება, არამედ ისეთი პრობლემების გადაჭრა, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუქცევად ხასიათს შესძენდა.

ზემოაღნიშნული სამოქმეგო გეგმის ფარგლებში შემუშავებული 27 პრიორიტეტული მიმართულების შესრულების სტატუსი შეიძლება განისაზღვროს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით: პირველ რიგში, დასახული ამოცანის ფარგლებში მოქცეული აქტივობების სტატუსების რაოდენობრივი ან პროცენტული მაჩვენებელი შესრულების ინდიკატორების

მიხედვით; აქტივობების განხორციელებისას გამოკვეთილი კონკრეტული სტატისტიკური პროგრესის მაჩვენებლის მიხედვით; იმ შემთხვევაში, როდესაც ამოცანის მისაღწევად განსაზღვრულია მხოლოდ ერთი აქტივობა, ამოცანის შესრულების სტატუსი შეიძლება დადგინდეს აქტივობის შესრულებიდან გამომდინარე. შესრულების ინდიკატორებზე დაფუძნებული განხორციელების შეგედად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმის (2018 - 2020) 2018 წლის ანგარიშის ფარგლებში გამოვლინდა, როგორც გამოკვეთილი პროგრესი კონკრეტული მიმართულებებით ძირითად ნაწილში, ასევე, ნაწილობრივი პროგრესი სხვადასხვა პრიორიტეტულ სფეროებზე.

2018 წლის ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში წარმოდგენილი ამოცანების სტატუსები მეტწილად განსაზღვრულია შემდეგნაირად: დაწყებულია შესრულება, უმეტესად შესრულებული, სრულად შესრულებული, ნაწილობრივ შესრულებული, მიმდინარეობს შესრულება და შესრულება არ დაწყებულა. პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით ანგარიშში განსაზღვრული ამოცანების 52% უმეტესად ან სრულად შესრულდა, 41% -ის შემთხვევაში დაწყებულია შესრულება, ხოლო 7% -ზე შესრულება ნაწილობრივ დაწყებულია, მიმდინარეობს შესრულება ან შესრულება არ დაწყებულა



1. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა

მიზანი: 1.1. სისხლის სამართლის პოლიტიკის, კანონმდებლობისა და პრაქტიკის გაუმჯობესება ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესების მიზნით, საერთაშორისო და კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისად;

ამოცანა: 1.1.1. ნათელი და განჭვრეტადი სისხლის სამართლის ნორმების ფორმირებისთვის საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება, მათ შორის სისხლის სამართლის კოდექსის ლიბერალიზაციის, მოსამართლეთა დისკრეციის მიზნით;

ამოცანის ინდიკატორი: მომზადებული და ინიცირებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები შემუშავებულია შესაბამისი გაიდლაინები;

შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება;

საქმიანობა 1.1.1.1. ირიბი მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე საკანონმდებლო რეგულაციების განმტკიცება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში შეჯიბრებითობის პრინციპის განმტკიცებისა და მტკიცებულებათა დასაშვებობასთან დაკავშირებით არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებები, რომელთა მიღების შედეგად მიიღწევა მტკიცებულებათა დასაშვებობის კრიტერიუმების დაზუსტება; განაგონის, პირდაპირ და ირიბ მტკიცებულებათა არსის მკაფიოდ ჩამოყალიბება და განაგონის დასაშვებ მტკიცებულებად საჭირო სტანდარტის განსაზღვრა. კანონპროექტი დასამტკიცებლად მთავრობას 2019 წლის განმავლობაში წარედგინება.

საქმიანობა 1.1.1.2. სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი ცვლილებების (დანაშაულის ამსრულებლობა და დანაშაულში თანამონაწილეობა; მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი; ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებანი ; სასჯელის მიზნები და სახეები; სასჯელის დანიშვნა და სხვ.); მომზადება და ინიცირება.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო;

სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის, მოდერნიზაციისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვა. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში შექმნილი ექსპერტთა სამუშაო ჯგუფების ინტენსიური შეხვედრებისა და მუშაობის შედეგად, ევროკავშირის საბიუჯეტო დახმარების პროგრამის მხარდაჭერით, აგრეთვე, ამერიკის შეერთებული

შტატების იუსტიციის დეპარტამენტის წარმომადგენლების და ევროსაბჭოს ექსპერტების ჩართულობით, მომზადდა ფართომასშტაბიანი ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსის როგორც ზოგად, ისე კერძო ნაწილებში.

მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად შეიცვალა მიდგომები ისეთ კონცეპტუალურ საკითხებთან მიმართებით, როგორიცაა: სასჯელის დანიშვნის პრინციპები, სასჯელის სახეები, პირობითი მსჯავრი, გამოსაცდელი ვადა, ჯარიმა და სხვ. ასევე, გადაიხედა კონკრეტულ დანაშაულთა შემადგენლობები და დაზუსტდა დამამძიმებელი გარემოებები. ცვლილებები განხორციელდა სანქციების ნაწილში.

სისხლის სამართლის კოდექსში ფართომასშტაბიანი ცვლილებების პროექტი, რომელიც შესაბამისობაშია ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებთან, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საბჭოს მიერ 2018 წლის 31 მაისს დამტკიცდა და პარლამენტს 2019 წლის განმავლობაში წარედგინება.

<u>საქმიანობა 1.1.1.3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ინიცირება.</u>

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. მომზადებული ცვლილებების პაკეტის პირველადი განხილვა მოხდა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, ჩართული იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს მიღებული შენიშვნების განხილვა და არსებული რედაქციის განახლება. ცვლილებების პაკეტზე მუშაობის დასრულება დაგეგმილია 2019 წლის ბოლოსთვის, რის შემდგომაც მისი წარდგენა მოხდება საქართველოს მთავრობისთვის.

<u>საქმიანობა: 1.1.1.4. გამოძიების დაწყების არსებულ სტანდარტებზე მონიტორინგის განხორციელება და შესაბამისი გაიდლაინების შემუშავება საჭიროებისამებრ.</u>

პასუხისმგებელი უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს პროკურატურა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტში 2018 წელს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით შემუშავებულ იქნა შვიდამდე რეკომენდაცია, რომელიც ეხმარება გამომძიებლებს მათი ყოველდღიური საქმიანობა და გამოძიების პროცესი გახდეს ეფექტიანი და სწრაფი.

გარდა აღნიშნულისა, დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულის აღკვეთისა და მასზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით, უწყებაში შემუშავებულ იქნა დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის გამოძიების სახელმძღვანელო პრინციპები, რომელიც წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს იმ დანაყოფებისათვის, რომელთა ვალდებულებასაც ზემოაღნიშნულ დანაშაულზე რეაგირება წარმოადგენს. წინამდებარე დოკუმენტში ასახული კომპლექსური რეკომენდაციები შესაბამის დანაყოფებს დაეხმარება დისკრიმინაციული ნიშნით

ჩადენილი დანაშაულის იდენტიფიცირებასა და ჯეროვან გამოძიებაში. აღნიშნული დოკუმენტი არის გადასინჯვის პროცესში და უახლოეს მომავალში დამტკიცდება.

2018 წელს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის რეკომენდაციებზე დაყრდნობით, შეიქმნა ოჯახში ძალადობის რისკის შეფასების მექანიზმი. აღნიშნული ინსტრუმენტი გულისხმობს სპეციალური კითხვარის არსებობას, რომელიც ადრეულ ეტაპზე ძალადობის პრევენციის, ძალადობის განმეორების საფრთხეების წინასწარ განჭვრეტის და განმეორებითი ძალადობის თავიდან აცილების საშუალებას იძლევა. აღნიშნული ინსტრუმენტი ამოქმედდა 2018 წლის სექტემბრიდან.

ამოცანა 1.1.2. აღდგენითი მართლმსაჯულებისა და განრიდების/განრიდებისა დამედიაციის პროგრამის გაძლიერება.

ამოცანის ინდიკატორები: „განრიდების პროგრამებში ჩართულ პირთა % მაჩვენებელი შენარჩუნებულია არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელთან მიმართებაში“; „(განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მონიტორინგის მექანიზმი შემუშავებული და დანერგილია“; წარმოებული და გასაჯაროვებულია სეგრეგირებული სტატისტიკური მაჩვენებლები 6 თვეში ერთხელ; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე, განრიდებისა და აღდგნითი მართლმსაჯულების პროგრამებში ჩართულ/გადამზადებულ პროფესიონალთა რაოდენობა; შემუშავებულია სისხლის სამართლის მედიაციის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა რეგიონული საჭიროებების შესაბამისად; შემუშავებულია განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ელექტრონული საქმის წარმოების სისტემა.

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული.

საქმიანობა 1.1.2.1. პროკურორების, სოციალური მუშაკების, მოსამართლეებისა დამედიატორების გადამზადება განრიდებისა და მედიაციის საკითხებში.

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი.

2018 წელს, „ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის“ მიერ მოწვეული ექსპერტის მონაწილეობით, გაიმართა სამუშაო შეხვედრა სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრის მედიატორებისა და განრიდების პროგრამების განხორციელების პროცესში ჩართული სხვა უწყებების წარმომადგენელთა მონაწილეობით. ექსპერტის ვიზიტის ფარგლებში ასევე განხორციელდა სამუშაო შეხვედრა მედიაციის ხარისხის კონტროლის მექანიზმთან დაკავშირებით.

საანგარიშო წელს, ევროკავშირის „სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის“ მხარდაჭერითა და მოწვეული ექსპერტის ჩართულობით გაიმართა ტრენინგი აღდგენით მართლმსაჯულებაში მედიატორების, სოციალური მუშაკებისა და სხვა უწყებების წარმომადგენელთათვის. ტრენინგი მიზნად ისახავდა აღდგენით მართლმსაჯულებაში მონაწილეთა ცოდნის ამაღლებას და სისხლის სამართლის/აღდგენითი მართლმსაჯულების საკითხებში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას.

2018 წელს გაიმართა ორი კონფერენცია: „თბილისის მედიაციის დღეები“ და „არასრულწლოვანთა განრიდება და მედიაცია“, აქტივობები განხორციელდა ევროკავშირის „სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის“ ფინანსური და ინტელექტუალური მხარდაჭერით.

გაეროს ბავშვთა ფონდისა და ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის ფინანსური და ინტელექტუალური მხარდაჭერით, ასევე მოწვეული ექსპერტების ჩართულობით გაიმართა სამუშაო შეხვედრა თემაზე „მედიატორთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება“. დაგეგმილი აქტივობა ითვალისწინებდა სუპერვიზიისა და ინტერვიზიის სესიების გამართვას მედიატორთა და ექსპერტის ჩართულობით.

აშშ-ს ნარკოტიკებთან ბრძოლისა და კანონის აღსრულების საერთაშორისო ბიუროს მხარდაჭრით, მედიაციის საკითხებში გადამზადების 20 დღიანი (139 საათი) კურსი გაიარა სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრის ექვსმა ახალმა მედიატორმა, კურსი სხვა მიმართულებებთან ერთად მოიცავდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მედიატორთა სპეციალიზაციას.

<u>საქმიანობა 1.1.2.2. სტატისტიკური მონაცემების მიღება შესაბამისი უწყებებიდან, დამუშავება და გამოქვეყნება.</u>

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი.

2018 წლის განმავლობაში სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან, საქართველოს პროკურატურასთან თანამშრომლობით ახორციელებდა განრიდების საქმისწარმოების პროცესის ზედამხედველობასა და მონიტორინგს ინდივიდუალურ რეჟიმში, აღრიცხავდა და აქვეყნებდა შესაბამის სტატისტიკურ ინფორმაციას განრიდების პროგრამების ვებ-გვერდზე: http://www.ganrideba.ge/?action=page&pid=52&lang=geo.

<u>საქმიანობა 1.1.2.3. შესაბამისი სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის მომზადება და სისხლის სამართლის უწყებათაშორისი საბჭოსათვის წარდგენა.</u>

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი.

2018 წელს შემუშავდა და შესაბამისი აქტით დამტკიცდა აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამა - სისხლის სამართლის მედიაცია საპილოტე რეჟიმში. პროგრამით განისაზღვრა, რომ საპილოტე პროგრამის ფარგლებში, პროგრამის ბენეფიციარები იქნებიან როგორც მსჯავრდებული, ასევე ყოფილი მსჯავრდებული არასრულწლოვნები, ასევე სრულწლოვანი პირები. 2018 წელს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრმა მიიღო 6 მიმართვა მედიაციის წარმართვის მიზნით. მიმდინარეობს საპილოტე პროგრამის ფარგლებში, კომუნიკაცია პარტნიორ უწყებებთან, იგეგმება სამუშაო შეხვედრების/ტრენინგების გამართვა იმ უწყებების თანამშრომლებისათვის, რომელთაგანაც შესაძლებელია ბენეფიციართა გადმომისამართება მედიაციის პროცესის ინიცირების მიზნით. პარალელურად მიმდინარეობს საპილოტე რეჟიმში სისხლის სამართლის მედიაციის პროცესის მონიტორინგი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2018 წლისათვის სისხლის სამართლის მედიაციის საპილოტე პროგრამის ამოქმედების პირობებში, შესაბამისი სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის შემუშავებისა და საბჭოსთვის წარდგენის საჭიროება არ იყო დღის წესრიგში ვითარების შეცვლის გამო.

<u>საქმიანობა 1.1.2.4. „განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება“.</u>

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი.

აქტივობის განხორციელება 2018 წლისათვის დაგეგმილი იყო გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობითა და მოწვეული ექსპერტის დახმარებით. გამომდინარე იქიდან, რომ დროში გახანგრძლივდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტის შერჩევა და დღის წესრიგში დადგა კონკურსის რამდენჯერმე გამოცხადების საჭიროება, აქტივობის შესრულება ვერ განხორციელდა 2018 წლისათვის, შეიცვალა თარიღი და განხორციელდება 2019 წელს.

<u>საქმიანობა: 1.1.2.5. განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ელექტრონული საქმის წარმოების სისტემის შემუშავება, დანერგვა და მისი მუდმივი განახლება.</u>

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი; საქართველოს მთავარი პროკურატურა.

შემუშავდა განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის პროექტის ტექნიკური დოკუმენტაცია - TOR, პროექტის წესდება, პროექტის დოკუმენტი, ტექნიკური დოკუმენტი, არქიტექტურა, საქმეების დეტალური ჩაშლა. მიმდინარეობს დაფინანსების წყაროს მოძიებაზე მუშაობა სისტემის შემუშავების მიზნით.

გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით მოწვეული ექსპერტის მიერ პროკურატურისთვის შემუშავდა განრიდების პროგრამის მონიტორინგის ახალი მექანიზმი, რომელიც 2019 წელს პრაქტიკაში დაინერგა.

2. სამართლიანი სასამართლოს უფლება და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა

მიზანი: 2.1. დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების სისტემის უზრუნველყოფა;

ამოცანა: 2.1.1. სასამართლოსა და ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის განმარტების საკანონმდებლო და სისტემური უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: განახლებულია მოსამართლეთა შერჩევის და დაწინაურების კრიტერიუმები და პროცედურა; გაუმჯობესებულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინსტიტუციური გარანტიები და საქმიანობის წესი; შემუშავებულია სკოლის მსმენელების, მოსამართლეობის კანდიდატებს შორის კონკურსის დროს გადაწყვეტილების დასაბუთების თაობაზე წინადადებები; ამუშავებულია სასამართლოში ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა ყველა ინსტანციის სასამართლოში;

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

***საქმიანობა: 2.1.1.1.** მოსამართლის დაწინაურების ცხადი, გამჭვირვალე და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული სისტემის შემუშავება;*

პასუხისმგებელი უწყება: საერთო სასამართლოები; იუსტიციის უმაღლესი საბჭო;

სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიითა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია მოსამართლეთა დაწინაურების სისტემის განვითარება. ამ მიზნით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის – „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ მხარდაჭერით, საერთაშორისო ექსპერტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს წარუდგინა ანგარიში „საქართველოში მოსამართლეთა დაწინაურების შესახებ“. ექსპერტმა გააანალიზა მოსამართლეთა დაწინაურების შესახებ არსებული საუკეთესო საერთაშორისო და ევროპული პრაქტიკა, შეაფასა საქართველოში მოსამართლეთა დაწინაურების არსებული სისტემა და მისი მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტები. ხაზგასასმელია, რომ მოსამართლეთა დაწინაურების სისტემა მიბმულია მოსამართლეთა შეფასების პროცედურაზე. კვლევის საფუძველზე, შემოთავაზებულია მოსამართლეთა დაწინაურების ოთხი მიდგომა. კერძოდ, დაწინაურება მაღალ სამოსამართლო თანამდებობაზე უნდა მოიცავდეს მოსამართლის საქმიანობის ფორმალიზებული შეფასების პროცესს, ხარისხობრივ და რაოდენობრივ კრიტერიუმებზე დაყრდნობით.

მოსამართლის დატვირთულობისა და სასამართლოში საქმეთა ნაკადის შემცირების პრობლემის გადაჭრისთანავე, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის იმპლემენტაციის მიზნით შექმნილი შესაბამისი სამუშაო ჯგუფი, წარმოდგენილი კვლევის გათვალისწინებით, გააგრძელებს მუშაობას მოსამართლეთა დაწინაურებისა და მისი შემადგენელი მოსამართლეთა შეფასების

პროცესის რეგულირებაზე.

<u>საქმიანობა: 2.1.1.2.</u> *<u>სკოლის მსმენელების, მოსამართლეობის კანდიდატებს შორის კონკურსის დროს გადაწყვეტილების დასაბუთების შესახებ წინადადებების მომზადება;</u>*

პასუხისმგებელი უწყება: საერთო სასამართლოები; იუსტიციის უმაღლესი საბჭო;

იხ. №2.1.1.3 საქმიანობის შესრულების ნაწილი.

<u>საქმიანობა: 2.1.1.3.</u> *<u>საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის განახლება</u>*

პასუხისმგებელი უწყება: საერთო სასამართლოები; იუსტიციის უმაღლესი საბჭო;

მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, პარლამენტის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით შექმნილ პლატფორმას, რომელიც ხელისუფლების სამივე შტოს, ასევე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან არის დაკომპლექტებული, რეფორმის ერთ-ერთ მიმართულებად დასახელებული აქვს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების გაუმჯობესება. სასამართლო რეფორმის სამუშაო ჯგუფის მუშაობის შედეგად განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად მოხდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის განახლება.

<u>საქმიანობა: 2.1.1.4.</u> *<u>იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების დამოუკიდებლობის გარანტიების, სტატუსის, კომპეტენციის, და კომპლექტების წესის, გადაწყვეტილებების დასაბუთებისა და მისი გასაჩივრების მექანიზმების შემდგომი სრულყოფა;</u>*

პასუხისმგებელი უწყება: საერთო სასამართლოები; იუსტიციის უმაღლესი საბჭო;

2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში, კონსტიტუციით განისაზღვრა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტატუსი და მისი დაკომპლექტების წესი. რეფორმამდე იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ex officio თავმჯდომარეობდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. რეფორმის შედეგად, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს თანამდებობრივად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობა შეუნარჩუნდა, თუმცა საბჭოს თავმჯდომარეს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აირჩევს საკუთარ მოსამართლე წევრთაგან, 4 წლის ვადით (მაგრამ არაუმეტეს მისი, როგორც საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადისა). აქვე ხაზგასასმელია, რომ კონსტიტუციით განისაზღვრა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ანგარიშვალდებულება მოსამართლეთა კონფერენციის წინაშე, რაც უფრო მეტად აძლიერებს მოსამართლეთა კონფერენციის როლს და უზრუნველყოფს თითოეული მოსამართლის ჩართულობას სასამართლო სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

დამატებით იხ. საქმიანობა 2.1.1.3.

<u>საქმიანობა: 2.1.1.5.</u> *<u>სასამართლოში ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის დახვეწა და ამუშავება ყველა ინსტანციაში - სამოქალაქო, სისხლის და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაზე;</u>*

პასუხისმგებელი უწყება: საერთო სასამართლოები; იუსტიციის უმაღლესი საბჭო;

ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, საერთო სასამართლოების სისტემაში, პარტნიორი ორგანიზაციების (EU4Justice, USAID/PROLOG, COE GIZ) მხარდაჭერით ჩატარდა IT აუდიტი.

ჩატარებული აუდიტით შეფასდა სასამართლო სისტემაში არსებული ყველა პროგრამა, მისი გამართულად მუშაობის საკითხი და გამოიკვეთა დადებითი და უარყოფითი მხარეები. კვლევის შედეგების მიხედვით განისაზღვრება კონცეფცია ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის გაუმჯობესების საკითხებზე.

ამოცანა: 2.1.2 ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფის მიზნით, მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების, დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურების და ეთიკის ნორმების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ამოცანის ინდიკატორი: დადგენილია ნათელი, დეტალური და განჭვრეტადი პასუხისმგებლობის საფუძვლები; უზრუნველყოფილია დისციპლინურ გადაცდომებზე რეაგირების მექანიზმების ეფექტიანობა, სამართლიანობა და განჭვრეტადობა; განახლებულია ეთიკის ნორმები;

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა: 2.1.2.1.</u> *<u>მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და ეთიკის ნორმების საფუძვლების დახვეწა საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე, დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცესის ეტაპების ოპტიმიზაცია და პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;</u>*

პასუხისმგებელი უწყება: იუსტიციის უმაღლესი საბჭო; მოსამართლეთა კონფერენცია (სადისციპლინო კოლეგია, უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა);

სასამართლო სისტემის მიმდინარე რეფორმის ფარგლებში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა რეფორმის ერთ-ერთ მიმართულებად განსაზღვრა მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომის სახეების დახვეწა. პარლამენტის იურიდიული კომიტეტისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ცალ-ცალკე შემუშავდა კონკრეტული საკანონმდებლო წინადადებები მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების დახვეწის თაობაზე. საბოლოოდ, მომზადებული წინადადებები სამუშაო ჯგუფის ფარგლებში შეჯერდა ერთიანი კანონპროექტის სახით. პროექტის განხილვა პარლამენტის მიმდინარე სესიაზეა დაგეგმილი.

აღსანიშნავია, რომ სამუშაო ჯგუფის სხდომაზე დაისვა, ასევე, დისციპლინური სამართალწარმოების შემდგომი გაუმჯობესების საჭიროების საკითხი. სასამართლო რეფორმის სამუშაო ჯგუფი

გააგრძელებს კონსულტაციებს დისციპლინური სამართალწარმოების გაუმჯობესების მიმართულებით.

მოსამართლეთა ეთიკის ახალი კოდექსის შემუშავებისა და სამოსამართლო ეთიკის მიმართულების განვითარების მიზნით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო თანამშრომლობს პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებთან (USAID/PROLoG, CoE, EU4Justice). თანამშრომლობის ფარგლებში, შექმნილია მოსამართლეებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი. სამუშაო პროცესში იგეგმება ამერიკელი და ევროპელი ექსპერტების ჩართვა. პირველ ეტაპზე დაგეგმილია სამოსამართლო ეთიკის მოქმედი წესებისა და პრაქტიკის გაანალიზება. განხორციელებული ანალიზის საფუძველზე, სამოსამართლო ეთიკის წესები განახლდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რის შემდეგაც, დაიწყება მუშაობა ეთიკის წესების კომენტარების მომზადებასა და თანმდევი ღონისძიებების დაგეგმვაზე.

რაც შეეხება დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის გამჭვირვალობას, აღსანიშნია, რომ სამართალწარმოებაში ჩართული თითოეული სუბიექტის სტატისტიკური ინფორმაცია პერმანენტულად ქვეყნდება დამოუკიდებელი ინსპექტორის (http://www.independent-inspector.ge/Legislation/Decision/17), სადისციპლინო კოლეგიისა (http://dcj.court.ge/uploads/Statistics/2018wlisstatistika.pdf) და უზენაესი სასამართლოს (http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sadisciplino-statistic-2018.pdf) ოფიციალურ ვებგვერდებზე.

საქმიანობა: 2.1.2.2. *საკონსულტაციო მექანიზმის შექმნა შესაბამისი საკანონმდებლო წინადადებების მოსამზადებლად მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებისა და ეთიკის ნორმების შემდგომი დახვეწისა და სრულყოფისათვის.*

პასუხისმგებელი უწყება: *იუსტიციის უმაღლესი საბჭო; მოსამართლეთა კონფერენცია (სადისციპლინო კოლეგია, უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა).*

სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის იმპლემენტაციის პარალელურად, მიმდინარეობს სასამართლო სისტემის რეფორმის ე.წ. მეოთხე ტალღა. ამ მიზნით, პარლამენტის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით, შექმნილია საკონსულტაციო ფორმატის პლატფორმა, რომელიც ხელისუფლების თითოეული შტოსთან ერთად, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებსაც აერთიანებს. პლატფორმის ფარგლებში, 2018 წელს დასრულდა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებზე მუშაობა. დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებისა და ეთიკის ნორმების შემდგომ დახვეწასა და სრულყოფასთან დაკავშირებით, **დეტალურად იხ. აქტივობა №2.1.2.1.**

საქმიანობა: 2.1.2.3. *მოსამართლეთა შემდგომ განვითარებაზე ორიენტირებული პერიოდული შეფასების სისტემის დახვეწა;*

პასუხისმგებელი უწყება: იუსტიციის უმაღლესი საბჭო; მოსამართლეთა კონფერენცია (სადისციპლინო კოლეგია, უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა);

სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის იმპლემენტაციის მიზნით შექმნილი შესაბამისი სამუშაო ჯგუფი აგრძელებს მუშაობას მოსამართლეთა პერიოდული შეფასების სისტემის

დახვეწაზე. **დამატებით იხ. აქტივობა 2.1.1.1.**

მიზანი: 2.2. ხარისხიანი მართლმსაჯულებისა და პროფესიონალიზმის უზრუნველყოფა;

ამოცანა: 2.2.1. საწყისი მომზადებისა და განგრძობადი განათლების ხარისხის გაუმჯობესება;

ამოცანის ინდიკატორი: შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები; საქმიანობის სტანდარტები განახლებულია საერთაშორისო რეკომენდაციების შესაბამისად;

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება.

საქმიანობა: 2.2.1.1. *საუკეთესო პოტენციალის მქონე კადრების დასასაქმებლად შესაბამისი წინაპირობების შექმნა მოზიდვა და შერჩევა.*

პასუხისმგებელი უწყება: *იუსტიციის უმაღლესი საბჭო; უზენაესი სასამართლო.*

აღსანიშნია, რომ საუკეთესო პოტენციალის მქონე კადრების დასაქმების ხელშემშლელი გარემოებების საკითხი განიხილება პარლამენტის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით შექმნილ სასამართლო რეფორმის სამუშაო ჯგუფში, რომელიც აერთიანებს ხელისუფლების სამივე შტოს წარმომადგენლებს. სამუშაო ჯგუფის მიერ იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმა ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად არის გამოყოფილი.

აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საუკეთესო პოტენციალის მქონე კადრების დასაქმების ერთ-ერთ ხელშემშლელ გარემოებად იდენტიფიცირებული იყო მსმენელთა სტიპენდიის სიმცირე. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს 2019 წლის 3 მარტის გადაწყვეტილებით, გაორმაგდა იუსტიციის მსმენელთა სახელმწიფო სტიპენდია - ნაცვლად არსებული 1000 ლარისა, იუსტიციის მსმენელები სახელმწიფო სტიპენდიას მიიღებენ თვეში 2000 ლარის ოდენობით.

საქმიანობა: 2.2.1.2. *იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთა შერჩევის კრიტერიუმების განახლება და პროცედურის დახვეწა;*

პასუხისმგებელი უწყება: იუსტიციის უმაღლესი საბჭო; უზენაესი სასამართლო.

სასამართლო სისტემის მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, პარლამენტის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით შექმნილმა პლატფორმამ რეფორმის ერთ-ერთ მიმართულებად განსაზღვრა იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმა. სკოლის მსმენელთა შერჩევის კრიტერიუმებისა და პროცედურის განახლება სწორედ სარეფორმო ჯგუფის ფარგლებში იგეგმება.

საქმიანობა: 2.2.1.3. *სასამართლო აპარატის შესაძლებლობების გაძლიერება;*

პასუხისმგებელი უწყება: იუსტიციის უმაღლესი საბჭო; უზენაესი სასამართლო.

სასამართლოს აპარატის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, იუსტიციის უმაღლესი სკოლის „მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა გადამზადების პროგრამის“ ფარგლებში, სასამართლოს მოხელეებისთვის განხორციელდა სამართლის აქტუალურ საკითხებსა და უნარების განვითარებაზე ორიენტირებული 43 ტრენინგი. 2018 წლის განმავლობაში, სასამართლოს მოხელეთათვის ორგანიზებულ ტრენინგებში 623-მა მოხელემ მიიღო მონაწილეობა.

სასამართლოს მოხელეთა პროფესიული განვითარებისა და მოსამართლის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, პარტნიორი ორგანიზაციების (EU4Justice, USAID/PROLoG, CoE, UNICEF, UNDP, OHCHR) მხარდაჭერით, 2018 წელს სასამართლოს მოხელეთათვის ჩატარდა ზაფხულის და ზამთრის სკოლები. პროექტი მიზნად ისახავს მონაწილეთა როგორც თეორიული ცოდნის, ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაძლიერებას და მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა ადამიანის უფლებათა ცალკეულ საკითხებზე (მაგალითად დისკრიმინაციის აკრძალვა, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ისევე როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი პრაქტიკის მიმოხილვას, ბავშვზე მორგებულ მართლმსაჯულებას, სამართლებრივ კვლევასა და წერას, სასამართლოში და მხარეებთან კომუნიკაციას. პროექტი პერმანენტულ სახეს მიიღებს და ყოველწლიურად ჩატარდება.

აქვე აღსანიშნია, რომ საერთაშორისო ექსპერტის რეკომენდაციის გათვალისწინებით, სასამართლოს ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სამ სასამართლოში დაამატა მწერალი თანაშემწის საშტატო ერთეული. კერძოდ, 2017-2018 წლებში სულ 80 მწერალი თანაშემწე განწესდა თანამდებობაზე, აქედან 47 - თბილისის საქალაქო სასამართლოში, ხოლო დანარჩენი - თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში.

ამოცანა: 2.2.2. სასამართლო სისტემის ხარისხის გაზომვის ინდიკატორებისა და სტანდარტების განვითარება.

ამოცანის ინდიკატორი: მოსამართლეთა ეფექტიანი პერიოდული შეფასების სისტემა ობიექტური შემუშავებულია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება;

<u>საქმიანობა: 2.2.2.1.</u> *<u>სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების მექანიზმის დახვეწა;</u>*

პასუხისმგებელი უწყება: იუსტიციის უმაღლესი საბჭო; უზენაესი სასამართლო.

უზენაეს სასამართლოში ფუნქციონირებს ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილება, რომელიც შეისწავლის ადგილობრივ პრაქტიკას. 2018 წელს განზოგადების განყოფილების ფუნქციები გაიზარდა სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხის ზრდის მიმართულებით მოსამართლეებთან მჭიდრო და ეფექტური თანამშრომლობის ფარგლებში. განყოფილებას უფლებამოსილება გაფართოვდა, კერძოდ მას მიეცა სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული პალატებთან მიმაგრებით აწარმოონ პრაქტიკის ანალიზი, დაეხმარონ ადგილობრივი სასამართლო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მოძიებასა და ანალიზში. მაგალითად, მიმდინარე წელს სამოქალაქო საქმეთა პალატაში მიმაგრებულ იქნა განზოგადების განყოფილების სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფდა კვლევების ჩატარებასა და გადაწყვეტილებების პროექტის მომზადებაში მონაწილეობის მიღებას.

<u>საქმიანობა: 2.2.2.3.</u> *<u>მოსამართლეთა შემდგომ განვითარებაზე ორიენტირებული პერიოდული შეფასების სისტემის დახვეწა</u>*

პასუხისმგებელი უწყება: იუსტიციის უმაღლესი საბჭო; უზენაესი სასამართლო

სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის იმპლემენტაციის მიზნით შექმნილი შესაბამისი სამუშაო ჯგუფი აგრძელებს მუშაობას მოსამართლეთა პერიოდული შეფასების სისტემის დახვეწაზე. დამატებით იხ. აქტივობა 2.1.1.1.

მიზანი: 2.3. სასამართლო სისტემის ეფექტიანობის უზრუნველყოფა

ამოცანა: 2.3.1. სასამართლო სისტემის ეფექტიანობის გაზრდა, ორგანიზაციული და ადმინისტრაციული სტრუქტურის დახვეწით;

ამოცანის ინდიკატორი: შემუშავებულია მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრის წესი; შესაბამისი კვლევის საფუძველზე დადგენილია გონივრული დატვირთულობის სტანდარტები; გაზრდილია დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების შემთხვევების რაოდენობა

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა: 2.3.1.1. საქმეთა რაოდენობის ანალიზის შესაბამისად მოსამართლეთა ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა;</u>

პასუხისმგებელი უწყება: *იუსტიციის უმაღლესი საბჭო; უზენაესი სასამართლო*

USAID/PROLoG-ის პროექტის მხარდაჭერით მოწვეულმა ექსპერტმა, იესპერ ვიტრუპმა, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს პროექტების ადგილობრივი ექსპერტების დახმარებით მოამზადა კვლევა სასამართლოში მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის შესახებ. კვლევა ჩატარდა როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მეთოდოლოგიიის გამოყენებით. კერძოდ, ექსპერტებმა გააანალიზეს ევროპის სხვა ქვეყნებში არსებული მოსამართლეთა რაოდენობრივი მონაცემები - შესაბამის სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ცვლადებთან ერთობლიობაში. კვლევის საფუძველზე ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ოპტიმალური რაოდენობის მისაღწევად, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა რაოდენობა უნდა გაიზარდოს, საშუალოდ, 100 ერთეულით. ამჟამად მიმდინარეობს კვლევის მეორე ფაზა, რომელიც მიზნად ისახავს მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების სასამართლოებში განაწილების შეფასებას, ასევე საქმეთა წონების განსაზღვრის გონივრული სისტემის შემუშავებას. კვლევის შედეგების გათვალისწინებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო მიიღებს საშტატო ერთეულების გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებას.

<u>საქმიანობა: 2.3.1.2. კომერციული/საგადასახადო პალატ(ებ)ის დაარსება და ამოქმედება;</u>

პასუხისმგებელი უწყება: იუსტიციის უმაღლესი საბჭო; უზენაესი სასამართლო

სასამართლო სისტემის ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან არსებული ინვესტორთა საბჭოს ფორმატში, იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით შემუშავდა წინადადება საერთო სასამართლოების სისტემაში კომერციული პალატების შექმნის შესახებ. უზენაესი სასამართლო და იუსტიციის უმაღლესი საბჭო თანამშრომლობენ იუსტიციის სამინისტროსთან და პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან.

<u>საქმიანობა: 2.3.1.3. სტატისტიკური მონაცემების მოპოვებისა და დამუშავების თანამედროვე სტანდარტების დანერგვა საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით.</u>

პასუხისმგებელი უწყება: იუსტიციის უმაღლესი საბჭო; უზენაესი სასამართლო.

სასამართლო სისტემის ინფორმაციული ტექნოლოგიების გაუმჯობესების, სასამართლოებში მომხმარებელზე ორიენტირებული ინოვაციური ტექნოლოგიური სერვისების დანერგვის და მათი გამართული მუშაობის მიზნით, პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, 2018 წლის აგვისტოში ჩატარდა სისტემის ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი. ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის მიზანი იყო სისტემაში არსებული მდგომარეობის ანალიზი და შეფასება, შესაბამისად, არსებული გამოწვევების გამოვლენა და მათ დასაძლევად მიზნების დასახვა. ჩატარებული აუდიტით შეფასდა სასამართლო სისტემაში არსებული ყველა პროგრამა, მათ შორის, სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების ნაწილში. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტი განაგრძობს ამ მიმართულებით მუშაობას.

<u>საქმიანობა: 2.3.1.4. დავების მოგვარების ალტერნატიული მექანიზმების განვითარება;</u>

პასუხისმგებელი უწყება: იუსტიციის უმაღლესი საბჭო; უზენაესი სასამართლო

ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, საზოგადოებასთან ურთიერთობის (კომუნიკაციების) ექსპერტის მიერ მომზადდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018-2019 წლების მედიაციის საკომუნიკაციო სტრატეგია. სტრატეგიის დოკუმენტი მოიცავს პრობლემების, გამოწვევების, მედიაციის საკომუნიკაციო მიზნების, მიზნობრივი ჯგუფების, სტრატეგიებისა და ტაქტიკების შესახებ ინფორმაციას. დოკუმენტს თან ახლავს კონკრეტული სამოქმედო გეგმა. მედიაციის საკომუნიკაციო სტრატეგია საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2018 წლის 16 ივლისის სხდომაზე მოიწონა. საკომუნიკაციო სტრატეგიით, ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად განსაზღვრულია მედიაციის შესახებ საზოგადოების ცნობიერებისა და ინფორმირებულობის დონის გაზრდა. აღნიშნული სტრატეგიის შესრულების მიზნით, საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, მომზადდა ვიდეო რგოლი, ბლოგ-პოსტები და სტატიები მედიაციის შესახებ. გარდა ამისა, საერთაშორისო კონფერენციის - თბილისის მედიაციის დღეების ფარგლებში დამატებით გაშუქდა მედიაციასთან დაკავშირებული საკითხები. იუსტიციის უმაღლესი საბჭო, პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, აგრძელებს მუშაობას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელებაზე.

მედიაციის პილოტური პროექტი 2013 წლიდან მუშაობს თბილისის საქალაქო სასამართლოში. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, კერძოდ, 2013 (XII) წლიდან 2018 (XII) წლამდე, მედიაციას გადაეცა 166 საქმე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ცენტრის ამოქმედებიდან პირველი სამი წლის განმავლობაში, საერთო ჯამში, ცენტრისთვის გადაცემული საქმეების რაოდენობა სულ 43-ს შეადგენდა, ხოლო 2016-2019 წლებში იგი 129-ს გაუტოლდა. ამასთან, ყოველთვიურად მიმდინარე საქმეების საშუალო რაოდენობა იყო 3, დღესდღეობით კი, ცენტრის წარმოებაში, საშუალოდ, 20 -22 საქმეა.

2018 წლის მეორე ნახევარში, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რუსთავის საქალაქო და გორის რაიონულ სასამართლოებსა და გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) შორის გაფორმდა

თანამშრომლობის მემორანდუმი რუსთავის საქალაქო და გორის რაიონულ სასამართლოებში სასამართლო მედიაციის საპილოტე პროექტების დაწყების შესახებ. შედეგად, 2018 წლის დეკემბერში ჩატარდა მედიაციის რვადღიანი ტრენინგი მედიაციის საპილოტე პროექტის ფარგლებში შერჩეული 16 მონაწილისათვის. ამასთან, რუსთავის საქალაქო და გორის რაიონულ სასამართლოებში თანამედროვე სტანდარტით მოეწყო და აღიჭურვა სასამართლო მედიაციის დარბაზები. რუსთავის საქალაქო და გორის რაიონულ სასამართლოებში მედიაციის ცენტრების საპილოტედ ამოქმედება იგეგმება 2019 წლის გაზაფხულზე.

<u>საქმიანობა: 2.3.1.5.</u> *<u>სასამართლოთა თავჯდომარეთა და მენეჯერების ფუნქციების შესწავლა და გამიჯვნა</u>*

პასუხისმგებელი უწყება: იუსტიციის უმაღლესი საბჭო; უზენაესი სასამართლო

სასამართლოს თავმჯდომარეთა და მენეჯერთა ფუნქციების გამიჯვნის მიზნით, ევროპის საბჭოს ექსპერტმა სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის იმპლემენტაციისთვის შექმნილ შესაბამის სამუშაო ჯგუფს წარუდგინა საკუთარი რეკომენდაციები. ამასთან, სასამართლოს თავმჯდომარეთა და მენეჯერთა უფლებამოსილებების გამიჯვნის საუკეთესო პრაქტიკის გაცნობის მიზნით, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს პროექტების მხარდაჭერით, 2018 წლის 16 ნოემბერს სასამართლო სისტემის წარმომადგენლებისთვის ჩატარდა სამუშაო შეხვედრა. შეხვედრის ფარგლებში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს, საერთო სასამართლოების თავმჯდომარეებსა და მენეჯერებს ევროკავშირის პროექტის ფარგლებში მოწვეულმა ექსპერტმა წარუდგინა სასამართლოს თავმჯდომარეთა და მენეჯერთა ფუნქციების გამიჯვნის საუკეთესო მაგალითები და გაუზიარა საკუთარი რეკომენდაციები. იუსტიციის უმაღლესი საბჭო აგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას.

<u>საქმიანობა: 2.3.1.6.</u> *<u>სასამართლოს თავმჯდომარეების თანამდებობაზე გამწესების პროცედურების დახვეწის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;</u>*

პასუხისმგებელი უწყება: იუსტიციის უმაღლესი საბჭო; უზენაესი სასამართლო.

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დაგეგმილია სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე განწესების პროცედურების, ვადებისა და კომპეტენციის თაობაზე საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

მიზანი: 2.4. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

ამოცანა: 2.4.1 სასამართლო ხელმისაწვდომობის გაზრდა მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისების განვითარებით

ამოცანის ინდიკატორი: სასამართლოს ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული საჭიროებების ანალიზი ჩატარებულია; სასამართლოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აუდიტი ჩატარებულია;

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

საქმიანობა: 2.4.1.1. *შ.შ.მ პირებისათვის სასამართლო ინფრასტრუქტურული გარემოსა და ტექნოლოგიური ადაპტირების საკითხის შესწავლა და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად სტანდარტის თანმიმდევრული გაუმჯობესება;*

პასუხისმგებელი უწყება: უზენაესი სასამართლო; საერთო სასამართლოების; იუსტიციის უმაღლესი საბჭო;

სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, 2019 წლის პირველ ნახევარში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან მუშაობის სფეროში სპეციალიზებული ადგილობრივი ორგანიზაცია, საერთაშორისო ექსპერტის დახმარებით, შეაფასებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სასამართლო შენობების (69 შენობა) ინფრასტრუქტურას, შშმ პირების საჭიროებებზე მორგების შესაძლებლობის განსასაზღვრად. კვლევის ფარგლებში, ადგილზე დათვალიერებით შეფასდება სასამართლოს შენობები და გაიცემა რეკომენდაციები შშმ პირების საჭიროებებზე ინფრასტრუქტურის მორგების მიზნით.

საქმიანობა: 2.4.1.2 *მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეებისათვის ტრენინგების ჩატარება - მომხმარებლებთან კომუნიკაციის სტრატეგიის და სასამართლო პროცესზე ინფორმაციის მარტივად და გასაგებად მიწოდების მიზნით;*

პასუხისმგებელი უწყება: უზენაესი სასამართლო; საერთო სასამართლოების; იუსტიციის უმაღლესი საბჭო;

სასამართლოს მომხმარებელთან კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით, იუსტიციის უმაღლესი სკოლის „მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა გადამზადების“ 2018 წლის პროგრამის ფარგლებში, გადამზადება გაიარეს მოსამართლეებმა და სასამართლოს მოხელეებმა. კერძოდ, სკოლამ ორგანიზება გაუწია 2 ტრენინგს შშმ პირებთან კომუნიკაციის სტანდარტებზე (მოსამართლეთა და მოხელეთათვის), ხოლო 1 ტრენინგს - ეფექტიანი კომუნიკაციის/კომუნიკაციის სტანდარტებზე (მხოლოდ სასამართლოს მოხელეთათვის).

სასამართლოს საქმიანობის თაობაზე მომხმარებლისთვის დროული და სწორი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, გადამზადდნენ სპიკერ-მოსამართლეებიც. კერძოდ, ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში, სპიკერ მოსამართლეებისათვის ორჯერ (2018 წლის 16-20 ივლისს და 12-14 ოქტომბერს) ჩატარდა ტრენინგი თემაზე - ეფექტიანი კომუნიკაცია.

ზემოაღნიშნულის გარდა, იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და USAID/PROLoG-ის თანამშრომლობით, 2019 წლის თებერვალში ჩატარდა ოთხი ტრენინგი თემაზე: სასამართლო სხდომების მართვა და კომუნიკაცია. სასწავლო მოდული მოიცავდა სამოქალაქო საქმეთა მოსამართლეთათვის კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმების გამოყენების, საქმეთა უკეთ დაგეგმვისა და სხდომის მონაწილეთა ეფექტიანი მართვის საკითხებს. ტრენინგების ფარგლებში გადამზადდა 60 მოსამართლე. ტრენინგების მეორე ეტაპი დაგეგმილია 2019 წლის აპრილში.

<u>საქმიანობა: 2.4.1.4. ეროვნული პრაქტიკის შესაბამისობის ანალიზი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან სასამართლო პრაქტიკის განზოგადებაზე პასუხისმგებელი რგოლების აქტიური გაძლიერებითა და ჩართვით;</u>

პასუხისმგებელი უწყება: უზენაესი სასამართლო; საერთო სასამართლოები; იუსტიციის უმაღლესი საბჭო;

2018 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკურმა განყოფილებამ შეისწავლა ეროვნული სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან და გამოსცა შემდეგი კვლევები:

- ✓ *„ოჯახში ძალადობის საქმეებში საერთაშორისო სტანდარტების ასახვა“:* კვლევის ფარგლებში სიღრმისეულად გაანალიზდა საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ 2016-2017 წლებში განხილული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლით დაკვალიფიცირებული საქმეები (1236 საქმე).
- ✓ *„ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015-2017 წლების მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები“:* მეორე განახლებული გამოცემა;
- ✓ *„სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თაობაზე“: კვლევაში განხილულია* სამოქალაქო სამართლებრივი ასპექტები;

<u>საქმიანობა: 2.4.1.5. იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლებთან ურთიერთობების განვითარება სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ფორმატში;</u>

პასუხისმგებელი უწყება: უზენაესი სასამართლო; საერთო სასამართლოები; იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

2018 წლის განმავლობაში სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომები გაიმართა შემდეგ საკითხებზე:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკანონმდებლო წინადადების თაობაზე სისხლის სამართლის კოდექსში განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე და შეიმუშავა რეკომენდაციები, რომლის უმეტესი ნაწილი გაითვალისწინა იუსტიციის სამინისტრომ და ცვლილებები შეიტანა „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ შესაბამის მუხლების პროექტში. პროექტით შემოთავაზებული ცვლილებები შეეხებოდა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო და ზოგადი ნაწილში ცვლილებებს, სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის, არაერთგზისობის და სხვა საკითხების დაზუსტებას.

აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების, მოწმის დაკითხვის წესის, ოჯახური ძალადობისა და

ნარკოტიკული დანაშაულების საკითხებზე ქართული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზის თაობაზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებთან მათ შესაბამისობაზე;

ევროპული კონვენციის მე-16 დამატებითი ოქმის გამოყენებისა და დანერგვის თაობაზე, ევროსასამართლოსთან კომუნიცირებული საქმეების შესახებ, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებისა და საქმეთა გადასინჯვის სასამართლო პრაქტიკის თაობაზე. სხდომებში დონორი ორგანიზაციების მოწვევით მონაწილეობდნენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისტები, ინგლისელი ექსპერტი, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების დეპარტამენტის წარმომადგენელი, ევროკავშირის ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციის წარომადგენლები;

დრეზდენის სამხარეო უმაღლესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის მონაწილეობით ვალდებულების შესრულების დროის, ფულადი ვალდებულების შესრულების, უძრავი ნივთის სარგებლობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებისა და ჩუქების ხელშეკრულების თაობაზე;

ბავშვის საუკეთესო ინტერესის, მონაწილეობის უფლებისა და ღირსების დაცვის საკითხებზე ინგლისელ მოსამართლის მონაწილეობით სასამართლო პრაქტიკის თაობაზე;

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების მონაწილეობით ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით არსებული სასამართლო პრაქტიკის თაობაზე;

მაქს პლანკის ინსტიტუტთან თანამშრომლობით ნარკოდანაშაულის თაობაზე, „ნარკორეგულაციები გზაჯვარედინზე - ნარკოტიკების კონტროლის სისტემის ლიბერალიზაცია“;

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრების მომართვის საფუძველზე საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთდახმარების, სამოქალაქო საქმეებზე საერთაშორისო კერძო და საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართლისა და უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების თაობაზე;

ბიზნესომბუდსმენის წარმომადგენლის მონაწილეობით ლიზინგის ხელშეკრულების თაობაზე;

ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და გავრცელების კანონიერების თაობაზე.

მიზანი: 2.5. პროკურატურის და ინდივიდუალური პროკურორების დამოუკიდებლობის გაზრდა

ამოცანა: 2.5.1. კოლეგიური ორგანოების როლისა და მნიშვნელობის გაზრდა

ამოცანის ინდიკატორი: კოლეგიური ორგანოების როლი და მნიშვნელობა გაზრდილია

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

საქმიანობა: 2.5.1.1 *კოლეგიური ორგანოს - პროკურატურის საკონსულტაციო საბჭოს როლის და მნიშვნელობის გაზრდის მიზნით საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა და წინადადებების შემუშავება*

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა

2017 წლის მეორე ნახევარში საქართველოს პროკურატურაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, კოლეგიური

ორგანოების როლის გაზრდის მიზნით. 2018 წელს შესწავლილ იქნა ევროპული ქვეყნების საკონსულტაციო ორგანოების, ამ მხრივ არსებული სტანდარტების, ასეთი ორგანოების შემადგენლობისა და სხვა დაკავშირებული საკითხების თაობაზე ვენეციის კომისიის მოსაზრებები. 2018 წლის მეორე ნახევარში პროკურატურის შესახებ კანონში ცვლილებების შესატანი პაკეტის ფარგლებში შემუშავდა წინადადებები კოლეგიური ორგანოების უფლებამოსილების თაობაზე და წარედგინა პარლამენტს. კანონი ძალაში შევიდა 2018 წლის დეკემბერში.

<u>საქმიანობა: 2.5.1.2</u> *<u>კოლეგიური ორგანოს - პროკურატურის საკონსულტაციო საბჭოს როლის და მნიშვნელობის გაზრდა</u>*

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა

2018 წლის მეორე ნახევარში პროკურატურის შესახებ კანონში ცვლილებების შესატანი პაკეტის ფარგლებში შემუშავდა წინადადებები კოლეგიური ორგანოების უფლებამოსილების თაობაზე და წარედგინა პარლამენტს. კანონით გათვალისწინებულია ორი სათათბირო ორგანო - კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭო და სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭო. კანონი ძალაში შევიდა 2018 წლის დეკემბერში.

<u>საქმიანობა: 2.5.1.3.</u> *<u>ახალი ნორმატიული ბაზის შემუშვებისათვის ინკლუზიური სამუშო ჯგუფის ფორმირება.</u>*

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა

2017 წლის მეორე ნახევარში საქართველოს პროკურატურაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, კოლეგიური ორგანოების როლის გაზრდის მიზნით. **დეტალურად იხილეთ საქმიანობა 2.5.1.1.**

ამოცანა: 2.5.2. პროკურორების საკადრო პოლიტიკის გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა

ამოცანის ინდიკატორი: შეფასების სისტემა დანერგილია; გამჭვირვალე დისციპლინური პროცედურები დანერგილია; პროკურატურის თანამშრომელთა როტაციის სისტემის რეფორმის პროექტი დანერგილია; პროკურატურის სისტემაში თანამშრომლების აყვანისა და დაწინაურების გამჭვირვალე პროცედურები დანერგილია

ამოცანის შესულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა: 2.5.2.1.</u> *<u>პროკურორების და გამომძიებლების შეფასების კრიტერიუმების შემუშავება</u>*

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა

2017 წელს საქართველოს პროკურატურაში დაინერგა პროკურორთა შეფასების სისტემა, რომლის მიხედვითაც 2018 წლის დასაწყისიდან დაიწყო პროკურორთა შეფასება წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით.

<u>საქმიანობა: 2.5.2.2. შეფასების სისტემის მუშაობის ამსახველი ანალიზის მომზადება და შესაბამისი კორექტირება</u>

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა

პროკურორთა შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, მომზადდა ანალიზი და სამუშაო ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებულ იქნა სისტემის ხარვეზები და მომზადდა შეფასების სისტემის ამსახველი განახლებული დოკუმენტი. გარდა ამისა, 2018 წლის დეკემბერში პროკურატურის შესახებ ორგანულ კანონში შევიდა ცვლილებები, სადაც დეტალურად არის გაწერილი პროკურორების/პროკურატურის გამომძიებლების შეფასების კრიტერიუმები და შეფასების განხორციელების წესი. ამ დროისათვის შეფასებულია ყველა პროკურორი. შეფასების შედეგები გათვალისწინებული იქნება პროკურორის/გამომძიებლის დაწინაურებისა და წახალისების საკითხის განხილვისას.

<u>საქმიანობა: 2.5.2.3. ეთიკის კოდექსის და დისციპლინურ გადაცდომებთან დაკავშირებული განმარტებების შემუშავება</u>

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა

2018 წელს შემუშავდა ეთიკის კოდექსის განმარტებითი სახელმძღვანელო და დისციპლინურ გადაცდომებზე სახელმძღვანელო. აღნიშნული დოკუმენტი ექსპერტიზისთვის გაიგზავნა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლობასა და აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტში, ასევე ევროკავშირის მართლმსაჯულების მხარდაჭერის პროექტში ექსპერტიზისთვის. აღნიშნული ორგანიზაციებიდან უკუკავშირის მიღების შემდგომ, შესაძლოა დოკუმენტში შევიდეს ცვლილებები.

<u>საქმიანობა: 2.5.2.4. პროფესიული ეთიკის სტანდარტების თემაზე პროკურატურის სისტემის მუშაკების მომზადება/გადამზადება</u>

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა

2018 წელს ევროკავშირთან თანამშრომლობით პროკურატურის მუშაკთა ეთიკის, ინტერესთა შეუთავსებლობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის თემაზე ჩატარდა 12 ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც გადამზადება გაიარა პროკურატურის 254-მა თანამშრომელმა.

<u>საქმიანობა: 2.5.2.7. დოკუმენტის მომზადება, რომელშიც გაწერილი იქნება თანამშრომელთა შერჩევის და დაწინაურების კრიტერიუმები და პროცედურები</u>

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა

2018 წლის პირველ ნახევარში საქართველოს პროკურატურაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი პროკურატურის შესახებ კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით. ჯგუფის მიერ მომზადებულ იქნა კანონპროექტი, რომელიც, სხვა დანარჩენ საკითხებთან ერთად, დეტალურად აღწერს პროკურორთა დანიშვნისა და დაწინაურების კრიტერიუმებს. ხსენებული ცვლილებების თანახმად, პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის თანამდებობის დაკავება შესაძლებელი იქნება სტაჟირების

ან კონკურსის გზით. კანონპროექტში მოცემულია ის პირობები, რომლებსაც დასანიშნი პირი უნდა აკმაყოფილებდეს. ასევე გათვალისწინებულია ვაკანტური თანამდებობის დაკავება კონკურსის ან სტაჟირების გარეშე, თუ პირი ასეთი შემთხვევისთვის დადგენილ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. ასევე გაწერილია მენეჯერულ პოზიციებზე პირთა დაწინაურების საკითხები. ცვლილებები ძალაში შევიდა 2018 წლის დეკემბერში.

მიზანი: 2.6. საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება და ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბება

ამოცანა: 2.6.1. საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარებისა და მათი დოკუმენტირების ხარისხის ამაღლება

ამოცანის ინდიკატორი: სამართლებრივი წერის სახელმძღვანელო დანერგილია

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

***საქმიანობა: 2.6.1.1.** სამართლებრივი წერის საკითხებზე ყველა პროკურორისა და სტაჟიორის მომზადება/გადამზადება*

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა

2018 წელს სამართლებრივი მართლწერის ახალი სტანდარტების დანერგვის მიზნით გაგრძელდა პროკურორების გადამზადების პროცესი. აღნიშნულ თემაზე ჩატარდა 2 ტრენინგი, რომელშიც 22 პროკურორი იღებდა მონაწილეობას. ამ მიმართულებით, პროკურატურის 62 სტაჟიორის გადამზადება 2017 წელს განხორციელდა სტაჟიორთა მოსამზადებელი კურსის ფარგლებში.

ამოცანა: 2.6.2. რაიონული პროკურორებსა და მისი მოადგილეებს შორის ფუნქციათა გამიჯვნა

ამოცანის ინდიკატორი: ფუნქციათა გამიჯვნა განხორციელებულია

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

***საქმიანობა: 2.6.2.1.** ფუნქციათა გამიჯვნის დოკუმენტის შექმნა და იმპლემენტაცია*

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა

დღეისათვის შემუშავებულია რაიონული პროკურორებსა და მის მოადგილეებს შორის ფუნქციათა გამიჯვნის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია პროკურატურის სტრუქტურული ერთეულების მენეჯერებისა და მათი მოადგილეების ფუნქციები. ფუნქციათა ამგვარი გამიჯვნის მიზანია უფრო ეფექტიანი გახდეს სტრუქტურული დანაყოფების მუშაობა და გაიზარდოს დამოუკიდებლობის ხარისხი. საკონსტიტუციო ცვლილებების შემდგომ, ნაცვლად საქართველოს მთავარი პროკურატურისა, უწყებას დაერქვა საქართველოს გენერალური პროკურატურა. 2018 წლის 17 დეკემბრიდან ამოქმედდა 2018 წლის 30 ნოემბერს მიღებული საქართველოს ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“, რომლის შესაბამისად, პირველ ეტაპზე, გენერალური პროკურატურის ყველა სტრუქტურული ერთეულის დებულება საჭიროებს განახლებას, ხოლო შემდგომ, ცვლილებები განხორციელდება რაიონული პროკურორებსა და მისი მოადგილეებს შორის ფუნქციათა გამიჯვნის დოკუმენტში და მოხდება მისი იმპლემენტაცია.

ამოცანა: 2.6.3. საქმეთა გადანაწილების სისტემის რეფორმა

ამოცანის ინდიკატორი: საქმეთა გადანაწილების ახალი სისტემა დანერგილია

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა: 2.6.3.1 საქმეთა გადანაწილების ახალი სისტემის დანერგვა</u>

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა

2018 წელს საქართველოს პროკურატურაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი საქმეთა განაწილების სისტემის დასახვეწად წინადადებების მომზადების მიზნით. ჯგუფის მიერ შემუშავებულ იქნა კრიტერიუმები, მაგ. პროკურორის სპეციალიზაცია, დატვირთვა და ა.შ.), რომლებიც უნდა იქნას გათვალისწინებული საქმეთა განაწილების დროს. აღნიშნული წინადადებები ამჟამად უკვე დამტკიცებულია გენერალური პროკურორის ბრძანებით.

ამოცანა: 2.6.4. საპროკურორო საქმიანობის ხარისხის მონიტორინგი

ამოცანის ინდიკატორი: საპროკურორო საქმიანობის ხარისხის მონიტორინგი ჩატარებულია

ამოცანის შესრულების სტატუსი: სრულად შესრულებული

<u>საქმიანობა: 2.6.4.1. საპროცესო დოკუმენტების ხარისხის მონიტორინგი და მის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება</u>

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა

2018 წლის განმავლობაში მთავარი პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ, შეფასების სისტემის საფუძველზე დაიწყო და მიმდინარეობს საპროკურორო უფლებამოსილების განმახორციელებელი პროკურატურის ყველა სტრუქტურული დანაყოფის პროკურორთა სამართლებრივი წერის ხარისხის შემოწმება. კერძოდ, შემოწმებას და შეფასებას დაექვემდებარა მათ მიერ 2018 წლის განმავლობაში შედგენილი შემდეგი საპროცესო დოკუმენტები: პირის ბრალდების შესახებ დადგენილება, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობა, დევნის არდაწყების დადგენილება და გამოძიების შეწყვეტის დადგენილება. 2018 წლის შეფასების დასრულების შემდგომ, იდენტიფიცირებული იქნება შეფასების პროცესში გამოვლენილი ხარვეზები და შემუშავებული იქნება რეკომენდაცია.

<u>საქმიანობა: 2.6.4.2. პროკურორთა სასამართლო უნარ-ჩვევების ხარისხის მონიტორინგი და მის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება</u>

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა

პროკურორთა სასამართლო უნარ-ჩვევების შეფასების მიზნით, შეფასების სისტემით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ, 2018 წლის განმავლობაში განხორციელდა საპროკურორო უფლებამოსილების განმახორციელებელი პროკურატურის ყველა სტრუქტურული დანაყოფის პროკურორთა მონიტორინგი რაიონულ და სააპელაციო სასამართლოებში. სახელმწიფო ბრალდების

მხარდაჭერის ეფექტიანობის შეფასების პროცესში, სასამართლო მონიტორინგმა მოიცვა ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის, წინასასამართლო სხდომის, საპროცესო შეთანხმების და არსებითი განხილვის სხდომები.

მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად, შედგენილ იქნა დოკუმენტი, რომელიც შეიცავს რეკომენდაციებს პროკურორებისთვის. აღნიშნული დოკუმენტი დაეგზავნა ყველა პროკურორს.

ამოცანა: 2.6.5. ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის დანერგვა

ამოცანის ინდიკატორი: ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკა დანერგილია

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

***საქმიანობა: 2.6.5.1** ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების განახლება*

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა

2016 წელს შემუშავებული იქნა და ამავე წლის ივლისის თვიდან მოქმედებს რეკომენდაცია აღკვეთის ღონისძიების და საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას გამოსაყენებელი პირობების შესახებ. რეკომენდაციის მიზანია პროკურორს ხელი შეუწყოს გადაწყვეტილების მიღებაში და პროკურატურის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ გატარდეს ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკა. სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანის, აგრეთვე, სხვა გავრცელებული დანაშაულების ჩამდენ პირთა მიმართ ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარების მიზნით, საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტმენტის მიერ შემუშავებული იქნა განახლებული რეკომენდაცია (პროექტი). ქვეყანაში არსებული კრიმინოგენური მდგომარეობის გათვალისწინებით, რეკომენდაციის პერიოდული განახლება უზრუნველყოფს სწორი და ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარებას. დღეისათვის მომზადებულია განახლებული რეკომენდაციის პროექტი.

***საქმიანობა: 2.6.5.2.** ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით ახალი რეკომენდაციების შემუშავება და დანერგვა*

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა

2018 წელს მომზადდა არასრულწლოვანთა განრიდების რეკომენდაცია (პროექტი), რომლის მიზანია ხელი შეუწყოს პროკურორს ყოველგვარი გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე, არსრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით, მაქსიმალურად მცირე დროში იქნეს მიღებული გადაწყვეტილება არასრულწლოვნის მიმართ აღდგენითი მარლმსჯულების ღონისძიების გამოყენების შესახებ.

პროკურორის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ეფექტიანად გამოყენების უზრუნველყოფის აგრეთვე, ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარების უზრუნველსაყოფად, 2018 წელს მომზადდა სრულწლოვანთა განრიდების რეკომენდაცია (პროექტი), რომლის მიზანია მაქსიმალურად მცირე დროში მიღებული იქნეს გადაწყვეტილება სრულწლოვნის მიმართ დისკრეციული

უფლებამოსილების გამოყენების შესახებ. სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მუხლის პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენების მიზნით, შემუშავდა რეკომენდაცია (პროექტი), რომელიც ხელს შეუწყობს პროკურორებს რეკომენდაციაზე დაყრდნობით, ერთგვაროვანი გარემოებების არსებობისას, ქმედების ხასიათის და მისი ჩამდენი პირის პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინებით, თავიდან იქნეს აცილებული მე-7 მუხლით გათვალისწინებულ შემხვევებში პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.

რეკომენდაციებზე მუშაობის დასრულების შემდეგ, ისინი დაეგზავნება ყველა პროკურორს/გამომძიებელს.

ამოცანა: 2.6.6. გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს დანერგვა

ამოცანის ინდიკატორი: გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს დანერგილია

ამოცანის შესრულებუს სტატუსი: უმეტესად შესრულებული

***საქმიანობა: 2.6.6.1** გამოძიების მეთოდოლოგიის შესაბამისად პროკურორებისა და გამომძიებლების გადამზადება / ერთობლივი ტრენინგების ჩატარება*

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა

2018 წელს, პროკურორებისა და გამომძიებლებისთვის გამოძიების მეთოდოლოგიის შესაბამისად განხორციელდა სხვადასხვა თემატური მიმართულების 34 ტრენინგი. ტრენინგები ჩატარდა შემდეგ თემებზე: ფულის გათეთრება, კიბერდანაშაული, ნარკოტიკული დანაშაული, ტერორიზმი, ფინანასური დანაშაულები და სხვა. სწავლების პროცესში ძირითადი აქცენტი გაკეთდა დანაშაულთა ხასიათიდან გამომდინარე, მათი ეფექტიანი გამოძიების მიზნით, გამოძიების დაგეგმვის, სხვადასხვა მეთოდოდოლოგიის გამოყენებისა და ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე. განხორციელებულ სასწავლო აქტივობებში მონაწილეობდა 294 პროკურორი და სისტემის გამომძიებელი. პროკურორებისა და გამომძიებლებისთვის მსგავსი ერთობლივი სასწავლო აქტივობები ხელს უწყობს კოორდინაციის ზრდას, საერთო პრაქტიკის დანერგვასა და წარმატებული საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილების გაზიარებას.

ამოცანა: 2.6.7.* ქალთა უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების, იურიდიული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესება

ამოცანის ინდიკატორი: * აღნიშნული ამოცანის განხორციელების დეტალური საქმიანობები იხილეთ: 2017 წლის 31 იანვრის მთავარი პროკურორის N6-3 ბრძანებით დამტკიცებულ, მთავარი პროკურატურის სტრატეგიაში.

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

***საქმიანობა: 2.6.7.1.** ქალთა უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების, იურიდიული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესების მიზნით, პროკურატურის შესაბამის სტრატეგიაში განსაზღვრული*

ღონისძიებების შესრულება

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა

2018 წელს ქალთა უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების, იურიდიული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესების მიმართულებით პროკურატურის სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები სრულად შესრულდა. კერძოდ: 2018 წლის 27 ნოემბერს საქართველოს მთავარ პროკურატურაში, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგებისა და გამოწვევების შესაჯამებლად კონფერენცია გაიმართა; საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე 2018 წლის 1 აგვისტოდან მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები აქტიურად ერთვებიან ძალადობრივი დანაშაულების საქმეებში, მათ შორის, განსაკუთრებით, ოჯახური დანაშაულების საქმეებში. ოჯახში ძალადობის შესახებ საქართველოს 28 რაიონული პროკურატურის ორგანიზებით (ყველა რეგიონში) ჩატარდა 241 საინფორმაციო შეხვედრა. რაიონული პროკურატურის პროკურორები შეხვედრას ატარებდნენ სკოლის მოსწავლეებთან, სტუდენტებთან, საჯარო მოხელეებთან, ადგილობრივ მოსახლეობასთან, მათ შორის, ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებთან. საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი, დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, 2018 წლის განმავლობაში ახორციელებდა ოჯახური ძალადობის კვალიფიკაციით გამოძიებადაწყებულ საქმეთა მონიტორინგს, რომლის ფარგლებშიც ყურადღება ექცევა გაჭიანურების გარეშე ტარდება თუ არა გამოძიება აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე, დროულად მიიღება თუ არა შემაჯამებელი გადაწყვეტილებები, აგრეთვე, სრულდება თუ არა სისხლის სამართლის კოდექსის 111 და 126[1] მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების შესახებ რეკომენდაცია.

აღსანიშნავია, რომ 2017 ოჯახურ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი 1986-ს უდრიდა, 2018 წელს კი დევნა 3955 პირის მიმართ დაიწყო.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მიმართულებით, დისკრიმინაციული დანაშაულის გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით გადამზადდნენ პროკურორები, გამომძიებლები და სტაჟიორები; მომზადდა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტურობის გაზრდის მიზნით პროკურორებისთვის შემუშავებული რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგის ანგარიში; განხორციელდა სპეციალიზაცია, შეირჩნენ პროკურორები, რომლებმაც გადამზადების ინტენსიური კურსები გაიარეს და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე იმუშავებენ.

2018 წელს იურიდიულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით ჩატარდა 2 ტრენინგი და მოსამზადებელი კურსი ფარგლებში სწავლება გაიარა პროკურატურის 33-მა წარმომადგენელმა.

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ თუ 2017 წელს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 44 პირის მიმართ, 2018 წელს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნა 151 პირის მიმართ დაიწყო.

მიზანი: 2.7. საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება

ამოცანა: 2.7.1. მედიასთან კომუნიკაციის ერთგვაროვანი პოლიტიკის ჩამოყალიბება

ამოცანის ინდიკატორი: მედიასთან კომუნიკაციის ერთგვაროვანი პოლიტიკა შემუშავებულია

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

საქმიანობა: 2.7.1.1 *პროკურატურის თანამშრომლების მედიასთან კომუნიკაციის დოკუმენტის გაცნობა პროკურორებისთვის, ჟურნალისტებისთვის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის*

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა

საქმიანობა: 2.7.1.2 *მედიის ინტერესის დაკმაყოფილების შეფასების კრიტერიუმების შემუშავება*

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა

მედიასთან კომუნიკაციის გეგმა შემუშავებულია, დოკუმენტი მომზადებულია, თუმცა ამ ეტაპზე მისი გაცნობა პროკურორებისათვის, ჟურნალისტებისათვის და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის არ მომხდარა.

მედიის ინტერესის დაკმაყოფილების შეფასების კრიტერიუმის შემუშავება ამ ეტაპზე არ დასრულებულა, რასაც აქვს ობიექტური მიზეზი. აღნიშნულ კრიტერიუმებზე მუშაობდა დეპარტამენტის ის ხელმძღვანელი, რომელმაც დატოვა თანამდებობა, ხოლო დეპარტამენტის ახალ წარმომადგენლებს აქვთ განსხვავებული ხედვები და მიმდინარეობს მუშაობა.

ამოცანა: 2.7.2 პროკურატურის საქმიანობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ამოცანის ინდიკატორი: პროკურატურის ვებგვერდის განახლებულია და ინფორმაცია ხელმისაწვდომია უმცირესობების ენებზე

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა: 2.7.2.1 პროკურატურის ვებგვერდის მოდერნიზაცია, ახალი სერვისების დამატება</u>

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა

ვებ-გვერდი განახლებულია და მუშაობს სატესტო რეჟიმში

ამოცანა: 2.7.3 კოორდინატორების სამსახურის მოდერნიზაცია

ამოცანის ინდიკატორი: კოორდინატორების სამსახურის მოდერნიზაცია განხორციელებულია

კოორდინატორების სამსახურის მოდერნიზაცია განხორციელებულია

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა: 2.7.3.1 კოორდინატორების საქმიანობის სახელმძღვანელოს განახლება მათი არასრულწლოვანთა და ოჯახში ძალადობის საქმეებში ჩართვის მიზნით</u>

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა

საანგარიშო პერიოდში ძალაში შევიდა საკანონმდებლო ცვლილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსსა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში, რომლის თანახმად, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი გახდა პროცესის მონაწილე და აღიჭურვა არაერთი მნიშვნელოვანი ფუნქციით. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების გათვალისწინებით, შემუშავდა ახალი სახელმძღვანელო მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის შესახებ, რომელიც სამსახურეობრივი გამოყენებისთვის დაეგზავნა პროკურატურის ყველა თანამშრომელს. სახელმძღვანელო მოიცავს პრაქტიკულ რეკომენდაციებს კოორდინატორის სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის, მისი ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობების, პროკურორისა და კოორდინატორის ერთობლივი მუშაობისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

ამოცანა: 2.7.4. მოქალაქეებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება

ამოცანის ინდიკატორი: მოქალაქეებთან კომუნიკაცია განხორციელებულია ეფექტიანად და დროულად

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა: 2.7.4.1 მოქალაქეებთან კომუნიკაციის შეფასების ანგარიშის მომზადება</u>

პასუხისმგებელი უწყება: *მთავარი პროკურატურა*

საქართველოს პროკურატურაში მოქალაქეებთან კომუნიკაციის შეფასება არის განხორციელებული.

შეფასების ანგარიშმა მოიცვა 2018 წლის პერიოდში საქართველოს პროკურატურაში მოქალაქეებთან განხორციელებული შეხვედრების ანალიზი. კერძოდ, რამდენი თხოვნა შემოვიდა შეხვედრაზე, რამდენი შეხვედრა განხორციელდა, მათ შორის გაანალიზებული იქნა თუ რა შინაარსის იყო თხოვნა, ანუ რა საკითხებთან დაკავშირებით ითხოვენ ძირითადად მოქალაქეები შეხვედრებს. ასევე როგორია მოქალაქეებთან კომუნიუკაციის შედეგი, კერძოდ, ადგილზევე ანუ შეხვედრის დროსვე წყდება თუ არა საკითხი, ან საერთო ჯამში მოქალაქეებთან კომუნიკაციის შემდეგ რამდენად ხშირად ხდება მათი თხოვნის სრულად ან/და ნაწილობრივ დაკმაყოფილება. 2018 წელს პროკურატურის წარმომადგენლები 400-მდე მოქალაქეს შეხვდნენ.

ამოცანა: 2.7.5 სტატისტიკური ინფორმაციის პროაქტიური გამოქვეყნება

ამოცანის ინდიკატორი: სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვენების სტანდარტი შემუშავებულია, ინფორმაცია გამოქვეყნებულია

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

***საქმიანობა: 2.7.5.1** სტატისტიკური მონაცემების სრულყოფის მიზნით დოკუმენტის შემუშავება*

***პასუხისმგებელი უწყება:** მთავარი პროკურატურა*

მიმდინარე წელს დაგეგმილია სისხლის სამართლის საქმის წარმოების ახალი ელექტრონული პროგრამის ძალაში შესვლა, რომელიც გულისხმობს, მათ შორის, სტატისტიკური მოდულის გაუმჯობესებას. აღნიშნული მიზნით, 2018 წელს შემუშავდა ერთიანი დოკუმენტი, სადაც ასახულია ინფორმაცია იმ მონაცემებისა და ე. წ. სტატისტიკური რეპორტების შესახებ, რომელთა საფუძველზეც მოხდება სტატისტიკური მონაცემების გაუმჯობესებული ფორმით დამუშავება ახალი პროგრამის მეშვეობით.

3. ადამიანის უფლებები და სამართალდამცავი სისტემა

მიზანი: 3.1. დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის იზოლატორში შესახლებულ პირთა დაცვის პროცედურული და ინსტიტუციური გარანტიების გაძლიერება

ამოცანა: 3.1.1 დროებით მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება

ამოცანის ინდიკატორი: სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით შესაბამის ორგანოში შესული და განხილული საჩივრების რაოდენობა.

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

***საქმიანობა:** 3.1.1.1. დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფი პირების უზრუნველყოფა საჭირო სამედიცინო მომსახურებით*

პასუხისმგებელი უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო

2018 წლის დასაწყისში სამედიცინო პუნქტები მოქმედებდა მხოლოდ 7 რეგიონალურ დროებითი მოთავსების იზოლატორში, ხოლო დანარჩენ 22 იზოლატორში მოთავსებულ პირთათვის სამედიცინო

მომსახურების გასაწევად ხდებოდა სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახება. ამავე წლის დასაწყისში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული იქნა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა იმ დროებითი მოთავსების იზოლატორების რაოდენობის გაზრდას, სადაც სამედიცინო პუნქტი ფუნციონირებს. 2018 წლის თებერვლიდან დაიწყო ექიმების მოძიების პროცესი. ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში, ზაფხულის პერიოდში მოხდა დასასაქმებელი სამედიცინო პერსონალის გადამზადება. ტრენინგი ჩატარდა 3 ეტაპად (ივნისი-სექტემბერი) და ჯამში გადამზადებული იქნა 46 ექიმი. გარდა დასასაქმებელი ექიმებისა, 2018 წლის გაზაფხულზე გადამზადება 2 ჯგუფად (25 ექიმი) გაიარა მოქმედმა სამედიცინო პერსონალმაც. სამედიცინო პუნქტები 2018 წლის ოქტომბრის თვეში გაიხსნა მცხეთის, ფოთისა და საგარეჯოს დროებითი მოთავსების იზოლატორებში, ხოლო ნოემბრის თვეში ყვარლისა და ზესტაფონის იზოლატორებში. დეკემბრის თვეში სამედიცინო პუნქტები ასევე ამოქმედდა ახალციხის, ჩხოროწყუს და ხაშურის დროებითი მოთავსების იზოლატორებში. სამედიცინო პუნქტების მოწყობა და გახსნა გრძელდება სხვა იზოლატორებშიც. შესაბამისად 2018 წლის მდგომარეობით დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებული 29 მოქმედი დროებითი მოთავსების იზოლატორიდან სამედიცინო პუნქტი ფუნქციონირებს 15 იზოლატორში.

<u>საქმიანობა: 3.1.1.2.</u> *<u>დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფი პირების მიერ საკუთარი ხარჯებით სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა</u>*

პასუხისმგებელი უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო

შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირებს (მათ შორის ადმინისტრაციულ პატიმრებს) საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვთ იზოლატორში მოთავსების მთელი პერიოდის განმავლობაში ისარგებლონ სამედიცინო მომსახურებით, სახელმწიფო ხარჯზე.

იზოლატორში მოთავსებულ პირს, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს №423 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების შინაგანაწესის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, უფლება აქვს იზოლატორში მოთავსების მთელი პერიოდის განმავლობაში მოითხოვოს სამედიცინო შემოწმების ჩატარება, ასევე აღნიშნული შემოწმების ჩატარების მიზნით საკუთარი ხარჯებით მოიწვიოს ექსპერტი. „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №691 ბრძანებით დამტკიცებული დანართის მე-12 მუხლის თანახმად, დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში მოთავსებულ პირს უფლება აქვს, იზოლატორის უფროსის ნებართვით, საკუთარი სახსრებით მოიწვიოს პირადი ექიმი. მოთავსებული პირი ნებისმიერ შემთხვევაში საჭიროების არსებობისას უზრუნველყოფილია სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურებით.

<u>საქმიანობა: 3.1.1.3.</u> *<u>სამედიცინო პერსონალის განგრძობადი კვალიფიკაციის ამაღლება</u>*

პასუხისმგებელი უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო

ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე და ასევე იზოლატორში მოთავსებული პირების სხეულზე

არსებული დაზიანებების სათანადო დოკუმენტირების მიმართულებთ 2018 წლის აპრილში მოხდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამედიცინო მომსახურების სამსახურში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის გადამზადება ორ ჯგუფად (25 ექიმი). გარდა აღნიშნულისა, 2018 წელს იზოლატორებში სამედიცინო პუნქტების გახსნასთან დაკავშირებით, გადამზადდა იზოლატორში დასასაქმებელი სამედიცინო პერსონალიც (3 ჯგუფი - 46 ექიმი). **იხ.პასუხი 3.1.1.1 პუნქტზე.**

<u>საქმიანობა: 3.1.1.4.</u> *<u>არასამედიცინო პერსონალის განგრძობადი კვალიფიკაციის ამაღლება</u>*

პასუხისმგებელი უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო.

2018 წლის მარტის თვეში სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში განახლდა დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების სასწავლო კურსი. 2018 წლის განმავლობაში სასწავლო კურსზე შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში მივლენილ იქნა დროებითი მოთავსების იზოლატორების ყველა ის თანამშრომელი, რომელთაც გადამზადება არ ჰქონდათ გავლილი (ჯამში 10 ჯგუფი, 200 თანამშრომელი). თანამშრომელთა გადამზადების პროცესი 2019 წლის პირველ კვარტალშიც გაგრძელდება.

ამოცანა: 3.1.2. დაკავებულ/პირთათვის ადეკვატური საყოფაცხოვრებო, სანიტარული და სხვა პირობების შექმნა

ამოცანის ინდიკატორი: შიდაუწყებრივი მონიტორინგის პერიოდული ანგარიშები; დამოუკიდებელი (სახალხო დამცველის ჩათვლით) მონიტორინგის ანგარიშების მიხედვით უზრუნველყოფილია საცხოვრებელი, სანიტარული, ჰიგიენური, კვების და სხვა მატერიალური პირობები

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა: 3.1.2.1.</u> *<u>საერთაშორისო სტანდარტების სესაბამისად დროებითი მოთავსების იზოლატორების გამართული ფუნქციონირება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საცხოვრებელი, სანიტარული, ჰიგიენური და სხვა მატერიალური პირობები</u>*

პასუხისმგებელი უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო

2018 წლის გაზაფხულზე სარემონტო სამუშაოები განხორციელდა 3 დროებითი მოთავსების იზოლატორში (ჩხოროწყუს, წალკისა და ახალქალაქის დროებითი მოთავსების იზოლატორებში). ხოლო 10 დროებითი მოთავსების იზოლატორში მოეწყო სამედიცინო ოთახი. სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ასევე მცხეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც დამატებით გაიზარდა იზოლატორში არსებული საკნების რაოდენობა.
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროექტის ფარგლებში (რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ), 2018 წლის სექტემბერში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ქვემო ქართლის რეგიონალურ დროებითი მოთავსების იზოლატორში (ქ.რუსთავი) მოეწყო არასრულწლოვნებზე მორგებული საკანი და საგამოძიებო ოთახი.
ამავდროულად, 2018 წლის დეკემბერში სარემონტო სამუშაოები დაიწყო ფოთის, ქობულეთისა და სამტრედიის დროებითი მოთავსების იზოლატორებში. ფოთისა და სამტრედიის იზოლატორებში სარემონტო სამუშაოები 2019 წლის თებერვალში დასრულდა. სამუშაოების ფარგლებში ასევე მოეწყო სამედიცინო ოთახები.

2018 წელს დაიწყო ახალი დროებითი მოთავსების იზოლატორების მშენებლობა ქ.თბილისში და ბაკურიანში, ასევე ქ.თბილისში ადმინისტრაციული პატიმრებისათვის განკუთვნილი დაწესებულების მშენებლობა. აღნიშნული სამშენებლო სამუშაოები 2019 წლის მიწურულს დასრულდება.

<u>საქმიანობა: 3.1.2.2. დროებითი მოთავსების იზოლატორებში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვებითი პირობების უზრუნველყოფა;</u>

პასუხისმგებელი უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო

დღეის მდგომარეობით, დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებული პირისათვის მისაწოდებელი საკვების ულუფები დადგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 5 მაისის №457 ბრძანებით. გარდა თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორისა, ქვეყნის მასშტაბით ყველა სხვა იზოლატორში დაკავებულებს მიეწოდებათ მზა მშრალი საკვები ულუფები, ხოლო თბილისის იზოლატორში საკვების მიწოდება ხდება ადგილობრივი სასადილოდან.

დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტში მიმდინარეობს მუშაობა იზოლატორებში მოთავსებულ პირთათვის განკუთვნილი მშრალი საკვები ულუფების ცვლილებასთან დაკავშირებით.

მიზანი: 3.2. ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფა

ამოცანა: 3.2.1. იძულების ღონისძიებების გამოყენების საგამონაკლისო ხასიათისა და პროპორციულობის პრინციპის დაცვის უზრუნველყოფა

ამოცანის ინდიკატორი: შიდაუწყებრივი მონიტორინგის პერიოდული ანგარიშები; დამოუკიდებელი (სახალხო დამცველის ჩათვლით) მონიტორინგის ანგარიშების მიხედვით იძულებითი ღონისძიებების გამოყენებას აქვს საგამონაკლისო ხასიათი და პროპორციულობის პრინციპი დაცულია; გადამზადებული პოლიციელების მზარდი პროცენტული რაოდენობა

ამოცანის შესრულების სტატუსი:

<u>საქმიანობა: 3.2.1.1.</u> <u>სამხრე ვიდეოკამერის გამოყენების წესის შემუშავება და დანერგვა</u>

პასუხისმგებელი უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო

სამინისტროს ადმინისტრაციის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზედამხედველობის განყოფილების ინიცირებით "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დასაცავად ფორმის ტანსაცმელზე განთავსებული ვიდეოკამერის საშუალებით განხორციელებული ჩანაწერების შენახვისა და გამოყენების პროცედურების დამტკიცების თაობაზე შემუშავდა "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის №1310 ბრძანების ცვლილების პროექტი, რომელიც დამტკიცდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 26 დეკემბრის №139 ბრძანებით. ბრძანებით განისაზღვრა, რომ პატრულ-ინსპექტორის მიერ ფორმის ტანსაცმელზე დამაგრებული სამხრე ვიდეოკამერის მეშვეობით მოპოვებული მონაცემები ინახება სპეციალურ სერვერზე. სპეციალურ სერვერზე ინფორმაციის განთავსება ხდება სამხრე ვიდეოკამერაზე პასუხისმგებელი პატრულ-ინსპექტორის მიერ. აღნიშნული მონაცემები ინახება 30 დღის ვადით. სამხრე ვიდეოკამერების მეშვეობით მოპოვებული მონაცემების დამუშავება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი

წესის შესაბამისად.

***ქმედება: 3.2.1.2.** პოლიციელთა განგრძობადი განათლება ადამინის უფლებებზე და იძულებითი ღონისძიებების სტანდარტებთან და გამოყენების ტექნიკასთან დაკავშირებით*

პასუხისმგებელი უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია (შემდგომში - აკადემია) მუდმივად ახორციელებს შსს თანამშრომლების ცნობიერების ამაღლების პოლიტიკას ადამიანის უფლებების სწავლების კუთხით. ზემოაღნიშნული საგანი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- სიცოცხლის უფლება;
- წამების აკრძალვა;
- თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება;
- სამართლიანი სასამართლოს უფლება;
- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება;
- აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლება;
- სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება;
- დისკრიმინაციის დაუშვებლობა;
- შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება;
- თავისუფალი მიმოსვლის უფლება;
- საკუთრების უფლება.

აკადემიაში ძალის გამოყენების მეთოდები პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებში/კურსებში იფარება რამდენიმე საგნის ფარგლებში, მათ შორის, თეორიული ნაწილი იფარება ადამიანის უფლებების, პოლიციის შესახებ კანონისა და ტაქტიკური მომზადების სწავლებისას, ხოლო პრაქტიკული ნაწილი ტაქტიკური მომზადებისა და ფიზიკური იძულების სპეციალური ილეთების საგნის სწავლებისას.

2018 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ზემოხსენებული თემატიკით მომზადდა/გადამზადდა:

- ✓ პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 5 ჯგუფი, 63 მსმენელი;
- ✓ სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 6 ჯგუფი, 90 მსმენელი;
- ✓ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ტურისტული უსაფრთხოების ქვეით პატრულთა საბაზისო მომზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა - 7 ჯგუფი, 123 მსმენელი;
- ✓ უბნის-ინსპექტორთა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 5 ჯგუფი, 65 მსმენელი;

- ✓ მესაზღვრე-კონტროლიორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 4 ჯგუფი, 73 მსმენელი;
- ✓ დეტექტივ-გამომძიებლის სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 4 ჯგუფი, 75 მსმენელი;
- ✓ პოლიციაში სამუშაოდ მისაღები და სამუშაოზე მიღებული წვევამდელების სპეციალური მომზადებისა და პოლიციის უმცროსი ლეიტენანტის სპეციალური წოდების მისანიჭებელი სპეციალური მომზადების პროგრამა - 10 ჯგუფი, 176 მსმენელი;
- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის ტერიტორიული ორგანოების მართლწესრიგის ოფიცრის გადამზადების კურსი - 4 ჯგუფი, 66 მსმენელი;
- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში და ტერიტორიულ ორგანოებში თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი - 3 ჯგუფი, 55 მსმენელი;
- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მოსამსახურეთა თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსის სასწავლო პროგრამა - 4 ჯგუფი, 68 მსმენელი;
- ✓ სსიპ დაცვის პოლიციის მოსამსახურეთა ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების სპეციალური მომზადების კურსი - 12 ჯგუფი, 222 მსმენელი;
- ✓ ადამიანის უფლებები და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია მოზარდებში - 1 ჯგუფი, 20 მსმენელი;
- ✓ ტრენერთა ტრენინგი 112-ის ინციდენტების სამართლებრივ შეფასებაში - 1 ჯგუფი, 6 მსმენელი;
- ✓ შსს მიგრაციის დეპარტამენტის თნამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგი - 1 ჯგუფი, 11 მსმენელი;
- ✓ ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების სპეციალური მომზადების კურსი (ნახევრად ელექტრონული სწავლების მეთოდი) - 12 ჯგუფი, 201 მსმენელი;
- ✓ დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების სასწავლო კურსი - 8 ჯგუფი, 119 მსმენელი.

ამოცანა: 3.2.2. პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

ამოცანის ინდიკატორი: პოლიციის სამმართველოების რაოდენობა, სადაც დამონტაჟდა სათვალთვალო კამერები/ დამონტაჟებული კამერების რაოდენობა.

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა: 3.2.2.1. პოლიციის ყველა სამმართველოს შენობაში სათვალთვალო კამერების დამონტაჟება და ფუნქციონირების წესის განსაზღვრა</u>

პასუხისმგებელი უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო

სამინისტროს ადმინისტრაციის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზედამხედველობის განყოფილების

ინიცირებით მომზადდა სამინისტრო ადმინისტრაციული შენობების შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერების შენახვის ვადის განსაზღვრის შესახებ "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფაილური სისტემებისა და მათში არსებული მონაცემების შენახვის ვადების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 იანვრის №53 ბრძანებაში განსახორციელებელი ცვლილების პროექტი.

ამოცანა: 3.2.4. შინაგან საქმეთა სამინისტროში ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმის გაძლიერება

ამოცანის ინდიკატორი: ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით განხორციელებული საქმიანობის ანგარიში

ამოცანის შესრულების სტატუსი: სრულად შესრულებული

საქმიანობა: 3.2.4.1. *შინაგან საქმეთა სამინსიტროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტსი შექმნა*

პასუხისმგებელი უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო

2018 წლის იანვარში შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა ინსტიტუციური მექანიზმი - ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც ოჯახური დანაშაულის, ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციული ნიშნით და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, ტრეფიკინგის, არასრულწლოვანთა მიერ და მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე მიმდინარე გამოძიებისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების მონიტორინგს ახორციელებს. დეპარტამენტი ასევე, უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული მიმართულებით ხარვეზების იდენტიფიცირებას, მათი აღმოფხვრის მიზნით რეკომენდაციების შემუშავებას და პრაქტიკაში დანერგვას. ამასთანავე, გამოძიების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ხორიცელდება ზემოაღნიშნული დანაშაულების გამოძიების მეთოდოლოგიის შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა, ასევე მისი პერიოდული განახლება საკანონმდებლო ცვლილებებისა და არსებული გამოწვევების გათვალისწინებით. დეპარტამენტის მიერ მომზადებული ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-მისამართზე: https://police.ge/adamianisuflebebi/index.html#p=6.

4. ბრალდებულთა, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა უფლებები

მიზანი: 4.1.ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებების დაცვა საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად

ამოცანა: 4.1.1. პენიტენციურ სისტემაში ადამიანის უფლებების დაცვის კანონმდებლობისა და პრაქტიკის დახვეწა

ამოცანის ინდიკატორი: შიდა და გარე მონიტორინგის ორგანოების, ეროვნული პრევენციული ჯგუფის, ასევე საერთაშორისო მონიტონგის მექანიზმების მიერ მომზადებული გეგმიური თუ არაგეგმიური ანგარიშებსა ან/და დასკვნებში მოცემული რეკომენდაციები გათვალისწინებულია შესაბამის სამართლებრივ ცვლილებებში; შიდა და გარე მონიტორინგის ორგანოების, ეროვნული პრევენციული ჯგუფის, ასევე საერთაშორისო მონიტონგის მექანიზმების მიერ პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზები აღმოფხვრილია;

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

საქმიანობა: 4.1.1.1. *მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ არსებული მოქმედი კანონმდებლობისა და პრაქტიკის პერმანენტული ანალიზი და და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებისა და შიდა რეგულაციების მომზადება და ინიცირება*

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო[1]

2018 წლის ივლისიდან, მას შემდეგ რაც ყოფილი სასჯელაღსრულების სამინისტრო შემოუერთდა იუსტიციის სამინისტროს, ევროკავშირის „პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდამჭერი პროექტის“ დახმარებით აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა პენიტენციური, პრობაციისა და დანაშაულის პრევენციის სისტემების გაუმჯობესების, თანამედროვე საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების საპასუხო სისტემის ჩამოყალიბებისა და ამ მიზნით სახელმძღვანელო პოლიტიკის დოკუმენტების შესაქმნელად. იუსტიციის მინისტრის ხელმძღვანელობით სამუშაო ჯგუფმა რამდენიმეთვიანი მუშაობის შედეგად მოამზადა პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგია და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც 2019 წლის 22 თებერვალს საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა. სტრატეგია და სამოქმედო გეგმის პრიორიტეტებად განსაზღვრულია:

- ახალი, მცირე ზომის დაწესებულებების მშენებლობა, ხოლო არსებული დაწესებულებების გაუმჯობესება უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და რეაბილიტაციის დარგში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

[1] ანაგრიშში 2018 წლის 5 ივლისამდე აქტივობები განხორციელებულია საქართველოს სასჯელაღარულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ, ხოლო 5 ივლისის საკანონმდებლო ცვლილებებისა და შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურული ცვლილებების შემდეგ აქტივობები განხორციელდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებში შექმნილი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ.

- პენიტენციურ სისტემაში ეფექტიანი რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროცესის უზრუნველყოფა;
- დაწესებულებებში უსაფრთხო და დაცული გარემოს შექმნა;
- ბრალდებულების, მსჯავრდებულების, სტუმრებისა და თანამშრომლების უფლებების დაცვა;
- სისტემაში „ჯანმრთელი“ გარემოს შექმნა;
- სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება და ყველა სათანადო კანონთან, რეგულაციასა და საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობა;
- სისტემის მენეჯმენტისა და ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარება.

საგულისხმოა, რომ სტრატეგია და სამოქმედო გეგმა პასუხობს ყველა იმ საერთაშორისო თუ ადგილობრივ რეკომენდაციებსა და გამოწვევებს, რომელზეც აპელირებს საქართველოს სახალხო დამცველი თუ ევროპის საბჭოს წამებასთან ბრძოლის კომიტეტი (CPT), მათ შორის პენიტენციური დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაძლიერების (გადატვირთულობის პრობლემის აღმოფხვრისა და მცირე დაწესებულებების ფორმირების კუთხით), მსჯავრდებულთა საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო ღონისძიებების რაოდენობის გაზრდის, პენიტენციური ჯანდაცვის შემდგომი განვითარების, თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერების საკითხებს.

ამასთან, რეფორმის პროცესი ითვალისწინებს პენიტენციური სისტემის მეტად დე-მილიტარიზაციასა და ეფექტიანი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის უზრუნველყოფისთვის სხვა კომპონენტებთან ერთად მსჯავრდებულთა პროფესიული გადამზადების ცენტრის შექმნას, რომელიც ახალი სიტყვა იქნება ქართულ მართლმსაჯულების სისტემაში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება არსებული ინფრასტრუქტურის გაძლიერება და ეტაპობრივად მცირე ზომის პენიტენციურ დაწესებულებებზე გადასვლაა. ეს ერთი მხრივ ხელს შეუწყობს დაწესებულებათა უფრო ეფექტიან მართვას, მეორე მხრივ შექმნის უსაფრთხო გარემოს არა მხოლოდ მსჯავრდებულთათვის, არამედ თანამშრომლებთათვის და ვიზიტორებისათვის.

2018 წლის 11 ივლისს, „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა საქართველოს კანონები „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (5 ივლისი 2018 წ. №3024-რს), „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (5 ივლისი 2018 წ. №3129-რს) და პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ (5 ივლისი 2018 წ. №3128-რს), რომელთა თანახმად საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო გაერთიანდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან და შეიქმნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სპეციალური პენიტენციური სამსახური.

სტრუქტურული ცვლილების შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება პენიტენციური სისტემა, როგორც ერთიანი ძლიერი სამსახური, რომელიც უფრო მოქნილად და ეფექტურად უზრუნველყოფს პენიტენცური და დანაშაულის პრევენციის სისტემების თაობაზე სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას და სრულად დაექვემდებარება პოლიტიკურ და სამოქალაქო კონტროლს. სპეციალური პენიტენციური სამსახურის შექმნით, სისტემა გადავიდა დაწესებულებების მართვის მეტად მოქნილ და საერთაშორისო სტანდარტების საპასუხო მოდელზე, დაიგეგმა მნიშვენელოვანი ინფრასტრუქტურული

ცვლილებები.

2018 წლის ივლისიდან ყოფილი სასჯელაღსრულებისა და იუსტიციის სამინისტროების გაერთიანების შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებები დაიგეგმა და დაიწყო განხორციელება, მათ შორის, სამსახურის ჩამოყალიბებისა და სრულიად ახალი სტრუქტურის ფორმირების მიზნით. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებ-გვერდზე ასევე გამოქვეყნებულია „სპეციალური პენიტენციური დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 22 დეკემბრის №366 ბრძანება.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის ახალი დებულების მიხედვით, სამსახურის შიდა სტრუქტურა იყოფა ორ ნაწილად: სპეციალურ და სამოქალაქო დანაყოფებად. სამსახურის სპეციალურ დანაყოფში შედის პენიტენციური დეპარტამენტი და მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტი; სამოქალაო დანაყოფებად კი განისაზღვრა:

- ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
- ეკონომიკური დეპარტამენტი;
- სამედიცინო დეპარტამენტი;
- ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი;
- მონიტორინგის დეპარტამენტი.

საგულისხმოა, რომ განსხვავებით ამ ორი სამინისტროს გაერთიანებამდე არსებული მდგომარეობისა, დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდება მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტი, რომლის ამოცანები იქნება მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაზე ზრუნვა და ამ მიზნით იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან, მათ შორის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან, დანაშაულის პრევენციის ცენტრთან, სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებებთან აქტიური თანამშრომლობა; ასევე, მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

გარდა ამისა, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია გარდაიქმნა სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამოქალაქო დანაყოფად და ჩამოყალიბდა - მონიტორინგის დეპარტამენტის ფორმით, რომლის ვალდებულებადაც განისაზღვრა სამსახურის გამგებლობის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის კონტროლი და დარღვევებზე რეაგირება, მათ შორის სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლის ფარგლებში ხარვეზებისა და პრობლემების გამოვლენა. აღნიშნული კი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომაროების გაუმჯობესებას, ასევე შიდა მონიტორინგი განხორციელდება გაცილებით ეფექტიანად, რისი მეშვეობითაც მარტივად იქნება გამოვლენილი პრაქტიკაში არსებული ხარვეზები და მათი აღმოფხვრის გზები შემუშავდება საერთაშორისო სტანდარტებისა და საერთაშორისო მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის გამგებლობიდან გავიდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი, რომელიც მთლიანად ექვემდებარება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს. აღნიშნული კი გაზრდის ამ დეპარტამენტის დამოუკიდებლობის ხარისხს და

მისი გამგებლობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე სწრაფ და ეფექტიან რეაგირებას შეუწყობს ხელს.

გარდა ამისა, დაიგეგმა და მიმდინარეობს საკანონმდებლო დონეზე სამუშაოები სსიპ პენიტენციური და პრობაციის სისტემების მოსამსახურეთა მომზადების ცენტრის გარდასაქმნელად, რომლის ბაზაზეც პირველად ქართულ მართლმსაჯულების სისტემაში შეიქმნება თავისუფლებააღკვეთილ პირთა მომზადებისა და გადამზადების ცენტრი. აღნიშნული ცენტრის ძირითადი ფუნქცია იქნება, რომ ხელი შეუწყოს ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა პროფესიულ მომზადება-გადამზადებას და დაეხმაროს მათ საზოგადოებაში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციას.

<u>საქმიანობა: 4.1.1.2.</u> *<u>ბრალდებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ არსებული მოქმედი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაბამისი ხარვეზების გამოვლენა და აღმოფვრა</u>*

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

პატიმართა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ 2018 წლის 5 ოქტომბერს გამოცემული ბრძანებების შედეგად ცვლილებები იქნა შეტანილი თხუთმეტივე პენიტენციური დაწესებულების დებულებაში და ყველა ბრალდებულს/მსჯავრდებულს მაცივრით სარგებლობის უფლება მიეცა. ზემოხსენებული ცვლილებების შედეგად, ყველა ბრალდებულს/მსჯავრდებულს ყველა დაწესებულებაში უფლება აქვს, დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში შეიძინოს და საკანში შეიტანოს მაცივარი, რომლის მაქსიმალური მოცულობა შეიძლება იყოს 100სმX60სმX60სმ.

აღსანიშნავია, რომ მანამდე დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში მაცივრის შეძენის უფლება მხოლოდ დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებასა და ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებს ჰქონდათ. შესაბამისად, ამ უფლებით ვერ სარგებლობდნენ ვერც ბრალდებულები და ვერც მსჯავრდებულთა უდიდესი ნაწილი. ახალი ცვლილებების თანახმად, მაცივრებით სარგებლობა ყველა ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის თანაბრად ხელმისაწვდომი გახდა, თუკი საკნის ინფრასტრუქტურა ამის საშუალებას იძლევა (საკანში არსებული ფართი, ელექტროსადენების მდგომარეობა). იმავე ბრძანებების თანახმად, მაცივრის ჩამორთმევა ვერ მოხდება პატიმრის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში.

ამოცანა: 4.1.2. პენიტენციურ დაწესებულებებში გადატვირთულობის პრევენცია

ამოცანის ინდიკატორი: მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული მინიმალური საცხოვრებელი ფართით სასამართლოებში საბჭოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებების რაოდენობის მაქსიმალურად შემცირება

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა: 4.1.2.1</u>. *<u>ყველა მსჯავრდებული უზრუნველყოფა მინიმუმ 4მ2 საცხოვრებელი ფართით მრავალადგილიან საკნებში და მინიმუმ 6მ2 საცხოვრებელი ფართით ერთადგილიან საკანში.</u>*

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ყველა მსჯავრდებული უზრუნველყოფილიქნა სულ მცირე 4მ^2 საცხოვრებელი ფართით, გარდა N2, 8, 14, 15, 17 დაწესებულებებისა მათი გადატვირთულობიდან გამომდინარე. აღნიშნულ გამოწვევას აცნობიერებს

პენიტენცური სამსახური, რის აღმოსაფხვრელადაც უკვე დაწყებულია შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა ჯერ კიდევ 2018 წლის ივლისიდან, როდესაც პენიტენციური სისტემა შემოუერთდა იუსტიციის სამინისტროს. კერძოდ დაგეგმილია და სამუშაოები დაწყებული ახალი მცირე-ზომის დაწესებულებების ასაშენებლად, რომელიც მნიშვნელოვნად განტვირთავს დაწესებულებებს და დაეხმარება გადატვირთულების პრობლემის აღმოფხვრას. პენუტენციური სისტემის ინფრასტრუქტურული გაძლიერებისა და თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტებზე მორგებული ცვლილებების შედეგად:

- რუსთავში გაიხსნება 2 ახალი მცირე ზომის პენიტენციური დაწესებულება. თითოეული გათვლილი იქნება 120 და 700 მსჯავრდებულზე;
- ლაითურის ციხის ხელახალი პროექტირება დასრულდება 2019 წლის ივნისისათვის და რეკონსტრუქცია დაიწყება 2019 წლის ბოლოს;
- ქსნის მე-15 და მე-19 დაწესებულებების ტერიტორია გაიყოფა 4 ნაწილად და შეიქმნება 3 ახალი დაწესებულება, რომელთა პროექტირებაც მიმდინარეობს და უახლოეს ხანებში ჩაუტარდება ექსპერტიზა. შედეგად, მე-19 დაწესებულების ტერიტორიაზე გაიხსნება 680 და 140 კაციანი დახურული ტიპის ორი დაწესებულება; ხოლო მე-15 დაწესებულების ე.წ. „ძველი ზონის“ ტერიტორიაზე 120 კაციანი დახურული ტიპის დაწესებულება.

საქმიანობა: 4.1.2.2. *პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის ეფექტური ფუნქციონირება, მათ შორის გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის დახვეწა, ინდივიდუალური მიდგომის იმპლემენტაცია და მსხავრდებულთა ჩართვა განხილვის პროცესში.*

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში შეერთების შემდგომ, განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში ცალკე სტრუქტურულ ქვედანაყოფად ჩამოყალიბდება ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი, რომლის ძირითადი ამოცანაა სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხების განმხილველი ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი უზრუნველყოფა.

აღნიშნული სტრუქტურული ცვლილება ხელს შეუწყობს ადგილობრივი საბჭოების გაცილებით ეფექტიან და ოპერატიულ საქმიანობას, საბჭოების გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის მექანიზმის დახვეწას და სრულყოფას.

დღეისთვის ადგილობრივი საბჭოების მიერ თითოეული მსჯავრდებულის საქმე განიხილება ინდივიდუალურად და გადაწყევტილების მიღებისას საბჭოები იხილავენ „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრებისა და პირადი საქმის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 10 მაისის №82 ბრძანების №18 დანართით დამტკიცებული მსჯავრდებულის დახასიათების ფორმის მიხედვით წარმოდგენილ ინფორმაციას, რომელიც ივსება ინდივიდუალურად, პენიტენციური დაწესებულების სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ. ამასთან, მსჯავრდებულს, მის დამცველს/კანონიერ წარმომადგენელს და ახლო ნათესავს უფლება აქვთ, საბჭოს წარუდგინონ დამატებითი ინფორმაცია.

საკითხის განხილვისას, ადგილობრივი საბჭოები ხელმძღვანელობენ „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული წესით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმებით (დანაშაულის ხასიათი, მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში, მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა, ოჯახური პირობები, მსჯავრდებულის პიროვნება). აღნიშნული კრიტერიუმების შესაბამისად, ადგილობრივი საბჭოს მიერ მსჯავრდებულის შეფასება ხორციელდება თითოეული კრიტერიუმის მიხედვით ცალ-ცალკე, ინდივიდუალურად, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება უკვე შეფასებული კრიტერიუმების ურთიერთშეჯერების და საერთო ანალიზის საფუძველზე.

პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმი ყოველწლიურად უფრო მეტად აქტიურად ფუნქციონირებს. ასევე, განხილვის პროცესში მსჯავრდებულთა ჩართულობის საკითხთან მიმართებით, აღსანიშნავია, რომ 2018 წლის განმავლობაში ადგილობრივი საბჭოების მიერ მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი ზეპირი მოსმენით განხილულ იქნა 430 შემთხვევაში, ხოლო სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხი ზეპირი მოსმენით განხილულ იქნა 148 შემთხვევაში (შინაპატიმრობა - 114, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა - 34).

2018 წლის განმავლობაში პირობით ვადამდე გათავისუფლდა 821 მსჯავრდებული (მათ შორის: 794 კაცი მსჯავრდებული, 24 ქალი მსჯავრდებული და 3 არასრულწლოვანი); სასჯელის მოუხდელი ნაწილი უფრო მსუბუქი სასჯელით - შინაპატიმრობით შეეცვალა 67 სრულწლოვან მამაკაც მსჯავრდებულს და ერთ ქალ მსჯავრდებულს, ხოლო სასჯელის მოუხდელი ნაწილი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეეცვალა 16 სრულწლოვან მამაკაც მსჯავრდებულს.

რაც შეეხება, სასამართლოებში საბჭოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებების რაოდენობას, აღსანიშნავია, რომ 2018 წლის განმავლობაში სასამართლოში სულ გასაჩივრდა ადგილობრივი საბჭოს 144 გადაწყვეტილება მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ ან მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლაზე უარის თქმის შესახებ, საიდანაც სასამართლოს მიერ სრულად დაკმაყოფილდა 4 საჩივარი (გათავისუფლების თაობაზე), ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 38 საჩივარი, რომლებიც ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა შესაბამის ადგილობრივ საბჭოს, არ დაკმაყოფილდა საჩივარი და უცვლელი დარჩა ადგილობრივი საბჭოს 74 გადაწყვეტილება, საჩივრის ავტორების მიერ 11 საჩივარი იქნა უკან გახმობილი, სამართალწარმოება შეწყდა 5 შემთხვევაში, ხოლო განუხილველი დარჩა ერთი საჩივარი. ამჟამად, სასამართლოში მიმდინარეობს აღნიშნულ საკითხებზე 11 საჩივრის განხილვა, რომლებიც გასაჩივრდა 2018 წელს.

ამოცანა: 4.1.3. საყოფაცხოვრებო და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება

ამოცანის ინდიკატორი: განხორციელებული კონკრეტული ინფრასტრუქტურული პროექტები, შიდა და გარე მონიტორინგის მექანიზმების რეკომენდაციების შესაბამისად პენიტენციური დაწესებულებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული გადაცემული საჭირო ინვენტარის რაოდენობა ყველა მსჯავრდებული უზრუნველყოფილია კანონმდებლობით დადგენილი საჭირო ინვენტარით

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა 4.1.3.1. პენიტენციურ სისტემაში განთავსებულ მსჯავრდებულ/ბრალდებულთა კანონმდებლობით გათვალისწინებული რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით რეგულარულად უზრუნველყოფა</u>

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ბრალდებულ/მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან რბილი ინვეტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით.

<u>საქმიანობა: 4.1.3.2.</u> <u>საჭიროებიდან გამომდინარე, არსებული ინფრასტრუქტურის განახლება და ახალი პროექტების შემუშავება</u>

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- გეგუთის N14 პენიტენციურ დაწესებულებაში ბარაკების ტიპის საცხოვრებელი შენობების რეკონსტრუქცია და მათი გადაკეთება საკნის ტიპის საცხოვრებლად;
- რუსთავის N16 პენიტენციური დაწესებუელბაში 300 მსჯავრდებულზე სასადილო-სამზარეულო შენობის მშენებლობა;
- სამარტოო საკნების მოწყობა;
- სამედიცინო პუნქტის რემონტი;
- გაუქმდა N7 პენიტენციური დაწესებულება;
- გარემონტდა N9 პენიტენციურ დაწესებულებაში სარეჟიმო კორპუსი;
- ქალთა N5 და ბავშვთა N11 პენიტენიცურ დაწესებულებებში მოეწყო საოჯახო პაემნების ოთახები;
- N2, N15, N6 და N17 პენიტენციურ დაწესებულებებში გარემონტდა საშხაპე ოთახები.

გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღინიშნა დაწყებულია უკვე ქმედითი სამუშაოები ახალი მცირე ზომის დაწესებულებების მშენებლობისა და არსებული დაწესებულებების პირობების გასაუმჯობესებლად/გასარემონტებლად.

პენიტენციურ დაწესებულებებში სანიტარულ ღონისძიებებს (დერატიზაცია, დეზინსექცია, დეზინფექცია) აწარმოებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები. N8

დაწესებულებაში დერატიზაცია, დეზინსექცია, დეზინფექციის ღონისძიებები გეგმიურად, თვეში 2-ჯერ ხორციელდება, დანარჩენ დაწესებულებებში თვეში ერთხელ, თუმცა დაწესებულების ადმინისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში საჭიროების შემთხვევაში ტარდება დამატებითი სამუშაოები. სადეზინფექციო ღონისძიებები ხორციელდება როგორც ღია, ასევე დახურულ სივრცეებში. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული/მსჯავრდებული უარს აცხადებს მისი განთავსების საკანში სადეზინფექციო ღონისძიებების განხორციელებაზე, საკანში სამუშაოები არ ტარდება. მსგავს შემთხვევებს კი საკმაოდ ხშირად აქვს ადგილი.

ამოცანა: 4.1.4. მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება, პრევენციაზე დაფუძნებული სამედიცინო მომსხურების, ფსიქიკური ჯანმრთელობის მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობა და წამალდამოკიდებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა

ამოცანის ინდიკატორი: წინა წლებთან შედარებით, დაავადებათა გავრცელების შემცირებული მაჩვენებლი პენიტეციურ სისტემაში (სტატისტიკური მონაცემები C ჰეპატიტი; ტუბერკულოზი სუიციდის რისკის მქონე პირთა და პროგრამაში ჩართულ პირთა რაოდენობის ურთიერთმიმართება სუიციდის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა ვისაც შიდა მონიტორინგის მიხედვით შეუმცირდა სუიციდის რისკის დონე პატიმართა სართო რაოდენობასთან მიმართებით სუიციდის მცდელობების პროცენტული რაოდენობა შემცირებულია ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამა სრულად პასუხობს არსებულ საჭიროებებს.

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

სამედიცინო სერვისების გაუმჯობესება, მათ შორის ფსიქიკური ჯანმთელობის პრობლემის მქონე მსჯარვდებულ/ბრალებულთა მიმართ სისტემური მიდგომის განვითარება პენიტენციური სამსახურის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რომელიც ასევე განსაზღვრულია პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიასა და ორწლიან სამოქმედო გეგმაში.

საგულისხმოა, რომ პენიტენციურ სისტემაში, C ვირუსული ჰეპატიტის, აივ-ინფექცია/შიდსის და ტუბერკულოზის დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე ხელმისაწვდომობა უნივერსალურია.

2018 წლის განმავლობაში C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ჩატარდა - 4910 სკრინინგი და მკურნალობაში ჩაერთო - 908 პირი. ამავე წელს, ანტიტუბერკულოზური მკურნალობის საჭიროების მქონე პირთა გამოვლენის მიზნით, ჩატარდა - 56145 სკრინინგი, "DOTS" და "DOTS+" მკურნალობის პროგრამაში ახალჩართულთა რაოდენობამ შეადგინა - 74, მათ შორის, 44 ახალი შემთხვევა. აივ-ინფექცია/შიდსის გამოვლენის მიზნით, ჩატარდა - 6705 სკრინინგი და ანტირეტროვირუსული მკურნალობის პროგრამაში ჩაერთო - 14 ახალი პაციენტი.

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სუიციდის პრევენციის პროგრამაში პირის ჩართვა ხდება ფსიქოლოგის ან ფსიქიატრის მიერ სუიციდის რისკის იდენტიფიცირების შემთხვევაში. 2018 წელს, სუიციდის რისკის მქონე ყველა იდენტიფიცირებული პირი ჩაერთო სუიციდის პრევენციის პროგრამაში, სულ - 150 ბენეფიციარი. შესაბამისად, სუიციდის პრევენციის პროგრამა 150 ბენეფიციარს დაეხმარა სუიციდალური კრიზისის დაძლევაში.

ამ ეტაპზე, პენიტენციურ სისტემაში ხორციელდება ფარმაცევტული პროდუქტით ხანმოკლე და ხანგრძლივი დეტოქსიკაციის პროგრამები, რომელშიც ჩართვის კრიტერიუმები დადგენილია მოქმედი

კანონმდებლობით. პროგრამას ახორციელებს ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი და ის ხელმისაწვდომია სისტემაში განთავსებული, საჭიროების მქონე ყველა პირისთვის, რომელიც აკმაყოფილებს დადგენილ კრიტერიუმებს.

<u>საქმიანობა: 4.1.4.1. სამოქამაქო ჯანდაცვის ექვივალენტური სამედიცინო მომსახურებით ბრალდებულთა/მჯავრდებულთა უზრუნველყოფა</u>

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს მიეწოდებათ სამოქალაქო სექტორის ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურება. ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს სასჯელის მოხდის ადგილას ხელი მიუწვდებათ მედპერსონალის 24-საათიან მომსახურებაზე, უზრუნველყოფილია მკურნალობის უწყვეტობა. საჭიროების შემთხვევაში, იგეგმება რეფერალი როგორც N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, ისე სამოქალაქო სექტორის სპეციალიზებულ კლინიკებში. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის პროცესში ჩართულია 27 პროფილის 60 ექიმი-სპეციალისტი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, პენიტენციურ სისტემაში წარმატებით ხორციელდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები (აივ-ინფექცია/შიდსის, C ჰეპატიტის მართვის, ტუბერკულოზის მართვის და სხვ.)

რეფერალის ელექტრონულ პროგრამაში მოთხოვნათა რეგისტრაციის მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია პენიტენციურ სისტემაში სამედიცინო სერვისებზე შეუზღუდავი ხელმისაწვდომობით. მოთხოვნათა რეგისტრაცია ელექტრონულ პროგრამაში ხდება დაუყოვნებლივ და მასჯავრდებულთათვის/ბრალდებულთათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება ხდება რიგითობის პრინციპით, სამედიცინო ჩვენებათა გათვალისწინებით - უპირატესობით სარგებლობენ ურგენტული ან/და სასწრაფო დაყოვნებადი სამედიცინო დახმარების საჭიროების მქონე პაციენტები, რომელთა რაოდენობაც მაღალია, აღნიშნული კი ავტომატურად იწვევს გეგმიური სამედიცინო რეფერალის განხორციელების შეფერხებას. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ შეფერხებას იწვევს როგორც ესკორტის ოფიცრების, ასევე ავტომობილების სიმცირე.

ბოლო 5 წლის განმავლობაში, პენიტენციურ სისტემაში გარდაცვალების მაჩვენებელი არ სცდება საშუალო ევროპულ მაჩვენებელს, რომელიც 10000 პატიმარზე არის არაუმეტეს 25 შემთხვევისა. პენიტენციურ სისტემაში, ისევე როგორც სამოქალაქო სექტორში, გარდაცვალების ძირითად მიზეზს წარმოადგენს გულ-სისხლძარღვთა სისტემის და ონკოლოგიური დაავადებები. რაც შეეხება სუიციდის შემთხვევებს, პენიტენციურ სისტემაში სუიციდით გარდაცვალების მაჩვენებელი არ სცდება საშუალო ევროპულ მაჩვენებელს, რომელიც 10000 პატიმარზე არის არაუმეტეს 7 შემთხვევისა.

<u>საქმიანობა: 4.1.4.2. ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება და დამტკიცება</u>

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

პენიტენციურ სისტემაში ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების მიზნით, შემუშავებულია ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა სკრინინგ-ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას იძლევა

პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებისას განხორციელდეს ბრალდებულის/მსჯავრდებულის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება და ამ მიმართულებით შემდგომი საჭიროებების გამოვლენა. ევროპის საბჭოს მხარდაჭერით მიმდინარეობს სამუშაო შეხვედრები პენიტენციურ სისტემაში ფსიქიკური ჯანდაცვის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტისა და კრიზისების მართვის პილოტური პროგრამის შემუშავების მიზნით. ამასთან მომზადებულია პენიტენცურ დაწესებულებებში ფსიქიკური ჯანდაცვის სტრატეგიის პირველადი პროექტი.

<u>საქმიანობა: 4.1.4.3.</u> *<u>პენიტენციურ დაწესებულებებში სუიციდის პრევენციის პროგრამითა და სამოქმედო გეგმით გათვალისიწინებული ღონისძიებების განხორციელება</u>*

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

სუიციდის პრევენციის პროგრამის ფარგლებში პენიტენციურ სისტემაში დაინერგა საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებული სუიციდის რისკის შეფასების ინსტრუმენტები არასრულწლოვნებისთვის. 2018 წლის განმავლობაში მულტიდისციპლინურმა გუნდებმა სუიციდური კრიზისის დაძლევაში დახმარება გაუწია 150 ბენეფიციარს, მათ შორის: 131-კაცს, 14-ქალს და 5-არასრულწლოვანს.

<u>საქმიანობა: 4.1.4.4.</u> *<u>თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამების განხორციელების წესის შესაბამისი სერვისით ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა</u>*

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

პენიტენციურ სისტემაში წამალდამოკიდებული ბრალდებულებისთვის/მსჯავრდებულებისთვის ხელმისაწვდომია ექიმი-ნარკოლოგის მომსახურება და ექიმი-სპეციალისტის მიერ გაცემული რეკომენდაციის შესაბამისი მედიკამენტური მკურნალობა. 2018 წლის განმავლობაში - 694 ბრალდებულს/მსჯავრდებულს ჩაუტარდა ნარკოლოგის კონსულტაცია. ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტით დეტოქსიკაცია ხელმისაწვდომია N2; N8 პენიტენციურ დაწესებულებებსა და N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში. უწყებათაშორისი სამუშაო ფორმატში მიმდინარეობს მუშაობა პენიტენციურ დაწესებულებებში ნარკოდამოკიდებული პირებისათვის ხანგრძლივი ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამების შემოტანის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. ამ მიმართულებით პირველ ეტაპზე ჩატარდება საწიროების შესწავლა გერმანელი ექსპერტის მხარდაჭერით, რის საფუძველზეც დაიგეგმება შესაბამისი ღონისძიებები.

მიზანი 4.2. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე (მოწყვლადი) ბრალდებულების/მსჯავრდებულების უფლებების დაცვის უზრუნველყოფა პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში.

ამოცანა 4.2.1. პენიტენციური და პრობაციის სისტემების თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მსჯავრდებულებთან მიდგომის თავისებურებებზე, თანასწორობისა და შემწყნარებლობის საკითხებზე;

ამოცანის ინდიკატორი: ახალი შემუშავებული და/ან განახლებული პროგრამები/ტრენინგები შეესაბამება არსებულ საჭიროებებსა და საერთაშორისო სტანდარტებს; გადამზადებულ თანამსრომელთა მზარდი პროცენტული მაჩვენებელი;

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

საქმიანობა: 4.2.1.1. სასწავლო პროგრამების გადახედვა და საჭიროებისამებრ განახლება

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ყოფილი სასჯელაღსრულებისა და იუსტიციის სამინისტროების გაერთიანების შემდეგ სსიპ - იუსტიციის სასწავლო ცენტრს დაევალა პენიტენციური და პრობაციის სისტემების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა. პენიტენციური და დანაშაულის პრეცენციის სისტემების სრატეგიითა და სამოქმედო გეგმა ასევე ითვალისწინებს თანამშრომელთა უწყვეტ და საჭიროებებზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების განვითარებას.

2018 წელს საჭიროებისამებრ განხორციელდა ყველა მოქმედი სასწავლო პროგრამის გადახედვა/განახლება და მომზადდა ახალი სასწავლო პროგრამა - ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან და პატიმრების სხვა განსაკუთრებულ კატეგორიებთან მოპყრობის თავისებურებები", რომელთა მიხედვითაც განხორციელდა ტრენერთა ტრენინგი და ტრენინგები პენიტენციური სისტემის თანამშრომელთათვის.

საქმიანობა: 4.2.1.2. სასჯელაღსრულების სისტემის იმ თანამშრომელთა გადამზადება რომლებსაც შეხება აქვთ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბრალდებულ/მსჯავრდებულებთან;

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბრალდებულ/მსჯავრდებულებთან მუშაობის თავისებურებები შედის ყველა ძირითად სასწავლო პროგრამაში:

- სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გამოსაცდელი ვადით დანიშნულ მოსამსახურეთა მომზადების პირველი დონის სასწავლო კურსი (გადამზადებულია 35 მოსამსახურე);
- სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გამოსაცდელი ვადით დანიშნულ მოსამსახურეთა მომზადების მეორე დონის სასწავლო კურსი (გადამზადებულია 216 მოსამსახურე);

გერმანიის სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) მხარდაჭერით განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბრალდებულ/მსჯავრდებულებთან მუშაობის სპეციფიკის შესახებ ჩატარდა შემდეგი ტრენინგები:

- ტრენერთა ტრენინგი - ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან და პატიმრების სხვა განსაკუთრებულ კატეგორიებთან მოპყრობის თავისებურებები (გადამზადებულია 14 ტრენერი);
- ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან და პატიმრების სხვა განსაკუთრებულ კატეგორიებთან მოპყრობის თავისებურებები (გადამზადებულია 60 მოსამსახურე).

<u>საქმიანობა: 4.2.1.3.</u> *<u>არასრულწლოვან ბრალდებულ/მსჯავრდებულთა საჭიროებებზე, საერთაშორისო და ადგილობრივ კომპეტენტურ ორგანიზაციებთან/სტრუქტურებთან თანამშრომლობით შესაბამისი სასწავლო პროგრამებისა და მასალების განახლება და გაუმჯობესება საჭიროებისამებრ.</u>*

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა ”მოზარდთა სუიციდის რისკის შეფასების პროტოკოლის (ASAP-20) გაიდლაინი“, ”მოზარდთა სუიციდის რისკის შეფასების პროტოკოლის (ASAP-20) სახელმძღვანელო“ და “მოზარდთა სუიციდის რისკის შეფასების პროტოკოლის (ASAP-20) სახელმძღვანელო ტრენერებისათვის“. ამავე ჯგუფმა შეიმუშავა შესაბამისი სასწავლო კურსი, რის მიხედვითაც განხორციელდა ტრენინგები პენიტენციური სისტემის არასრულწლოვან ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან მომუშავე თანამშრომლებისათვის. აღნიშნული ტრენინგების ფარგლებში მომზადება გაიარა #2, #5, #8, #11 და #18 პენიტენციური დაწესებულებების არასრულწლოვან ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან მომუშავე მულტიდისციპლინური ჯგუფის ყველა წევრმა და იმ პირებმა, რომელთაც შეხება აქვთ არასრულწლოვანთა სუიციდის პრევენციის პროგრამასთან.

<u>საქმიანობა: 4.2.1.4.</u> *<u>არასრულწლოვნებთან მომუშავე პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომელთა მოზადება/კვალიფიკაციის ამაღლება არასრულწლოვანთა მოპყრობის, მათი სპეციფიკური საჭიროებების, ასაკობრივი თავისებურებების შესახებ</u>*

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრ

გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით არასრულწლოვნებთან მომუშავე პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთათვის განხორციელდა შემდეგი ტრენინგები:

- ტრენერთა ტრენინგი "მოზარდთა სუიციდის რისკის შეფასების პროტოკოლის" შესახებ (გადამზადებულია 10 ტრენერი);
- ტრენინგი ,,მოზარდთა სუიციდის რისკის შეფასების პროტოკოლის" შესახებ არასრულწლოვნებთან მომუშავე მულტიდისციპლინური გუნდის წევრებისათვის (გადამზადებულია 59 მოსამსახურე);

ევროკავშირის „პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის“ პროექტის დახმარებით ჩატარდა შემდეგი ტრენინგი:

- „რისკებისა და საჭიროებების შეფასება არასრულწლოვნებში (ახალი ფორმის პილოტირება)“ - გადამზადებულია 46 მოსამსახურე;
- „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ფსიქოლოგია, არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკა“ (გადამზადებულია 18 მოსამსახურე).

***ქმედება: 4.2.1.5.** გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საერთაშორისო და ადგილობრივ კომპეტენტურ ორგანიზაციებთან/სტრუქტურებთან თანამშრომლობით შესაბამისი სასწავლო პროგრამების მომზადება და არსებული პროგრამების განახლება და გაუმჯობესება*

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

გაეროს ქალთა ფონდის, ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მხარდაჭერით პენიტენციურმა და პრობაციის სისტემებმა მუშაობა დაიწყეს „მეუღლე/პარტნიორთა მიმართ მოძალადეთა ქცევის კორექციის“ პროგრამაზე PRIA. პროგრამა ესპანეთში შეიქმნა და შერჩეული კვლევებითა და მტკიცებულებებით დადასტურებული ეფექტიანობის საფუძველზე. ქართული ვერსია დაიწერა ესპანელი ექსპერტის ჩართულობით, ქართველი პრაქტიკოსების მიერ. გადამზადება გაიარა სპეციალური პენიტენციური სამსახურის 5-მა პრატიკოსმა. ამჟამად, მიმდინარეობს პროგრამის პილოტირება პენიტენციურ N16 და N17 დაწესებულებებში და პრობაციის ბიუროში.

გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის საკითხები შედის შემდეგ ძირითად სასწავლო პროგრამებში: „სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გამოსაცდელი ვადით დანიშნულ მოსამსახურეთა მომზადების პირველი დონის სასწავლო კურსი“ და „სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გამოსაცდელი ვადით დანიშნულ მოსამსახურეთა მომზადების მეორე დონის სასწავლო კურსი“.

პერმანენტულად მიმდინარეობს სამი უწყების (სპეციალური პენიტენციური სამსახური, სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო, სსიპ დანაშუალის პრევენციის ცენტრი) სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, გაეროს ქალთა ფონდთან და „ძალადობის ეროვნულ ქსელთან“ გენდერული თანასწორობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე პროგრამების განახლება/გაუმჯობესების მიზნით.

***ქმედება: 4.2.1.6.** გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სასწავლო ცენტრში არსებულ ყველა ძირითად სასწავლო პროგრამაში აღნიშნული თემატიკის შეტანა*

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ძალადობის (მათ შორის, ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა) აღკვეთისა და გენდერული თანასწორობის შესახებ საკითხები შედის სპეციალური პენიტენციური სამსახურის ყველა ძირითად სასწავლო პროგრამაში:

- სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გამოსაცდელი ვადით დანიშნულ მოსამსახურეთა მომზადების პირველი დონის სასწავლო კურსი (გადამზადებულია 35 მოსამსახურე);
- სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გამოსაცდელი ვადით დანიშნულ მოსამსახურეთა მომზადების მეორე დონის სასწავლო კურსი (გადამზადებულია 216 მოსამსახურე);

***ქმედება: 4.2.1.7.** პენიტენციური და პრობაციის სისტემების თანამშრომელთა ტრენინგები ქალთა უფლებებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე, საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციების, ასევე ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად*

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ქალ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებების საკითხები შედის შემდეგ სასწავლო პროგრამებში,

რომელთა მიხედვითაც 2018 წელს გადამზადდა:

- სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გამოსაცდელი ვადით დანიშნულ მოსამსახურეთა მომზადების პირველი დონის სასწავლო კურსი (გადამზადებულია 35 მოსამსახურე);
- სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გამოსაცდელი ვადით დანიშნულ მოსამსახურეთა მომზადების მეორე დონის სასწავლო კურსი (გადამზადებულია 216 მოსამსახურე).

ამასთან, 2019 წლის იანვარ-თებერვალში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, ასევე ანტიდისკრიმინაციულ საკითხებზე გადამზადება გაიარა 52-მა ექსკორტის ოფიცრემა, რომლებიც 2018 წლის მიწურულს ღია კონკურსის წესით შეირჩნენ ვაკანტურ პოზიციებზე. ტრენინგების ორგანიზება უზზრუნველყო სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრმა.

<u>საქმიანობა: 4.2.1.8. თანამესაკნეთა და სხვა ბრალდებულ/მსჯავრდებულთა შშმ პირთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით შეხვედრებისა და ტრენინგების ჩატარება.</u>

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

შშმ პირებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების უფლებებთან დაკავშირებით გაიმართა 2 შეხვედრა და მათში მონაწილეობა მიიღო 16-მა მსჯავრდებულმა.

ამოცანა: 4.2.2. პენიტენციურ დაწესებულებებში საცხოვრებელი და ყოფითი პირობების მორგება ბრალდებუ/მსჯავრდებულთა განსაკუთრებულ სჭიროებებზე

ამოცანის ინდიკატორი: პენიტენციურ დაწესებულებებში საცხოვრებელი და ყოფითი პირობები მორგებულია ბრალდებულ/მსჯავრდებულთა განსაკუთრებულ საჭიროებებზე

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა: 4.2.2.1. პენიტენციურ სისტემაში მყოფი ქალი ბრალდებულების/მსჯავრდებულების სპეციფიკური საჭიროებების შეფასება და გამოვლენა</u>

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ა/ო ძალადობისაგან დაცვის ეროვნულ ქსელთან თანამშრომლობის ფარგლებში შექმნილი შეფასების ფორმა იძლევა ქალ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ისეთი სპეციფიკური საჭიროებების გამოვლენის შესაძლებლობას, როგორიცაა ძალადობის მავნე შედეგები და შესაბამის მომსახურებაში ბენეფიციარის გადამისამართება. საკითხი ქალთა მიმართ ძალადობას ეხება. ძალადობისგან დაცვის ეროვნულ ქსელთან თანამშრომლობის ფარგლებში შექმნილია ინსტრუმენტი - „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პირველადი სკრინინგი“, რომელიც ქალთა N5 დაწესებულებაში პილოტირდა. შედეგები ქულობრივია და სპეციალური გასაღების მეშვეობით ხდება ბენეფიციარის გადამისამართება შესაბამის მომსახურებაში.

<u>საქმიანობა: 4.2.2.3. შშმ პირების საჭიროების გათვალისწინებით კომპაქტურად განთავსების ადგილებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა</u>

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

N18 სამკურნალო დაწესებულებაში მოეწყო შშმ პირთა ადაპტირებული პანდუსი და საშხაპე ოთახები; N6

პენიტენციურ დაწესებულებაში გარემონტდა შშმ პირთა საკანი.

ამოცანა: 4.2.3. შშმ პირებისთვის სათანადო მომსახურების უზრუნველყოფა

ამოცანის ინდიკატორი: შშმ პირებზე ადაპტირებული ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამების რაოდენობა მოთხოვნის შემთხვევაში, სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილე შშმ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა რაოდენობა

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა: 4.2.3.1. პენიტენციურ დაწესებულებებში დადგენილი წესებისა და ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, შშმ პირების საჭიროებებზე მორგებული აბილიტაცია/რეაბილიტაციის პროგრამების დანერგვა</u>

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

აბილიტაცია/რეაბილიტაციის მიმართულებით პენიტენციურ სისტემაში ხდება ფიზიკური და სენსორული შეზღუდვის მქონე ბენეფიციართა უზრუნველყოფა ხელჯოხით, ეტლით, სათვალით, ყურსასმენი აპარატით და საჭიროებისამებრ სხვა აღჭურვილობით.

მიზანი: 4.3. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ხელშეწყობა

ამოცანა: 4.3.1. მსჯავრდებულ/ბრალდებულთათვის ფსიქოსოციალური, საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების და სარეკრეაციო პროგრამების გაუმჯობესება

ამოცანის ინდიკატორი: პენიტენციურ დაწესებულებებში დანერგილი ფსიქოსოციალური ტრენინგებისა და სარეაბილიტაციო პროგრამების ურთიერთმიმაერთება არსებულ საჭიროებებთან; საგანმანათლებლოდ პროფესიულ პროგრამებში ჩართულ ბენეფიციართა მზარდი რაოდენობა წინა წლებთან შედარებით; შესაბამისი რისკის მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან უმაღლესი განათლების მიღების საშუალებით

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა: 4.3.1.1. პროგრამების ერთიანი სტანდარტის შემუშავება და პროგრამების პაკეტის შექმნა სპეციალური ჯგუფების გათვალისწინებით (მათ შორის, ძალადობაზე, ქცევის კორექციაზე, ნივთიერება დამოკიდებულობაზე, აზროვნების და ხედვის შეცვლაზე, ჯანსაღ ცხოვრებაზე, გათავისუფლებისათვის მზადებაზე და სხვა</u>

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო.

INL-ის და EU4Justice-ის მხარდაჭერით შეიქმნა სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარების მულტისექტორული სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა სარეაბილიტაციო პროგრამების შეფასების მატრიცა და ლოგიკური ჩარჩო. ჯგუფის შემდგომი მიზანია სამ სექტორში (პენიტენციური, პრობაცია და პრევენცია) შექმნას სარეაბილიტაციო პროგრამების და თანმდევი შეფასების ერთიანი სტანდარტი.

ორგანიზაცია „ძალადობის ეროვნული ქსელის“ და ჰოლანდიის საელჩოს მხარდაჭერით შეიქმნა „ქალების გაძლიერების პროგრამა“, რომლის მიზანია ძალადობის მსხვერპლი (და არა მარტო) ქალების გაძლიერება, პოზიტიური ცვლილებების და მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა.

ამასთან ორგანიზაცია „ძალადობის ეროვნული ქსელის“ და ჰოლანდიის საელჩოს მხარდაჭერით უწყებებში მიმდინარეობს „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახური ძალადობის სკრინინგ კითხვარი“-ს დანერგვა ძალადობის მსხვერპლი ქალების ინდენტიფიცირების მიზნით;

საანგარიშო პერიოდში 2018 წელს გაიმართა ტრენინგები შემდეგ სფეროებში:

- „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახური ძალადობის სკრინინგ ინსტრუმენტის გაცნობა“
- „საინტერვენციო პროგრამა ოჯახში მოძალადეებისათვის“;
- „მოტივაციური ინტერვიუირება“;
- „სტიგმა და დისკრიმინაცია“;

<u>საქმიანობა: 4.3.1.2. უმაღლესი განათლების ელექტრონული პროგრამის დანერგვა</u>

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

2018 წელს, N16 დაბალი რისკის დაწესებულებაში:

- ბაკალავრის საფეხურზე ჩართული იყო 12 მსჯავრდებული, აქედან 4-მა შეწყვიტა სწავლა სხვადასხვა მიზეზების გამო;
- 1-მა მსჯავრდებულმა დაასრულა 2018 წლის ივნისის თვეში მაგისტრატურის კურსი და ამავე წელს დაიწყო სწავლა ახალ სამაგისტრო პროგრამაზე;

არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში უმაღლესი განათლების მსურველი და ბენეფიციარი არ დაფიქსირებულა.

<u>საქმიანობა: 4.3.1.3. პროფესიულ/საგანმანათლებლო (VET) პროგრამების რაოდენობის გაზრდა</u>

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

2018 წელს პენიტენციურ სისტემაში განხორციელდა 42 დასახელების საგანმანათლებლო-პროფესიული პროგრამა, მასში ჩართული იყო 1205 მსჯავრდებული.

<u>საქმიანობა: 4.3.1.4. საერთაშორისო და ადგილობრივ კომპეტენტურ ორგანიზაციებთან/სტრუქტურებთან თანამშრომლობით პენიტენციური სისტემის სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების მომზადება/გადამზადება ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის ტექნიკისა და სარეაბილიტაციო პროგრამების მიმართულებით</u>

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ევროკავშირის „პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის“ პროექტის დახმარებით განხორციელდა ტრენინგები ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის ტექნიკისა და სარეაბილიტაციო პროგრამების მიმართულებით პენიტენციური სისტემის სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგებისათვის (გადამზადებულია 39 მოსამსახურე). ასევე, აღნიშნულ საკითხზე ჩატარდა პენიტენციური სისტემის სოციალური მუშაკების გადამზადების სასწავლო კურსი (გადამზადებულია 117 მოსამსახურე).

ამოცანა: 4.3.2. მსჯავრდებულთა დასაქმების შესაძლებლობის გაზრდის უზრუნველყოფა

ამოცანის ინდიკატორი: პენიტენციურ დაწესებულებებში საწარმოო ზონების და დასაქმების ახალი მინიკერების შექმნა; დასაქმებულთა მზარდი პროცენტული რაოდენობა.

ამოცანის შესრულების სტატუსი: სრულად შესრულებული

საქმიანობა: 4.3.2.1. საწარმოო ზონების და დასაქმების მინი კერების და ინდივიდუალური მეწარმეობის ხელშეწყობა შექმნა პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიაზე

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

2018 წელს N16 დაბალი რისკის დაწესებულებაში მოეწყო ტყავის სახელოსნო, რომელში დასაქმებულმა მსჯავრდებულებმაც მიიღეს ინდივიდუალური ბიზნეს გრანტი საქმიანობის დასაწყებად. 2018 წელს პენიტენციურ სისტემაში დასაქმებული იყო 862 მსჯავრდებული.

ამოცანა: 4.3.3. არასრულწლოვანთა რესოციალიზაციისთვის მზადების ხელშეწყობა, გარდამავალი მენეჯმენტის დახვეწა

ამოცანის ინდიკატორი: განახლებული გარდამავალი მენეჯმენტი; გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის ბენეფიციართა საერთო რაოდენობის პერმანენტული ზრდა

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

საქმიანობა: 4.3.3.1. გარდამავალი მენეჯმენტის გადახედვა და ცვლილება საჭიროების შემთხვევაში

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

არასრულწლოვან მსჯავრდებულთა გარდამავალი მენეჯმენტის ეფექტიანობის გასაზრდელად და მექნიზმის გასაახლებლად შეიქმნილია მულტისისტემური სამუშაო ჯგუფი პენიტენციური, პრობაციისა და დანაშაულის პრევენციის სისტემების წარმომადგენლებისგან. ჯგუფი აქტიურად მუშაობს გარდამავალი მენეჯმენტის სისტემის განახლებაზე და ეფექტიანობის გასაზრდელად დამატებითი მომსახურებების შექმნაზე. გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამაში ჩართული იყო 39 ბენეფიციარი.

ამოცანა: 4.3.4. ქალ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის ხელშეწყობა

ამოცანის ინდიკატორი: გენდერული ნიშნით შექმნილი სპეციალური ფსიქო-სოციალური პროგრამების რაოდენობა საჭიროეების მქონე მსჯავრდებულთა პროგრამებშ ჩართვის მზარდი პროცენტული რაოდენობა; პროგრამებში ჩართული ქალი ბრალდებულების/მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის პერმანენტული ზრდა; ხელმისაწვდომი ნივთების ნუსხაში საჭიროებისამებრ შეტანილი ცვლილებები; მოხსენება/ანგარიში ფსიქოსოციალურ პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა: 4.3.4.1. მცირე დასაქმების კერების გახნის შესაძლებლობის შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება</u>

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ქალთა დაწესებულებაში აშენდა სათბური დეკორაციული მცენარეების გამოყვანის პროფესიის შესწავლისა და შექმნილი პროდუქციის რეალიზაციის მიზნით. პროექტის პარტნიორია "სამოქალაქო განვითარების სააგენტო (სიდა) " და საქართველოს ფერმერთა ასოციაცია.

<u>საქმიანობა: 4.3.4.2. გენდერული ნიშნით შექმნილი სპეც. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მიდგომების შემდგომი დახვეწა და შესაბამისი პროგრამების შექმნა/დანერგვა</u>

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

საანგარიშო პერიოდში ძალადობისგან დაცვის ეროვნულ ქსელთან თანამშრომლობის ფარგლებში შეიქმნა „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პირველადი სკრინინგ ინსტრუმენტი“, რომლიც იძლევა მსხვერპლი ქალების იდენტიფიცირების საშუალებას, შედეგები ქულობრივია და სპეციალური გასაღების მეშვეობით ხდება გადამისამართება შესაბამის მომსახურებაში. ამავე პროექტის ფარგლებში შეიქმნა მსხვერპლ ქალთა სარეაბილიტაციო პროგრამა „ქალ-გა“, რომელიც ამჟამად პილოტირების რეჟიმშია ქალთა N5 დაწესებულებაში.

<u>საქმიანობა: 4.3.4.3. ქალ მსჯავრდებულთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის მიდგომების შემდგომი დახვეწა და პროგრამების დანერგვა</u>

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

2017-18 წლებში ა/ო ძალადობისგან დაცვის ეროვნულ ქსელთან თანამშრომლობის ფარგლებში შეიქმნა „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პირველადი სკრინინგ ინსტრუმენტი“, რომლიც ქულობრივია და იძლევა მსხვერპლი ქალების იდენტიფიცირების საშუალებას, ასევე, სპეციალური გასაღების მეშვეობით მათ გადამისამართებას შესაბამის მომსახურებაში. ამავე პროექტის ფარგლებში შეიქმნა მსხვერპლ ქალთა სარეაბილიტაციო პროგრამა „ქალ-გა“, რომელიც ამჟამად პილოტირების რეჟიმშია ქალთა N5 დაწესებულებაში.

2018 წელს ფსიქო-სოციალურ პროგრამებში ჩართული იყო 397 ქალი მსჯავრდებული, პროფესიულში კი - 381.

<u>საქმიანობა: 4.3.4.4. გენდერული სპეციფიკის გათვალისწინებით ხელმისაწვდომი ნივთების ნუსხის გადახედვა</u>

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ქალი ბრალდებულები/მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან გენდერულ საჭიროებებს მორგებული ნივთებით. ამასთან, სპეციალური პენიტენციური სამსახურის დღის წესრიგში დგას პენიტეციური დაწესებულებების დებულებების განახლება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისა, რომელთა შორისაც ასევე განიხილება დებულებების გენდერულ ჭრილში განხილვა.

მიზანი: 4.4. ყოფილ მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია

ამოცანა: 4.4.1. ყოფილ პატიმრებთან ინდივიდუალური მუშაობა მათი ეფექტიანი რესოციალიზაციის მიზნით

ამოცანის ინდიკატორი: მომსახურების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა; წარმატებული შემთხვევების რაოდენობა, რომელიც განისაზღვრება პროფესიონალის მიერ ბენეფიციარის მდგომარეობის შეფასება მომართვისას და მუშაობის დასრულების შემდეგ.

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა: 4.4.1.1. სოციალური მუშაკის ინდივიდუალური მუშაობა თითოეულ ბენეფიციართან და მისი შეფასება შესაბამისი ფორმით, რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესის დაგეგმვა და განხორციელება</u>

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი.

2018 წელს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრს“, „ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამაში“ ჩართვის მიზნით, მომართა 538 - მა ყოფილმა მსჯავრდებულმა. რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროცესის უკეთ დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით, პროგრამის სოციალურმა მუშაკების მიერ შეფასდა და შესაბამის მომსახურებებში ჩაერთო 332 პირი.

„ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის“ ფარგლებში ფსიქოლოგის

ამოცანა: 4.4.2. ყოფილი პატიმრებისთვის ფსიქოლოგიური და თერაპიული მომსახურების გაწევა

ამოცანის ინდიკატორი: მომსახურების მიმღებთა რაოდენობა; წარმატებული შემთხვევების რაოდენობა, რომელიც განისაზღვრება პროფესიონალის მიერ ბენეფიციარის მდგომარეობის შეფასება მომართვისას და მუშაობის დასრულების შემდეგ.

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული.

საქმიანობა: 4.4.2.1. ფსიქო კონსულტირება - ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ბენეფიციარებისთვის ფსიქოლოგური კონსულტაციის გაწევა

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი

საქმიანობა: 4.4.2.2. არტ თერაპია - ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ბენეფიციარებისთვის არტ თერაპიის მოდულის შეთავაზება.

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი

მომსახურებით ისარგებლა 36 - მა ბენეფიციარმა. არტ-თერაპიის კურსი გაიარა 25-მა ბენეფიციარმა.

ამოცანა: 4.4.3. ყოფილი პატიმრების პროფესიული გადამზადება

ამოცანის ინდიკატორი: გადამზადებული ყოფილი პატიმრების რაოდენობა

ამოცანის შესრულების სტატუსი: სრულად შესრულებული

საქმიანობა: 4.4.3.1. პროფესიული გადამზადების კურსებში ჩართვა - პროფესიული გადამზადების მსურველი ბენეფიციარების პროფესიული გადამზადება

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი.

„ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის“ ფარგლებში პროფესიული გადამზადების კურსები წარმატებით დაასრულა 57 - მა ბენეფიციარმა.

ამოცანა: 4.4.4. ყოფილი პატიმრებისთვის საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა

ამოცანის ინდიკატორი: პატიმართა საზოგადოებაში ინტეგრაციის სტრატეგია ითვალისწინებს შესაბამის საჭიროებებს

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

საქმიანობა: 4.4.4.1. დასაქმების ბაზრის საჭიროებები კვლევის განხორციელება

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი

სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი ახორციელებს საქართველოს შრომის ბაზრის შესახებ განხორციელებული კვლევების მიმოხილვას. აღნიშნული გულისხმობს, შრომის ბაზრის შესახებ განხორციელებული კვლევების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და ანგარიშის მომზადებას. კვლევის შედეგების გაზიარება მოხდება დანაშაულის პრევენციის ცენტრის ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია-

რესოციალიზაციის სამმართველოს სპეციალისტებისათვის (სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, იურისტი).

<u>საქმიანობა: 4.4.4.2. დასაქმების ბაზრის საჭიროებები კვლევის შედეგებზე დაფუძნებით ყოფილ პატიმართა გადამზადება და დასაქმების ხელშეწყობა</u>

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ -დანაშაულის პრევენციის ცენტრი

აქტივობის ეფექტურად განხორციელების (საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება) მიზნით ხორციელდება ყოფილი პატიმრების დასაქმების/შრომითი რეაბილიტაციის კვლევების საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა.

<u>საქმიანობა: 4.4.4.3. ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ბენეფიციარების დასაქმება სოციალურ საწარმოში</u>

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი

სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ ბაზაზე ფუნქციონირებს სოციალური საწარმო „შეცვალე სცენარი“, სადაც რეგულარულად დასაქმებულია 8 ბენეფიციარი / ოჯახის წევრი, ამასთან საწარმოში მოქმედებს 6 თვეში თანამშრომელთა რანჟირების პირნციპი, რაც უზრუნველყოფს წლის განმავლობაში 16 ბენეფიციარის/ოჯახის წევრის დასაქმების შესაძლებლობას.

<u>საქმიანობა: 4.4.4.4. ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ბენეფიციარების ბიზნეს იდეების დაფინანსე</u>

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი

ყოფილ პატიმართა ბიზნეს იდეების დაფინანსების მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ გამოაცხადა საგრანტო კონკურსი 180 000 ლარის ოდენობით, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია 40-მდე ბენეფიციარის ბიზნეს იდეის დაფინანსება. გარდა შიდა საგრანტო კონკურსისა, პროგრამის სოციალური მუშაკები რეგულარულად ამისამართებენ საჭიროების მქონე ბენეფიციარებს პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლების დახმარებითაც პროგრამის 26 ბენეფიციარს დაფინანსდა ბიზნეს იდეა.

მიზანი: 4.5. პენიტენციური სისტემის მართვა, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომებით

ამოცანა: 4.5.1. მსჯავრდებულთა კლასიფიკაციის, შემთხვევის მართვის, რისკებისა და საჭიროებების შეფასების გზით სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის, რეკლასიფიკაციისა და გარდამავალი მენეჯმენტის (გათავისუფლების მზადების პროცესი და რეფერალის მექანიზმი) მეთოდოლოგიის სრულყოფა

ამოცანის ინდიკატორი: ყველა მსჯავრდებულის საშიშროების რისკი განსაზღვრულია და განთავსებულია შესაბამის დაწესებულებაში; ქცევაზე დაფუძნებული რისკის შეფასების ინსტრუმენტში შეტანილია ცვლილებები რომელიც ეფუზნება კლასიფიკაციის/საშიშროების შეფასების ინსტრუმენტი ობიექტურ, ქულათა დაჯამების სისტემას; შეფასებულია პილოტირების შედეგები და რეკომენდაციების გათვალისწინებულია იმპლემენტაციის პროცესში;

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა: 4.5.1.2.</u> *<u>მულტიდისციპლინური გუნდის მიერ საშიშროების რისკის შეფასება და მსჯავრდებულთა შესაბამის დაწესებულებაში განთავსების შესახებ საკითხის პერიოდული გადახედვა</u>*

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

პენიტენციური და დანაშაულის სისტემების განვითარების სტრატეგიისა და ორწლიანი სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოს პენიტენციურ სისტემაში ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ინტეგრირებას.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულის რისკების შეფასების გუნდის მიერ სისტემატიურად, უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს მსჯავრდებულთათვის საშიშროების რისკების შეფასებისა და გადაფასების პროცედურა, რომლის საფუძველზეც სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის ბრძანებით მსჯავრდებულები თავსდებიან შესაბამისი რისკის პენიტენციურ დაწესებულებებში.

რაც შეეხება ქცევაზე დაფუძნებული რისკის შეფასების ინსტრუმენტებს და ქულათა დაჯამების სისტემას - დღეის მდგომარეობით აღნიშნული სისტემა არ მოქმედებს.

<u>საქმიანობა: 4.5.1.3</u>. *<u>N16, N5 და N17 პენიტენციურ დაწესებულებებში შემთხვევის მართვის თანამედროვე მეთოდით მუშაობა და რისკებისა და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტის პილოტირება და დანერგვა</u>*

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ევროკავშირის პროექტის EU4Justice მხარდაჭერით, წლის განმავლობაში სამუშაო ჯგუფი პენიტენციური, პრობაციისა და დანაშაულის პრევენციის შემადგენლობით მუშაობდა ბრიტანელი ექსპერტის ჩართულობით რისკისა და საჭიროების კითხვარის და მნიშვნელოვანი ზიანის რისკის სკრინინგის ფორმების სრულყოფაზე.

ამოცანა: 4.5.2. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების მიმართულებით: საჩივრების მექანიზმთან, დისციპლინურ და ადმინისტრაციულ პროცედურებთან დაკავშირებით ეფექტური, მათ შორის, შშმ პირებისათვის ხელმისაწვდომი მეთოდებით ინფორმაციის მიწოდების გზით

ამოცანის ინდიკატორი: ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უფლებებისა და მოვალეობების ამსახველი ბუკლეტები სხვადასხვა ენებზე ნათარგმნი, გამოცემული და ხელმისაწვდომია მსჯავრდებულ/ბრალდებულებისათვის პენიტენციურ დაწესებულებებში; შემცირებულია შესაბამისი საჩივრების რაოდენობა;

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა: 4.5.2.1. მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა უფლებების შესახებ საინფორმაციო ბროშურების და პლაკატების განახლება დაბეჭდვა, დარიგება და თავალსაჩინო ადგილას განთავსება (აზერბაიჯანულ, სომხურ, თურქულ, რუსულ, ინგლისურ, არაბულ და სპარსულ ენებზე)</u>

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

პატიმართა უფლებების შესახებ განახლებული ინფორმაციის საფუძველზე შეიქმნა ტექსტური ვიდეო რგოლები, რომლებიც ხელმისაწვდომია ყველა დაწესებულებაში ბრალდებულ/მსჯავრდებულებისთვის ერთ-ერთ სატელევიზიო არხზე.

<u>საქმიანობა: 4.5.2.2. საგანმანათლებლო კონსულტაციების ან/და ჯგუფური შეხვედრების გამართვა ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის, მათ შორის, შშმ პირებისათვის, მათი უფლებების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად</u>

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

საანგარიშო პერიოდში ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებების შესახებ ტრენინგი 777-მა მსჯავრდებულმა გაიარა; მათ შორის, არასრულწლოვანმა ბრალდებულ/მსჯავრდებულებმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, ხოლო ქალმა მსჯავრდებულებმა - ბანგკოკის წესების გათვალისწინებით. ყველა უცხოელი ბრალდებულ-მსჯავრდებული უზრუნველყოფილია სათარჯიმნო მომსახურებით როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით.

ამოცანა: 4.5.3. უცხოელ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა

ამოცანის ინდიკატორი: ეროვნული და საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმების/ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშები

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა: 4.5.3.1. უცხოელ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს მათთვის გასაგებ ენაზე განემარტოთ, მათი უფლებები და მოვალეობები, ციხის რეჟიმის პირობები, იურიდიული კონსულტაციის და დახმარების უფლება</u>

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო.

ამოცანა: 4.5.4. პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული გასაჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

ამოცანის ინდიკატორი: გასაჩივრებათა რაოდენობა შიდამონიტორინგის ანგარიშების შესაბამისად; გასაჩივრების არსებულ მექანიზმებში გამოვლენილი ხარვეზების შესახებ პერიოდული ანალიზის შესაბამისად განხორციელებული ცვლილებები

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

***საქმიანობა: 4.5.4.1**. გასაჩივრების არსებული მექანიზმის ხარვეზების პერიოდული შესწავლა;*

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

***საქმიანობა: 4.5.4.2.** გასაჩივრების მექანიზმის შესწავლის შემდგომ შესაბამისი ცვლილებების განხორციელება*

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის გარანტირებულია პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებულ საკითხებზე გასაჩივრების უფლება. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მხრიდან ხდება საჩივრის წარდგენა უფლებამოსილ ორგანოებსა და საერთო სასამართლოებში. ყველა დაწესებულებაში ხელმისაწვდომია საჩივრის ყუთები.

2018 წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, საჩივრის ყუთის მეშვეობით, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული ბრალდებულების/მსჯავრდებულების მიერ 3811 კონფიდენციალური მოთხოვნა/საჩივარი იქნა გაგზავნილი ადრესატებისთვის.

პატიმრობის კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით დაიხვეწა ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ კონფიდენციალური საჩივრის გაგზავნასთან დაკავშირებული პროცედურებიც, კერძოდ, გარდა იმისა, რომ პენიტენციური დაწესებულება უზრუნველყოფს საჩივრის კონფიდენციალურობის დაცვას, იმ შემთხვევაში თუ კონფიდენციალურ საჩივარზე ადრესატი მითითებული არ არის ან მასზე მითითებული ადრესატის იდენტიფიცირება შეუძლებელია, პენიტენციური დაწესებულება საჩივრის კონვერტის ნომრის და საჩივრის გაგზავნაზე უარის თქმის მიზეზის შესახებ ინფორმაციას საჩივრების ყუთთან, თვალსაჩინო ადგილზე გამოაკრავს. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, 2 კვირის ვადაში დაიბრუნოს კონფიდენციალური საჩივარი. პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია შეინახოს საჩივარი არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა, ხოლო ამ ვადის ამოწურვისთანავე გაანადგუროს იგი.

პატიმრობის კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით კიდევ უფრო დაიხვეწა არსებული მექანიზმი, კერძოდ, ადგილობრივი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმი გახდა უფრო ეფექტური და სასამართლოს მიეცა საშუალება სადავო საკითხთან დაკავშირებით მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: 1. ძალაში დატოვოს სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება; 2. სადავო საკითხის გადაუწყვეტად ბათილად ცნოს სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს დაავალოს სათანადო გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი აქტის გამოცემა; 3. ბათილად ცნოს სამინისტროს

ადგილობრივი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და დაავალოს მას პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. გადაწყვეტილების უკანასკნელი ფორმა წარმოადგენს სიახლეს. სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება აღსასრულებლად მიექცევა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაში მითითებული ვადის შესაბამისად.

2018 წელს, თბილისის საქალაქო სასამართლოში გასაჩივრებული იქნა ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებული 144 გადაწყვეტილება. გასაჩივრებული გადაწყვეტილებებიდან:

- სრულად დაკმაყოფილდა (გათავისუფლების თაობაზე) 4 სარჩელი;
- ნაწილობრივ დაკმაყოფილდა (ხელახლა განხილვა) 38 სარჩელი;
- არ დაკმაყოფილდა 74 სარჩელი;
- გახმობილი იქნა 11 სარჩელი;
- საქმისწარმოება შეწყდა 5 სარჩელზე;
- განუხილველი დარჩა 1 სარჩელი;
- საქმისწარმოება არ დასრულებულა 11 სარჩელზე.

ამოცანა: 4.5.5. ბრალდებულ/მსჯავრდებულთა პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონისა და საერთაშორისო ვალდებულებების მიხედვით

ამოცანის ინდიკატორი: ბრალდებულ მსჯავრდებულთა პირადი ცხოვრების უფლების სავარაუდო დარღვევების შესახებ საჩივრების რაოდენობა შემცირებულია; ყველა პენიტენციური დაწესებულების დოკუმენტაცია დაარქივებულია

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა: 4.5.5.1. პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროებაზე პასუხისმგებელი პირების ცნობიერების ამაღლება</u>

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და საჯარი ინფორმაციის გაცემის წესის შესახებ ხდება თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება. საკითხი შედის შემდეგ სასწავლო პროგრამებში:

- პროგრამა საზოგადოებრივი მისაღების თანამშრომელთათვის (გადამზადებულია 43 მოსამსახურე);
- სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გამოსაცდელი ვადით დანიშნულ მოსამსახურეთა მომზადების პირველი დონის სასწავლო კურსი (გადამზადებულია 35 მოსამსახურე);
- სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გამოსაცდელი ვადით დანიშნულ მოსამსახურეთა მომზადების მეორე დონის სასწავლო კურსი (გადამზადებულია 216 მოსამსახურე);

- სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გამოსაცდელი ვადით დანიშნულ მოსამსახურეთა მომზადების მესამე დონის სასწავლო კურსი - სასწავლო პროგრამა სპეციალური შემოწმების სამმართველოს მოსამსახურეთათვის (გადამზადებულია 37 მოსამსახურე);
- „პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტები: ქმედითი უსაფრთხოება და ადამიანის უფლებები“ (პენიტენციური დაწესებულების დირექტორების, დირექტორის მოადგილეებისა და განყოფილების უფროსებისათვის). გადამზადებულია პენიტენციური დაწესებულების ყველა დირექტორი, დირექტორის მოადგილე და განყოფილების უფროსი - სულ 80 მონაწილე.

<u>საქმიანობა: 4.5.5.2.</u> *<u>არქივის ცენტრალიზების ფარგლებში პენიტენციურ დაწესებულებათა დაარქივებული დოკუმენტაცია ეტაპობრივად გადაეცემა და დარჩენილის კანონის შესაბამის ვადაში განადგურება (ცენტრალიზების პროცესი დაწყებულია).</u>*

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

სპეციალური პენიტენციური სამსახურის დოკუმენტაციის უმეტეს ნაწილს წარმოადგენს, მსჯავრდებულთა პირადი საქმეები. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, პირის ნასამართლობა, ადმინისტრაციული პატიმრობა, პირის აღკვეთის ღონისძიების შეფარდება, პირთან საპროცესო შეთანხმების დადება, განრიდება, დანაშაულის მსხვერპლად აღიარება ან დაზარალებულად ცნობა წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს. პერსონალური ინფორმაციის დამუშავებისთვის კი აუცილებელია არსებობდეს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი.

„ეროვნული საარქივო ფონდის და ეროვნული არქივის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მიხედვით განსაზღვრულია ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების მუდმივად შენახვის უფლების მქონე ორგანოები. ვინაიდან, სპეციალური პენიტენციური სამსახური კანონით არ არის განსაზღვრული ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების მუდმივად შენახვის უფლების მქონე ორგანოდ, ამავდროულად, არქივის სამმართველოში დაცული დოკუმენტაცია მოიცავს 1930-1945 პერიოდს, შესაძლოა მას გააჩნდეს ისტორიული, მეცნიერული, კულტურული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობა. აგრეთვე „დაწესებულებებში ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დროებით შენახვის ზღვრული ვადების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №362 ბრძანების პირველი პუნქტით დადგენილი დროებითი შენახვის ზღვრული 15-წლიანი ვადის გასვლასთან დაკავშირებით დოკუმენტაცია საჭიროებს გადახედვას. ამდენად, არსებული დოკუმენტაციის სამეცნიერო - ტექნიკური დამუშავების, ექპერტიზის ჩატარებისა და შემდგომი შენახვის, დაცვისა და გამოყენების მიზნით, ადმინისტრაციული დეპარტამენტის არქივის სამმართველოში დაცული დოკუმენტაცია გადაეცა სსიპ - საქართველოს ეროვნულ არქივს.

ამოცანა: 4.5.6. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვა პენიტენციურ დაწესებულებებში

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა: 4.5.6.1. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომაზე მაღალი და შუა რგოლის მენეჯერების გადამზადება</u>

პასუხისმგებელი უწყება: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ევროკავშირის „პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის“ პროექტის ფარგლებში, მოწვეული ექსპერტების დახმარებით შემუშავებულ იქნა პენიტენციური დაწესებულებების მაღალი და შუა რგოლის მენეჯერებისათვის (დაწესებულების დირექტორები, დირექტორის მოადგილეები და განყოფილების უფროსები) მომზადების კურსი. 2018 წელს ექვსეტაპიანი კურსების ფარგლებში მომზადება გაიარა პენიტენციური დაწესებულების ყველა დირექტორმა, დირექტორის მოადგილემ და განყოფილების უფროსმა.

5. წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლა

მიზანი: 5.1. ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის უზრუნველსაყოფად ძალისხმევის გაძლიერება

ამოცანა: 5.1.1. არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი, პროცედურული და ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება

ამოცანის ინდიკატორი: გაანალიზებული და, საჭიროების შემთხვევაში, გაუმჯობესებულია შესაბამისი საკანონმდებლო, კანონქვემდებარე აქტები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; შესაბამის უწყებების ინსტიტუციონალური სტრუტურა; შესაბამისი ცვლილებები მომზადებულია ნორმატიულ აქტებში; შემუშავებულია ახალი საკანონმდებლო აქტი

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა: 5.1.1.1. არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი ბაზის ანალიზი და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში არასათანადო მოპყრობის შესახებ განცხადებებისა და არასათანადო მოპყრობის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში მოსამართლეებისა და პროკურორების როლის გაზრდის მიზნით.“</u>

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო).

2018 წლის 18 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილება, რომლის ძალითაც გაიზარდა მოსამართლეთა უფლებამოსილებები წამების, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობის სავარაუდო ფაქტებზე რეაგირების თვალსაზრისით. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატა 191[1] მუხლი, რომელიც განამტკიცებს, რომ თუ სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე მოსამართლეს გაუჩნდა ეჭვი, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ

განხორციელდა წამება, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობა, ან თუ ამის შესახებ თავად ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა განუცხადა სასამართლოს, მოსამართლეს შეუძლია რეაგირებისათვის მიმართოს შესაბამის საგამოძიებო ორგანოს და მეტიც, უფლებამოსილია, განჩინებით დაავალოს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურ დირექტორს ასეთი ბრალდებულის/მსჯავრდებულის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი განსაკუთრებული ზომების მიღება. აღნიშნული ცვლილება ამოქმედდება 2019 წლის 1-ლი ივლისიდან.

<u>საქმიანობა: 5.1.1.2. შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფსიქიატრიული დაწესებულებების შიდა მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება</u>

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო).

2018 წლის ივნის-ივლისში, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ევროპის 25 ქვეყანაში (მათ შორის საქართველოში) ჩატარდა ფსიქიატრიული დაწესებულებების კვლევა WHO QualityRights tool kit-ის გამოყენებით ფსიქიკურ დაწესებულებებში ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

კითხვარი მოიცავდა შემდეგ საკითხებს: სერვისის მიმღებთა კონფიდენციალობის დაცვა; სერვისის მიმღებთათვის კეთილგანწყობილი გარემო; სოციალური და პირადი ცხოვრების უფლება და საზოგადოებრივ საქიანობაში ჩართულობა; მკურნალობის ხელმისაწვდომობა; პერსონალის კვალიფიკაცია და სერვისების ხარისხი; ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია; მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა; ზოგადი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისთვის ადეკვატური მომსახურების ხელმისაწვდომობა; პროცედურები და გარანტიები თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის გარეშე დაკავებისა და მკურნალობის თავიდან ასაცილებლად; სიტყვიერი, ფსიქიკური, ფიზიკური და სექსუალური ძალადობისა და ფიზიკური და ემოციური გულგრილობისგან პაციენტის უფლებების დაცვა; პოტენციური კრიზისის დე-ესკალაციისთვის იზოლაციისა და შებოჭვის ალტენატიული მეთოდების გამოყენების მექანიზმები; წამების ან სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებისგან დაცვის უზრუნველსაყოფად არსებული ზომები; სერვისების მომხარებელთათვის განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობა; სერვისის მომხმარებელთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის და გაერთიანების თავისუფლების უფლებების მხარდაჭერა და ა.შ. ჯანმოს მიერ შედეგების ანალიზის წლის ბოლოსთვის წარედგინება სამინისტროს.

WHO QualityRights tool kit კითხვარი საფუძვლად დაედება შიდა ინსპექტირებისა და მონიტორინგის მექანიზმების შემუშავებას. 2018 წლის ნოემბერში სამინისტროს თანამშრომლებმა გაიარეს ტრენინგი WHO QualityRights tool kit კითხვარის გამოყენებასთან დაკავშირებით.

მიმდინარე წლის მარტი-აგვისტოს პერიოდში დაგეგმილია ყველა ფსიქიატრიული სტაციონარული სერვისების მიმწოდებელი დაწესებულების შეფასება აღნიშნული კოთხვარით.

ამოცანა: 5.1.2. წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების დოკუმენტირება სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისად

ამოცანის ინდიკატორი: წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფორმების შესახებ სამედიცინო პერსონალისთვის ჩატარებულია კვლაიფიკაციის ასამაღლებელი ტრეინინგები სუპერვიზიის საფუძველზე შემუშავებულია ანგარიშები

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა: 5.1.2.1. წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფორმების შესახებ სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებ</u>

პასუხისმგებელი უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

2018 წელს სტამბოლის ოქმის მიხედვით დაზიანებების აღწერისა და მათი დოკუმენტირების თემაზე გადამზადდა როგორც დასაქმებული, ასევე დასასაქმებელი სამედიცინო პერსონალიც (ვრცლად იხილეთ საქმიანობა 3.1.1.3).

2016 წლის 26 ოქტომბერს ძალაში შევიდა „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის №131 ბრძანება. ბრძანებით გათვალისწინებული საკითხების პრაქტიკაში დანერგვის მიზნით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლოს ცენტრში ჩატარდა ტრენინგი - "პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვა", რომლის ფარგლებში გადამზადებულია 196 ექიმი-სპეციალისტი.

ბრძანებით გათვალისწინებული საკითხების ეფექტური იმპლემენტაციის მიზნით პენიტენციური სისტემის სამედიცინო პერსონალის (სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტი, პენიტენციური დაწესებულებების საექიმო-სამედიცინო პუნქტების მთავარი ექიმები და ექიმები) გადამზადებისათვის შემუშავდა სასწავლო პროგრამა „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვა“.

აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს სისტემაში დასაქმებული უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პერსონალისათვის თეორიული მასალის მიწოდებისა და პრაქტიკული სავარჯიშოების ჩატარების გზით ისეთი მნიშვნელოვანი თემატიკის სწავლებას, როგორიცაა:

- წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა - ტერმინთა განმარტება და დოკუმენტირების სამართლებრივი ასპექტები;
- სავალდებულო შეტყობინების წესი და მისი დოკუმენტირება, წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის (სქესობრივი ძალადობის ჩათვლით) შესახებ ეჭვის არსებობის შემთხვევაში; ფოტოაპარატის და მასში არსებული ინფორმაციის შენახვისა და უფლებამოსილი პირებისათვის წარდგენის წესი და პირობები;
- სხეულის დაზიანების ფერადი ფოტოგადაღება სპეციალურად გამოყოფილი ფოტოაპარატით;

- ინტერვიუ პაციენტთან და წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის დოკუმენტირების ეთიკური ასპექტები;
- წამებებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ადამიანის ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მტკიცებულებანი, დიაგნოსტიკური გამოკვლევის მეთოდები;
- სხეულის დაზიანების სახეების ზოგადი მიმოხილვა, მათი იდენტიფიცირება, ლოკალიზაციისა და ხანდაზმულობის სავარაუდო ვადის განსაზღვრა;
- პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვა და დოკუმენტირება.

2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, 14 შემთხვევაში განხორციელდა პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული ბრალდებულის/მსჯავრდებულის სხეულზე დაზიანებების აღრიცხვა და განხორციელდა მათი ფოტოგადაღება, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის №131 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

<u>საქმიანობა: 5.1.2.2.</u> *<u>წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფორმების სუპერვიზია და შიდა მონიტორინგის მექანიზმის შექმნა</u>*

პასუხისმგებელი უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

სტამბოლის ოქმის შესაბამისად, სამედიცინო პერსონალის მიერ დოკუმენტაციის წარმოებაზე სუპერვიზიასა და მონიტორინგს ახორციელებს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამედიცინო მომსახურების სამსახური.

პენიტენციური დაწესებულებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალი, პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვას, დოკუმენტირებასა და ფოტოგრაფირებას ახორციელებს „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის N131 ბრძანებით დამტკიცებული წესისა და ფორმების მიხედვით.

ზემოაღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვისა და დოკუმენტირების წესი, გაეროს საერთაშორისო დოკუმენტის - სტამბოლის პროტოკოლის რეკომენდაციების საფუძველზე ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის - „ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის დაწესებულებებში“ დახმარებით შემუშავდა. ბრძანების მიზანს წარმოადგენს, სამედიცინო პერსონალის მიერ სამედიცინო სახის მტკიცებულებათა დროული და ზუსტი დოკუმენტირების მეშვეობით, პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ფაქტების ეფექტური, სწრაფი და მიუკერძოებელი გამოძიების ხელშეწყობა. მასში დეტალურადაა გაწერილი სამედიცინო შემოწმების დაწყების წინაპირობებთან, ექიმის ვალდებულებებთან, მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობასთან და ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შემდგომში

გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებული საკითხები.

ბრძანება ძალაში შევიდა 2017 წლის პირველი აპრილიდან და წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის, დოკუმენტირებისა და ფოტოგრაფირების საკითხებზე მომზადება გაიარა პენიტენციურ სისტემაში დასაქმებულმა მედპერსონალმა.

ამოცანა: 5.1.3. გამოძიების დამოუკიდებლობის, ეფექტანობისა და გამჭვირვალობის ხარისხის გაზრდის ხელშეწყობა

ამოცანის ინდიკატორი: გამოძიების სრულფასოვანი, დამოუკიდებელი და ეფექტიანი მექანიზმის შექმნის მიზნით შემუშავებულია საკანონმდებლო ჩარჩო რომელიც შესაბამისობაშია საერთაშორისო რეკომენდაციებთან

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა: 5.1.3.1.</u> *<u>სასჯელაღსრულების სისტემაში, პოლიციის დაწესებულებებსა და სხვა დახურულ დაწესებულებებში წამებასა და სხვა სასტიკ მოპყრობასთან დაკავშირებით წაყენებული ბრალდებების გამოძიების სრულფასოვანი, დამოუკიდებელი და ეფექტიანი მექანიზმის შექმნის მიზნით საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება;</u>*

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო)

იუსტიციის სამინისტროს ეგიდით შემუშავებული კანონპროექტის საფუძველზე 2018 წლის 21 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "სახელმწიფო ინსპექციის შესახებ".

კანონი ითვალისწინებს სახელმწიფო ინსპექტორის სახით ახალი, ინსტიტუციურად დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნას, რომელიც პასუხისმგებელია სამართალდამცავებისა და საჯარო მოხელეების მიერ ჩადენილ დანაშაულთა ცალკეულ კატეგორიებზე მიუკერძოებლად და ეფექტურად გამოიძიებაზე. კონკრეტულად, სახელმწიფო ინსპეტორის საგამოძიებო კომეპტენციაში შედის, მათ შორის, წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის დანაშაულები.

სახელმწიფო ინსპექტორის უფლებამოსილების მნიშვნელობის გათვალისწინებით, კანონი უზრუნველყოფს სახელმწიფო ინსპექტორის დამოუკიდებლობის გარანტიებს; კერძოდ, სახელმწიფო ინსპექტორი დამოუკიდებელია და არ ექვემდებარება რომელიმე თანამდებობის პირს ან ორგანოს. სახელმწიფო ინსპექტორის სახელმწიფო ინსპექტორისა და სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობის პირის ზეგავლენა ან სახელმწიფო ინსპექციის საქმიანობაში ჩარევა აკრძალულია და ისჯება კანონით; სახელმწიფო ინსპექტორმა შეიძლება უარი თქვას ჩვენებების მიცემაზე ისეთ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც სახელმწიფო ინსპექტორის საქმიანობას უკავშირდება. ეს უფლება სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობის დატოვების შემდეგაც უნარჩუნდება. თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, არავის აქვს უფლება, მოსთხოვოს სახელმწიფო ინსპექტორს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე ანგარიშის ან ინფორმაციის მიწოდება, თუ ეს გამოიწვევს გამოძიების შეფერხებას.

ამოცანა: 5.1.4. არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა დაცვის, კომპენსაციისა და რეაბილიტაციის ხელშეწყობა

ამოცანის ინდიკატორი: შესწავლილია სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის პოტენციალი; მსხვერპლთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის ფორმირების მიზნით არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაზრდილი თანამშრომლობა; ჩატარებული კვლევის შედეგები და წარმოდგენილი რეკომენდაციების პაკეტი;

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა: 5.1.4.1. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის პოტენციალის სრულად შესწავლა და იურიდიული დახმარების არსებული კანონმდებლობის ანალიზი</u>

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური აქტიურად თანამშრომლობს ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან. საკოორდინაციო საბჭომ, 2018 წელს, განახორციელა არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთათვის ეფექტიანი იურიდიული დახმარებისა და სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მარეგულირებელი მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი, ასევე ჩაატარა არსებული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შედარებითი კვლევა. კანონმდებლობის ანალიზი ეხებოდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა:

- წამების ან მასთან დაკავშირებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში დაზარალებულისთვის სტატუსის მინიჭების შესახებ პროკურორის უარის სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობის მიცემა;
- სტატუსით მოსარგებლე დაზარალებულისთვის უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის მინიჭების საკითხის განხილვა წამების ან მასთან დაკავშირებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.

აღნიშნული საკანონმდებლო ანალიზის სრულყოფაში იურიდიული დახმარების სამსახურმა, თავისი აქტიური ჩართულობით, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

რაც შეეხება სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის პოტენციალის სრულად შესწავლას, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემთხვევაში, ეს შესაძლებელი იქნება. იურიდიული დახმარების სამსახურს საშუალება ექნება საკანონმდებლო რეგულაციების შესაბამისად, საკოორდინაციო საბჭოსთან და ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, განსაზღვროს სამსახურის პოტენციალის გაზრდის შესაძლებლობა, მატერიალური და ფინანსური ბაზის გაუმჯობესების საჭიროება.

მიზანი: 5.2. ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მყოფ პირთა ჯანმრთელობის უფლების დაცვა

ამოცანა: 5.2.1.ჯანმრთელობის დაცვის სერვისების გაუმჯობესება

ამოცანის ინდიკატორი: ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მყოფი მკურნალობისა სერვისები გაუმჯობესებულია

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

საქმიანობა: 5.2.1.1. *ფსიქიატრიულ დაწესებულებებში (მ.შ. სასჯელაღსრულების სისტემის სამკურნალო დაწესებულებების ფსიქიატრიულ განყოფილებებში) მყოფი პირების უზრუნველყოფა ფსიქიკური და სომატური ჯანმრთელობის თანამედროვე სერვისებით, მათ შორის ამბულატორიული სერვისებით.*

პასუხისმგებელი უწყება: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

არანებაყოფლობით ფსიქიატრიულ სტაციონარულ მკურნალობაზე მყოფი ყველა ის პაციენტი, რომელიც წარმოადგენს საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის და სხვა სახელმწიფო პროგრამების ბენეფიციარს, უფლებამოსილია სომატური დაავადებების სამკურნალოდ ისარგებლოს აღნიშნული პროგრამებით. რეფერალური პროგრამის ფარგლებში, შესაძლებელია, განხილულ იქნას იმ მომსახურების დაფინანსების საკითხი, მიუხედავად პაციენტის მოქალაქეობისა, რომლებიც არ იფარება ზემოაღნიშნული სახელმწიფო პროგრამებით ან დაზღვევით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ამოცანა: 5.2.2. იძულების ღონისძიებების გამოყენების პრინციპებისა და პროცედურების შემუშავება

ამოცანის ინდიკატორი: შემუშავებულია და დამტკიცებულია ცვლილებები კანონქვემდებარე აქტებში

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

საქმიანობა: 5.2.2.1. *ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პაციენტისათვის ფიზიკური და ქიმიური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების წესისა და პროცედურების შესახებ შესაბამისი ფსიქიკური ჯანმრთელობის საკანონმდებლო აქტების გადახედვა და განახლება.*

პასუხისმგებელი უწყება: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერით დაიწყო მუშაობა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პაციენტისათვის ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების განახლებასა და და ქიმიური შეზღუდვის წესისა და პროცედურების შემუშავებაზე. მუშაობის დასრულება იგეგმება მიმდინარე წლის ივლისში.

6. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

მიზანი 6.1. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პატივისცემის უზრუნველყოფა და პერსონალური მონაცემების დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრება

ამოცანა 6.1.1. პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობის შემდგომი დახვეწა ევროკავშირის მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან დაახლოების გზით

ამოცანის ინდიკატორი: განხორციელებულია საკანონმდებლო ცვლილებები, მიღებულია კანონქვემდებარე აქტები

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

საქმიანობა 6.1.1.1. *პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონში ცვლილებების შესახებ საკანონმდებლო წინადადების წარდგენა ევროპის საბჭოს 108-ე კონვენციის მოდერნიზებული ტექსტის და ევროკავშირის პერსონალური მონაცემების დაცვის ახალი რეგულაციის ძირითადი პრინციპების გათვალისწინება*

პასუხისმგებელი უწყება: პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი

ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (ძალაში შევიდა 2018 წლის 25 მაისს) და ევროპის საბჭოს 108 კონვენციის მოდერნიზების გათვალსიწინებით, ინსპექტორის აპარატმა მოამზადა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ახალი კანონის პროექტი. შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ ადგილობრივი და ევროპელი მოწვეული ექსპერტები.მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის განახლების საჭიროება განხილულ იქნა საქართველოს პარლამენტის, მთავრობისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან.

საქმიანობა 6.1.1.2. *კანონქვემდებარე აქტების შემუშავება და განახლება პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად*

პასუხისმგებელი უწყება: პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი, საქართველოს მთავრობა

აქტივობის შესრულება და შესრულების ვადა დამოკიდებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს ახალი კანონის მიღებაზე.

საქმიანობა 6.1.1.3. *პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარების მომზადება*

პასუხისმგებელი უწყება: *პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი*

აქტივობის შესრულება და შესრულების ვადა დამოკიდებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს ახალი კანონის მიღებაზე.

ამოცანა 6.1.2. პერსონალური მონაცემების დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრება, როგორც კერძო ისე საჯარო სექტორში, კანონმდებლობის პრაქტიკაში ეფექტური დანერგვის გზით

ამოცანის ინდიკატორი: განხორციელებული ინსპექტირებების რაოდენობა გაზრდილია 10%-ით წინა წელთან შედარებით; განხილულია განცხადებები; გაცემულია კონსულტაციები; ჩატარებულია ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები; მომზადებულია წელიწადში სულ მცირე ორი რეკომენდაცია

ამოცანის შესრულების სტატუსი: სრულად შესრულებული

საქმიანობა 6.1.2.1. *ინსპექტირებების განხორციელება საჯარო სექტორში, მათ შორის სამართალდამცავ უწყებებში*

პასუხისმგებელი უწყება: პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი

2018 წელს ინსპექტორის აპარატმა განახორციელა საჯარო სექტორის, მათ შორის, სამართალდამცავი სექტორის, მონაცემთა დამმუშავებლების ინსპექტირება, საანგარიშო პერიოდში ინსპექტორის აპარატმა შეისწავლა საჯარო სექტორში მონაცემთა დამუშავების 115 ფაქტი, ასევე, 20 ინსპექტირების ფარგლებში სამართალდამცავი ორგანოების მიერმონაცემთა დამუშავების 70-მდე პროცესი.

საქმიანობა 6.1.2.2. *ინსპექტირებების განხორციელება კერძო სექტორში*

პასუხისმგებელი უწყება: პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი

საანგარიშო პერიოდში ინსპექტორის აპარატმა მოქალაქეთა განცხადებების განხილვისა და ინსპექტირებების შედეგად კერძო სექტორში მონაცემთა დამუშავების 355 შემთხვევა შეისწავლა.

საქმიანობა 6.1.2.3. *მოქალაქეთა განცხადებების განხილვა და გამოვლენილ დარღვევებზე ეფექტური რეაგირება*

პასუხისმგებელი უწყება: პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი

2018 წელს ინსპექტორის აპარატმა შეისწავლა მოქალაქეთა 382 განცხადება და შეტყობინება

საქმიანობა 6.1.2.4. *საჯარო და კერძო დაწესებულებებისთვის ტრენინგების უზრუნველყოფა*

პასუხისმგებელი უწყება: პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი

2018 წელს ინსპექტორის აპარატმა ჩაატარა 38 ტრენინგი, საჯარო ლექცია და საინფორმაციო შეხვედრა, ჯამში 1200-მდე მონაწილე, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის და საგანამანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები.

საქმიანობა 6.1.2.5. *საჯარო და კერძო დაწესებულებებისთვის კონსულტაციების უზრუნველყოფა პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებზე*

პასუხისმგებელი უწყება: პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი

საანგარიშო პერიოდში ინსპექტორის აპარატმა გასწია 6101 კონსულტაცია, აქედან კონსულტაციების 50%-ი გაეწია მოქალაქეებს, 35 %- კერძო ორგანიზაციებს, ხოლო 15 % საჯარო უწყებებს. კონსულტაციის თემატიკა შეეხებოდა მონაცემთა დამუშავების საფუძვლებს, მონაცემთა გასაჯაროებას, ფაილური სისტემის კატალოგის წარმოებას, სუბიექტის უფლებებს, კანონის მოქმედების სფეროს და ა.შ.

<u>საქმიანობა 6.1.2.6. პირადი ცხოვრების ხელშეუხლებლობის უფლების დარღვევის ფაქტების იდენტიფიცირება, გამოძიება და სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება</u>

პასუხისმგებელი უწყება: შსს, მთავარი პროკურატურა

2018 წელს პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფის ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 8 პირის მიმართ, ხოლო პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის ფაქტზე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 14 პირის მიმართ.

ამოცანა 6.1.3. პერსონალური მონაცემების დაცვაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოს ინსტიტუციური გაძლიერება და ეფექტურობის ზრდა

ამოცანის ინდიკატორი: დანერგილია საქმისწარმოების სისტემა; განახლებულია ტექნიკური ინფრასტრუქტურა; ამაღლებულია თანამშრომელთა კვალიფაკაცია; განხორციელებულია პროექტები სხვა ქვეყნის საზედამხედველო ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად; დადებულია თანამშრომლობის მემორანდუმები

ამოცანის შესრულების სტატუსი: სრულად შესრულებული

<u>საქმიანობა 6.1.3.1. სპეციალური საქმისწარმოების სისტემის შექმნა და დანერგვა და ტექნიკური ინფრასტრუქტურის განახლება</u>

პასუხისმგებელი უწყება: პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი.

ევროკავშირისა და გაეროს განვიტარების პროგრამის ერთბლივი პროექტის "ადამიანის უფლებები ყველასთვის" დახმარებიტ ინსპექტორის აპარატმა დანერგა საქმისწარმოების (Case-management) ახალი სისტემა. საქმის წარმოების პროგრამა ონლაინ პლატფორმაა, რომელიც მოქალაქეებს, ორგანიზაციებსა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ოფისს შორის კომუნიკაციის მარტივ და ეფექტიან მექანიზმს წარმოადგენს. ამ პლატფორმის მეშვეობით, მოქალაქეებს და ორგანიზაციებს შეუძლიათ მიიღონ კონსულტაციები, გააგზავნონ შეტყობინება და განაცხადი, ასევე ნებისმიერ დროს თვალი ადევნონ, თუ რა ეტაპზეა მათთვის აქტუალური საკითხის განხილვა.

<u>საქმიანობა 6.1.3.2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის თანამშრომელთა სისტემატური გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება</u>

პასუხისმგებელი უწყება: *პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი*

2018 წელს ინსპექტორის აპარატის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს 18 ტრენინგსა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსში. გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა 40.

<u>საქმიანობა 6.1.3.3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება</u>

პასუხისმგებელი უწყება: *პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი*

ინსპექტორის აპარატის წარმომადგენლები რეგულარულად მონაწილეობენ საერთაშორისო და ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატებში (მათ შორის, საგაზაფხულო კონფერენცია, საერთაშორისო კონფერენცია). 2018 წლის ოქტომბრიდან ევროპის საბჭო (თბილისის ოფისი) ახორციელებს პროექტს საქართველოში

პერსონალურ მონაცემთა დაცვის გაძლიერების მიზნით, რომლის აქტივობების ფარგლებში ცართულია ინსპექტორის აპარატი. 2 აღსანიშნავია, რომ 2018 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი აირჩიეს ევროპის საბჭოს 108-ე კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტის T-PD) პირველ ვიცე-პრეზიდენტად.

ამოცანა 6.1.4. პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობა

ამოცანის ინდიკატორი: შემუშავებულია კომუნიკაციისა და საგანმანათლებლო სტრატეგია; ჩატარებულია საინფორმაციო შეხვედრები, სემინარები და ლექციები; განახლებულია ინსპექტორის აპარატის ვებგვერდი და ადაპტირებულია შშმ პირთათვის

ამოცანის შესრულების სტატუსი: სრულად შესრულებული

საქმიანობა 6.1.4.1. *კომუნიკაციისა და საგანმანათლებლო საქმიანობის სტრატეგიის შემუშავება*

პასუხისმგებელი უწყება: პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი

საანგარიშო პერიოდში ინსპექტორის აპარატმა შეიმუშავა კომუნიკაციის სტრატეგია (ევროკავშირისა და UNDP-ს ერთობლივი პროექტის "ადამიანის უფლებები ყველასთვის" მხარდაჭერით).

საქმიანობა 6.1.4.2. *საინფორმაციო შეხვედრების, სემინარების და ლექციებისა ჩატარება მიზნობრივი ჯგუფებისთვის*

პასუხისმგებელი უწყება: პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი

საანგარიშო პერიოდში ინსპექტორის აპარატმა ჩაატარა 38 ტრენინგი და საინფორმაციო შეხვედრა, ჯამში 1200-მდე მონაწილით, როგორც საჯარო ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის.

საქმიანობა 6.1.4.3. *საინფორმაციო მასალის დამზადება და გავრცელება*

პასუხისმგებელი უწყება: პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი

საანგარიშო პერიოდში ინსპექტორის აპარატმა შეიმუშავა ორი რეკომენდაცია/სახელმძღვანელო: ჯანდაცვის სფეროში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ და ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის შესახებ ("GDPR - რა უნდა ვიცოდეთ ევროკავშირის მონაცემთა დაცვის რეგულაციის შესახებ").აპარატმა განახორციელა და მონაწილეობა მიიღო არაერთ ცნობიერბის ამაღლების კამპანიაში : 28 იანვარი - პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ონლაინ კამპანია (ბლოგები - სულ 12 ბლოგპოსტი), გაეშვა პერსონალურ მონაცემთა ანბანის ინგლისური ვერსია; "აჭარის ტელევიზია" - გადაცემა "ჰეშთეგი" (რუბრიკა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ - სულ გავიდა 22 გადაცემა); ევროპის დღეებისადმი მიძღვნილი კამპანია თბილისსა და რეგიონებში, სადაც სხვა საგანმანათლებლო მასალებთან ერთად დარიგდა უმცირესობათა ენებზე მომზადებული საინფორმაციო ბუკლეტები; 26 მაისისადმი მიძღვნილი კამპანია "პერსონალური მონაცემები 100 წლის წინ", ასევე საიმიჯო ვიდეორგოლი პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობის თემაზე. მომზადდა და გაეშვა 10 ვიდეო ტუტორიალი პერსონალური მონაცემების დაცვის სხვადასხვა საკითხებზე.

საქმიანობა 6.1.4.4. *ვებ-გვერდის განახლება და ადაპტირება*

პასუხისმგებელი უწყება: პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი

საანგარიშო პერიდოში განახლდა ინსპექტორის აპარატის ვებგვერდი. განახლებული ვებგვერდი თავს

უყრის ინფორმაციას პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობის, მოქალაქეთა უფლებების, ორგანიზაციების ვალდებულებების შესახებ და მარტივ ენაზე, მულტიმედიური მასალების, ბლოგების, ვებპროექტებისა და ანიმაციის დახმარებით აწვდის ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. ვებგვერდი სრულად ადაპტირებულია უსინათლო და მცირედ მხედველი მოქალაქეებისათვის.

ამოცანა 6.1.5. სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად საქმიანობის განხორციელების მიზნით თანამშრომლებისთვის ცნობიერების ამაღლება

ამოცანის ინდიკატორი: ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა; მონაწილეთა რაოდენობა

ამოცანის შესრულების სტატუსი: სრულად შესრულებული

<u>საქმიანობა 6.1.5.1. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებისა და დაცვის საკითხებზე ტრენინგების ორგანიზება და ჩატარება ახალი თანამშრომლებისთვის</u>

პასუხისმგებელი უწყება: იუსტიციის სამინისტროს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

2018 წელს ჩატარდა 2 ტრეინიგი. ტრეინინგს დაესწრო სსიპ სახელმწიფო სერვისების განვიტარების სააგენტოს 52 თანამშრომელი (მათ შორის, ახალი თანამშრომლები და ის თანამშრომლები, რომლებსაც არ ჰქონდათ გავლილი ტრეინინგი პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით).

ამოცანა 6.1.6. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მონაცემთა ბაზის ადმინისტრირების წესის გადახედვა და დახვეწა

ამოცანის ინდიკატორი: შემუშავებულია კანონქვემდებარე აქტი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა 6.1.6.1 საკითხის ტექნიკური მხარის შესწავლა</u>

პასუხისმგებელი უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო

სამინისტროს ადმინისტრაციის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზედამხედველობის განყოფილების ინიცირებით სამართალდარღვევების შესახებ ინფორმაციის შენახვის ვადების განსაზღვრის თაობაზე მომზადდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი აღრიცხვის, საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირებისა და სააღრიცხვო-ანალიტიკური საქმიანობის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 1 მარტის №271 და "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფაილური სისტემებისა და მათში არსებული მონაცემების შენახვის ვადების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 იანვრის №53 ბრძანებ(ებ)ის ცვლილების პაკეტი, რომელიც განსახილველად გადაგზავნილია შსს იურიდიულ დეპარტამენტში.

<u>საქმიანობა 6.1.6.2. კანონქვემდებარე აქტის შემუშავება და მიღება</u>

პასუხისმგებელი უწყება: შსს

შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ინიცირებით, სსიპ - სუს ოპერატიულ-ტექნიკური

სააგენტოს მიერ ხორციელდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სარეგისტრაციო ერთიანი ბაზის ფორმირების პროცესი.

7. გამოხატვის თავისუფლება

მიზანი 7.1. გამოხატვის თავისუფლების და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

ამოცანა 7.1.1. ჟურნალისტებისათვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტების აღკვეთა, სწრაფი და დროული რეაგირება.

ამოცანის ინდიკატორი: შესაბამისი დეტალური სტატისტიკა წარმოებული და ხელმისაწვდომია (მოთხოვნისთანავე ან/და ვებ-გვერდზე). ყველა კონკრეტულ შემთხვევაზე რეაგირება განხორციელებულია

ამოცანის შესრულების სტატუსი: სრულად შესრულებული

საქმიანობა 7.1.1.1. *ჟურნალისტებისათვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტების სწრაფი და ეფექტიანი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა*

პასუხისმგებელი უწყება: შსს, მთავარი პროკურატურა

2018 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლით ("ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა") გამოძიება დაიწყო 12 საქმეზე. 2018 წელს ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტებზე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2 პირის მიმართ. ორივე პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სსკ-ის 154-ე მუხლით. აგრეთვე, ჟურნალისტის მიმართ ჩადენილი სხვა დანაშაულის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 10 პირის მიმართ. ამათგან, 8 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სსკ-ის 239-ე, 126-ე და 187-ე მუხლებით, ხოლო 2 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სსკ-ის 126-ე მუხლით.

საქმიანობა 7.1.1.2. *სპეციალური სტატისტიკის წარმოება, ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის თაობაზე*

პასუხისმგებელი უწყება: პასუხისმგებელი უწყება: შსს, მთავარი პროკურატურა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ყოველწლიურად ქვეყნდება რეგისტირირებული დანაშაულის სტატისტიკა ცალკეული მუხლების მიხედვით. ასევე, მისი გაცემა ხდება მოთხოვნის შესაბამისად.

საქართველოს გენერალური პროკურატურა 2016 წლიდან აწარმოებს სტატისტიკას ჟურნალისტების მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ.

ამოცანა 7.1.3. ციფრული პლატფორმების განვითარების გზით გამოხატვის თავისუფლების ხელშეწყობა

ამოცანის ინდიკატორი: მომზადებულია შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციები

ამოცანის შესრულების სტატუსი: სრულად შესრულებული

საქმიანობა 7.1.3.1. ციფრული პლათფორმების შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის გადახედვა და შესაბამისი ცლვლილებების ან/და დამატებების შეტანა, რეკომენდაციების და პროექტის მომზადება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

USAID-ის „მმათველობა განვითარებისთვის (G4G)“ პროექტის დახმარებით მომზადდა საქართველოს კანონის პროექტი „ელექტრონული კომერციის შესახებ“, მისი შემუშავება განპირობებულია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით შუალედური მომსახურების მიმწოდებლების (ISP) უფლებებისა და ვალდებულებების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრის შესახებ აღებული ვალდებულებით. კანონპროექტში შუალედური მომსახურების მიმწოდებლების პასუხისმგებლობა -ინფორმაციის გატარების, ქეშირების და ჰოსტინგის პროცესში, დარეგულირებულია ევროდირექტივის „ელექტრონული კომერციის“ შესახებ შესაბამისად, კანონპროექტის მიხედვით, შუალედური მომსახურების მიმწოდებელი არ იქნება პასუხისმგებელი გადაცემულ ან შენახულ ინფორმაციაზე და არ ექნება ზოგადი მონიტორინგის ვალდებულება გადაცემულ ან/და შენახულ ინფორმაციაზე, რაც ერთი მხრივ, აარიდებს ISP-ებს ზედმეტ ვალდებულებებს, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს გამოხატვის თავისუფლებაში არამართლზომიერი ჩარევის რისკების მინიმუმამდე დაყვანას და ხელს შეუწყობს ციფრული პლატფორმების შემდგომ განვითარებას.

ამოცანა 7.1.4. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად საჭირო სამართლებრივი ბაზის გადასინჯვა

ამოცანის ინდიკატორი: მომზადებული და ინიცირებულია შესაბამისი ცვლილებების პროექტი

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

საქმიანობა 7.1.4.1. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ინფორმაციის თავისუფლების კანონის პროექტის შემუშავება და საქართველოს პარლამენტში ინიცირება.

პასუხისმგებელი უწყება: *საქართველოს იუსტიციის სამინისტრო*

„ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“ კანონის შემუშავების გეგმა იუსტიციის სამინისტრომ ანტიკორუფციული საბჭოს სხდომაზე წარადგინა.

პირველ ეტაპზე სამინისტროს მიერ მოხდა მიმდინარე რეგულაციაში არსებული პრობლემების იდენტიფიკაცია, რის შესახებაც ინფორმაცია წარედგინა ანტიკორუფციულ საბჭოს. ამის შემდგომ, ჩატარდა არაერთი კვლევა საერთაშორისო კანონმდებლობისა და საუკეთესო პრაქტიკის შესწავლის მიზნით. ჩატარებული სამუშაოს შედეგად აშკარა იყო ცვლილებების აუცილებლობა და არსებული პრაქტიკის გაუმჯობესება. იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებით, კანონპროექტის შემუშავება გადაწყდა

არსამთავრობო სექტორის უშუალო ჩართულობით, შესაბამისად, სამინისტროს ხელმძღვანელობით პროცესი წარიმართა ანტიკორუფციული საბჭოს ფარგლებში „ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს“ მხარდაჭერით და სხვა არასამთავრობო სექტორის აქტიური ჩართულობით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებისა და არასამთავრობო სექტორის ჩართულობით, „ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ დაქირავებული ექსპერტებისგან დაკომპლექტდა ვიწრო სამუშაო ჯგუფი (სამართალშემოქმედებითი ჯგუფი), რომელსაც დაევალა პირველ ეტაპზე ცვლილებების კონცეფციის შემუშავება და შემდგომში თავად კანონის პროექტის.

ვიწრო სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული ნებისმიერი ხედვა ინფორმაციის თავისუფლების სფეროში შესატანი ცვლილებების შესახებ განსახილველად წარედგინებოდა ანტიკორუფციული საბჭოს. არსებული გამოწვევების საპასუხოდ უფრო ფართო მასშტაბიანი სამუშაო პროცესის უზრუნველყოფის მიზნით ანტიკორუფციული საბჭოს ფარგლებში შეიქმნა სამი თემატური სამუშაო ჯგუფი - ერთი მათგანს დაევალა განმარტებებზე მუშაობა, მეორეს - ინფორმაციის გაცემის შეზღუდვებზე, ხოლო მესამეს - საზედამხედველო ორგანოზე. აღნიშნული თემატური ჯგუფები მუშაობდნენ კონკრეტული მიმართულებებით და ახდენდნენ ვიწრო სამუშაო ჯგუფის ინფორმაციულ მხარდაჭერას.

ვინაიდან მიმდინარე საკოორდინაციო მექანიზმი (ანტიკორუფციული საბჭო) ეფუძნება მონაწილოებით და კონსენსუსის სახით გადაწყვეტილების მიღების ბუნებას, კანონპროექტის შემუშავების სრული პროცესი გარანტირებული იყო ისეთი ფართო ჩართულობით, როგორიცაა წარმომადგენლები სამთავრობო და არასამთავრობო სექტორიდან, საერთაშორისო ორგანიზაციები, მედია, სასამართლო და აკადემია.

კანონის პროექტის შემუშავების პროცესისა და ცვლილებების შეფასების მიზნით საქართველოს ეწვია შოტლანდიის პირველი ინფორმაციის თავისუფლების კომისიონერი - ქევინ დანიონი. ექსპერტმა სრულად განიხილა კანონპროეტი ვიწრო სამუშაო ჯგუფთან და გასცა კონკრეტული რეკომენდაციები. ის ასევე შეხვდა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორსა და სახალხო დამცველს. ანტიკორუფციული საბჭოს ეგიდით, კევინ დანიონის ჩართულობით ჩატარდა მრგვალი მაგიდა, სადაც იუსტიცის სამინიტრომ OSGF-ის ექსპერტებთან ერთად სამომავლო რეგულირების კონკრეტული ხედვა/შემოთავაზება წარადგინა.

ექსპერტთან კომუნიკაცია გაგრძელდა მისი გამგზავრების შემდეგ და სამართალშემოქმედებითმა ჯგუფმა მას წაუდგინა რეკომენდაციების შესაბამისად შეცვლილი პროექტი, რაზეც მოგვიანებით ბატონმა დანიონმა განმეორებითი დასკვნა წარმოდგინა. მომდევნო ეტაპზე მიმდინარეობდა ექსპერტის რეკომენდაციების შესაბამისად კანონპროექტის დამატებითი დახვეწა.

განახლებული კანონპროექტი 2017 წლის გაზაფხულზე ანტიკორუფციული საბჭოს წევრებს დაეგზავნა ფართო კონსულტაციებისთვის. ასევე, 2018 წელს ჩატარდა მასშტაბური კონსულტაციები საჯარო დაწესებულებებთან. ამ ეტაპზე მიმდინარეობს შემოსული კომენტარების დამუშავება, ანალიზი და შეთანხმება, რის შედეგადაც საბოლოო პროექტი მთავრობას წარედგინება.

8. შეკრების თავისუფლება

მიზანი 8.1. შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების მაღალი სტანდარტით დაცვის გარანტიების შექმნა

ამოცანა 8.1.1. შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების დარღვევის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირება და უფლების დარღვევის პრევენცია
ამოცანის ინდიკატორი: პირები შეუფერხებლად სარგებლობენ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით; ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნა წარმოებულია.

შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

ამოცანის შესრულების სტატუსი: სრულად შესრულებული

<u>**საქმიანობა 8.1.1.1.** შეკრების და მანიფესტაციის უფლების ხელყოფის ფაქტების სწრაფი და ეფექტიანი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება</u>

პასუხისმგებელი უწყება: *შინაგან საქმეთა სამინისტრო; მთავარი პროკურატურა*

<u>**საქმიანობა 8.1.1.2.** შეკრებისა და მანიფესტაციის დროს უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფა;</u>

პასუხისმგებელი უწყება: *შინაგან საქმეთა სამინისტრო;*

2018 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლით, შეკრების ან მანიფესტაციის უფლების ხელყოფის ფაქტებზე, სისხლისსამართლებრივი დევნა არც ერთი პირის მიმართ არ დაწყებულა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფენ თოთოეული მოქალაქის გამოხატვის თავისუფლებას. აღნიშნულის ნათელი მაგალითია 2018 წლის 17 მაისს, ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღესთან დაკავშირებული აქცია, რომლის ჩატარებაც შინაგა საქმეთა სამინისტრომ მშვიდობიან გარემოში უზრუნველყო. ასევე, 2018 წლის 9 სექტემბერს, დინამო არენაზე დაგეგმილ მატჩთან დაკავშირებით სამინისტროსათვის ცნობილი გახდა, რომ მატჩზე დამსწრე ფეხბურთის გულშემატკივართა გარკვეული ნაწილი გეგმავდა გურამ კაშიას მხარდაჭერას, ხოლო ნაწილი პროტესტის გამოხატვას ამ უკანასკნელის მიმართ, მის მიერ გაკეთებული განცხადებების გამო. აღნიშნულ ღონისძიებაზე შს სამინისტრო იცავდა თითოეული მოქალაქის უსაფრთხოებას, რის შედეგადაც ზემოაღნიშნულ ჯგუფებს შორის დაპირისპირება არ მომხდარა.

<u>**საქმიანობა 8.1.1.3.** სამართალდამცავთა მომზადება გადამზადება შეკრებისა და მანიფესტაციის მართვის ტექნიკასა და მეთოდებზე</u>

პასუხისმგებელი უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო;

შეკრებისა და მანიფესტაციის, თავისუფლების თვითნებური შეზღუდვისა და ძალადობის ფაქტების თავიდან აცილებისა და ასეთ შემთხვევებზე ეფექტიანად რეაგირების მიზნით აკადემია, როგორც პროფესიული მომზადების, ასევე გადამზადების პროგრამებზე ახორციელებს პოლიციელთა სწავლებას ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შეკრება-მანიფესტაციის მონაწილეთა უფლებების დაცვას და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების გააზრებასა და შესრულებას.
აღნიშნული უფლების სწავლებისას განიხილება, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა:
- შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლების არსი და განმარტება ეროვნული თუ საერთაშორისო

კანონმდებლობის შესაბამისად;
-კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვები შეკრებებისა და მანიფესტაციების მიმართ;
-ძალის გამოყენება შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს;
-პოლიციის როლი და მნიშვნელობა ამ უფლების დაცვისას.
2018 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით აღნიშნული საკითხები გაიარეს:
- პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 5 ჯგუფი, 62 მსმენელი;

- უბნის - ისპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 5 ჯგუფი, 65 მსმენელი;

- დეტექტივ-გამომძიებლის სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 4 ჯგუფი, 75 მსმენელი;

- პოლიციაში სამუშაოდ მისაღები და სამუშაოზე მიღებული წვევამდელების;

- სპეციალური მომზადებისა და პოლიციის უმცროსი ლეიტენანტის სპეციალური წოდების მისანიჭებელი სპეციალური მომზადების პროგრამა - 10 ჯგუფი, 176 მსმენელი;
- ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების სპეციალური მომზადების კურსი (ელექტრონული) - 12 ჯგუფი, 201 მსმენელი;
- სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მოსამსახურეთა ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების სპეციალური მომზადების კურსი - 12 ჯგუფი, 222 მსმენელი;
- დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების სასწავლო კურსი - 8 ჯგუფი, 119 მსმენელი;

- სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 5 ჯგუფი, 75 მსმენელი;
- კრიმინალური პოლიციის ტერიტორიული ორგანოების მართლწესრიგის ოფიცრის გადამზადების კურსი - 4 ჯგუფი, 66 მსმენელი;
- საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ტურისტული უსაფრთხოების ქვეით პატრულთა საბაზისო მომზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა - 7 ჯგუფი, 123 მსმენელი.

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მოსამსახურეთა თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსის სასწავლო პროგრამა - 4 ჯგუფი, 68 მსმენელი;

- მესაზღვრე-კონტროლიორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 4 ჯგუფი, 73 მსმენელი;

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში და ტერიტორიულ ორგანოებში თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი - 3 ჯგუფი, 55 მსმენელი.

-ასევე 2018 წლის 24 სექტემბერი - 11 ოქტომბერი - შსს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის III სამმართველოს ტერიტორიაზე აშშ-ის სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) ორგანიზებით ჩატარდა მასების მართვის ტრეინინგი, რომელსაც დაესწრო შსს აკადემიის 2 ინსტრუქტორი.

<u>საქმიანობა 8.1.1.4.</u> *<u>შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ მარეგულირებელი კანონმდებლობი გადახედვა ვენეციის კომისიისა და სპეციალური მომხსენებლის რეკომენდაციების შესაბამისად</u>*

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

9. შრომითი უფლებები

მიზანი 9.1. შრომის უფლების დაცვა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად

ამოცანა 9.1.1. საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის პროცესის გაგრძელება

ამოცანის ინდიკატორი: საერთაშორისო ინსტიტუტების/მექანიზმების, საქართველოს სახალხო დამცველის/არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებში ასახული პოზიტიური დინამიკა; მომზადებული განსახილველ პრიორიტეტულ საკითხების შესახებ დოკუმენტი; შემუშავებული რეკომენდაციები და საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი; პარტნიორობის სამმხრივ კომისიაზე ინიცირებული საკითხებისა და კომისიის შესაბამისი რეკომენდაციების რაოდენობა (მზარდი დინამიკა წინა წლებთან მიმართებით)

სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა 9.1.1.1.</u> <u>დოკუმენტის "შრომითი უფლებები საქართველოში - ცვლილებების დღის წესრიგი" საფუძველზე პრიორიტეტული საკითხების განსაზღვრა და საჭიროების შემთხვევაში პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცება</u>

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

დოკუმენტით "შრომითი უფლებები საქართველოში - ცვლილებების დღის წესრიგი" გათვალისწინებული საკითხები და ასოცირების შეთანხმების დანართის დირექტივებით გათვალისწინებული ვალდებულებები უმეტესწილად ემთხვევა ერთმანეთს. შესაბამისად, ცალკეული დოკუმენტების მომზადების საჭიროება არ დგას.

მიმდინარე ეტაპზე საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილია ცვლილებების პაკეტი, რომელმაც უკვე გაიარა ორი მოსმენა. საკანონმდებლო პაკეტი მომზადებულია 2000/78/EC, 2000/43/EC და 2004/113/EC დირექტივების შესაბამისად. ცვლილებები ითვალისწინებს პირთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვის გაუმჯობესებას და ვრცელდება შრომით ურთიერთობებზე (მათ შორის: შერჩევის კრიტერიუმებსა და დაქირავების პირობებზე, ასევე კარიერული წინსვლის ხელმისაწვდომობაზე, პროფესიული ორიენტაციის, კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ყველა ფორმის ხელმისაწვდომობაზე, დასაქმებისა და შრომის, შრომითი

ურთიერთობების შეწყვეტისა და შრომის ანაზღაურების პირობებზე, დასაქმებულთა ან დამსაქმებელთა ორგანიზაციის წევრობაზე და საქმიანობაზე, ან ისეთი ორგანიზაციის წევრობაზე და საქმიანობაზე, რომელთა წევრებიც განსაზღვრულ პროფესიულ ჯგუფს განეკუთვნებიან, ასეთი ორგანიზაციებიდან მიღებული სარგებლის ჩათვლით), სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის პირობებზე, განათლებაზე, საქონლისა და მომსახურების მიწოდებაზე (მათ შორის: სოციალურ დაცვაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალურ შეღავათებზე, ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე, განათლების, ხელმისაწვდომობაზე).

გარდა ამისა, დამუშავების პროცესშია დანართი XXX-ით გათვალისწინებული სხვა დირექტივები (2018 წლის). გამომდინარე იქიდან, რომ დირექტივები შინაარსობრივად ერთმანეთთან დაკავშირებულია ან/და ერთმანეთს სრულჰყოფს, მათი როგორც შინაარსობრივი, ისე საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, 2018 წელს მომზადებული კანონპროექტები საქართველოს პარლამენტს წარედგინება 2017 წელს წარდგენილი პროექტების მიღების შემდგომ.

<u>საქმიანობა 9.1.1.2.</u> <u>პრიორიტეტული საკითხების სოციალურ პარტნიორებთან განხილვა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პირველი ეტაპის ცვლილებების პაკეტის მომზადება და ინიცირება საქართველოს პარლამენტში</u>

პასუხისმგებელი უწყება: *ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს მთავრობა*

<u>საქმიანობა 9.1.1.3.</u> <u>პრიორიტეტული საკითხების სოციალურ პარტნიორებთან განხილვა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი მეორე ეტაპის ცვლილებების პაკეტის მომზადება და ინიცირება საქართველოს პარლამენტში</u>

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს მთავრობა

დოკუმენტით "შრომითი უფლებები საქართველოში - ცვლილებების დღის წესრიგი" გათვალისწინებული საკითხები და ასოცირების შეთანხმების დანართის დირექტივებით გათვალისწინებული ვალდებულებები უმეტესწილად ემთხვევა ერთმანეთს. შესაბამისად, ცალკეული დოკუმენტების მომზადების საჭიროება არ დგას.

მიმდინარე ეტაპზე საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილია ცვლილებების პაკეტი, რომელმაც უკვე გაიარა ორი მოსმენა. საკანონმდებლო პაკეტი მომზადებულია 2000/78/EC, 2000/43/EC და 2004/113/EC დირექტივების შესაბამისად. ცვლილებები ითვალისწინებს პირთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვის გაუმჯობესებას და ვრცელდება შრომით ურთიერთობებზე (მათ შორის: შერჩევის კრიტერიუმებსა და დაქირავების პირობებზე, ასევე კარიერული წინსვლის ხელმისაწვდომობაზე, პროფესიული ორიენტაციის, კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ყველა ფორმის ხელმისაწვდომობაზე, დასაქმებისა და შრომის, შრომითი

ურთიერთობების შეწყვეტისა და შრომის ანაზღაურების პირობებზე, დასაქმებულთა ან დამსაქმებელთა ორგანიზაციის წევრობაზე და საქმიანობაზე, ან ისეთი ორგანიზაციის წევრობაზე და საქმიანობაზე, რომელთა წევრებიც განსაზღვრულ პროფესიულ ჯგუფს განეკუთვნებიან, ასეთი ორგანიზაციებიდან მიღებული სარგებლის ჩათვლით), სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის პირობებზე, განათლებაზე, საქონლისა და მომსახურების მიწოდებაზე (მათ შორის: სოციალურ დაცვაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალურ შეღავათებზე, ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე, განათლების, ხელმისაწვდომობაზე).

გარდა ამისა, დამუშავების პროცესშია დანართი XXX-ით გათვალისწინებული სხვა დირექტივები (2018 წლის). გამომდინარე იქიდან, რომ დირექტივები შინაარსობრივად ერთმანეთთან დაკავშირებულია ან/და ერთმანეთს სრულჰყოფს, მათი როგორც შინაარსობრივი, ისე საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, 2018 წელს მომზადებული კანონპროექტები საქართველოს პარლამენტს წარედგინება 2017 წელს წარდგენილი პროექტების მიღების შემდგომ.

<u>**საქმიანობა 9.1.1.4.** შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტების რეკომენდაციების (შრომითი ხელშეკრულებები, დღიური სამუშაო საათები, ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურება, შესვენების დროები, გათავისუფლების საფუძვლები, მასობრივი დათხოვნა და სხვ.) შესაბამისად ცვლილებების მიზანშეწონილობის განხილვა</u>

პასუხისმგებელი უწყება: *ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო*

<u>**საქმიანობა 9.1.1.5.** შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტების რეკომენდაციების განხილვის შედეგად ცვლილებების პაკეტის მომზადება მიზანშეწონილობის შემთხვევაში</u>

პასუხისმგებელი უწყება: *ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო*

<u>**საქმიანობა 9.1.1.6.** შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტების რეკომენდაციების განხილვის შედეგად, მიზანშეწონილობის შემთხვევაში მომზადებული ცვლილებების პაკეტის ინიცირება საქართველოს პარლამენტში</u>

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს მთავრობა

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტების რეკომენდაციები და ასოცირების შეთანხმების დანართის დირექტივებით გათვალისწინებული ვალდებულებები უმეტესწილად ემთხვევა ერთმანეთს. შესაბამისად, ცალკეული დოკუმენტების მომზადების საჭიროება არ დგას.

მიმდინარე ეტაპზე საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილია ცვლილებების პაკეტი, რომელმაც უკვე გაიარა ორი მოსმენა. საკანონმდებლო პაკეტი მომზადებულია 2000/78/EC, 2000/43/EC და 2004/113/EC დირექტივების შესაბამისად. ცვლილებები ითვალისწინებს პირთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვის გაუმჯობესებას და ვრცელდება შრომით ურთიერთობებზე (მათ შორის: შერჩევის კრიტერიუმებსა და დაქირავების პირობებზე, ასევე კარიერული წინსვლის

ხელმისაწვდომობაზე, პროფესიული ორიენტაციის, კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ყველა ფორმის ხელმისაწვდომობაზე, დასაქმებისა და შრომის, შრომითი ურთიერთობების შეწყვეტისა და შრომის ანაზღაურების პირობებზე, დასაქმებულთა ან დამსაქმებელთა ორგანიზაციის წევრობაზე და საქმიანობაზე, ან ისეთი ორგანიზაციის წევრობაზე და საქმიანობაზე, რომელთა წევრებიც განსაზღვრულ პროფესიულ ჯგუფს განეკუთვნებიან, ასეთი ორგანიზაციებიდან მიღებული სარგებლის ჩათვლით), სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის პირობებზე, განათლებაზე, საქონლისა და მომსახურების მიწოდებაზე (მათ შორის: სოციალურ დაცვაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალურ შეღავათებზე, ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე, განათლების ხელმისაწვდომობაზე).

გარდა ამისა, დამუშავების პროცესშია დანართი XXX-ით გათვალისწინებული სხვა დირექტივები (2018 წლის). გამომდინარე იქიდან, რომ დირექტივები შინაარსობრივად ერთმანეთთან დაკავშირებულია ან/და ერთმანეთს სრულჰყოფს, მათი როგორც შინაარსობრივი, ისე საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, 2018 წელს მომზადებული კანონპროექტები საქართველოს საქართველოს პარლამენტს წარედგინება 2017 წელს წარდგენილი პროექტების მიღების შემდგომ.

<u>**საქმიანობა 9.1.1.7.** შრომის სამართლის და დისკრიმინაციის აკრძალვისა და გენდერული თანასწორობის სფეროს სამართლებრივ ინსტრუმენტებთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების ხელშეწყობა (საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების XXX დანართით განსაზღვრული დირექტივები</u>

პასუხისმგებელი უწყება: *ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო*

<u>**საქმიანობა 9.1.1.8.** შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან (საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების XXX დანართით განსაზღვრული დირექტივების ვადების შესაბამისად)</u>

პასუხისმგებელი უწყება: *ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო*

ასოცირების შესახებ შეთანხმების XXX დანართით გათვალისწინებული დირექტივების შესაბამისად მომზადებულია კანონპროექტები. მიმდინარეობს საქართველოს მთავრობის მიერ სამუშაო ფორმატში კანონპროექტების განხილვა.

მიმდინარეობს დირექტივების დამუშავება მათი ეროვნულ კანონმდებლობაში ტრანსპოზიციის მიზნით.

ამოცანა 9.1.2. შრომის უსაფრთხოების/შრომითი უფლებების მარეგულირებელი ნორმების დაცვა შრომის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად

ამოცანის ინდიკატორი: შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი შრომის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფუნქციონირებს; შემოწმებული კომპანიების რაოდენობა; გაცემული რეკომენდაციების 50%-ზე მეტი შესრულების მაჩვენებელი; შექმნილი სამართლებრივი ჩარჩო ინსპექციის კომპეტენციების ზრდის კუთხით; შრომის ინსპექტორთა შესაძლებლობების ზრდის მიმართულებით გატარებულ ღონისძიებათა რაოდენობა
სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა 9.1.2.1.</u> <u>შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის (შრომის ინსპექციის) ეფექტურ მექანიზმად გარდაქმნა, მისი ინსტიტუციური, ადმინისტრაციული გაძლიერებისა და კომპეტენციების ზრდის საშუალებით შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისად, რაც გულისხმობს უფლებამოსილების სფეროს გაფართოებას, მათ შორის, თავისუფალი წვდომის უზრუნველყოფას დასაქმების ყველა ადგილზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის კომპონენტების ინსპექტირებისთვის</u>

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

"2018 წლის 21 მარტს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი ""შრომის უსაფრთხოების შესახებ"", რომლის მიხედვითაც 2018 წლის პირველი აგვისტოდან ზედამხედველ ორგანოს (ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტს) უფლება ეძლევა საწარმო/ორგანიზაციაში შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში გამოიყენოს ადმინისტრაციული სახდელი. კანონი ვრცელდება მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე. 2018 წელს გაიზარდა ზედამხედველობის განმახორციელებელი პირების რაოდენობა 40 საშტატო ერთეულამდე. მიმდინარე ეტაპზე, საქართველოს პარლამენტში განიხილება „შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონის“ ახალი რედაქცია. დაგეგმილი ცვლილებების შედეგად „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი გადადის უფრო მაღალ - ორგანული კანონის რანგში.

ასევე ფართოვდება აღნიშნული კანონის მოქმედების სფერო და ვრცელდება არა მხოლოდ მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე, არამედ საერთაშორისო სტანდარტის და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების გათვალისწინებით, კანონის მოქმედების სფერო გავრცელდება ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგის მიმართ, მათ შორის ორგანული კანონით საქართველოს შრომის კოდექსი და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით მოწესრიგებული შრომითი ურთიერთობაზე.

შრომის პირობების ინსპექტირების 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შემოწმდა 216 ობიექტი. შემოწმებულ კომპანიებში გაიცა 1757 რეკომენდაცია შრომის უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

გონივრული ვადის გასვლის შემდეგ 104 ობიექტზე მოხდა რემონიტორინგი როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. რემონიტორინგის დროს გამოიკვეთა, რომ საწარმოთა 63%-მა ნაწილობრივ გაითვალისწინა რეკომენდაცია, 15%-მა რეკომენდაციები არ გაითვალისწინა, ხოლო სრულად გაითვალისწინა 9%-მა. 13% განაწილდა იმ დამსაქმებელზე, რომელმაც თავისი საქმიანობა გააუქმა ან პროფილი შეცვალა.

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მიმდინარე წლის აგვისტოდან შემოწმდა 90-მდე კომპანია, გაიცა შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები და მითითებები.

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, განმეორებითი შემოწმება (რეინსპექტირება) განხორციელდა 30 კომპანიაში, რომელთაგანაც მითითებები სრულად გაითვალისწინა 9 კომპანიამ, ხოლო 21 მათგანს, რომელმაც ან ნაწილობრივ შეასრულა მითითება ან საერთოდ არ შეასრულა მითითება, დაეკისრა ადმინისტრაციული სახდელის სახე - ფინანსური ჯარიმა და მიეცათ დამატებითი დრო მითითების გამოსასწორებლად. აქედან, 1-მა კომპანიამ არ შეასრულა განმეორებითი შემოწმების დროს გაცემული მითითება და დაეკისრა სანქცია ადმინისტრაციული სახდელის ორმაგი ოდენობით.

ამოცანა 9.1.3. საქართველოს მიერ სავალდებულოდ აღიარებული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და შრომის უფლებასთან დაკავშირებით არსებული სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების/ კონვენციების იმპლემენტაციის მონიტორინგის პროცესის გაგრძელება

ამოცანის ინდიკატორი: კონვენციებისა და რეკომენდაციების გამოყენების საკითხებში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტთა კომიტეტის/ევროპის საბჭოს, საქართველოს სახალხო დამცველის/არასამთავრობო ორგანიზაციების, ყოველწლიურ დასკვნებში ასახული პოზიტიური დინამიკა

სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა 9.1.3.1.</u> <u>წლის განმავლობაში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რატიფიცირებული მინიმუმ 3 კონვენციის მოთხოვნების შეფასების და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის ანალიზი მათი პრაქტიკაში ეფექტურად განხორციელების მიზნით</u>

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

მიმდინარეობს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რატიფიცირებული კონვენციების მოთხოვნების შეფასების ანალიზი.

<u>საქმიანობა 9.1.3.2.</u> <u>შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის არარატიფიცირებული N81, N129, N155, N176, N183, N102, N156 კონვენციების მოთხოვნების შეფასების და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის ანალიზის საფუძველზე მათი რატიფიცირების მიზანშეწონილობის განხილვა</u>

პასუხისმგებელი უწყება: *ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო.*

2018 წლის 25 მაისს სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე განხილულ იქნა შსო-ს N183 და N156 კონვენციები. მოცემული კონვენციების რატიფიცირების მიზანშეწონილობის განხილვა ასევე სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმითაა გათვალისწინებული.

<u>საქმიანობა 9.1.3.3.</u> <u>ევროპის საბჭოსათვის, ქარტიის მოთხოვნების შეფასების და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის ანალიზი</u>

პასუხისმგებელი უწყება: *ოკუპირებული ტეროტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო.*

ევროპის სოციალური ქარტიის მოთხოვნების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის ანალიზი, ისევე როგორც არარატიფიცირებული მუხლების/პუნქტების რატიფიცირების მიზანშეწონილობის განხილვა დაგეგმილია 2019-2020 წლებში.

<u>საქმიანობა 9.1.3.4.</u> <u>ევროპის სოციალური ქარტიის არარატიფიცირებული მუხლების/პუნქტების რატიფიცირების მიზანშეწონილობის განხილვა</u>

პასუხისმგებელი უწყება: *ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო.*

ევროპის სოციალური ქარტიის მოთხოვნების საქართველოს კანონმდებლობასთან შედარების ანალიზი, ისევე როგორც არარატიფიცირებული მუხლების/პუნქტების რატიფიცირების მიზანშეწონილობის განხილვა დაგეგმილია 2019-2020 წლებში.

ამოცანა 9.1.4. შრომითი უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით შრომითი მედიაციის წარმოების პროცესის სრულყოფა

ამოცანის ინდიკატორი: მედიაციის საშუალებით წარმოებული კოლექტიური შრომითი დავების რაოდენობა მორიგების შემთხვევების დინამიკის ჩათვლით; მედიატორთა ტრენინგების რაოდენობა; მედიაციის შედეგად მიღებული შეთანხმებების აღსრულების მზარდი მაჩვენებელი; მომზადებული კოლექტიური შრომითი დავების განვითარების ხედვის დოკუმენტი; კოლექტიური შრომითი დავების მედიაციის მექანიზმის განვითარების ხედვით განსაზღვრულ საკითხებზე მომზადებული წინადადებები და ინიცირებული ცვლილებები

სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>**საქმიანობა 9.1.4.1.** კოლექტიური შრომითი დავების მედიაციის მექანიზმის განვითარების ხედვის ჩამოყალიბება, მათ შორის, შრომითი მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმებების აღსრულების მექანიზმების გაძლიერების მიმართულებით</u>

პასუხისმგებელი უწყება: *ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო*

<u>**საქმიანობა 9.1.4.2.** კოლექტიური შრომითი დავების მედიაციის მექანიზმის განვითარების ხედვით განსაზღვრული საკითხების განხილვა და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება</u>

პასუხისმგებელი უწყება: *ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო*

2018 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა 6 მომართვას შრომითი მედიატორის დანიშვნის შესახებ. ყველა მათგანზე დაინიშნა მედიატორი. აღნიშნული დავებიდან 3 დავა დასრულდა შეთანხმებით. მიმდინარეობს მუშაობა მედიაციის განვითარების მიმართულებით ხედვის ჩამოყალიბებაზე. 2018 წლის აპრილის თვეში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარდა მედიატორთა ტრენინგი.

<u>**საქმიანობა 9.1.4.3.** შრომითი დავების ეფექტურად მოგვარების მიზნით მართლმსაჯულებაზე დასაქმებულთა მისაწვდომობის გაძლიერების წინადადებების განხილვა და რეფორმის ხედვის შემუშავება</u>

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

დაწყებულია და მიმდინარეობს მუშაობა მედიაციის განვითარების მიმართულებით ხედვის ჩამოყალიბებაზე.

ამოცანა 9.1.5. სოციალური დიალოგის განვითარება/გაძლიერება ცენტრალურ და რეგიონულ დონეზე

ამოცანის ინდიკატორი: კოლექტიური ხელშეკრულებების (დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმებით) რაოდენობის ზრდა; დამოუკიდებელი და ძლიერი დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ორგანიზაციები; გაფიცვებისა და ლოკაუტის რაოდენობების შემცირების დინამიკა; გაძლიერებული სოციალური პარტნიორობა და სოციალური დიალოგის დინამიკა; წლის განმავლობაში ჩატარებული სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის მინიმუმ 2 და სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მინიმუმ 4 შეხვედრა; კომისიის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები/დიალოგის შედეგად არსებული შედეგები

სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა 9.1.5.1.</u> <u>სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის გაძლიერება, მათ შორის მისი სისტემატიზებული მუშაობის უზრუნველყოფის გზით; აჭარის რეგიონში სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის გაძლიერება, მათ შორის მისი სისტემატიზებული მუშაობის უზრუნველყოფის გზით;</u>

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

"2018 წლის 18 თებერვალს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით სოფელ კაჭრეთში გაიმართა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სტრატეგიული დაგეგმარების შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც სოციალური პარტნიორები, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეხვედრაზე წარდგენილ იქნა კომისიის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში და შემუშავდა კომისიის საქმიანობის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სხდომაზე დამტკიცდა 2018 წლის 19 აპრილს. რაც შეეხება რეგიონულ დონეზე სოციალური პარტნიორობის განვითარებას, სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სხდომაზე (2017 წლის 10 თებერვალი) მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, შეიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია. სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შექმნის შემდეგ საქართველოში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობასთან ერთად დაიგეგმა რიგი ღონისძიებები. მათ შორის ტრენინგები კომისიის წევრთათვის, რომელიც ჩატარდა 22-23 სექტემბერს ქ.ბათუმში.

2018 წლის 19 აპრილს საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების მოთხოვნით ჩატარდა

სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის რიგგარეშე მეოთხე სხდომა, ტყიბულის მინდელის შახტებში შრომის უსაფრთხოების საკითხების განხილვის მიზნით.
კომისიაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ „საქნახშირი ჯი აი ჯი ჯგუფი“-ს მინდელის სახელობის შახტში შრომის უსაფრთხოების პირობებზე აუდიტი განხორციელდება და პროცესი წარიმართება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით.
მიმდინარე წლის 19 აპრილის შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სახელით მიმართა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას, რათა მომხდარიყო შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ჩართულობით „საქნახშირი (ჯი აი ჯი ჯგუფი)“-ს მინდელის სახელობის შახტაში შრომის უსაფრთხოების კუთხით არსებული მდგომარეობის შემოწმება/შეფასება და შესაბამისი ექსპერტული დასკვნის მომზადება, მიმართვის საფუძველზე, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ პროცესში ჩასართავად და ტყიბულის შახტებში უსაფრთხოების პირობების აუდიტის განსახორციელებლად, რეკომენდაცია გაუწია 4 საერთაშორისო შესაბამისი გამოცდილებისა და რეპუტაციის მქონე კომპანიას. ამ პროცესის პარალელურად, ქ. ტყიბულის მინდელის სახელობის შატხებში შრომის უსაფრთხოების კუთხით არსებული მდგომარეობის შემოწმების/შეფასების განხორციელების სურვილი გამოთქვა კიდევ ერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ „DMT GmbH & Co. KG“ და სამინისტროს შესთავაზა ინსპექტირების განხორციელება.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოწვეულ იქნა სამმხრივი კომისიის სხდომა. სხდომა ჩატარდა 2018 წლის 7 სექტემბერს, სადაც ერთობლივად, კომისიის მიერ მოწონებულ იქნა „DMT GmbH & Co. KG“.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სამუშაო ჯგუფის 3 შეხვედრა.

ამოცანა 9.1.6. სამუშაო ძალის შრომითი მიგრაციის რეგულირება და მართვა, ლეგალური შრომითი მიგრაციის სქემების დანერგვა

ამოცანის ინდიკატორი: გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა; საზღვარგარეთ და ქვეყნის შიგნით ლეგალური მიგრაციით დასაქმებულთა რაოდენობა

სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>**საქმიანობა 9.1.6.1.** შრომითი მიგრაციის სფეროში ქვეყანათაშორისი თანამშრომლობის გაძლიერება საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფორმების გზით</u>

პასუხისმგებელი უწყება: *ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო*

2018 წლის დეკემბერში საფრანგეთმა მოახდინა საქართველოსა და საფრანგეთს შორის ცირკულარული

მიგრაციის თაობაზე ორმხრივი ხელშეკრულების რატიფიცირება, რის საფუძველზეც შეიქმნა საქართველოსა და საფრანგეთს შორის საზღვარგარეთ დროებით ლეგალურად დასაქმების მექანიზმი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მომზადდა საქართველოსა და პოლონეთს შორის ცირკულარული მიგრაციის შესახებ ორმხრივი ხელშეკრულების პროექტი, რომლის გაფორმებაც იგეგმება უახლოეს მომავალში. ამასთან, მიმდინარეობს მუშაობა ისრაელთან და ევროპის რიგ ქვეყნებთან (საბერძნეთი, ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი, ლიეტუვა, ესპანეთი, პორტუგალია, ბულგარეთი, ესტონეთი და ა.შ.) დროებითი შრომითი მიგრაციის სფეროში თანამშრომლობის შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით.

ამოცანა 9.1.7. შრომით უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება და პროაქტიული გამოქვეყნება

ამოცანის ინდიკატორი: ინფორმაცია გამოქვეყნებულია 6 თვეში ერთხელ

სტატუსი: სრულად შესრულებული

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა

<u>საქმიანობა 9.1.7.1.</u> <u>სამუშაო ადგილებზე დაშავების და გარდაცვალების შემთხვევებზე სისხლის სამართლის გამოძიების შედეგების შესახებ ინფორმაციის სისტემატიზირება და პროაქტიული გამოქვეყნება</u>

ხსენებული დადგენილების საფუძელზე, საქართველოს პროკურატურის მიერ სამუშაო ადგილებზე დაშავების და გარდაცვალების შემთხვევებზე სისხლისსამართლის საქმეთა გამოძიების შედეგების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია გამოქვეყნებულია შემდეგ ვებ-გვერდზე:http://pog.gov.ge/uploads/docs/statistikagamozieba.pdf

10. საკუთრების უფლების დაცვა

მიზანი 10.1. საკუთრების უფლების დაცვის უზრუნველყოფა/ხელშეწყობა

ამოცანა 10.1.1. საკუთრების უფლების დაცვის ხელშეწყობის მიზნით სამართლებრივი ბაზის დახვეწა

ამოცანის ინდიკატორი: სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ" საქართველოს კანონის ფარგლებში, საჯარო რეესტრში სპორადული წესით/სისტემური წესით რეგისტრირებულია უფლებების რაოდენობა; შექმნილია შესაბამისი მიწის ნაკვეთების საკადასტრო მონაცემთა ბაზა; შექმნილია მიწის მონიტორინგის და შეფასების სისტემა და შემუშავებულია და დამტკიცებულია მიწის სისტემური რეგისტრაციის ეროვნული სტრატეგია

სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>**საქმიანობა 10.1.1.1.** სახელმწიფო პროექტის ფარგლებში საჯარო რეესტრში სპორადული წესით უფლებების რეგისტრაცია/აღრიცხვა;</u>

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საქართველოს იუსტიციის სამინიტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოებული მიწის რეგისტრაციის რეფორმით დასახული მიზნის სრულად განხორციელებისა და ამ დროისათვის უკვე აპრობირებული, ქმედითი და ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის ხელშეწყობისთვის „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედების ვადა გაგრძელდა 2019 წლის პირველ ივლისამდე. აღნიშნული კანონით, მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის პროცედურა გამარტივდა, მოიხსნა ბარიერები, რომლებიც მესაკუთრეს ექმნებოდა, ხოლო რეგისტრაციის პროცედურა წახალისდა.

მიწის რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში, მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის პროცესი ორ მიმართულებად არის დაყოფილი და მიმდინარეობს სპორადული[2] და სისტემური[3] წესით.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის პირველი იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მიწის რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში სპორადული წესით წარდგენილი 342 506 განცხადება იქნა განხილული, საიდანაც 177 577 განცხადებაზე სარეგისტრაციო

[2] საკუთრების უფლების რეგისტრაციის სპორადული წესი - სახელმწიფო პროექტის ფარგლებში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე დაინტერესებული პირის განცხადებისა და მის მიერ წარდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის საფუძველზე, კანონით გათვალისწინებული სპეციალური წესის შესაბამისად.

[3] საკუთრების უფლების რეგისტრაციის სისტემური წესი – რომელიც გულისხმობს საპილოტო პროექტის ან განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლებისა და რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციას პროაქტიულ საფუძველზე, კანონით გათვალისწინებული სპეციალური წესის შესაბამისად.

წარმოება დასრულდა წარმატებით (უფლება დარეგისტრირდა).

<u>საქმიანობა 10.1.1.2.</u> <u>საპილოტე პროექტის ფარგლებში მიწის მონიტორინგის და შეფასების სისტემის შექმნა</u>

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

2018 წლის პირველი იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მიწის რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში სისტემური რეგისტრაციის წესით წარდგენილი 25 000 განცხადება იქნა განხილული, საიდანაც 16 000 განცხადებაზე სარეგისტრაციო წარმოება დასრულდა წარმატებით (უფლება დარეგისტრირდა), 5 000 განცხადებამდე გაგზავნილია შესაბამის თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების მუნიციპალურ კომისიებში, ხოლო 4000-მდე განაცხადზე მიმდინარებს დამატებითი დოკუმენტაციის მოძიება.

საპილოტო პროექტის ფარგლებში, მიწის მონიტორინგის და შეფასების სისტემის შექმნის მიზნით, შემუშავდა მონიტორინგისა და შეფასების გეგმა, გროვდება შესაბამისი მონაცემები და სამუშაო რეჟიმში მიმდინარეობს გეგმის კორექტირება.

<u>საქმიანობა 10.1.1.3.</u> <u>მიწის სისტემური რეგისტრაციის ეროვნული სტრატეგიის შემუშავება და დამტკიცება</u>

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 31 აგვისტოს N2216/ს ბრძანებით დამტკიცდა მიწის რეგისტრაციის ეროვნული სამოქმედო გეგმა, ხოლო, 2018 წლის 4 ოქტომბრის N2592/ს ბრძანებით შეიქმნა მიწის რეგისტრაციის ერთიანი ეროვნული სტრატეგიისა და შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტების შემუშავების სამუშაო ჯგუფი. ჯგუფს დაევალა სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარისათვის მიწის რეგისტრაციის ერთიანი ეროვნული სტრატეგიის პროექტის წარდგენა.

აღსანიშნავია, რომ მიწის რეგისტრაციის საპილოტო პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე უნდა შემუშავდეს მეთოდოლოგია, რომელიც სამომავლოდ ქვეყანაში მიწაზე საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის პროცესის დასრულებასა და რეგისტრირებულ მონაცემთა ბაზის სრულყოფას შეუქმნის საფუძველს.

ამოცანა 10.1.2. საკუთრების უფლების დაცვის უზრუნველსაყოფად, იურიდიულ პირთა რეგისტრაციასთან მიმართებით მაღალი სტანდარტების დანერგვა/ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

ამოცანის ინდიკატორი: შექმნილია მაღალი ხარისხის მონაცემთა ელექტრონული ბაზები - დამუშავებული და სისტემატიზებულია ელექტრონული მონაცემები -უზრუნველყოფილია სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ადგილმდებარეობის საჯაროობა

სტატუსი: უმეტესად შესრულებული

საქმიანობა 10.1.2.1. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციას დაქვემდებარებული იურიდიული პირების სარეგისტრაციო დოკუმენტაციის სისტემატიზაცია, შესწავლა და მათი ელექტრონული რეესტრის მონაცემებთან შედარება, აღმოჩენილი უზუსტო/ხარვეზიანი ელექტრონული ჩანაწერის დოკუმენტაციასთან შესაბამისობაში მოყვანა, არქივში დაცული სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ადგილმდებარეობის განსაზღვრა და მათი გაციფრება/საჯაროდ ხელმისაწვდომობა

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკუთრების უფლების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ასევე, მიმდინარეობს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციას დაქვემდებარებული იურიდიული პირების სარეგისტრაციო დოკუმენტაციის სისტემატიზაცია, შესწავლა და მათი ელექტრონული რეესტრის მონაცემებთან შედარება, არქივში დაცული სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ,,გაციფრება" და საჯაროდ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

2018 წლის პირველი იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შესწავლილ და აღრიცხულ იქნა 19 958 სუბიექტის სარეგისტრაციო დოკუმენტაცია. აქედან მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციას დაქვემდებარებულ 9 213 სუბიექტზე შეიქმნა ელექტრონული სააღრიცხვო ბარათი, ხოლო 18 794 სუბიექტის სარეგისტრაციო დოკუმენტაცია გაციფრდა და სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდზე განთავსების გზით გახდა საჯაროდ ხელმისაწვდომი.

11. ეკოლოგიური უფლებები

მიზანი 11.1. ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის შინასახელმწიფოებრივი სამართლებრივი გარანტიების განმტკიცება გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესის საჯაროობის მექანიზმების გაუმჯობესებით და გარემოსდაცვით სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საერთაშორისო სამართლებრივი კრიტერიუმების დანერგვით, აგრეთვე გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

ამოცანა 11.1.1. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესის საჯაროობის და ამ პროცესში საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმების გაუმჯობესება საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად

ამოცანის ინდიკატორი: გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილე საზოგადოების წარმომადგენლების გაზრდილი რაოდენობა; *"გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" საფუძველზე გამართული საჯარო განხილვების გაზრდილი რაოდენობა*

სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა 11.1.1.1.</u> <u>"გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში" მოცემული გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებული დებულებების ეფექტიანი განხორციელება</u>

პასუხისმგებელი უწყება: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი" არეგულირებს ისეთ სტრატეგიულ დოკუმენტთან და სახელმწიფო ან კერძო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელთა განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან/და ჯანმრთელობაზე.

კოდექსი არეგულირებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორც გარემოზე ზემოქმედების შეფასების, ასევე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურებისას. კოდექსით უზრუნველყოფილია საზოგადოების ჩართულობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღებისას ყველა დაინტერესებული პირის მოსაზრებების მაქსიმალურად გათვალისწინებას და საზოგადოების მონაწილეობის მაღალ სტანდარტებს.

სამინისტრო ვალდებულია უზრუნველყოს საზოგადოებისთვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისა და აღნიშნულ წარმოებაში საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის დროული, ეფექტიანი და ადეკვატური საშუალებებით მიწოდება და საზოგადოებისთვის დოკუმენტაციის

ხელმისაწვდომობა. სამინისტროში წარმოდგენილი გზშ და სგშ დოკუმენტაცია 3 დღის ვადაში თავსდება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე WWW.MEPA.GOV.GE, ასევე ეგზავნება შესაბამის მუნიციპალიტეტ(ებ)ს აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე გამოქვეყნების მიზნით. მოთხოვნის შემთხვევაში, სამინისტრო უზრუნველყოფს აღნიშნული დოკუმენტების ნაბეჭდი ეგზემპლარების ან ელექტრონული ვერსიების ხელმისაწვდომობას.

კოდექსით დადგენილია საზოგადოების მიერ შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის ელექტრონული და წერილობითი საშუალებები. ამასთან, საზოგადოებას ძველი კანონმდებლობისგან განსხვავებით უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში აქვს შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობა. მოსაზრებებისა და შენიშვნების წარმოდგენისთვის დადგენილია შემდეგი ვადები: სკრინინგი - 7 სამუშაო დღე; სკოპინგი - 15 სამუშაო დღე; გზშ/სგშ - 40 სამუშაო დღე.
სამინისტრო ვალდებულია განიხილოს საზოგადოების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები და შენიშვნები და ამ კოდექსით გათვალისწინებულ შესაბამისი გადაწყვეტილების წერილობით დასაბუთებაში სათანადოდ ასახოს საზოგადოების მონაწილეობის შედეგები და უზრუნველყოს საზოგადოებისთვის მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება.

სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები 5 დღის ვადაში ქვეყნდება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ეგზავნება შესაბამის მუნიციპალიტეტს, აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე გამოქვეყნების მიზნით.

საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს სამინისტროს მიერ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება, თუ მიიჩნევს, რომ სამინისტრომ არ უზრუნველყო გადაწყვეტილების მიღების პროცესში მისი მონაწილეობა ან სხვაგვარად დაარღვია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

<u>საქმიანობა 11.1.1.2. „საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის დამტკიცება</u>

პასუხისმგებელი უწყება: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის №2-94 ბრძანებით დამტკიცდა „საჯარო განხილვის წესი“ , რომელიც ადგენს საჯარო განხილვის ჩატარების, მასში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის წესებს.

ამოცანა 11.1.3. გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

ამოცანის ინდიკატორი: გარემოსდაცვით საკითხებზე ჩატარებული 50 ტრენინგი/ლექცია-სემინარი; გარემოსდაცვით საკითხებში დატრენინგებული პირების გაზრდილი რაოდენობა; გარემოსდაცვითი თემატიკით სოციალურ მედიაში გავრცელებული საინფორმაციო-შემეცნებითი სიახლეების რაოდენობა

სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა 11.1.3.1.</u> <u>გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო პროგრამების და ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების განხორციელება</u>

პასუხისმგებელი უწყება: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

2018 წელს გარემოსდაცვით საკითხებზე გაიმართა 90-მდე ტრენინგი და ლექცია-სემინარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 2020-მა პირმა.

გარემოსდაცვითი თემატიკით სოციალურ მედიაში, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ, გავრცელდა 300-მდე საინფორმაციო-შემეცნებითი სიახლე.

12. გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება

მოქმედების სფერო - სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად და პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის მხარდაჭერა.

მიზანი: 12.1. გენდერული თანასწორობის ეროვნული მექანიზმების გაძლიერება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე

ამოცანა: 12.1.1 გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის გაძლიერება

ამოცანის ინდიკატორი: კომისიის უზრუნველყოფადამატებითი ადამიანური და ფინანსური რესურსებით; კომისიის ვებ-გვერდის არებობა;

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა: 12.1.1.1 კომისიის მუშაობისათვის დამატებითი ადამიანური და ფინანსური რესურსის გამოყოფა</u>

პასუხისმგებელი უწყება: *საქართველოს მთავრობა*

<u>საქმიანობა: 12.1.1.2</u> *<u>კომისიის ვებ-გვერდის შექმნა და ყველა საჭირო რესურსისა და ინფორმაციის განთავსება</u>*

პასუხისმგებელი უწყება: *საქართველოს მთავრობა*

საანგარიშო პერიოდში, გენდერული თანასწორობის, ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში, მომზადდა უწყებათაშორისი კომისიის ვებგვერდის სამუშაო ვერსია როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე. ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია კომისიის უფლებამოსილების, საქმიანობისა და შემადგენლობის შესახებ; გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის თემაზე არსებული კანონმდებლობა, პოლიტიკის დოკუმენტები და საერთაშორისო ინსტრუმენტები; ინფორმაცია კომისიის პარტნიორების შესახებ; სიახლეები კომისიის მიერ ან/და მისი მონაწილეობით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ; აგრეთვე გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის თემაზე საქართველოსთან დაკავშირებით მომზადებული ანგარიშები, კვლევები და სხვა.

მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს ვებგვერდის სამუშაო ვერსიის დახვეწა და მასზე განთავსებული ინფორმაციის სრულყოფა. ვებ-გვერდი სრული დატვირთვით ამოქმედდება 2019 წლის შემოდგომით.

ამოცანა: 12.1.2. გენდერული თანასწორობის ადგილობრივი მექანიზმების ჩამოყალიბება და გაძლიერება

ამოცანის ინდიკატორი: გენდერული თანასწორობის საკითხებში მრჩევლის არსებობა ყველა მუნიციპალიტეტის აღმასრულელებელ რგოლში შესაბამისი ფუნქციებითა და უფლებამოსილებით

ამოცანის შესრულებუს სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა: 12.1.2.1. მუნიციპალიტეტების აღმასრულებელ რგოლში გენდერული თანასწორობის საკითხებში მრჩევლის დანიშვნა, მისი ფუნქციებისა და უფლებამოსილების განმსაზღვრელი დოკუმენტის შემუშავება</u>

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია

პარტნიორი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი განსაზღვრულია ყველა მუნიციპალიტეტში და მათ უმეტესობას შემუშავებული აქვს სამუშაო აღწერილობა.

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისმა კომისიამ 2018 წელს დაიწყო მუშაობა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად, კოორდინაციის და ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული გენდერული პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით. (გთხოვთ იხ. საქმიანობა 12.3.1.1)

აღნიშნული მექანიზმის ამოქმედების შემდეგ, დაგეგმილია მუნიციპალიტეტებთან აქტიური თანამშრომლობა ქალთა უფლებრივი მდგომარეობის თავლსაზრისით არსებულ პრობლემებზე, ასევე, შემუშავდება სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტები.

მიზანი: 12.2. სახელმწიფო პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის პრინციპების ინტეგრირება

ამოცანა: 12.2.1. საჭიროებების გამოვლენა და სახელმწიფო უწყებების გაძლიერება გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად

ამოცანის ინდიკატორი: საპილოტე პროექტის სახით, განხორციელებულია წელიწადში მინიმუმ ერთი დოკუმენტის გენდერული გავლენის შეფასება; გენდერული თანასწორობის სამწლიანი ოპერაციული სამოქმედო გეგმა შემუშავებულია;

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა: 12.2.1.1. თითოეულ უწყებაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გენდერული შეფასების განხორციელება ადამიანური რესურსებისა და არსებული პრაქტიკის შესაფასებლად. გენდერული შეფასების შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება.</u>

პასუხისმგებელი უწყება: სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი ყველა უწყება, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია

აღნიშნული საქმიანობა, უწყებების შესაძლებლობების გათვალისწინებით, კიდევ უფრო დაკონკრეტდა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისისიის ინსტიტუციური განვითარების სამოქმედო გეგმით (2019-2020), რომელიც ითვალისწინებს სექტორული კვლევის განხორციელებას უწყების საქმიანობის სფეროში/სფეროებში გენდერული თანასწორობის მიმართულებით არსებული გამოწვევების გამოსავლენად. შემდეგ, უწყების მიერ გამოვლენილი გენდერული გამოწვევების, ასევე სამთავრობო სამოქმედო გეგმებში განსაზღვრული ვალდებულებების შესაბამისი გენდერული თანასწორობის შიდა სამოქმედო გეგმის შემუშავებას. შესაბამისად, მოხდა აქტივობის მცირედი მოდიფიცირება და მისი განხორციელება იგეგმება 2019 წლის განმავლობაში.

<u>საქმიანობა: 12.2.1.2. გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე პირის განსაზღვრა</u>

პასუხისმგებელი უწყება: სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი ყველა უწყება, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია

2018 წლის იანვარში შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, რომელიც ოჯახური დანაშაულის, ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციული ნიშნით და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, ტრეფიკინგის, არასრულწლოვანთა მიერ და მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე მიმდინარე გამოძიებისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების მონიტორინგს ახორციელებს.

ამასთანავე, გამოძიების ხარისხის და პოლიციის მხრიდან ფაქტებზე რეაგირების გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს ზემოაღნიშნული დანაშაულების გამოძიების სახელმძღვანელოების დამუშავება,

რეკომენდაციების მომზადება და პრაქტიკაში დანერგვა, ასევე მისი პერიოდული განახლება საკანონმდებლო ცვლილებებისა და არსებული გამოწვევების გათვალისწინებით. შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებული ზემოაღნიშნული ცვლილებები უზრუნველყოფს დანაშაულის დროულ და ეფექტიან გამოძიებას.

აღსანიშნავია, რომ დეპარტამენტი ამავდროულად ემსახურება პოლიციელების კონსულტირებას კომპეტენციის მიკუთვნებულ სფეროებზე, რაც მოიცავს გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულსაკითხებს, და წარმოადგენს საკონტაქტო დანაყოფს სამინისტროსა და სამოქალაქო სექტორს შორის.

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის მიერ უწყებებს დაევალათ გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე პირების განსაზღვრა. უწყებებიდან მიღებული კომუნიკაციის შედეგად შემუშავდა სია, რომელიც აზუსტებს როგორც ე.წ. focal point-ებს, ისე კომისიის ქვეშ სხვადასხვა თემატური მიმართულებით შექმნილ სამუშაო ჯგუფებში ჩართულ პირებს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ერთ-ერთი წამყვანი როლი აქვს გენდერული თანასწორობის საკითხებზე პოლიტიკის განსაზღვრასა და განხორციელებაში. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საშტატო ნუსხით გათვალისწინებული არ არის ამ მიმართულებით მომუშავე პირის პოზიცია, თუმცა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, ბატონი გოჩა ლორთქიფანიძე არის ევროპის საბჭოს გენდერული თანასწორობის კომისიის წევრი, რომლის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს ევროპის საბჭოს გენდერული თანასწორობის სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობა და მის ეროვნულ დონეზე იმპლემენტაციის ხელშეწყობა. გარდა ამისა, იუსტიციის მინისტრის მოადგილე არის გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის თანათავმჯდომარე. ტექნიკურ დონეზე გენდერული თანასწორობისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების კოორდინაციისა და მონიტორინგის ფუნქცია აკისრია საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტს (დეპარტამენტის უფროსი და დეპარტამენტის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი არიან საკონტაქტო პირები).

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში 2017 წლიდან მინისტრის ბრძანებით განისაზღვრა გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც თავისი საქმიანობის წარმართვისას ხელმძღვანელობს წინამდებარე სამოქმედო გეგმითა და სხვა თემატური სამოქმედო გეგმებით.

შემუშავდა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე

ამოცანა: 12.2.2. გენდერული ანალიზის დანერგვა და ანგარიშვალდებულების მექანიზმის განსაზღვრა

ამოცანის ინდიკატორი: საპილოტე პროექტის სახით, განხორციელებულია წელიწადში მინიმუმ ერთი დოკუმენტის გენდერული გავლენის შეფასება; ყველა კანონპროექტის, წარდგენისას წარმოდგენილია გენდერული გავლენის შეფასების ანგარიში; გენდერული თანასწორობის სამწლიანი ოპერაციული სამოქმედო გეგმა შემუშავებულია

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა: 12.2.2.2.</u> *<u>გენდერული თანასწორობის შიდა უწყებრივი დოკუმენტის შემუშავება მასში შესაბამისი ანგარიშვალდებულების მექანიზმის ინტეგრირებით</u>*

პასუხისმგებელი უწყება: *გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია*

მომუშავე უწყებათაშორისი კომისისიის ინსტიტუციური განვითარების სამოქმედო გეგმა (2019-2020) რომელიც დამტკიცდება კომისიის უახლოეს სხდომაზე.

ამოცანა: 12.2.3. გენდერულად სეგრეგიორებული მონაცემების დამუშავება

ამოცანის ინდიკატორი: არსებობს სტატისტიკური ინფორმაციის გენდერულად სეგრეგირებული შეგროვების ერთიანი სტანდარტი; სამინისტროების მიერ ყოველწლიურად სტატისტიკის ეროვნული სამსახურისთვის უწყების ფარგლებში დასაქმებულთა გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები მიწოდებულია;

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა 12.2.3.1.</u> *<u>სამინისტროების მიერ კომპეტენციის პარგლებში, სისტემის ფარგლებში, სტატისტიკური ინფორმაციის გენდერულად სეგრეგირებული შეგროვების ერთიანი სტანდარტის შექმნა.</u>*

პასუხისმგებელი უწყება: სამინისტროები, საქსტატი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი ყველა უწყება, მათ შორის საქვეუწყებო დაწესებულებები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას და დამუშავებას გენდერულ ჭრილში. აღნიშნული გულისხმობს გენდერული ნიშნით დაყოფილი სტატისტიკის ფლობას სერვისების მიწოდებისა თუ პოლიტიკის დაგეგმვის სფეროში.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებგვერდზე სისტემატურად თავსდება სამინისტროში დასაქმებულთა გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკის შესახებ განახლებული ინფორმაცია.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, ოჯახში ან და ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვას, ყოველთვიურად, აწარმოებს ელექტრონული პროგრამით, დეტალური

პარამეტრების მიხედვით, კერძოდ: ძალადობის სახეობები, გამოცემული შემაკავებელი და დამცავი ორდერების ტერიტორიული მაჩვენებლები (მუნიციპალური ჩაშლა), რეგისტრირებულ მოძალადეთა და მსხვერპლთა რაოდენობის, სქესის და ასაკობრივი დაჯგუფების მიხედვით, მიხედვით.

ასევე, გროვდება მონაცემები საქართველოს სსკ-ის 126[1] მუხლითა და ოჯახური დანაშაულის სხვა მუხლებით დაწყებული გამოძიებებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ (რაოდენობრივ და გეოგრაფიულ ჭრილში). ხდება აღნიშნული მონაცემების პერიოდული გამოქვეყნება შსს-ს ვებგვერდზე.

თვალსაჩინოებისთვის შსს-ს ვებგვერდზე[4] განთავსებულია ინტერაქტიური რუკა, რომელიც კურსორის მიტანით, აჩვენებს მონაცემებს შემაკავებელი ორდერების და დაწყებული გამოძიებების შესახებ წლების და გეოგრაფიული განფენილობის მიხედვით.

<u>საქმიანობა: 12.2.3.2. სამინისტროების მიერ ყოველწლიურად სტატისტიკის ეროვნული სამსახურისთვის უწყების ფარგლებში დასაქმებულთა გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების მიწოდება</u>

პასუხისმგებელი უწყება: სამინისტროები საქსტატი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აწარმოებს სამინისტროს სისტემის ფარგლებში მენეჯერულ და არა მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებული პირების თაობაზე სტატისტიკურ მონაცემებს გენდერულ ჭრილში და მოთხოვნის შემთხვევაში, ახდენს საჯარო ინფორმაციის გაცემას. სტატისტიკის ეროვნულ სააგენტოს 2018 წელს არ მოუთხოვია დასაქმებულთა გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების მიწოდება, შესაბამისად, არ მომხდარა ამ მონაცემების საქსტატისთვის მიწოდება.

ამოცანა: 12.2.4. ბიუჯეტის ფორმირების პროცესში გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინება

ამოცანის ინდიკატორი: გენდერული გავლენის შეფასების ანგარიში მომზადებულია და რეკომენდაციები ინტეგრირებულია ბიუჯეტის კანონპროექტში

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა: 12.2.4.1. შესაძლებლობების ფარგლებში, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ 2019 და 2020 წლების კანონპროექტების გენდერული ანალიზი (მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი), რეკომენდაციების მომზადება და ინტეგრირება საბოლოო დოკუმენტებში</u>

პასუხისმგებელი უწყება: სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი ყველა უწყება

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის, სახელწოდებით "გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის მხარდაჭერა," ფარგლებში, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირების საკითხი წარმოადგენს, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განახორციელა 2018 წლის პროგრამული ბიუჯეტის "დანაშაულის პრევენცია და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია (პროგრამული

[4] http://police.ge/ge/home

კოდი 26 07)“ ანალიზი. ანალიზის საფუძველზე 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრულ პროგრამაში - დანაშაულის პრევენცია, პრობაციის სისტემის განვითარება და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია (26 06) - აისახა გენდერული ინდიკატორები.

ამავე პროექტის ფარგლებში განხორციელდა გენდერული ბიუჯეტირება დამატებით ორ საპილოტე სამინისტროში. კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის პროგრამებსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების სიტემის რეფორმის პროგრამაში.

გარდა შერჩეული პროგრამების გენდერული ბიუჯეტირების ანალიზისა, ევრო კავშირის პროექტის ფარგლებში მოწვეულმა ექსპერტმა უწყეების ჩართულებით შეიმუშავა გენდერულ ბიუჯეტირებაზე გადასვლის სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია. დაგეგმილია მოცემული დოკუმენტის კომისიის ფარგლებში განხილვა და შემდგომში დამტკიცება.

მიზანი: 12.3. კოორდინაციის გაძლიერება გენდერული თანასწორობის საკითხებზე

ამოცანა: 12.3.1. გენდერული თანასწორობის საკითხებზე საკოორდინაციო მექანიზმის ჩამოყალიბება

ამოცანის ინდიკატორი: პლატფორმა ჩამოყალიბებულია; წელიწადში მინიმუმ ორჯერ საკოორდინაციო შეხვედრები ორგანიზებულია;

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

საქმიანობა: 12.3.1.1. უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში კოორდინაციის მექანიზმის შექმნა სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების გენდერის მრჩეველთა ჩართულობით

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიამ 2018 წელს დაიწყო მუშაობა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად, კოორდინაციის და ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული გენდერული პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.

უწყებათაშორისმა კომისიამ შეიმუშავა კონცეფცია „მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის პლატფორმა“, რომელშიც ინტეგრირდა არასამთავრობო ორგანიზაცია, „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ რეკომენდაციები.

კონცეფციის მიხედვით, უწყებათაშორის კომისიაში შეიქმნება თემატური სამუშაო ჯგუფი, რომელიც კონკრეტულად იმუშავებს გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებებთან დაკავშირებული პოლიტიკის ლოკალიზაციის მიმართულებით და ხელს შეუწყობს აღნიშნული პოლიტიკის ეფექტიან განხორციელებას. აღნიშნულ ჯგუფში მოწვეულნი იქნებიან თემატური სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, ასევე, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში განისაზღვრება გენდერზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტებს შორის კოორდინაციას და უზრუნველყოფს რეგიონულ დონეზე

არსებული მდგომარეობის შესახებ ცენტრალური ხელისუფლების ინფორმირებას. აქვე, აღსანიშნავია, რომ კოორდინაციის თვალსაზრისით, უწყებათაშორისი კომისიის მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს პრემიერ-მინისტრის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტი.

მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის პლატფორმის შექმნის მიზნით, 2019 წლის იანვარსა და მარტში გაიმართა ორი სამუშაო შეხვედრა, სამთავრობო უწყებების და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა მონაწილეობით. სამუშაო პროცესის დასრულება და პლატფორმის ამოქმედება დაგეგმილია 2019 წლის მაისამდე.

მიზანი: 12.4. მართლმსაჯულების განხორციელების გზით გენდერული თანასწორობის პრინციპების გაძლიერება

ამოცანა: 12.4.1. საერთო სასამართლოების სისტემაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა და ქალთა უფლებების დაცვა;

ამოცანის ინდიკატორი: შექმნილია სეგრეგირებული სტატისტიკური მონაცემები; გენდერულ თემატიკასა და საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ შექმნილი გამოცემები;

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა: 12.4.1.1. გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა თემატური ღონისძიებების ორგანიზება;</u>

პასუხისმგებელი უწყება: უზენაესი სასამართლო

11-12 მაისს მოსამართლეებისთვის გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე, რომელსაც უძღვებოდა ევროკავშირის „სასამართლო რეფორმის მხარდაჭერის პროექტი“-ს ხელმძღვანელი, გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე, ავსტრიელი მოსამართლე რენატე ვინტერი, გაიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრის მიერ მომზადებული ორი კვლევის პრეზენტაცია.

ამოცანა: 12.4.2. მოსამართლეთა და სასამართლოს მოხელეთათვის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის თაობაზე ცნობიერების ამაღლება საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით;

ამოცანის ინდიკატორი: შექმნილია სეგრეგირებული სტატისტიკური მონაცემები; გენდერულ თემატიკასა და საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ შექმნილი გამოცემები;

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა: 12.4.2.1. კონფერენციის ორგანიზება გენდერული თანასწორობის საკითხებზე;</u>

პასუხისმგებელი უწყება: უზენაესი სასამართლო

ევროპის საბჭოს პროექტის ,,სასამართლოს რეფორმის მხარადაჭერა საქართველოში“, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროგრამა PROLOG-ისა და

ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის ერთობლივი ორგანიზებით, საერთაშორისო კონფერენცია „ქალ მოსამართლეთა როლი სასამართლო სისტემაში“ გაიმართა. კონფერენციის მიზანი იყო ქალ მოსამართლეთა გაძლიერება, პროფესიული გამოცდილებისა და წარმატებული მაგალითების გაზიარების გზით, ასევე იმ უპირატესობის ჩვენება, რაც სასამართლო ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე ქალთა თანაბარ წარმომადგენლობას ახლავს.

ამოცანა: 12.4.3. საერთო სასამართლოებში სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოება;

ამოცანის ინდიკატორი: შექმნილია სეგრეგირებული სტატისტიკური მონაცემები; გენდერულ თემატიკასა და საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ შექმნილი გამოცემები;

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

***საქმიანობა: 12.4.3.1** ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე სტატისტიკის წარმოება;*

***პასუხისმგებელი უწყება:** უზენაესი სასამართლო*

უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის სექტორი უზრუნველყოფს საერთო სასამართლოებიდან მიღებული სტატისტიკის წარმოებას საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. სამსახური სასამართლოებიდან მიღებული და დამუშავებული მონაცემების საფუძველზე ამზადებს და უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე[5] გამოქვეყნდება 1 აპრილიდან ინფორმაცია ოჯახურ ძალადობაზე სტამბოლის კონვენციის თანახმად სასამართლო გადაწყვეტილებების მიხედვით და დაზარალებული ქალების რაოდენობის მითითებით.

***საქმიანობა: 12.4.3.2.** სტატისტიკური მონაცემების დამუშავება გენდერულ ჭრილში;*

პასუხისმგებელი უწყება: უზენაესი სასამართლო

2018 წლიდან უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის სექტორმა განახორციელა განაჩენის გამოტანით განხილულ საქმეებში დაზარალებული ქალების აღრიცხვა გარკვეული სახის დანაშაულების მიხედვით. სტატისტიკის სექტორი აგროვებს ასევე მონაცემებს მსჯავრდებული პირების სქესის შესახებ. გასული წლიდან სტატისტიკის სექტორი აწარმოებს მსხვერპლისა და მოძალადის სქესის აღრიცხვას დამცავი ორდერების მიხედვითაც. ასევე, სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის მიხედვით სასჯელის დამამძიმებელ გარემოებებზე გამოყენებით გენდერულ ჭრილში ინფორმაციას. (რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების) აღნიშნული ინფორმაციის დამუშავება ამ ეტაპზე მიმდინაროებს და პირველი მონაცემების გამოქვეყნება მოხდება 2019 წლის განმავლობაში.

[5] http://www.supremecourt.ge/statistics/

ამოცანა: 12.4.4.ქალთა უფლებების დაცვის შესახებ სასამართლო პრაქტიკის ანალიზი;

ამოცანის ინდიკატორი: შექმნილია სეგრეგირებული სტატისტიკური მონაცემები; გენდერულ თემატიკასა და საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ შექმნილი გამოცემები;

ამოცანის შესრულების სტატუსი: სრულად შესრულებული

<u>საქმიანობა: 12.4.4.1.</u> *<u>სასამართლო პრაქტიკის ანალიზი და შესაბამისი გამოცემების მომზადება</u>*

პასუხისმგებელი უწყება: *უზენაესი სასამართლო*

2018 წელს უზენაესმა სასამართლომ მოამზადა კვლევა, ,,ოჯახური ძალადობის საქმეებზე სისხლის სამართლის კანონმდებლობა და პრაქტიკა", რომელშიც წარმოდგენილი იყო სსკ-ის 1261 მუხლის ანალიზი სასამართლო პრაქტიკის ჭრილში, როგორც ადგილობრივი სასამართლოს პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე, ისე საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების ჭრილში;

ამოცანა: 12.4.5. საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის დაცვის საკითხებზე;

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა: 12.4.5.1.</u> *<u>სტამბოლისა და CEDAW კონვენციების მოქმედების საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა და ანალიზი;</u>*

პასუხისმგებელი უწყება: *უზენაესი სასამართლო*

2019 წელს ანალიტიკური განყოფილება გეგმავს ჩაატაროს კვლევა ეროვნული სასამართლო პრაქტიკის სტამბოლისა და CEDAW კონვენციებით დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ.

<u>საქმიანობა: 12.4.5.2.</u> *<u>მრგვალი მაგიდის ფორმატში შეხვედრების ორგანიზება კონვენციების სასამართლო პრაქტიკაში გამოყენებისა და განმარტების საკითხებზე;</u>*

პასუხისმგებელი უწყება: *უზენაესი სასამართლო*საქართველოს უზენაესი სასამართლო თანამშრომლობის ევროპის საბჭოს პროექტთან ,,ევროპის საბჭოს სტამბოლის კონვენციის იმპლემენტაცია საქართველოში." პროექტის ფარგლებში დაგეგმილია გასვლითი სამუშაო შეხვედრა მოსამართლეების და პროკურორების მონაწილეობით. შეხვედრის მიზანია ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საქმეების გამოძიების და სასამართლო განხილვის პრაქტიკული საკითხების განხილვა, პრობლემების იდენტიფიცირება და პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების შემუშავება.

<u>საქმიანობა: 12.4.5.3.</u> *<u>საერთო სასამართლოების მოსამართლეთა კორპუსის წარმომადგენლებისა და მათი თანაშემწეებისათვის საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე გამოცემების უზრუნველყოფა;</u>*

პასუხისმგებელი უწყება: უზენაესი სასამართლო

ანალიტიკურმა განყოფილებამ გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით 2018 წელს გამოსცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე (განახლებული კრებული), აგრეთვე, კვლევა „საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ოჯახში ძალადობის შესახებ საქმეებზე". დამატებით, ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრი მოსამართლეებისა და მათი თანაშემწეების მომართვის საფუძველზე, მოიძიებს, თარგმნისა და აანალიზებს ადამინის უფლებათა ევროპული სასამართლის შესაბამის პრაქტიკას.

მიზანი: 12.5. პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის მხარდაჭერა

ამოცანა: 12.5.1. პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალისა და კაცის თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობა

ამოცანის ინდიკატორი: არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა, კანდიდატთა, არჩეულ პირთა, დამკვირვებელთა და საარჩევნო ამდინისტრაციის თანამშრომელთა შესახებ ინფორმაცია გენდერულ ჭრილში დამუშავებულია და განთავსებულია ცესკოს ვებ-გვერდზე; ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა; ტრენინგის მონაწილეთაგან არჩევნებზე რეგისტრირებული ქალი კანდიდატების რაოდენობა

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა: 12.5.1.1. საარჩევნო ინფორმაციის დამუშავება გენდერული შემადგენლობის მიხედვით</u>

პასუხისმგებელი უწყება: *ეთხოვოს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას*

<u>საქმიანობა: 12.5.1.2. პოტენციური კანდიდატი ქალების ტრენინგი საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით</u>

პასუხისმგებელი უწყება: *ეთხოვოს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას*

მოცემული საქმიანობის განხორციელება გათვალისწინებულია 2020 წელს.

ამოცანა: 12.5.2. სასწავლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება გენდერულ საკითხებზე

ამოცანის ინდიკატორი: შექმნილი/განხორციელებული სასწავლო პროგრამების რაოდენობა ახალგაზრდებისთვის;

ამოცანის შესრულების სტატუსი: სრულად შესრულებული

<u>საქმიანობა: 12.5.2.1. სასწავლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება გენდერულ საკითხებზე</u>

პასუხისმგებელი უწყება: ეთხოვოს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას

2018 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის (I და II ტური), ცესკომ დაამუშავა გენდერული სტატისტიკა შემდეგ საკითხებზე: ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრირებულ პირთა შესახებ, აქტივობა სიიდან, არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლები, საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილი კანდიდატები, დამკვირვებლები, მედია და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები; საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობა (ცესკო, ოლქი, უბანი). აღნიშნული ინფორმაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე ცესკომ გამოაქვეყნა ოფიციალურ ვებგვერდზე ბანერში: „გენდერული სტატისტიკა“[6].

საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ 2018 წელს განხორციელებული სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტებიდან ორ პროგრამაში „საარჩევნო განვითარების სკოლა“ და ,,არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ გათვალისწინებული იყო სასწავლო მოდული გენდერულ საკითხებზე.

საგანმანათლებლო პროექტი „საარჩევნო განვითარების სკოლა“

ცესკომ და სწავლების ცენტრმა, ევროპის საბჭოს (CoE) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით, თბილისსა და საქართველოს 23 მუნიციპალიტეტში განახორციელეს პროექტის „საარჩევნო განვითარების სკოლა“. ათდღიანი სწავლება 18-24 წლის ახალგაზრდებს ჩაუტარდათ 25 „საარჩევნო განვითარების სკოლაში“ და ისინი გაეცნენ შემდეგ საკითხებს: საარჩევნო სისტემები, საარჩევნო ადმინისტრაცია, 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნები, დემოკრატიული საარჩევნო პრინციპები, არჩევითი ორგანოები საქართველოში, არჩევნებში ჩართული მხარეები, არჩევნების გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა და გენდერული თანასწორობა.

პროექტის 33 წარჩინებული კურსდამთავრებული ცესკომ ორი თვის ვადით დაასაქმა საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტში, მათგან 10-მა – თბილისის, ხოლო 23-მა – სხვა საოლქო საარჩევნო კომისიებში გაიარეს პრაქტიკა და მიიღეს საარჩევნო გამოცდილება.

25 საარჩევნო განვითარების სკოლა განხორციელდა თბილისსა და 23 მუნიციპალიტეტში[7], მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით და იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, ასევე საზღვრისპირა რეგიონებში/ მუნიციპალიტეტებში. მონაწილეობა მიიღო 472-მა ახალგაზრდამ, მათ შორის 311 (66%) იყო ქალი და 161 (34%) – კაცი.

სასწავლო-საინფორმაციო პროგრამა „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“

ცესკომ და სწავლების ცენტრმა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობით, ახალგაზრდების საარჩევნო ცნობიერების ამაღლებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდის მიზნით, განახორციელეს სასწავლო-საინფორმაციო პროექტი: „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“. საჯარო სკოლების XI-XII კლასის მოსწავლეები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: არჩევნების ისტორიული ექსკურსი და თანამედროვეობა, არჩევნები და დემოკრატია, საარჩევნო

[6] გენდერული სტატისტიკის შესახებ ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: http://cesko.ge/statistic/

[7] თბილისი, გურჯაანი, სიღნაღი, თელავი, ახმეტა, რუსთავი, გარდაბანი, მარნეული, დუშეთი, გორი, ახალგორი (წეროვანი, დევნილთა დასახლება), ბორჯომი, ახალციხე, ამბროლაური, საჩხერე, ზესტაფონი, ქუთაისში, სამტრედია, ოზურგეთი, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ბათუმი და ქობულეთი.

ადმინისტრაცია და ამომრჩეველი, არჩევნებში ჩართული მხარეები და გენდერული თანასწორობა.

პროექტი განხორციელდა ხუთი თვითმმართველი ქალაქის 108 საჯარო სკოლაში, მონაწილეობა მიიღო 1 857-მა ახალგაზრდამ, მათ შორის 1 219 (66%) იყო ქალი და 638 (34%) – კაცი.

სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრა მედიის წარმომადგენლებთან

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის ცესკომ და სწავლების ცენტრმა, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით, ჩაატარეს სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრა ცენტრალური და რეგიონული მედია საშუალებების წარმომადგენლებთან. შეხვედრის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: საარჩევნო კანონმდებლობის სიახლეები, მედიის როლი საარჩევნო პროცესში, კენჭისყრის დღე და ფოტო-ვიდეო გადაღების რეგულაციები, ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა და გენდერული თანასწორობა, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა.

სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 19 ცენტრალური მედიაორგანიზაციის 21-მა წარმომადგენელმა, მათ შორის 18 (86%) იყო ქალი და სამი (14%) – კაცი. ასევე რეგიონული მედიის, 25 ტელე/რადიო და 26 ბეჭდური/ონლაინ მედიის 61-მა წარმომადგენელმა, მათ შორის 44 (72%) იყო ქალი და 17 (28%) – კაცი.

გენდერული თანასწორობის საკითხის გათვალისწინება და ხელშეწყობა საგრანტო კონკურსების ორგანიზებისას

2018 წელს, საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, საგრანტო კონკურსის დაფინანსების ერთ-ერთ მიმართულებად ცესკომ განსაზღვრა – მოწყვლადი ჯგუფებისა და ქალების მონაწილეობის ხელშეწყობა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის. აღნიშნული მიმართულებით დაფინანსდა ოთხი პროექტი, დაფინანსების ბიუჯეტმა შეადგინა 72 774.4 ლარი.

13. მოქმედების სფერო - ქალთა ეკონომიკური გაძლიერება

მიზანი: 12.6. შრომის ბაზარზე ქალთა მონაწილეობის გაზრდა და შრომით ურთიერთობებში გენდერული თანასწორობის დამკვიდრების ხელშეწყობა

ამოცანა: 12.6.1. დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა

ამოცანის ინდიკატორი: შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში გენდერული კრიტერიუმები ინტეგრირებულია; საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელოს გენდერული მეინსტრიმინგი და გენდერზე პასუხისმგებელი პირების სამუშაო აღწერილობების დამუშავება განხორციელებულია; შესაბამისი დროებითი სპეციალური ღონისძიებები შემუშავებულია; ადამიანური რესუსრების მართვაზე პასუხისმგებელ პირთა შესაძლებლობები გაძლიერებულია

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

საქმიანობა: 12.6.1.1. *შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის სტრატეგიისა და მისი*

განხორციელების სამოქმედო გეგმის გენდერული მეინსტრიმინგი

პასუხისმგებელი უწყება: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

საქართველოს მთავრობა 2015 წლიდან ახორციელებს შრომის ბაზრის აქტიურ პოლიტიკას დასაქმების და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამების მეშვეობით. სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნად პროფესიებში სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებით და/ან სამუშაო ადგილებზე შემდგომი სტაჟირებით მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამ გზით სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობა. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის აუცილებელი პირობაა სამუშაოს მაძიებლის მიერ ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტის ქონა. აღნიშნული პირობა/შეზღუდვა არ ვრცელდება ქალებზე, რომელთათვისაც ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დასრულება შეუძლებელი გახდა ადრეული ქორწინების გამო, ხოლო სხვა თანაბარ პირობებში არსებობისას უპირატესობა ენიჭებათ ქალებს.

2018 წლის პროგრამის ფარგლებში, კვალიფიკაციის ამაღლების (სტაჟირების) კომპონენტის ფარგლებში სტაჟიორად დარეგისტრირდა 188 მოსარგებლე, ჩართული სტაჟიორებიდან, პროგრამის ფარგლებში დასაქმდა 79 მოსარგებლე. მათ შორის, ქალი - 50 (64.10%). კვალიფიკაციის ამაღლების (მომზადების) კომპონენტის ფარგლებში მოსარგებლედ ჩაერთო 2871 ადამიანი, მათ შორის, 1969 ქალი, ხოლო კურსი დაასრულა 2574 მოსარგებლემ, მათ შორის, 1779 ქალმა. შედეგად დასაქმდა 514 მოსარგებლე, მათ შორის, 298 ქალი.

დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის შედეგები:

- 2018 წელს, შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში - www.worknet.gov.ge-ზე სულ დარეგისტრირებულია 229 555 სამუშაოს მაძიებელი. მათგან აქტიური მაძიებელია - 194 296 (აქტიურობის სტატუსს განსაზღვრავს სამუშაოს მაძიებელი). აქედან, ქალი - 109 223;
- „შრომის ბაზარზე ქცევის წესების“ გაცნობის მიზნით, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ განყოფილებებში სამუშაოს მაძიებლებს ჩაუტარდათ ინდივიდუალური და ჯგუფური ზოგადი კონსულტირებები. 2018 წელს სააგენტოს რაიონულ განყოფილებებში ჯგუფურ კონსულტაციებში მონაწილეობა მიიღო 1 744 სამუშაოს მაძიებელმა. (5 - თბილისის საქალაქო სერვის ცენტრი და 61 - რეგიონის სერვის ცენტრები). მათ შორის, ქალი - 1 168. ინდივიდუალური კონსულტირება გაიარა 16 275 სამუშაოს მაძიებელმა. მათ შორის, ქალი - 9 266 (აქტივობა- შრომის ბაზარზე ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირების გაწევა მუნიციპალურ დონეზე);
- საშუამავლო მომსახურების გაწევის (სამუშაოს მაძიებელთა შერჩევის) მიზნით დამსაქმებლების მიერ წარმოდგენილი იქნა 8 932 ვაკანტური სამუშაო ადგილი. ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია მიეწოდა სისტემაში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებლებს. ვაკანსიების ფარგლებში შეირჩა და დამსაქმებლებთან გაიგზავნა 3 492 სამუშაოს მაძიებელი. მათ შორის, ქალი - 1 728. საშუამავლო მომსახურების ფარგლებში დასაქმდა 483 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის, ქალი - 284;
- 2018 წელს, სოციალური მომსახურების სააგენტოს პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტების მიერ კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული კონსულტირების მომსახურებები ჩატარდა

თბილისსა და საქართველოს ხუთ რეგიონში: ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი, იმერეთი, აჭარა. ინდივიდუალური პროფესიული კონსულტირება ჯამში გაეწია 530 ბენეფიციარს. მათ შორის, ქალი - 365. ასევე, ჯგუფური პროფესიული კონსულტირება გაეწია 333 ბენეფიციარს. მათ შორის: ქალი - 207;

- დამსაქმებლებთან შეხვედრის შედეგად, მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტებმა შშმ პირთათვის მოიძიეს 341 ვაკანსია. თბილისსა და 5 რაიონულ განყოფილებაში, მხარდაჭერითი მომსახურება გაეწია 274 შშმ პირს (თბილისი - 93, რეგიონი 181), მათ შორის, ქალი - 126;
- 2018 წლის განმავლობაში სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის თანამონაწილეობით და ორგანიზებით ჩატარდა 12 დასაქმების ფორუმი. ფორუმების შედეგად, ამ ეტაპზე დასაქმებულია 366 სამუშაოს მაძიებელი. აქედან, თბილისი - 354, რეგიონები - 12, მათ შორის, ქალი - 235. 2017 წლის დეკემბრის თვეში ჩატარებული ფორუმის შედეგად 2018 წელს დასაქმდა 5 სამუშაოს მაძიებელი (მათ შორის, ქალი - 2).

<u>საქმიანობა: 12.6.1.3. საჯარო დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირთა გენდერული ტრეინინგი</u>

პასუხისმგებელი უწყება: სამინისტროები

2018 წლის 1-3 და 5 ნოემბერს, ასევე, 2018 წლის 29 ნოემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსმა და უფროსის მოადგილემ მონაწილეობა მიიღეს ტრენინგში გენდერული თანასწორობის თემაზე. ტრენინგი ორგანიზებული იყო შვედური ორგანიზაციის NIRAS ორგანიზებითა და კომპანია CPM და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაცია - ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრთან (IRC) თანამშრომლობითა და ევროკავშირის მხარდაჭერით.

2018 წლის 14-15 დეკემბერს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მიიღეს მონაწილეობა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით განხორციელებულ ტრენინგში "გენდერული თანასწორობა".

ამოცანა: 12.6.2. პროფესიული განვითარების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა

ამოცანის ინდიკატორი: მიმდინარეობს კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებებში მონაწილეთა გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკის ყოველწლიური წარმოება; შემუშავებულია სასწავლო კურსები/მოდულები; ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები/გოგონებისათვის ჩატარებულია პროფესიული გადამზადებისა და უნარ-ჩვევების გასაძალიერებელი ღონისძიებები

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა: 12.6.2.2. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების/გოგონების პროფესიული გადამზადება და უნარ-ჩვევების გაძლიერება</u>

პასუხისმგებელი უწყება: *შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებზე საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი*

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიმართულებით სახელმწიფო მინისტრის აპარატის ერთ-ერთი პრიორიტეტია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში დაიგეგმა და განხორციელდა ისეთი ღონისძიებები, რაც მიზნად ისახავდა აღნიშნული მიმართულებით მათი ცოდნისა და უნარჩვევების გაღრმავებას. კერძოდ, სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები ქალებისთვის ჩატარდა სასწავლო კურსი „როგორ დავიწყოთ და განვავითაროთ ბიზნესი". კონკურსის შედეგად შერჩეულ თექვსმეტ მონაწილეს შესაძლებლობა მიეცა აემაღლებინა თეორიული ცოდნა და განევითარებინა სამეწარმეო საქმიანობის პრაქტიკული უნარები, მოემზადებინა კონკრეტული ბიზნეს წინადადებები. სწავლება მიმდინარეობდა 27 სასწავლო საათის განმავლობაში, რის შემდეგაც მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

ამოცანა: 12.6.4. სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების პრევენცია და მასზე ეფექტიანი რეაგირება

ამოცანის ინდიკატორი: საჯარო უწყებების თანამშრომელებს გავლილი აქვთ კურსი სექსუალური შევიწროების შესახებ; წელიწადში მინიმუმ ერთი ფართომასშტაბიანი კამპანია წარმოებულია; შეხვედრები/დისკუსიები საქართველოს ბიზნეს ასოციაციასა და კერძო კომპანიების წარმომადგენლებთან; ამ მიმართულებით საუკეთესო კომპანიები გამოვლენილი და დაჯილდოებულია;

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა: 12.6.4.2. ფართო საზოგადოებაში სექსუალური შევიწროების შესახებ ცნობიერების ამაღლება</u>

პასუხისმგებელი უწყება: ეთხოვოს სახალხო დამცველის აპარატს

2018 წლის 10-12 ოქტომბერს, სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტმა ქ. ბათუმში, ჩაატარეს ტრენინგი, რომელსაც ესწრებოდნენ საზღვაო ინდუსტრიაში მომუშავე კომპანიებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები. **ტრენინგს ესწრებოდა 25 პირი.** ტრენინგის ძირითადი თემა იყო სექსუალური შევიწროება, გენდერული თანასწორობა და დისკრიმინაციის აღმოფხვრა. ტრენინგზე ასევე მიმოხილულ იქნა სახალხო დამცველის მანდატი და პრაქტიკული მაგალითების ფონზე განხილულ იქნა სექსუალური შევიწროება, ქალების ჩართულობა შრომით ურთიერთობებში, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში და არსებული გენდერული სტერეოტიპები.

ქალთა ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მხარდაჭერით, 26 და 27 ნოემბერს **„სექსუალური შევიწროებისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის"** თემაზე, სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 6 საინფორმაციო შეხვედრა გამართეს ქ. ბათუმში. ***26 ნოემბერს*** „სექსუალური შევიწროებისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის" თემაზე ინფორმაცია მიეწოდა - „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს", „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის" და „ბათუმის საზღვაო საინჟინრო სასწავლებლის" თანამშრომლებს. ***27 ნოემბერს*** საინფორმაციო შეხვედრები გაგრძელდა „სსიპ ბათუმის ბულვარის", „აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის" და „ბათუმის მერიის" თანამშრომლებისთვის. თითოეულ

შეხვედრას ესწრებოდა 20-მდე მონაწილე. საინფორმაციო შეხვედრებზე განხილული იქნა სექსუალურ შევიწროება, ასევე მონაწილე პირებს მიეწოდათ ინფორმაცია გენდერულ სტერეოტიპებსა და დისკრიმინაციის წახალისებაზე.

6-7 დეკემბერს, ქ. თბილისში სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, **„სექსუალური შევიწროებისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის“ თემაზე** 4 საინფორმაციო შეხვედრა გამართეს კერძო კომპანიების წარმომადგენლებთან. კერძოდ, 6 დეკემბერს შეხვედრები გაიმართა „კრონ პალასის“, „ჯეპრას“ (GEPRA) და „ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის (GAU)“ თანამშრომლებთან. შეხვედრაზე განხილული იყო დისკრიმინაციის წახალისება და სექსუალური შევიწროება. იმავე თემაზე, 7 დეკემბერს საინფორმაციო შეხვედრა გავმართეთ "შპს დიოს (DIO)"-ს თანამშრომლებთან. თითოეულ შეხვედრას ესწრებოდა 20-მდე მონაწილე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თითოეულ შეხვედრაზე მონაწილეთა ჩართულობა საკითხების განხილვისას იყო მაღალი.

13 ნოემბერს, სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტმა, ქ. ფოთის პორტის "APM TERMINALS POTI SEA PORT CORPOPRATION" თანამშრომლებისთვის საგანმანათლებლო ტრენინგი ჩაატარა. ტრენინგის თემა იყო „დისკრიმინაციის აღმოფხვრა შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში“. **ტრენინგს ესწრებოდა 25 პირი.** ტრენინგზე საუბარი შეეხო დისკრიმინაციასთან ბრძოლის საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოს, შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში დისკრიმინაციის შემთხვევებს. განსაკუთრებული აქცენტი გავაკეთეთ სექსუალურ შევიწროებაზე. ასევე, განხილული იყო დისკრიმინაციის წახალისება.

2018 წლის 14 და 15 ნოემბერს ქ. ფოთში, ქ. ოზურგეთში, ქ. ლანჩხუთსა და ქ. ჩოხატაურში თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა საინფორმაციო შეხვედრები გამართეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან. 2018 წლის 24 დეკემბრიდან 28 დეკემბერის ჩათვლით თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა - გიორგი კაპანაძემ, ანა კვაჭაძემ და დიანა დავითაძემ საინფორმაციო შეხვედრები გამართეს შემდეგ 8 მუნიციპალიტეტში - *თიანეთი; თელავი; ყვარელი; ლაგოდეხი; გურჯაანი; სიღნაღი; დედოფლისწყარო და საგარეჯო.*

შეხვედრებზე ვისაუბრეთ, სახალხო დამცველზე როგორც დისკრიმინაციასთან ბრძოლის მექანიზმზე, ასევე, განვიხილეთ დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმა, მათ შორის, სექსუალური შევიწროება. საინფორმაციო შეხვედრის ფარგლებში დამსწრე პირებს მივაწოდეთ სტატისტიკური ინფორმაცია თანასწორობის დეპარტამენტის მიერ განხილული საქმეების შესახებ.

<u>საქმიანობა: 12.6.4.3. სექსუალური შევიწროებისა და მასზე რეაგირებისთვის შიდა პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების წახალისება კერძო სექტორში</u>

პასუხისმგებელი უწყება: ეთხოვოს სახალხო დამცველის აპარატს

ტრეინინგები ჩატარდა შრომის ინსპექტორებისთვის, პროფესიული კავშირებისა და დამსაქმებელთა ასოციაციების წარმომადგენლებისთვის, კერძოდ: 22-26 ოქტომბერს სოფელ იყალთოში სასტუმრო „სავანეთში“ ჩატარდა დღენახევარიანი ტრენინგები თემაზე „დისკრიმინაცია წინასახელშეკრულებო და შრომით ურთიერთობებში“. ტრენინგზე ყურადღება გამახვილდა, მათ შორის, დასაქმების ადგილზე ორსულობის და განსხვავებული/პოლიტიკური მოსაზრების გამო დისკრიმინაციაზე, შევიწროებასა და სექსუალურ შევიწროებაზე. ტრენინგს ესწრებოდნენ შრომის ინსპექტორები **(31 მონაწილე),** პროფესიული კავშირების წევრები **(20 მონაწილე)** და დამსაქმებელთა ასოციაციის წარმომადგენლები **(23 მონაწილე).**

11-14 დეკემბერს სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ ამავე ჯგუფებისთვის ჩატარდა ერთდღიანი თანმდევი (follow-up) ტრენინგი თემაზე „გენდერული თანასწორობა და დისკრიმინაციის აღმოფხვრა“. თითოეულ ტრენინგს 20 მონაწილე ესწრებოდა.

ტრენინგებზე ძირითადი ყურადღება დაეთმო გენდერული სტერეოტიპების და დისკრიმინაციის ფორმების შესახებ მსჯელობას, ასევე განხილული იყო პრაქტიკული მაგალითები.

მიზანი: 12.7. ქალთა აუნაზღაურებელი შრომის აღიარება, შემცირება და რედისტრიბუცია

ამოცანა: 12.7.2. სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უზრუნველყოფა სასმელი წყლით, ინფრასტრუქტურული და სატრანსპორტო სერვისებით

ამოცანის ინდიკატორი: საჭიროებების კვლევა განხორციელებულია, პროექტის ღირებულების შეფასებულია, პროექტის ხუთწლიანი განრიგი შემუშავებულია;

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

***საქმიანობა: 12.7.2.1.** სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უზრუნველყოფა სასმელი წყლით, ელექტროენერგიით, გაზმომამარაგებით, გზითა და საჯარო ტრანსპორტით*

პასუხისმგებელი უწყება: რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; შპს „გაზის ტრანსპორტირების კომპანია“; ეთხოვოს მუნიციპალიტეტებს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ 2018 წელს ჩაატარა გამოკითხვა, საქართველოს მასშტაბით, მუნიციპალიტეტების ჩართულობით, წყალმომარაგების მდგომარეობის შესასწავლად. გამოკითხვის მიზანია გაკეთდეს კვლევა, რომელიც მიზნად ისახავს სოფლად და ქალაქად მცხოვრები მოსახლეობის სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობის გაზრდას. ამჟამად, მიმდინარეობს მონაცემების გაანალიზება და საჭიროებების გამოვლენა, კერძოდ, რთული რელიეფის მქონე სოფლებისთვის წყალმომარაგების ალტერნატიული გზების მოსაძიებლად. მოცემულ ეტაპზე, დონორ ორგანიზაციებთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები ტექნიკური დახმარების ფარგლებში დამატებითი კვლევების ჩატარების თაობაზე.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მუნიციპალიტეტებს აღმოუჩინა დახმარება გამოევლინათ საქალაქთაშორისო და ადგილობრივი ტრანსპორტის საჭიროებები. კერძოდ კი, საქალაქთაშორისო და ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანის არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, 2019 წელს იდენტიფიცირებულ იქნა (ჩატარდა გამოკითხვა რეგიონების სატრანსპორტო საჭიროებებზე) საქართველოს 9 რეგიონის სატრანსპორტო საჭიროებები მოკლე და საშუალოვადიანი პერიოდისთვის ტრანსპორტის სახეობების მიხედვით (ავტობუსი, მიკრო ავტობუსი). ამჟამად იდენტიფიცირებულია მოკლე და საშუალო პერიოდისთვის საჭირო მუნიციპალური და საქალაქთაშორისო საშუალებების სახეობები და რაოდენობა.

საქართველოს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის განვითარებაზე პასუხისმგებელი დაწესებულება არის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2018

წლის განმავლობაში განხორციელდა 220კმ-მდე საავტომობილო გზების/მონაკვეთების რეაბილიტაცია და 25 სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია-მშენებლობა.

საავტომობილო გზების დეპარტამენტისგან განსხვავებით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მართვაში არსებული სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ უფლებამოსილებას წარმოადგენს ადგილობრივი (მუნიციპალური) საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება.
2018 წელს ფონდის მიერ განხორციელდა 22 პროექტი, რომლითაც რეაბილიტაცია ჩაუტარდა საქართველოს მუნიციპალურ და სხვადასხვა დასახლებასთან/ობიექტთან მისასვლელ გზას.

„მაღალმთიანი სოფლების მცხოვრებთა ხელმისაწვდომობის ზრდა ბუნებრივი აირის მოხმარებაზე - ყაზბეგის და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიანი სოფლების მუდმივად მცხოვრებ დაახლოებით 5 700 აბონენტს აუნაზღაურდა მიწოდებული ბუნებრივი გაზის ღირებულება ბიუჯეტით გათვალისწინებული - 7,363,339.85 ლარი.

2018 წელს ჯამში ბუნებრივი გაზის ქსელში ჩართვის საშუალება მიეცა 62 დასახლებული პუნქტის 20481 პოტენციურ აბონენტს.

ამოცანა: 12.7.3. სამუშაო გარემოს შეთავსების უზრუნველყოფა მშობლის ვალდებულებეთან

ამოცანის ინდიკატორი: დედობის შვებულების არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით შესაბამისი ინიციატივა მომზადებული და წარდგენილია; თანასწორი, ანაზღაურებადი და არაგადაცემადი მამობის/მშობლის შვებულებასთან დაკავშირებული რეგულაციები შემუშავებულია და წარდგენილია;

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა: 12.7.3.1. დედობის შვებულების არსებული ხარვეზების გამოსწორება (კერძო და საჯარო სექტორებში მარეგულირებელი ჩარჩოს ჰარმონიზების წახალისება)</u>

პასუხისმგებელი უწყება: *შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო*

საქართველოს მთავრობამ 2013 წლიდან რიგი მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ქალთა შრომითი უფლებების დაცვის კუთხით. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა მეტწილად შესაბამისობაშია ასოცირების შესახებ შეთანხმების XXX დანართით გათვალისწინებული დისკრამინაციის აკრძალვისა და გენდერული თანასწორობის სფეროს მიკუთვნებულ დირექტივებთან, თუმცა მიმდინარეობს მუშაობა დანართით გათვალისწინებული დირექტივების ტრანსპოზიციის მიზნით. მიმდინარე ეტაპზე საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილია ცვლილებების პაკეტი, რომელმაც უკვე გაიარა ორი მოსმენა. საკანონმდებლო პაკეტი მომზადებულია 2000/78/EC და 2004/113/EC დირექტივების შესაბამისად. ხოლო, დამუშავების პროცესშია საკანონმდებლო ცვლილებები 92/85 და 2006/54/EC დირექტივების შესაბამისად და 2019 წელს წარედგინება საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად. რაც შეეხება კონკრეტულ აქტივობებს, რომელიც უკავშირდება დედობის შვებულების არსებული ხარვეზების გამოსწორებას და თანასწორი, ანაზღაურებადი და არაგადაცემადი მამობის/მშობლის შვებულებასთან დაკავშირებულ რეგულაციებს, აღსანიშნავია, რომ დასახელებული მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა არსებული სიტუაციის შეფასების და ხარვეზების გამოსწორების კონკრეტული

აქტივობების განსაზღვრის მიზნით, როგორც შიდაუწყებრივ დონეზე, ისე საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით.

<u>საქმიანობა: 12.7.3.2. თანასწორი, ანაზღაურებადი და არაგადაცემადი მამობის/მშობლის შვებულებასთან დაკავშირებული რეგულაციები შემუშავებულია და წარდგენილია შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელ საკანონმდებლო ჩარჩოში ინტეგრაციის მიზნით</u>

პასუხისმგებელი უწყება: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

დასახელებული მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა არსებული სიტუაციის შეფასების და ხარვეზების გამოსწორების კონკრეტული აქტივობების განსაზღვრის მიზნით, როგორც შიდაუწყებრივ დონეზე, ისე საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით.

მიზანი: 12.8. სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება

ამოცანა: 12.8.2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში ქალთა ჩართულობის გაძლიერება

ამოცანის ინდიკატორი: კვლევა სოფლად მცხოვრებ ქალთა საჭიროებების გამოსავლენად ჩატარებულია გენდერულად სეგრეგირებულ მონაცემებსა და მათ ანალიზზე დაყრდნობით

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა: 12.8.2.1. სოფლად მცხოვრებ ქალთა ინფორმირებისთვის საინფორმაციო კამპანიების განხორციელება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მნიშვნელობის შესახებ</u>

პასუხისმგებელი უწყება: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში ქალთა ჩართულობის რიცხვი კვლავ დაბალია. თუმცა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მხრიდან ხორციელდება სხვადასხვა საქმიანობა, რომლებიც ხელს უწყობენ ქალთა მონაწილეობის გაზრდას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში. მაგალითად, მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ერთიანი საწარმოო უზრუნველყოფის პროგრამაში გათვალისწინებულია ქალთა ჩართულობა. კერძოდ, პროგრამაში ჩართვის ერთ-ერთ კრიტერიუმად დადგენილია, რომ პრეტენდენტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეპაიეთა არანაკლებ 15%-ს უნდა შეადგენდნენ ქალები ან/და დევნილები.

ასევე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში (კერძოდ, წყალტუბო, მარნეული) გამართულ საინფორმაციო შეხვედრებს ასევე ესწრებოდნენ ადგილობრივი ქალი ფერმერები, დევნილები და ეკომიგრანტები.

<u>საქმიანობა: 12.8.2.2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნისა და ფუნქციონირების პროცესში სამართლებრივი და ტექნიკური კონსულტაციის უზრუნველყოფა</u>

პასუხისმგებელი უწყება: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეგისტრირებულია 1 102 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელშიც გაერთიანებულია 11 804 მეპაიე, მათგან 24% ქალია. 153 (14%) კოოპერატივის თავმჯდომარე არის

ქალი, ხოლო სულ რეგისტრირებულია 55 ქალთა კოოპერატივი.

<u>საქმიანობა: 12.8.2.3.</u> *<u>სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში ჩართული ქალებისთვის შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებების პროგრამების განხოციელება სამეწარმეო უნარების განვითარებასა და ახალ ტექნოლოგიებზე აქცენტრირებით.*</u>

პასუხისმგებელი უწყება: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო

„მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალური გამოყენების“ სახელმწიფო პროგრამაში 2018 წელს ჩართულ 10 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში გაერთიანებულ 302 მეპაიეთა შორის 82 (27%) მეპაიე ქალია. მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაში 2018 წელს ჩართულ 10 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში გაერთიანებულ 204 მეპაიეთა შორის 79 (39%) მეპაიე ქალია. ხოლო რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაში 2018 წელს ჩართული 9 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში გაერთიანებული 204 მეპაიიდან 46 (23%) მეპაიე ქალია.

ამოცანა: 12.8.3. სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით პროფესიული განათლების გაძლიერება

ამოცანის ინდიკატორი: სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით პროფესიული განათლების მიღების მნიშვნელობაზე ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლების კამპანიები განხორციელებულია

ამოცანის შესრულების სტატუსი: სრულად შესრულებული

<u>საქმიანობა: 12.8.3.1.</u> *<u>ახალგაზრდების მოტივაციის ამაღლების მიზნით, ფართომასშტაბიანი კამპანიის განხორციელება სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით პროფესიული განათლების მიღების მნიშვნელობაზე</u>*

პასუხისმგებელი უწყება: *საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო*

სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით 2018 წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღების ფარგლებში სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით გაიმართა ღია კარის დღეები იმ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულეებებში, რომლებიც ახორციელებენ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებს (საქართველოს 4 რეგიონში: კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, სამეგრელო- ზემო სვანეთი, მცხეთა-მთიანეთი); 2018 წლის საშემოდგომო მიღების ფარგლებში შშმ და სსსმ პირებისათვის შეიქმნა შესაძლებლობა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით პროფესიულ განათლებაში ჩასართავად. აღნიშულთან დაკავშირებით მომზადდა ელ-ბანერები და მომზადდა დუალური ინკლუზიური განათლების მოდელის შესახებ ვიდეო რგოლი, მომზადებული მასალები განთავსდა სოცილურ მედიაში. მოეწყო შშმ და სსსმ პირებისათვის საინფორმაციო შეხვედრები.

-განხორციელდა კერძო სექტორის წარმომადგენლების შესაძლებლობების განვითარების აქტივობები სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების კუთხით;

- განხორციელდა პროექტი "აგროგრაფი", რომელიც გულისხმობდა ფოტო და ვიდეო კონკურსს სოფლის მეურნეობის მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით;
- მომზადდა და სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეო რგოლი სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით;
- სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით საანგარიშო პერიოდში სფეროს წარმომადგენელები აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა რადიო და სატელევიზიო გადაცემებში, ასევე განხორციელდა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებისათვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალების ბრენდირება (ვიზუალური და ხმოვანი).

ამოცანა: 12.8.5. სოფლად მცხოვრებთათვის საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებებზე წვდომის გაუმჯობესება

ამოცანის ინდიკატორი: სოფლად საკომუნიკაციო საშუალებებზე და ინტერნეტზე წვდომია გაუმჯობესებაულია სულ მცირე 30%-ით; საინფორმაციო ტექნოლოგიებში სოფლად მცხოვრებ პირთა შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებები განხორციელებულია;

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა: 12.8.5.1. სოფლად საკომუნიკაციო საშუალებებზე და ინტერნეტზე წვდომის გაუმჯობესება</u>

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ევროკომისია, მსოფლიო ბანკის საშუალებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2018 წლიდან ტექნიკურ დახმარებას უწევს საქართველოს „ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგიის და მისი განხორციელების გეგმის“ შემუშავებაში, რომელიც საქართველოში ციფრული უთანასწორობის დაძლევის მიზნით ორიენტირებული იქნება მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ ქსელების მშენებლობის გამარტივების, ინვესტიციების მოზიდვის, კონკურენციის ზრდის, მოსახლეობაში ინტერნეტის და ტექნოლოგიების გამოყენების უნარების ამაღლების, საბითუმო ინტერნეტ ბაზრის ეფექტური რეგულაციის, ინტერნეტის ხარისხის გაუმჯობესების, ქსელების და ახალი მომსახურებების განვითარების მიზნით რადიოსიხშირული სპექტრის ხელმისაწვდომობის და სხვა ღონისძიებებზე. აღნიშნული სტრატეგიის განხორციელოება ხელს შეუწყობს კერძო სექტორს განავითარონ მათი ფართოზოლოვანი ქსელები ქვეყნის მასშტაბით.

<u>საქმიანობა: 12.8.5.2. სოფლად მცხოვრებ პირთა შესაძლებლობების გაძლიერება საინფორმაციო ტექნოლოგიებში</u>

პასუხისმგებელი უწყება: ეკონომიკისა მდგრადი განვითარების სამინისტრო

2018 წელს დაიწყო ფშავის-ხევსურეთის და გუდამაყრის რეგიონების სათემო ფართოზოლოვანი ინტერნეტ ქსელის პროექტი, პროექტის ფარგლებში ინტერნეტით დაიფარება: ფშავის, უკანა ფშავის, პირაქეთა ხევსურეთის, არხოტის, პირიქითა ხევსურეთის, არდოტის და გუდამაყარის ხეობები. ფართოზოლოვანი ინტერნეტით დაიფარება: 76 სოფელი; 496 ოჯახი, 1291 მუდმივი მაცხოვრებელი, მათ შორის 4 საშუალო სკოლა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, საქართველოს მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ასოციაციის (TOA) აქტიური ჩართულობით, ინტერნეტ საზოგადოებასთან (ISOC) აწარმოა მოლაპარაკებები და მიიღო ტექნიკური და ფინანსური დახმარება 25 000 აშშ დოლარის ოდენობით ფშავის-ხევსურეთის და გუდამაყრის ტერიტორიაზე სათემო ინტერნეტიზაციის პროექტის განხორციელებაში. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 246 805 ლარი, ხოლო დანარჩენი ღირებულების დაფარვა მოხდება დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით.

2018 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ „საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტის" (GENIE) ფარგლებში განახორციელა ცნობიერების ასამაღლებელი ტრენინგები ციფრულ წიგნიერებაში საქართველოს ექვს რეგიონში, ჯამში 37 მუნიციპალიტეტში, რომელსაც დაესწრო 983 ადამიანი. ხოლო 287 მეწარმეს ტურიზმის და მასპინძლობის სფეროდან, სამეგრელოში, კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში გაეწიათ ინდივიდუალური კონსულტაციები ელექტრონული კომერციის მიმართულებით. ამასთანავე, 2018 წლის ბოლოს მოხდა ინტერნეტ ვაუჩერების პორტალის გაშვება, რომელიც საშუალებას აძლევს მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებს დარეგისტრირდნენ პროგრამაზე „ინტერნეტი განვითარებისთვის" და მიიღონ ინტერნეტში ჩართვის ვაუჩერები. 2018 წელს ინტერნეტ ვაუჩერებით ისარგებლა თექვსმეტმა ოჯახმა.

მიზანი: 12.9. ეკონომიკურ რესურსებზე ქალთა თანაბარი წვდომის უზრუნველყო

ამოცანა: 12.9.1. სასოფლო-სამეურნეო მიწასა და უძრავ ქონებაზე თანაბარი წდვომის უზრუნველყოფა

ამოცანის ინდიკატორი: მიწისა და უძრავი ქონების მესაკუთრის შესახებ გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები მუშავდება რეგულარულად; მიწაზე/უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მქონე პირთა გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები შეგროვებული და გაანალიზებულია; სასოფლო-სამეურნეო მიწის უფასო რეგისტრაციის ფართომასშტაბიანი პროგრამები განხორციელებულია; პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის უფასოდ მიღების პროგრამები განხორციელებულია; მიწის/უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ უფასო იურიდიული კონსულტაციები განხორციელებულია; ცნობიერების ამაღლების კამპანიები წარმოებულია;

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა: 12.9.1.1. მიწისა და უძრავი ქონების საკუთრების უფლების შესახებ გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების დამუშავება</u>

პასუხისმგებელი უწყება: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უზრუნველყოფს რეგისტრირებული უფლების სუბიექტის შესახებ გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების დამუშავებას და მოთხოვნის შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე საჯარო ინფორმაციით უზრუნველყოფას.

-2018 წლის სტატისტიკური მონაცემები:

- ქალი (ქონების რაოდენობა: 442, მესაკუთრის რაოდენობა: 457);
- კაცი (ქონების რაოდენობა: 465, მესაკუთრის რაოდენობა: 499).

საქმიანობა: 12.9.1.3. *სასოფლო-სამეურნეო მიწის უფასო რეგისტრაციის ფართო მასშტაბიანი პროგრამების განხორციელების პროცესის გაგრძელება*

პასუხისმგებელი უწყება: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საქართველოს იუსტიციის სამინიტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოებული მიწის რეგისტრაციის რეფორმით დასახული მიზნის სრულად განხორციელებისა და ამ დროისათვის უკვე აპრობირებული, ქმედითი და ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის ხელშეწყობისთვის „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების ვადა გაგრძელდა 2019 წლის პირველ ივლისამდე. აღნიშნული კანონით, მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის პროცედურა გამარტივდა, მოიხსნა ბარიერები, რომლებიც მესაკუთრეს ექმნებოდა, ხოლო რეგისტრაციის პროცედურა წახალისდა. მიწის რეგისტრაციის რეფორმით მოსარგებლე პირების შესახებ სტატისტიკური მონაცემები წარმოდგენილია შემდეგ ბმულზე: http://pilotproject.napr.gov.ge/statistics.

საქმიანობა: 12.9.1.4. *სოფლად მცხოვრები სოციალურად დაუცველი პირებისთვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის უფასოდ მიღების პროგრამების განხორციელების პროცესის გაგრძელება*

პასუხისმგებელი უწყება: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

2018 წელს სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრზე (70 001 ქულაზე ნაკლები) გაცემული პირადობის მოწმობის საერთო რაოდენობა - 24906, მათ შორის 12250 ქალი. ამასთან, საგულისხმოა, რომ რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო არ აწარმოებს ცალკე სტატისტიკას სოფლად მცხოვრები სოციალურად დაუცველი პირებისთვის დისკრიმინაციული მიდგომებისა და სტიგმატიზაციის თავიდან აცილების მიზნით.

საქმიანობა: 12.9.1.5. *მიწის/უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ უფასო იურიდიული კონსულტაციის პროაქტიული შეთავაზება მოსახლეობისთვის ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის ინდივიდუალური და სულ მცირე 10 გასვლითი შეხვედრა*

პასუხისმგებელი უწყება: ეთხოვოს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურს

2018 წლის 20 მაისიდან 1 ივნისის ჩათვლით, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების მიერ განხორციელდა საინფორმაციო კამპანია მიწის/უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ, მათ შორის, საქართველოს კანონით - „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ - გათვალისწინებულ რეფორმასთან დაკავშირებით.

ამ თემაზე სამსახურმა, იურიდიული დახმარების ბიუროების და საკონსულტაციო ცენტრების მეშვეობით, 2018 წლის განმავლობაში, გასწია 1568 კონსულტაცია. აქედან პირადი - 877, სატელეფონო - 621, ონლაინ - 70.

მიწის/უძრავი ქონების რეგისტრაციის თემაზე გაიმართა 18 საინფორმაციო-გასვლითი შეხვედრა მთელი საქართველოს მასშტაბით. შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიურომ შეხვედრისას ისარგებლა სოფელ ტყვიავის საზოგადოებრივი ცენტრით, ხოლო იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიურომ - სოფელ ხრეითის საზოგადოებრივი ცენტრით. სხვა შეხვედრების უმრავლესობა ჩატარდა მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ შენობებში.

შეხევედრების დროს იურისტებმა მოსახლეობას მიაწოდეს ინფორმაცია მიწის/უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ, მათ შორის, 2016 წელს დაწყებული მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმის თაობაზე, რომელიც რეგისტრაციის პროცესს ამარტივებს და მას მოქალაქეებისათვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომს ხდის. ადგილობრივებს მიეწოდათ ინფორმაცია რეგისტრაციის ორგანოს, საჭირო დოკუმენტების, ვადებისა და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სერვისების შესახებ.

მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმის კამპანია და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ განხორციელებული შეხვედრები გაშუქდა სამსახურის ვებსაიტისა და ფეისბუქის ოფიციალური გვერდის, აგრეთვე ცენტრალური და ადგილობრივი მედიის საშუალებებით. სულ გაიმართა 18 საინფორმაციო შეხვედრა, რომელთაც დაესწრო 217 ადამიანი.

<u>საქმიანობა: 12.9.1.6. ცნობიერების ამაღლება ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის, მათ შორის მემკვიდრეობითი უფლებების შესახებ</u>

პასუხისმგებელი უწყება: იუსტიციის სამინისტრო

2018 წლის 31 მარტს, იუსტიციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით კონფერენცია გაიმართა თემაზე - ქალის როლი საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში II. კონფერენციის მიზანი იყო ქალების გენდერული როლის გაძლიერება, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური კუთხით, ასევე, კახეთის რეგიონის ახალგაზრდების სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტების ცნობიერების ამაღლება, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკანონმდებლო პაკეტთან დაკავშირებით. კონფერენცია ყვარლის იუსტიციის სასწავლო ცენტრში, კახეთის რეგიონის ახალგაზრდების მონაწილეობით ჩატარდა.

გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში, რომელიც მსოფლიოში 1991 წლიდან იმართება, სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, იუსტიციის სამინისტროს

საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტთან თანამშრომლობით, საქართველოს მთავრობის ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი ეროვნული კამპანიის ფარგლებში ესეების კონკურსს ახორციელებს.

ესეების კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატის იურიდიული ფაკულტეტის მე-2, მე-3 და მე-4 კურსის, ასევე მაგისტრატურის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებს.

პროექტის ფარგლებში 22 სტუდენტს ჩაუტარდა ტრენინგები ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე. ამჟამად, სტუდენტები მუშაობენ ესეებზე. გამარჯვებული სტუდენტები თავიანთ ნაშრომებს წარადგენენ კონფერენციაზე.

ამავე კამპანიის ფარგლებში 2018 წლის 3 დეკემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღკვეთის სამართლებრივ საშუალებებზე 2 ტრენინგ მოდულის გამოყენებით ტრენინგი 7 ლოკაციაზე ჩატარდა ჯამში 11 ჯგუფისთვის, რომელსაც დაესწრო სულ 135 დაინტერესებული პირი.

3.5 სთ-იანი ტრენინგი ჩატარდა ბათუმში, ზუგდიდში, ქუთაისში, გორში, რუსთავში, წნორში (თელავის ნაცვლად).

2018 წლის 24 ოქტომბრიდან 13 დეკემბრის ჩათვლით ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის შესახებ დიდ ქალაქებსა და ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონულ ცენტრებში (მარნეული, რუსთავი, საგარეჯო, გარდაბანი, ბოლნისი, თეთრიწყარო, ახალქალაქი, ახალციხე, თელავი, ყვარელწყალი, ლაგოდეხი, ბათუმი, ფოთი, ზუგდიდი, ქუთაისი, თბილისი) ჩატარდა უფასო ტრენინგები. 5 საათიან ტრენინგს 17 ჯგუფში დაესწრო ჯამში 244 მონაწილე (ქალი 201/კაცი 43). აღსანიშნავია, რომ ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ქალაქებში (მარნეული, გარდაბანი, ახალქალაქი, თეთრიწყარო) ტრენინგს უძღვებოდა ორი ტრენერი. რომელთაგან ერთ-ერთი იყო იმავე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი. ტრენინგის მასალები ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პროექტის „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მხარდაჭერა ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ყველა ნიშნულის უწყვეტი განხორციელებისთვის“ ფარგლებში საზოგადოებრივ ცენტრებში ჩატარდა 12 შეხვედრა გენდერული თანასწორობის საკითხებზე (მარტყოფი, კაზრეთი, კაჭრეთი, ქვემო ნატანები, ჯგალი, ზეინდარი, მეორე სვირი, ფასანაური, ყვარელწყალი, შილდა, უსახელო, დიდი ჯიხაიში).

ამოცანა: 12.9.2. ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობა

ამოცანის ინდიკატორი: ქალთა მეწარმეობის კუთხით არსებული საჭიროებათა კვლევა განხორციელებულია და შესაბამისი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა შემუშავებულია საქსტატის მიერ მიწოდებული შესაბამისი მონაცემების ანალიზის საფუძველზე; მეწარმეობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამებში უზრუნველყოფილია ქალების და კაცების თანაბარი მონაწილეობა; ქალთა მეწარმეოის მხარდასაჭერად საჯარო და კერძო სექტორს შორის პარტნიორობის პლატფორმა ჩამოყალიბებულია; ქალთა მეწარმეობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიები განხორციელებულია;

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა: 12.9.2.2. ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამებში</u>

პასუხისმგებელი უწყება: *მეწარმეობის განვითარების სააგენტო*

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აწარმოე საქართველოში (შემდგომში სააგენტო) მიერ 2018 წელს მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამებში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით 2014 წლის 30 მაისის საქართველოს მთავრობის N365-ე დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის "აწარმოე საქართველოში" მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის ნაწილის 12[5] მუხლის მე-10 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, პრიორიტეტი მიენიჭება მდედრობითი სქესის წარმომადგენლის მიერ ბიზნესის წამოწყებას. სწორედ ამიტომ მხოლოდ 2018 წლის მონაცემებით აღნიშნული პროგრამით დაფინანსება მიიღო სულ 438-მა ქალმა მეწარმემ, რაც დაფინანსებულ ბენეფიციართა საერთო რაოდენობის 45%-ს შეადგენს.

ამასთანავე 2019 წლის დეკემბრის თვიდან სააგენტო ითანამშრომლებს, „გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან“, რომლებიც თავის მხრივ გენდერული კონსულტანტის მეშვეობით გაუწევენ სააგენტოს კონსულტაციას არსებულ/სამომავლო პროგრამების იმგვარად ჩამოყალიბებაში, რაც უზრუნველყოფს ქალი მეწარმეების მაქსიმალურ ჩართულობას.

მოქმედების სფერო - გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ჯანმრთელობის სფეროში

მიზანი: 12.10. სქესობრივი და ეპროდუქციული ჯანდაცვის უზრუნველყოფა

ამოცანა: 12.10.1. ჯანდაცვის მუშაკთა შესაძლებლობების გაძლიერება და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპების დანერგვა სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროს სერვისების მიწოდებისათვის

ამოცანის ინდიკატორი: ხორციელდება ახალი გაიდლაინებისა და პროტოკოლების მუდმივი მონიტორინგი, ადაპტირება, დამტკიცება და მათი რეგულარული მიწოდება ჯანდაცვის მუშაკთათვის;

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

საქმიანობა: 12.10.1.1. *სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის, მათ შორის ოჯახის დაგეგმვის მეთოდების შესახებ, ახალი გაიდლაინებისა და პროტოკოლების რეგულარულად ადაპტირება, დამტკიცება და მიწოდება ჯანდაცვის მუშაკთათვის მოზარდების, ტრანსგენდერი, ტრანსექსუალი და გენდერულად არაკონფორმული პირების საჭიროებების გათვალისწინებით*

პასუხისმგებელი უწყება: *შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო*

2018 წლიდან გაეროს მოსახლეობის ფონდი უწევს ტექნიკურ დახმარებას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემდეგი გაიდლაინების/პროტოკოლების გადახედვა/ადაპტირებას, და მოამზადებს მათ სამინისტროს გაიდლაინების საბჭოს დამტკიცებისთვის: ფიზიოლოგიური მშობიარობა; ინსტრუმენტული საშოსმხრივი მშობიარობა; მშობიარობის შემდგომი ცხელების მართვა; თრომბოემბოლიზმის პრევენცია ანტენატალურად და მშობიარობის შემდგომ პერიოდში; ნაადრევი მშობიარობის მართვა; მშობიარობის შემდგომი სისხლდენა - საწყისი სარეანიმაციო ნაბიჯები და საშვილოსნოს ჰიპო-ატონური სისხლდენის მართვა.

მიზანი: 12.11. სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ განათლება და ცნობიერების ამაღლება

ამოცანა: 12.11.1. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება რეპროდუქციულ და სქესობრივ ჯანმრთელობასა და უფლებებზე

ამოცანის ინდიკატორი: ხორციელდება ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია რეპროდუქციულ და სქესობრივ ჯანმრთელობასა და უფლებებზე

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

საქმიანობა: 12.11.1.1. *რეპროდუქციულ და სქესობრივ ჯანმრთელობასა და უფლებებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიების წარმოება*

პასუხისმგებელი უწყება: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

2015 წლიდან ქვეყანაში ფუნქციონირებს ჯანმრთელობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა, რომლის

მიზანია საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის შესახებ განათლებისა და ცნობიერების ამაღლება, ასევე, ჯანმრთელობის ხელშემწყობი გარემოს შექმნა. პროგრამა ითვალისწინებს: ჯანმრთელი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და გაძლიერებას; თამბაქოს მოხმარების კონტროლის გაძლიერებას; ჯანსაღი კვების შესახებ განათლებას; ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების შესახებ ცნობიერების ამაღლებას; ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობას.

ამოცანა: 12.11.2. მოზარდთა განათლება რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ

ამოცანის ინდიკატორი: რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ასაკის შესაბამისი სასწავლო მასალა მომზადებულია და ინტეგრირებულია ზოგადი განათლების სისტემაში; სახელმწიფო ახალგაზრდულ ბანაკების დამტკიცებულ პროგრამაში გენდერულ თანასწორობაზე და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ასაკის შესაბამისი სატრენინგო მასალა გათვალისწინებულია

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა: 12.11.2.1. რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ასაკის შესაბამისი სასწავლო მასალის მომზადება და ინტეგრირება ზოგადი განათლების სისტემაში</u>

პასუხისმგებელი უწყება: *საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო*

2018 წლის მაისში დამტკიცდა საბაზო საფეხურის (VII-IX კლასები) ეროვნული სასწავლო გეგმა. რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ საკითხს მოიცავს ბიოლოგიის საგნობრივი სტანდარტი. გარდა ამისა, „მოქალაქეობის“ სასწავლო გეგმა მოიცავს ადრეული ქორწინების შესახებ საკითხს. მაგრამ სასკოლო სახელმძღვანელო რეპროდუქციული ჯანმრთელობის მიმართულებით ჯერ ვერ იქნება მომზადებული, სანამ აღნიშნული საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების კონკურსი არ დასრულდება (პროცესი მოიცავს 2018-2019 წლებს).

14. მოქმედების სფერო- ქალებისა და გოგონების მიმართ საზიანო პრაქტიკებთან ბრძოლა

მიზანი: 12.12. მავნე პრაქტიკების აღმოფხვრისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება

ამოცანა: 12.12.1. გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განხორციელება

ამოცანის ინდიკატორი: გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციისათვის საინფორმაციო საგანმანათლებლო ღონისძიებები /კამპანიები განხორციელებულია; ნაყოფის სქესის გამხელის პერიოდთან მიმართებაში შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები; საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით პროფესიულ ასოციაციებთან თანამშრომლობით; იწარმოება დაბადებისას სქესთარაოდენობრივი თანაფარდობის შესახებ მონაცემების დამუშავება და გავრცელება; ჯანდაცვის მუშაკთა ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები განხორციელებულია გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციისათვის;

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა: 12.12.1.2. ნაყოფის სქესის გამხელის საკითხის მიმართ ეთიკური მიდგომის ჩამოყალიბება გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციისათვის</u>

პასუხისმგებელი უწყება: *შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო*

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს გაეროს მოსახლეობის ფონდთან „გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციისა და გენდერული თანასწორობის გაძლიერებისთვის“ პროგრამის ფარგლებში, რომელიც მიმართულია სამედიცინო საზოგადოების ჩართულობის და ნაყოფის სქესის დადგენის ტექნოლოგიების ეთიკური გამოყენების მნიშვნელობაზე ამ საზიანო პრაქტიკის პრევენციისათვის. სამინისტროს და გაეროს მოსახლეობის ფონდის ინიციატივით, 2017 წლის ოქტომბერში გაიმართა დიალოგი სამედიცინო საზოგადოებასთან გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციაში მათი ჩართულობის გაზრდის მიზნით. შეხვედრაზე გამართული დისკუსიისა და რეკომენდაციების შესაბამისად, გაეროს მოსახლეობის ფონდის მხარდაჭერით და საქართველოს ულტრასონოგრაფიული ასოციაციის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა ორსულობის პირველი ტრიმესტრის (14 კვირამდე) სტანდარტული ულტრასონოგრაფიული კვლევის ალგორითმი, სადაც მითითებულია, რომ ნაყოფის სასქესო ორგანოების შეფასება და სქესის დადგენა, უზუსტობის ალბათობის გამო, არ არის რეკომენდებული ორსულობის 14 კვირამდე.

გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის საკითხზე სამედიცინო საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, 2017-2018 წლებში სამინისტროსა და გაეროს მოსახლეობის ძალისხმევით შეიქმნა და გავრცელდა საინფორმაციო ბროშურა და საკომუნიკაციო სახელმძღვანელო სამედიცინო პროფესიონალებისთვის. შემუშავდა საინფორმაციო ბუკლეტი მომავალი მშობლებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის, რომელიც ნათლად განმარტავს ნაყოფის სქესის განსაზღვრის დაბალი სიზუსტის გამო ორსულობის 14 კვირამდე სქესის დადგენას.

ქმედება: 12.12.1.3. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის შესახებ მონაცემების დამუშავება და გავრცელება.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფორმაცია სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა დაბადებისას ხელმისაწვდომია შემდე ვებ-მისამართზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/319/dabadeba. კერძოდ, ყოველ ცოცხლად დაბადებულ 100 გოგოზე იბადება 107.9 ბიჭი. უფრო დეტალური ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილოთ შემდეგი ბმული: http://gender.geostat.ge/gender/index.php?action=Demography.

ქმედება: 12.12.1.4. ჯანდაცვის მუშაკთა ცნობიერების ამაღლება გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციისათვის

პასუხისმგებელი უწყება: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

გაეროს მოსახლეობის ფონდის მხარდაჭერით მედია საშუალებებში დაიწყო სქესის ნიშნით შერჩევის პრევენციის ღონისძიებები. გაეროს მოსახლეობის ფონდის მხარდაჭერით და საქართველოს ულტრასონოგრაფიული ასოციაციის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა ორსულობის პირველი ტრიმესტრის (14 კვირამდე) სტანდარტული ულტრასონოგრაფიული კვლევის ალგორითმი, სადაც მითითებულია, რომ ნაყოფის სასქესო ორგანოების შეფასება და სქესის დადგენა, უზუსტობის ალბათობის გამო, არ არის რეკომენდებული ორსულობის 14 კვირამდე.

ამოცანა: 12.12.2. ადრეული ქორწინების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განხორციელება

ამოცანის ინდიკატორი: ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებზე რეაგირების სახელმძღვანელო პრინციპები შემუშავებულია ქმედითად; ბავშვთა მიერ სკოლის მიტოვების მონიტორინგის სისტემის შეფასება განხორციელებულია, ხარვეზები გამოვლენილი და საპასუხო ღონისძიებები შემუშავებულია; ქორწინებაში მყოფ არასრულწლოვანთა სასწავლო პროცესში ხელახლა ჩართვისა და სკოლაში დაბრუნებისკენ მიმართული ღონისძიებები ხორციელდება რეგულარულად; ადრეულ ასაკში ქორწინების უარყოფითი მხარეებისა და რეაგირების პროცედურების შესახებ პროფესიული გადამზადების ღონისძიებები განხორციელებულია; ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, სოციალური სერვისების მიმწოდებელთა მხრიდან თარჯიმანთა ჩართულობა უზრუნველყოფილია; განხორციელებულია ცნობიერების ასამაღლებლად საინფორმაციო შეხვედრები ადრეული ქორწინების შესახებ;

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა: 12.12.2.1. ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებზე რეაგირების სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება ზოგადი განათლების სისტემის, სოციალური სამსახურების და პოლიციის თანამშრომელთათვის</u>

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფირერების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის, 12 სექტემბრის, N437 დადგენილების თანახმად, საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაფიქსირებული ადრეული ქორწინების ფაქტების შესახებ ინფორმაცია ეგზავნება შემდგომი რეაგირებისთვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, პოლიციასა და სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრს.

<u>საქმიანობა: 12.12.2.2. ბავშვთა მიერ სკოლის მიტოვების მონიტორინგის სისტემის აუდიტი, ხარვეზების გამოვლენა და საპასუხო ღონისძიებების შემუშავება</u>

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

სამინისტროს მმართველოს სფეროში შემავალი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ, ყოველი სასწავლო წლის განმავლობაში, ხორციელდება გარკვეული სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება/წარმოება:

- მოსწავლეთა (ბავშვთა) შესახებ ინფორმაცია, რომელთაც შეუჩერდა სტატუსი/შეწყვიტეს სწავლა;
  - მოსწავლეთა (ბავშვთა) შესახებ ინფორმაცია, რომელთაც სტატუსი აქვთ შეჩერებული (არ არიან გათვალისწინებული ის მოსწავლეები, რომელთაც მიზეზად მითითებული აქვთ საზღვარგარეთ ოჯახთან ერთად გამგზავრება და გარდაცვალება);

- სასწავლო პროცესში გენდერული ნიშნით ჩართულობის შესახებ ინფორმაცია, ყველა საგანმანათლებლო საფეხურის მიხედვით;
- სკოლის მიღმა დარჩენილი მოსახლეობის პროცენტული წილის შესახებ ინფორმაცია (ზოგადი განათლების კლასის შესაბამისი ასაკის იმ მოსახლეობის რაოდენობის შეფარდება, რომელიც არ ირიცხება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ქვეყანაში ამ ასაკის მოსახლეობის მთლიან რაოდენობასთან, სამოქალაქო რეესტრის მონაცემების მიხედვით);
- კალენდარული წლის განმავლობაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული სტუდენტთა რიცხოვნობა.

ხოლო რაც შეეხება, ბავშვთა მიერ სკოლის მიტოვების მონიტორინგის აუდიტს, ხარვეზების გამოვლენასა და საპასუხო ღონისძიებების განხორციელებას, მოსწავლის მიერ სავალდებულო განათლების დასრულებამდე სკოლის მიტოვების თავიდან აცილების მიზნით, სკოლის დირექცია მოსწავლის სტატუსის შეჩერებისთვის კანონმდებლობით დადგენილი ვადის ამოწურვამდე ახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს მოსწავლის ოჯახთან კომუნიკაციით და მოსალოდნელი შედეგების წინასწარი შეტყობინების გზით. ფაქტის დადგომისთანავე დროულად ხდება შეტყობინების გაგზავნა შესაბამის სტრუქტურებში.

2018 წელს ჩატარდა საინფორმაციო კამპანია (100 შეხვედრა) ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტებისთვის. შეხვედრების თემა იყო ბავშვის განათლებისა და განვითარების უფლებები და მათი შეზღუდვის შემთხვევაში მშობლის/მეურვის პასუხისმგებლობის წარმოშობა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ადრეული განთესვისას მოზარდის და საზოგადოების წინაშე არსებული რისკები და გამოწვევები.

<u>საქმიანობა: 12.12.2.3.</u> *<u>ქორწინებაში მყოფ არასრულწლოვანთა სასწავლო პროცესში ხელახლა ჩართვისა და სკოლაში დაბრუნებისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება</u>*

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; სოციალური მომსახურების სააგენტო

„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფირერების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის, 12 სექტემბრის, N437 დადგენილების თანახმად, საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაფიქსირებული ადრეული ქორწინების ფაქტების შესახებ ინფორმაცია ეგზავნება შემდგომი რეაგირებისთვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, პოლიციასა და სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრს.

სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ, ქორწინებაში მყოფი არასრულწლოვანთა სასწავლო პროცესში ხელახლა ჩართვის მიზნით, ხდება ფსიქოლოგიური მომსახურების შეთავაზება, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ფსიქო-სოციალური სერვისის მიღებაზე უარს აცხადებენ.

<u>საქმიანობა: 12.12.2.4. მასწავლებელთა, მანდატურთა, სოციალურ მუშაკთა, უბნის ინსპექტორთა პროფესიული გადამზადება ადრეულ ასაკში ქორწინების უარყოფითი მხარეებისა და რეაგირების პროცედურების სავალდებულო შესრულების შესახებ</u>

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრსა და სახალხო დამცველს შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის მიზანია ადამიანის უფლებების საკითხებში მასწავლებელთა ცოდნისა და უნარების გაუმჯობესების, ასევე, ადამიანის უფლებების მიდგომებზე დაფუძნებული სასწავლო გარემოს ხელშეწყობის მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის ადამიანის უფლებების სწავლების კურსის შექმნა.

დამტკიცდა ტრენინგმოდულები: „დისკრიმინაციის პრევენცია სკოლებში“ და „დემოკრატიული კომპეტენციების ჩარჩო“ . შემუშავდა/ითარგმნა ევროსაბჭოს პუბლიკაცია, თემაზე: „გენდერული მეინსტრიმინგი განათლებაში“.

2018 წელს მომზადდა ტრენინგ მოდული გენდერული თანასწორობა/რეპროდუქციული ჯანმრთელობა/ჯანსაღი ცხოვრების წესი/უფლებები. მიმდინარეობს მუშაობა მოდულზე გლობალური მოქალაქეობის მიმართულებით.

<u>საქმიანობა: 12.12.2.6. ინფორმირებულობის/ცნობიერების ამაღლება ადრეული ქორწინების შესახებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის</u>

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

წლის განმავლობაში, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო გენდერული თანასწორობის (ოჯახში ძალადობის, ადრეული ქორწინების) საკითხებთან მიმართებაში ცნობიერების ამაღლებას, ქალთა საჭიროებების განსაზღვრას და ამ კუთხით არსებული გამოწვევების განხილვას.

გაგრძელდა სახელმწიფო მინისტრის აპარატის, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდთან პარტნიორობით მიმდინარე პროექტი „ახალგაზრდები გენდერული თანასწორობისათვის“. პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბებული მობილური ჯგუფის წევრებმა 3 რეგიონის (ქვემო ქართლი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი) 11 მუნიციპალიტეტის 68 სოფელში ჩაატარეს 120 ტრენინგი. შეხვედრები ჩატარდა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან, მათ შორის იყვნენ: მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები, თემის ლიდერები (3 465 ბენეფიციარი).

ასევე, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით იურიდიული დახმარების სამსახურთან თანამშრომლობით, ოჯახში ძალადობის საკითხებსა და სახელწმიფო მომსახურეობის სერვისებზე

ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი-წალკა, სამცხე-ჯავახეთი - ნინოწმინდა, კახეთი - იორმუღანლო, ახალსოფელი). შეხვედრას ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლები, ფერმერები, მეწარმეები.

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითრების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო-საგანმანათლებლო რესურსების პროგრამის ფარგლებში, ინტერნეტგაზეთ „mastsavlebeli.ge"-ზე რეგულარულად ქვეყნდება სტატიები და ბლოგები მასწავლებლებისთვის, ადრეული ქორწინების და ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე. საანგარიშო პერიოდისათვის ამ თემაზე შეიქმნა 30 საგანმანათლებლო რესურსი.

ამოცანა: 12.12.5. საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით მუშაობისა და კოორდინაციის გაძლიერება

ამოცანის ინდიკატორი: შექმნილია და ფუნქციონირებს საზიანო პრაქტიკების საკითხებზე მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის პლატფორმა; საზიანო პრაქტიკასთან დაკავშირებული საკითხები ინტეგრირებულია უწყებრივ პროგრამებსა და პოლიტიკის დოკუმენტებში;

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა: 12.12.5.1. ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კოორდინაციის მექანიზმის ჩამოყალიბება, მათ შორის, საზიანო პრაქტიკასთან ეფექტიანი ბრძოლის მხარდასაჭერად</u>

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიამ 2018 წელს დაიწყო მუშაობა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად, კოორდინაციის და ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული გენდერული პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით. (გთხოვთ იხ. საქმიანობა 12.3.1.1) აღნიშნული მექანიზმის ამოქმედების შემდეგ, დაგეგმილია მუნიციპალიტეტებთან აქტიური თანამშრომლობა ქალთა უფლებრივი მდგომარეობის თავლსაზრისით არსებულ პრობლემებზე, მათ შორის, თანამშრომლობა მოიცავს საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრასთან დაკავშირებულ საკითხებს.

<u>საქმიანობა: 12.12.5.2. სპეციალური სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციებზე დაყრდნობით, უწყებრივი პროგრამებისა და პოლიტიკის დოკუმენტებში საზიანო პრაქტიკასთან მიმართებით შესაბამისი ღონისძიებების ინტეგრირება</u>

პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის სპეციალური სამუშაო ჯგუფი

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის თაოსნობით, ბოლო 3 წელია მუშაობს ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების საკითხზე მომუშავე სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომლის მისიაა ქვეყანაში არსებული საზიანო პრაქტიკების თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის მიზნით ღონისძიებების სტრატეგიული დაგეგმვა და სხვადასხვა დაინტერესებული მხარის კოორდინირებული მუშაობის ხელშეწყობა. ჯგუფის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები, გაეროს გენდერის თემატური ჯგუფის წევრები (საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები), სახალხო დამცველის აპარატის და ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის და გაეროს ბავშვთა ფონდის თანამშრომლობით 2018 წელს, ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების ხარისხობრივი კვლევის მიგნებებსა და შესაბამის ძირითად მოთამაშეებთან გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით, შემუშავდა ადრეული ქორწინების საზიანო პრაქტიკის შესახებ ქცევის ცვლილებაზე ორიენტირებული საკომუნიკაციო სტრატეგია (COMBI).

COMBI სოციალური მობილიზაციაა, რომლის შედეგადაც ხდება საზოგადოებრივი და პერსონალური გავლენის ფაქტორების გამოყენება ინდივიდუალურ და ოჯახის დონეზე კონკრეტული ქმედების გამოწვევის მიზნით. სტრატეგია ორიენტირებულია „ხალხზე“ (კლიენტები, ბენეფიციარები, მომხმარებლები - ოჯახის წევრები), ითვალისწინებს მათი ჯანმრთელობისა/სოციალური განვითარების საჭიროებებს (ან სურვილები/მისწრაფებები) და აქცენტს აკეთებს ქცევითი შედეგების გამოწვევაზე, რაც კავშირშია სწორედ ამ საჭიროებებთან, სურვილებთან და მისწრაფებებთან.

სტრატეგიული საკომუნიკაციო ქმედებები მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ადმინისტრაციული მობილიზება/საზოგადოებასთან ურთიერთობა/ქცევითი შედეგებისთვის ადვოკატირება; თემის მობილიზება; რეკლამირება; პერსონალური დაჯერება/ინტერპერსონალური კომუნიკაცია და სერვისის მიწოდების დონეზე წარმოჩინება.

სტრატეგიას მართავს განმახორციელებელი ჯგუფი, რომელშიდაც შევა შესაბამისი სამინისტროების, სახალხო დამცველის აპარატის, სხვა სამთავრობო უწყებების, სამოქალაქო სექტორის თუ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. კონკრეტული სამინისტრო/უწყება გაუძღვება კამპანიას და გამოყოფს საკონტაქტო პირს კამპანიის მიმდინარეობის კოორდინაციის მიზნით - COMBI Coordinator. განმახორციელებელი ჯგუფი შეიმუშავებს კონკრეტულ სამუშაო გეგმას და შეიკრიბება გარკვეული პერიოდულობით მიმდინარე საქმიანობის შეფასების და მონიტორინგის მიზნით.

15. მოქმედების სფერო - გენდერული თანასწორობა განათლების სფეროში

სამინისტროს მმართველოს სფეროში შემავალი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა,

მიზანი: 12.13. განათლების რგოლში ჰორიზონტალური და ვერტიკალური სეგრეგაციის დაძლევა

ამოცანა: 12.13.1. ჰორიზონტალური და ვერტიკალური სეგრეგაციის მიზეზების გამოვლენა და მის დასაძლევად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება

ამოცანის ინდიკატორი: გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები შეგროვებული და გაანალიზებულია, კვლევა შესაბამისი ბარიერების გამოვლენითა და რეკომენდაციებით შემუშავებულია

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

საქმიანობა: 12.13.1.1. *გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების შეგროვება და ანალიზი, ამ მონაცემებზე დაყრდნობით განათლების დარგში ჰორიზონტალური და ვერტიკალური სეგრეგაციის დასაძლევი რეკომენდაციების შემუშავება*

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ყოველი სასწავლო წლის განმავლობაში, ახორციელებს გარკვეული სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება/წარმოებას. მათ შორის სასწავლო პროცესში გენდერული ნიშნით ჩართულობასთან დაკავშირებით ყველა საგანმანათლებლო საფეხურზე. **(იხ. დანართი)**

სქესის პარიტეტის ინდექსი. ქალებისა და კაცების ჩართულობის მთლიანი მაჩვენებლების თანაფარდობა.

განათლების საფეხური	**2015**	**2016**	**2017**
დაწებითი	1.00	1.00	1.00
საბაზო	0.99	1.00	1.01
საშუალო	1.05	1.04	1.05
ზოგადი განათლება	1.01	1.01	1.01

ამოცანა: 12.13.2. მასწავლებელთა სტატუსის გაუმჯობესება და პოპულარიზაცია

ამოცანის ინდიკატორი: მასწავლებელთა ანაზღაურება გაუმჯობესებულია და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების შესახებ შემუშავებულია შესაბამისი დოკუმენტი; განხორციელებულია ცნობიერების ამაღლებისა და მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციის კამპანიები

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა: 12.13.2.1. მასწავლებელთა ანაზღაურების გაუმჯობესება და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა</u>

პასუხისმგებელი უწყება: *საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო*

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდა ცვლილება, რომლის საფუძველზეც კანონმა სპეციალური მასწავლებელი აღიარა მასწავლებლის ერთ-ერთ სახედ და მისი შრომის ანაზღაურება გათანაბრდა მასწავლებლის მინიმალურ შრომის ანაზღაურებასთან.

2018 წელს სქემის ფარგლებში სტატუსის ცვლილებაზე გამოიგზავნა 6 946 წარდგინების წინადადება. აქედან დადებითად დაკმაყოფილდა 5638 წინადადება. მასწავლებლებს შეეცვალათ სტატუსები. მათგან 6470 უფროსი გახდა, 305 წამყვანი, ხოლო 31 მენტორი.

2018 წელს განხორციელდა 801 გარე დაკვირვება. მათ შორის, 753 დადებითად და დანარჩენი უარყოფითად შეფასდა. ასევე 20-მა მასწავლებელმა არ ატვირთა საგაკვეთილო გეგმები, ხოლო 7 მასწავლებლის დოკუმენტაცია დახარვეზდა და მიეცა რეკომენდაცია.

<u>საქმიანობა: 12.13.2.2. ცნობიერების ამაღლება მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციის კუთხით:</u>

პასუხისმგებელი უწყება: *საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო*

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითრების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო-საგანმანათლებლო რესურსების პროგრამის ფარგლებში, ინტერნეტგაზეთ „mastsavlebeli.ge“-ზე და ჟურნალ „მასწავლებელში“ რეგულარულად ქვეყდება სტატიები და ბლოგები, მათ შორის, ვიდეო-ბლოგები, მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციის მიზნით. საანგარიშო პერიოდში ამ თემაზე გამოქვენდა 70 სტატია და 5 ვიდეობლოგი.

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო-საგანმანათლებლო რესურსების პროგრამის ფარგლებში, ინტერნეტგაზეთ „mastsavlebeli.ge“-ზე და ჟურნალ „მასწავლებელის“ ფარგლებში, გამოცხადდა კონკურსი, ქართველი მწერლებისთვის „საუკეთესო მოთხრობა მასწავლებელზე“. კონკურსი მასწავლებლის პროფესიის მხარდაჭერასა და

პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად. შერჩეულია 10 საუკეთესო მოთხრობა და გამოქვეყნებულია როგორც ინტერნეტგაზეთში, ასევე ჟურნალ „მასწავლებელის“ სპეციალურ ნომერში, რომელიც საქართველოს ყველა სკოლას გადაეცა საჩუქრად.

განხორციელდა 13 ფიზიკის მასწავლებლის ვიზიტი ევროპის ბირთვული კვლევების ცენტრში (CERN).

2018 წლის 7-8 მაისს განხორციელდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრისა და ფრიდრიხ ებერტის ფონდის ერთობლივი პროექტი „მასწავლებელი - მეგზური ევროპისკენ“. პროექტში მონაწილეობა მიიღო სამოქალაქო განათლების, ისტორიის, გეოგრაფიისა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა მთელი საქართველოს მასშტაბით.

2018 წლის, 8-9 დეკემბერს ჩატარდა მეხუთე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების კონფერენცია getc.ge-200 მონაწილისთვის.

ჩატარდა მასწავლებელთა VI ეროვნული კონფერენცია (მონაწილეთა რაოდენობა 140).

ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, მომზადდა მასწავლებელთა და განათლების სპეციალისტთა დამხმარე პუბლიკაციები:

- დემოკრატიული კულტურის კომპეტემციების სარეკომენდაციო ჩარჩო „სამტომეული“ (Reference Framework of Competence for Democratic Culture” – Three Volume Set”).
- გენდერული მეინსტრიმინგი განთლებაში (“Gender Mainstreaming In Education”)
- რელიგიებისა და არარელიგიური რწმენების განზომილება ინტერკულტურულ განათლებაში (“Dimension of religions and non-religious convictions within intercultural education”)
- საგზაო ნიშნები - ინტერკულტურული განათლების ფარგლებში რელიგიებისა და არარელიგიური ხედვების შესახებ სწავლების პოლიტიკა და პრაქტიკა (“Signposts – Policy and practice for teaching about religions and non-religious world views in intercultural education”)

2018 წლის 21 დეკემბერს გაიმართა შეხვედრა, სადაც ოცი პედაგოგი, პანკისის ხეობის თითოეული სოფლიდან, გაეცნო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული სახელმძღვანელოებს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების შესახებ და ჩატარდა ვორქშოფი ცენტრის პუბლიკაციებზე დაყრდნობით.

მიზანი: 12.14. სასკოლო სახელმძღვანელოებსა და პროგრამებში გენდერული თანასწორობის პრინციპების ინტეგრირება და პოპულარიზაცია

ამოცანა: 12.14.1. სასკოლო სახელმძღვანელოებში გენდერული თანასწორობის პრინციპების ინტეგრირება

ამოცანის ინდიკატორი: ეროვნული სასწავლო გეგმის გენდერული მეინსტრიმინგი განხორციელებულია; გენდერული თანასწორობის ჭრილში სასკოლო სახელმძღვანელოები რეცენზირებულია; დაინტერესებული პირები ინფორმირებულია, შესაბამისი მასალა გამოქვეყნებულიაგანათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (mes.gov.ge)

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

საქმიანობა: 12.14.1.1. ეროვნული სასწავლო გეგმის გენდერული მეინსტრიმინგი

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

2018 წლის მაისში დამტკიცდა საბაზო საფეხურის (VII-IX კლასები) ეროვნული სასწავლო გეგმა. მასში გაძლიერებულია სამოქალაქო განათლების კომპონენტი. კერძოდ, საგნის „მოქალაქეობა“ სწავლება გათვალისწინებულია საფეხურის სამივე კლასში. საგნობრივ პროგრამაში გათვალისწინებულია გენდერული თანასწორობის საკითხი.

საქმიანობა: 12.14.1.2. გრიფირებისადმი დაქვემდებარებული სასკოლო სახელმძღვანელოების რეცენზირება გენდერული თანასწორობის ჭრილში

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

დასრულებულია დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესი. საკონკურსოდ წარმოდგენილი სახელმძღვანელოები შეფასებულია გენდერული თანასწორობის ჭრილში. კონკურსის დროს სახელმძღვანელოების ავტორები და რეცენზენტები ინფორმირებული იყვნენ, რომ სახელმძღვანელო უნდა დაეწერათ/შეეფასებინათ გენდერული თანასწორობის ჭრილში. მიმდინარეობს საბაზო საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესი, რომლის დროსაც, ისევე როგორც დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელობის, შეფასება განხორციელდება გენდერული თანასწორობის ჭრილში.

<u>საქმიანობა: 12.14.1.3. დაქვემდებარებული სახელმძღვანელოების ავტორ-შემადგენელთა ინფორმირება სახელმძღვანელოს შექმნის პროცესში გენდერული თანასწორობის საკითხების გათვალისწინების შესახებ და რეცენზენტთა ინფორმირება შესაბამისი კრიტერიუმის გამოყენებით ამ ჭრილში სახელმძღვანელოს რეცენზირების შესახებ</u>

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

2017-2018 წლებში განხორციელდა დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესი. ნებისმიერი საგნისსახელმძღვანელოსთვის დაწესებული იყო რიგი მოთხოვნები, რომლის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში იგი ვერ მიიღებდა გრიფს. ერთ-ერთი ასეთი მოთხოვნა იყო თანასწორობის დაცვა, დისკრიმინაციის და დისკრედიტაციული ელემენტების აკრძალვა. ეს მოთხოვნა დაკონკრეტებულია ორი მიმართულებით:

- სახელმძღვანელო არ უნდა შეიცავდეს სტერეოტიპულ, არაკორექტულ, დისკრიმინაციულ ან/და დისკრედიტაციულ ელემენტებს ენის, ეროვნების, რელიგიის, სქესის, სოციალური კუთვნილების და სხვა ნიშნით;
- საგნობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, ტექსტებსა და ილუსტრაციებში დაცული უნდა იყოს თანასწორობა ეროვნების, რელიგიის, სქესის, სოციალური კუთვნილების და სხვა ნიშნით.
- ამ მოთხოვნის შესაბამისად, ყველა საგნის გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოში ასახულია გენდერული თანასწორობის პრინციპები.

ამოცანა: 12.14.2. სასკოლო პროგრამებში გენდერული თანასწორობის მოდულის ინტეგრირება და გენდერული თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული მიდგომების დამკვიდრება

ამოცანის ინდიკატორი: სამოქალაქო განათლების პროგრამაში გენდერული თანასწორობოს კომპონენტი ინტეგრირებულია

ამოცანის შესრულების სტატუსი: სრულად შესრულებული

<u>საქმიანობა: 12.14.2.1. სამოქალაქო განათლების პროგრამაში გენდერული თანასწორობის კომპონენტის ინტეგრირება</u>

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

2018 წლის მაისში დამტკიცდა საბაზო საფეხურის (VII-IX კლასები) ეროვნული სასწავლო გეგმა. მასში გაძლიერებულია სამოქალაქო განათლების კომპონენტი. კერძოდ, საგნის „მოქალაქეობა“ სწავლება გათვალისწინებულია საფეხურის სამივე კლასში. საგნობრივ პროგრამაში ინტეგრირებულია გენდერული თანასწორობის საკითხი.

მიზანი: 12.15. განათლების დარგის პროფესონალთა შესაძლებლობების გაძლიერება გენდერული თანასწორობის საკითხებში

ამოცანა: 12.15.1. კონცეპტუალური დოკუმენტების გენდერული მეინსტრიმინგი საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით

ამოცანის ინდიკატორი: მასწავლებლების პროფესიული გადამზადების ტრეინინგ მოდულების გენდერული მეინსტრიმინგი განხორციელებულია; დირექტორების პროფესიული გადამზადების ტრეინინგ მოდულების გენდერული მეინსტრიმინგი განხორციელებულია; მასაწველებლთა სასერტიფიკატო გამოცდებში გენდერული თანასწორობის მოდული ინტეგრირებულია; განათლების დარგის ყველა პროფესიონალს გავლილი აქვს ტრეინინგი გენდერული თანასწორობის საკითხებში

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

საქმიანობა: 12.15.1.1. მასწავლებლების პროფესიული განვითარების ტრეინინგ მოდულების და ხარისხის სტანდარტების გენდერული მეინსტრიმინგი

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს „მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის" ფარგლებში, რომელსაც სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს, საჯარო სკოლის დირექტორებისათვის 2017 წელს მომზადდა 16 საკონტაქტო საათიანი ტრენინგ მოდული სახელწოდებით „თანასწორობის საკითხები". მოდულის თემატიკა ეხება სკოლებში თანასწორობის საკითხებს, მათ შორის, გენდერულ თანასწორობას, სხვადასხვა სახის სტერეოტიპებს, რაც ხელს უშლის თანასწორობას და განსაკუთრებით, სტემის საგნებით გოგონათა დაინტერესებას. ამ მოდულის მიხედვით ჩატარდა ტრენინგები სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების ფასილიტატორებისათვის - მასწავლებლებისთვის, რომელსაც დაესწრო 1732 მონაწილე.

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი სკოლებში ახორციელებს დემოკრატიული კულტურის უზრუნველყოფის ხელშემწყობ ღონისძიებებს. გენდერული მეინსტრიმინგი ამ მიმართულების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რომელიც წარედგინა პედაგოგებს მასწავლებელთა VI ეროვნულ კონფერენციაზე (მონაწილეთა რაოდენობა 140).

საქმიანობა: 12.15.1.2. დირექტორების პროფესიული განვითარების ტრეინინგმოდულების გენდერული მეინსტრიმინგი

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა დასპორტის სამინისტრო

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს "მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის" ფარგლებში, რომელიც ხორციელდება სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, საჯარო სკოლის

დირექტორებისათვის მომზადდა 16 საკონტაქტო საათიანი ტრენინგ მოდული სახელწოდებით „თანასწორობის საკითხები“. მოდულის თემატიკა ეხება სკოლებში თანასწორობის საკითხებს, მათ შორის გენდერულ თანასწორობას, სხვადასხვა სახის სტერეოტიპებს, რაც ხელს უშლის თანასწორობას და განსაკუთრებით, სტემის საგნებით გოგონათა დაინტერესებას. ამ მოდულის მიხედვით ტრენინგი გაიარა 1883-მა საჯარო სკოლის დირექტორმა.

<u>საქმიანობა: 12.15.1.4.</u> *<u>განათლების დარგის ყველა პროფესიონალის ტრეინინგი გენდერული თანასწორობის საკითხებში</u>*

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს „მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის“ ფარგლებში, რომელსაც სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2016-2019 წლებში ახორციელებს, საჯარო სკოლის დირექტორებისათვის ლიდერობის აკადემია 2-ის ფარგლებში 2017 წელს მომზადდა 16 საკონტაქტო საათიანი ტრენინგ მოდული, სახელწოდებით „თანასწორობის საკითხები“. მოდულის თემატიკა ეხება სკოლებში თანასწორობის საკითხებს, მათ შორის გენდერულ თანასწორობას, რელიგიურ ნეიტრალიტეტს, სხვადასხვა სახის სტერეოტიპებს, რაც ხელს უშლის თანასწორობას და განსაკუთრებით, სტემის საგნებით გოგონათა დაინტერესებას. მოდულში დირექტორებს მიეწოდათ რეკომენდაცია სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვისას გაითვალისწინონ გენდერის საკითხები და სკოლებში ხელი შეუწყონ თანასწორობის შესახებ ღონისძიებების განხორციელებას. 2017-2018 წლებში, ტრენინგები ჩატარდა ყველა საჯარო სკოლის დირექტორებისათვის, სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების ფასილიტატორებისათვის (მასწავლებლები) და საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების უფროსებისათვის, როგორც ქართულ, ისე აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე. ტრენინგი გაიარა 3349 მონაწილემ. დამტკიცდა სკოლებში დისკრიმინაციის პრევენციის ტრენინგმოდული.

2018 წელს მომზადდა ტრენინგ მოდული გენდერული თანასწორობა/რეპროდუქციული ჯანმრთელობა/ჯანსაღი ცხოვრების წესი/უფლებები. მიმდინარეობს მუშაობა მოდულზე გლობალური მოქალაქეობის მიმართულებით.

<u>საქმიანობა: 12.15.1.5.</u> *<u>მასწავლებელთა ეთიკის კოდექსში გენდერული თანასწორობის პრინციპების ინტეგრირება</u>*

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

2018 წელს არსებულ მასწავლებელთა ეთიკის კოდექსში, აღნიშნული მიმართულებით, არ განხორციელებულა ცვლილებები, თუმცა, მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტი მოიცავს აგრეთვე გენდერული თანასწორობის საკითხსაც.

მიზანი: 12.16. პროფესიული სეგრეგაციის დაძლევა

ამოცანა: 12.16.1. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში საინჟინრო ტექნოლოგიების, პორგრამირებისა და მატემატიკის (STEM) მიმართულებით გენდერული ბალანსის გაუმჯობესება

ამოცანის ინდიკატორი: გენდრულად სეგრეგირებული მონაცემები შეგროვებულია და ტექნიკური მიმართულებით სწავლის გაგრძელების ხელისშემშლელი ბარიერების შესახებ აქტივობები ხორციელდება; სკოლის დამამთავრებელ კლასებში პროფესიული ორიენტაციის კომპონენტი გაძლიერებულია

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა: 12.16.1.1. გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების შეგროვება-ანალიზი და ტექნიკური მიმართულებით სწავლის გაგრძელების ხელისშემშლელი ბარიერების გამოვლენა</u>

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მიერ განხორციელდა კვლევა, რომლის მიზანი იყო გამოეკვლია ის ბარიერები და ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიან გოგონებსა და ქალებს გააგრძელონ სწავლა და მუშაობა ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მიმართულებით. კვლევის შედეგების შესაბამისად, განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების ტრენინგი გენდერულად თანასწორი სასწავლო გარემოს საკითხებზე. ტრენინგები დადებითად არის შეფასებული და მისი მონაწილეები სასარგებლოდ მიიჩნევენ მიღებულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. ასევე, საინჟინრო ტექნოლოგიების, პროგრამირებისა და სხვა ტექნიკურ პროფესიებში ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მიერ განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საგრანტო დაფინანსება, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა და დაინერგა 38 ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და 13 სასერტიფიკატო კურსი. ახალი პროგრამების ფარგლებში მომზადდა გენდერული და სოციალური ასპექტების ინტეგრირების გეგმები და მიმდინარეობს მათი ეტაპობრივი იმპლემენტაცია.

<u>საქმიანობა: 12.16.1.2. სკოლის დამამთავრებელ კლასებში პროფესიული ორიენტაციის კომპონენტის გაძლიერება</u>

პასუხისმგებელი უწყება: *საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო*

პროფესიული ორიენტაციის კომპონენტის ფარგლებში, 2018 წელსაც გაგრძელდა საჯარო სკოლებში სკოლის მოსწავლეებისთვის პროფესიული უნარების განვითარების აქტივობების განხორცილება. 2018 წელს სულ განხორციელდა 348 პროექტი.

მიზანი: 12.17. კულტურის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა

ამოცანა: 12.17.1. კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა გენდერული თანასწორობის პრინციპებისა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით

ამოცანის ინდიკატორი: კვლევა განხორციელებულია, ბარიერები გამოვლენილია, რეკომენდაციები შემუშავებულია, კონცეპტუალური დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა ჩამოყალიბებულია; ცნობიერების ამაღლების კამპანია განხორციელებულია

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

საქმიანობა: 12.17.1.1. კულტურისა და შემოქმედებით ინდუსტრიებში კვლევის განხორციელება გენდერის თვალსაზრისით არსებული ბარიერების გამოსავლენად სამინისტროს სისტემაში/მმართველობაში შემავალ ორგანიზაციებში, რეკომენდაციების შემუშავება და ხედვის ჩამოყალიბება კონცეპტუალური დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის სახით

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ-ებში განხორციელდა სტატისტიკური კვლევა, რის საფუძველზეც გამოვლინდა, რომ სამინისტროს სისტემაში/მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ ორგანიზაციებში დასაქმებულთა 50%-ზე მეტს ქალები წარმოადგენენ.

2018 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში/მმართველობით სფეროში შედიოდა 92 საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ამ ორგანიზაციებში დასაქმებულია 10 722 ადამიანი, რომელთაგან 6 195 ქალია. ეს წარმოადგენს დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 57,8%-ს.

საქმიანობა: 12.17.1.2. ცნობიერების ამაღლება მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის კულტურის, მათ შორის შემოქმედებითი ინდუსტრიის როლზე

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

2018 წელს, სსიპ - შემოქმედებითი საქართველოს ორგანიზებით გაიმართა სხვადასახვა ტიპის ღონისძიებები, რომლებიც, შემოქმედებითი მეწარმეობის განვითარებასთან ერთად, მიზნად ისახავდა მდგრად განვითარებაში სექტორის როლის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. კერძოდ:

- თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში გაიმართა შემოქმედებითი მეწარმეობის განვითარების ღონისძიებები - თიმლაბები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 100-მდე ადამიანმა;

- შემოქმედებითი ინდუსტრიების წარმომადგენელთა ცოდნისა და უნარების გაღრმავებისთვის გაიმართა სემინარები, საჯარო ლექციები და ტრენინგები (მათ შორის, კულტურის მართვის, ამბის ციფრული თხრობის, ანიმაციის ხელოვნების შესახებ და ა.შ.), რომელთაც დაესწრო - 200-მდე ადამიანი;
- შემოქმედებითი ინდუსტრიებისა და სსიპის მიერ ინიცირებული სხვადასხვა პროექტის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით გაიმართა საჯარო ღონისძიებები, რომელთაც დაესწრო -300-მდე ადამიანი; გარდა აღნიშნულისა, სსიპ-ის კოლაბორაციით შემუშავებულმა 2-მა პროექტმა დაფინანსება მოიპოვა ბრიტანეთის საჭოს შემოქმედებითი ნაპერწკლის საგრანტო პროგრამიდან. აღნიშნული პროექტები მიზნად ისახავს შემოქმედებით მეწარმეობასთან დაკავშირებული უნარ-ჩვევების განვითარებას უმაღლეს სასწავლებლებში.

კვლევითი მიმართულება:

- საერთაშორისო მასალების გაანალიზებისა და ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინების შედეგად, საერთაშორისო NACE კლასიფიკატორებზე დაყრდნობით, შემუშავდა შემოქმედებითი ინდუსტრიების კლასიფიკაცია;
- ჩატარდა ონლაინ გამოკითხვა შემოქმედებითი ინდუსტრიების ვებ-პლატფორმის პროექტის შესახებ და მომზადდა კითხვარის შედეგების ანგარიში.
- ჩატარდა ონლაინ გამოკითხვა შემოქმედებითი კლასტერის საჭიროების შესახებ და შემუშავდა შესაბამისი ანგარიში.

ამოცანა: 12.17.2. კულტურისა და სპორტის სამინისტროს კონცეპტუალური დოკუმენტების გენდერული მეინსტრიმინგი

ამოცანის ინდიკატორი: კულტურის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის გენდერული მეინსტრიმინგი განხორციელებულია

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა: 12.17.2.1. კულტურის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის გენდერული მეინსტრიმინგი</u>

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის შესაბამისად (მიღების თარიღი: 05/07/2018; გამოქვეყნების თარიღი: 11/07/2018; დოკ. N3024-რს) განხორციელებულმა შერწყმა-რეორგანიზაციამ, შეაფერხა აღნიშნული საქმიანობის შესრულების პროცესი.

ამჟამად, დაგეგმილია სამინისტროს სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების გადახედვა, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილიც იქნება გენდერული მეინსტრიმინგი და მისი განხორციელება იგეგმება 2019 წლის განმავლობაში.

ამოცანა: 12.17.3. კულტურის სფეროს სახელმწიფო მხარდაჭერა გენდერული თანასწორობის პრინციპის დაცვით

ამოცანის ინდიკატორი: სახელმწიფო გრანტების განაწილებისას გენდერული თანასწორობის პრინციპი დაცულია; გენდერული თანასწორობის იდეის მხრადამჭერი პროექტები სათანადოდ წახალისებულია; კულტურის სფეროს სახელმწიფომხარდაჭერის ყოველწლიური გენდერული გავლენის შეფასება ხორციელდება რეგულარულად

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

საქმიანობა 12.17.3.1. სახელმწიფო გრანტების განაწილებისას გენდერული თანასწორობის დაცვა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

სახელმწიფოს მხრიდან ხდება გენდერული თანასწორობის იდეის მხრადამჭერი პროექტების წახალისება, კულტურის სფეროს სახელმწიფო მხარდაჭერის ყოველწლიური გენდერული გავლენის შეფასება ხორციელდება ყოველწლიური ანგარიშების ანალიზის საფუძველზე.

საქმიანობა: 12.17.3.2. *გენდერული თანასწორობის იდეის მხარდამჭერი პროექტების წახალისება*

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

2016 წლის 1 ივნისს, საქართველოს მთავრობის N303 დადგენილებით დამტკიცდა „კულტურის სტრატეგია 2025“, რომლის ერთ-ერთი მიმართულება - კულტურაზე წვდომა და კულტურული მრავალფეროვნება, მიზნად ისახავს კულტურა ხელმისაწვდომი გახადოს საზოგადოების ყველა წევრისთვის და ამასთანავე ხელი შეუწყოს თვითგამოხატვის მრავალფეროვნებას. ამ მიზნის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს: კულტურის პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინება და კულტურის პოტენციალის გამოყენება გენდერული თანასწორობის მხარდაჭერის მიზნით.

ამ მიმართულებით სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ ორგანიზაციების მიერ ყოველწლიურად ხორციელდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები: სპექტაკლები, გამოფენები, ლექციები, განხილვები და საინფორმაციო შეხვედრები.

საქმიანობა: 12.17.3.3. *კულტურის სფეროს სახელმწიფომხარდაჭერის გენდერული გავლენის ყოველწლიური შეფასება*

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ყოველწლიურად ხორციელდება სამინისტროს მიერ მხარდაჭერილი პროექტების გენდერული

ანალიზი, რომელიც მოიცავს როგორც ქალი ხელოვანების მოღვაწეობის მხარდაჭერას, ასევე გენდერული თემატიკისადმი მიძღვნილი პროექტების ანალიზს.

ამოცანა: 12.17.4. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის შესახებ

ამოცანის ინდიკატორი: გენდერული თანასწორობის მხრადამჭერი წელიწადში მინიმუმ ერთი კამპანია კულტურის სფეროს მოღვაწეების ჩართულობით განხორციელებულია

ამოცანის შესრულების სტატუსი: სრულად შესრულებული

საქმიანობა: 12.17.4.1. გენდერული თანასწორობის მხრადამჭერი წელიწადში მინიმუმ ერთი კამპანია კულტურის სფეროს მოღვაწეების ჩართულობით

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

აღსანიშნავია, რომ სამინისტრო შეუერთდა **გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16-დღიანი კამპანიას, რომლის ფარგლებშიც, უწყების მიერ** გამოცხადდა:

1. მოსწავლეთა კონკურსი, რომლის ერთ-ერთ ნომინაციაში გაიმარჯვა იმ მოსწავლის ვიდეომ, რომელიც ეხებოდა ქალთა მიმართ ძალადობას (განთავსდა სამინისტროს ფეისბუქის ოფიციალურ ვებ-გვერდზე);

2. ესეების კონკურსი, სადაც სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა. სულ გამოვლინდა 3 გამარჯვებული.

მიზანი: 12.18. სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა

ამოცანა: 12.18.1 სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების გენდერული მეინსტრიმინგი

ამოცანის ინდიკატორი: სპორტის პოლიტიკის დოკუმენტისა გენდერული მეინსტრიმინგი განხორციელებულია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა შემუშავებულია; სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის სტრატეგია შემუშავებულია

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

საქმიანობა: 12.18.1.1. სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტისა გენდერული მეინსტრიმინგი და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

დაიწყო სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის პროექტის შემუშავება, რომელიც ასევე გაითვალისწინებს საკითხებს სპორტში გენდერული თანასწორობის მიმართულებით.

***ქმედება: 12.18.1.2.** სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის სტრატეგიის შემუშავება*

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

აღნიშნული დოკუმენტი ინტეგრირებული იქნება სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტში, რომლის შემუშავება დაგეგმილია 2019 წელს.

ამოცანა: 12.18.2. სკოლაში ფიზიკური აღზრდის უზრუნველყოფა და სპორტული ცხოვრების წახალისება

ამოცანის ინდიკატორი: შესაბამისი სტანდარტებით აღჭურვილი ფიზიკური აღზრდის დარბაზებითა და ინვენტარით უზრუნველყოფილი სკოლების რაოდენობა; ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებში საყოველთაო ჩართულობის უზრუნველსაყოფად და სპორტში სტერეოტიპული მიდგომების დაძლევისთვის შემუშავებულია და ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები; ქალაქებსა და რეგიონულ ცენტრებში იქმნება შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურა; სპორტული ცხოვრების წესის პოპულარიზაციისთვის ხორციელდება წელიწადში მინიმუმ ერთი კამპანია

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

***ქმედება 12.18.2.1.** სკოლების უზრუნველყოფა შესაბამისი სტანდარტებით აღჭურვილი ფიზიკური აღზრდის დარბაზებითა და ინვენტარით*

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

სამინისტროს მიერ ხორციელდება მასობრივი სპორტის მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც სპორტული ცხოვრებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისა და მოსახლეობის სპორტში ჩართვის წახალისებისკენაა მიმართული. წლის მანძილზე აღნიშნული ღონისძიებებში ათასობით ყველა ასაკის პირი ერთთვება. ორგანიზდება როგორც ერთჯერადი ასევე განგრძობადი ღონისძიებები, მათ შორის სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, უნივერსიადა, ევროპის სპორტის კვირეული, სპორტის საერთაშორისო დღე, მსოფლიო რბენა და სხვა.

***ქმედება: 12.18.2.2.** ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებში საყოველთაო ჩართულობის უზრუნველყოფა და სპორტში სტერეოტიპული მიდგომების ("გოგონების სპორტი", "ბიჭების სპორტი") დაძლევისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება*

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

2018 წელს დაიწყო პროექტი „სკოლებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწავლების გაძლიერება", რომლის მიზანია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ახალი სტანდარტის დანერგვის

ხელშეწყობა. პროექტი ითვალისწინებს გოგოებისა და ვაჟების თანაბარ ჩართულობას როგორც ფორმალური (საგაკვეთილო პროცესი), ასევე არაფორმალური (კლასგარეშე აქტივობები, სასკოლო კლუბები, დილის გამამხნევებელი ვარჯიშები, ექსკურსია-ლაშქრობები და სხვ.) განათლების ფარგლებში.

<u>საქმიანობა: 12.18.2.3. ქალაქებსა და რეგიონულ ცენტრებში ხელმისაწვდომი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა</u>

პასუხისმგებელი უწყება: ეთხოვოთ მუნიციპალიტეტებს

2018 წელს დასრულდა სამი სპორტის სასახლისა და 10 სპორტული მოედნის მშენებლობა, რომელიც გამოყენებული იქნება როგორც პროფესიული, ასევე მასობრივი სპორტული აქტივობებისათვის.

<u>საქმიანობა: 12.18.2.4. ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისთვის ცნობიერების ამაღლების კამპანიების განხორციელება</u>

პასუხისმგებელი უწყება: *საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო*

ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, სამინისტროს ორგანიზებით მიმდინარე წელს გაიმართა მასობრივი სპორტული ღონისძიებები, რომლებშიც ჯამში 300.000 მეტი პირი ჩაერთო. მათ შორის, „ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობის ქვეპროგრამით“ დაფინანსებული სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში ჩატარდა 3 სახის აქტივობა: სპორტული თამაშები (მძლეოსნური გეზრბენი, მაგიდის ჩოგბურთი, ბადმინტონი, მინი ფეხბურთი, კალათბურთი 3x3-ზე, ხელბურთი, ფრენბურთი), მხიარული სტრატები და სპორტულ-შემეცნებითი თამაშები. ოლიმპიადაში ჩაერთო 1700 სკოლის 100 000-მდე მოსწავლე. მხიარული სტრატების და სპორტულ-შემეცნებითი თამაშების დასკვნითი ტურები დასრულდება 2019 წლის შემოდგომაზე.

ამოცანა: 12.18.3. სპორტის სფეროში სახელმწიფო მხარდაჭერა გენდერული თანასწორობის პრინციპის დაცვით

ამოცანის ინდიკატორი: სახელმწიფოს მხრიდან სპორტისთვის ფინანსური მხარდაჭერის განაწილებისას გენდერული თანასწორობა დაცულია და ქალთა პროფესიული სპორტის წახალისებისთვის შემუშავებულია და ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა: 12.18.3.1. სახელმწიფოს მხრიდან სპორტისთვის ფინანსური მხარდაჭერის განაწილებისას გენდერული თანასწორობის დაცვა და ქალთა პროფესიული სპორტის წახალისება</u>

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ეროვნული სპორტული ორგანიზაციების დაფინანსების წლიური ლიმიტის განსაზღვრისას, ერთ-ერთი კრიტერიუმია გენდერული თანასწორობის მიმართულებით მუშაობა. ამ ფარგლებში, სპორტულმა

ორგანიზაციებმა გაითვალისწინეს კონკრეტული ღონისძიებები ქალთა ჩართულობის ზრდის მიმართულებით, რაც ქალთა ჩართულობის დინამიკაზეც აისახა.

ამოცანა: 12.18.4. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის შესახე

ამოცანის ინდიკატორი: გენდერული თანასწორობის მხარდაჭერისთვის ხორციელდება წელიწადში მინიმუმ ერთი კამპანია პროფესინალი სპორტსმენების ჩართულობით

ამოცანის შესრულების სტატუსი: სრულად შესრულებული

საქმიანობა: 12.18.4.1. გენდერული თანასწორობის მხრადამჭერი წელიწადში მინიმუმ ერთი კამპანია პროფესინალი სპორტსმენების ჩართულობით

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

საქართველოს მთავრობის ინციატივით, 2018 წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ჩაერთო ე.წ. 16 დღიან კამპანიაში გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ, კამპანია 1991 წლიდან იმართება და მასში დღეის მდგომარეობით, მსოფლიოს 187 ქვეყანა და 5000-ზე მეტი ორგანიზაცია მონაწილეობს. ამ ფარგლებში, სამინისტროს მიერ დაიგეგმა და განხორციელდა ცნობიერების ამაღლების კამპანია, წარმატებული ქართველი სპორტსმენებისა და ეროვნული ნაკრები გუნდების მონაწილეობით.

კერძოდ, კალათბურთში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩების წინ გაიმართა საქართველოს კალათბურთის ეროვნული ნაკრების კალათბურთელების ფოტოსესია კამპანიის მაისურებით. ასევე, თბილისის სპორტის სასახლეში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩზე ისრაელის ეროვნულ ნაკრებთან თამაშის დაწყებამდე/მსვლელობისას კამპანიის შესახებ წამყვანი რეგულარულად აწვდიდა ინფორმაციას დამსწრე საზოგადოებას, დიდ შესვენებაზე ტრიბუნებზე მაყურებლებისთვის ისროლეს კამპანიის , ხოლო ეკრანზე კამპანიის შესახებ ვიდეო რგოლი გადიოდა. ფეხბურთში, ეროვნული ლიგის ორ მატჩზე: დინამო თბილისი - სიონი და ლოკომოტივი - ფოთის კოლხეთი თამაშების დაწყების წინ ფეხბურთელები გამოვიდნენ კამპანიის მაისურებით. ხელბურთში, გაიმართა საჩვენებელი მატჩში კამპანიის მაისურებში, ერთმანეთს დაუპირისპირდებიან გოგონების და ბიჭების გუნდები.

16. ბავშვთა უფლებები

მიზანი 16.1. პრევენციული და ოჯახის მხარდამჭერი სახელმწიფო მექანიზმების გაძლიერება

ამოცანა 16.1.1. მოწყვლადი ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების იდენტიფიცირების კოორდინირებული მექანიზმის შემუშავება და დანერგვა (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი, ძალადობის რისკის წინაშე მყოფი, განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვები)

ამოცანის ინდიკატორი: მოწყვლადი ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების ადრეული იდენტიფიცირებისა და რეფერირების ინსტრუმენტების და რეაგირების სისტემის შექმნილია

სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>**საქმიანობა 16.1.1.1**. მოწყვლადობის კონცეფციის შემუშავება</u>

პასუხისმგებელი უწყება: გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი კომისია

უწყებათაშორისი მუშაობის შედეგად მომზადებულია „განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების მონიტორინგის და მათი ფორმალურ განათლებაში ჩართვის სახელმწიფო პროგრამის შესახებ“ სახელმწიფო პროგრამის პროექტი, რომელიც განსაზღვრავს ბავშვთა განათლების უფლების დაცვის მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და მის მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მის მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოებს/დაწესებულებებს შორის კოორდინირებულად მუშაობის წესს, ბავშვის განათლების მიღმა დარჩენის შემთხვევაში, ეფექტიანი და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, უფლებამოსილი ორგანოების უფლება-მოვალეობებს, უწყებათაშორის ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებულია ბავშვთა განათლებისა და განვითარების უფლების დაცვასთან. აღნიშნული წესი დაარეგულირებს სავალდებულო ზოგადი განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების შესახებ ინფორმაციის მონიტორინგისა და ანალიზისთვის უწყებათაშორის და სექტორთაშორის შესაბამისი ინფორმაციის მიმოცვლას, რომლის გარეშეც დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს არ აქვს წვდომა სხვა უწყებების საინფორმაციო ბაზების მაღალი დაცვის მქონე პერსონალურ მონაცემებთან.

<u>საქმიანობა 16.1.1.2.</u> <u>კონცეფციაზე დაფუძნებით გაანალიზდეს მოწყვლადი ჯგუფებისათვის შეთავაზებული მხარდამჭერი ღონისძიებები და ჩამოყალიბდეს კოორდინაციის მექანიზმი</u>

პასუხისმგებელი უწყება: გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი კომისია

საანგარიშო პერიოდში დამტკიცდა არასრულწლოვანთა რეფერირების მექანიზმის კონცეფცია, რომელშიც განსაზღვრულია ყველა პასუხისმგებელი უწყების როლი და უფლებამოსილება, არასრულწლოვანთა დანაშულის პრევენციის მექანიზმის შექმნის მიზნით. უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი ამ ეტაპზე მუშაობს უშუალოდ კონკრეტული სამართლებრივი ჩარჩოს შექმნაზე, რომელიც დაფუძნებულია აღნიშნულ კონცეფციაზე და უზრუნველყოფს ამ კონცეფციის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების აღსრულებას.

ამოცანა 16.1.4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის ოჯახის დამხმარე მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა (დღის ცენტრები, ბინაზე მოვლა, ადრეული განვითარება, აბილიტაცია/რეაბილიტაცია და სხვა)

ამოცანის ინდიკატორი: მომსახურებაში ჩართული შშმ ბავშვების რაოდენობა
სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა 16.1.4.2.</u> <u>ოჯახის დამხმარე მომსახურებების სტანდარტებისა და სტანდარტების შესაბამისად მონიტორინგის მექანიზმის დახვეწა</u>

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული „დღის ცენტრების ქვეპროგრამის“ განვითარების მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი. ჯგუფის ფორმატში განხილული იქნება სტანდარტებისა და სტანდარტების შესაბამისად მონიტორინგის დახვეწისათვის საჭირო ღონისძიებები. მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად გადაიხედება და დაიხვეწება სტანდარტი.

საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 9 თებერვალის „ბავშვთა განვითარებისკენ მიმართული ადრეული ჩარევის სახელმწიფო კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების (№282-IIს) საფუძველზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა „ბავშვთა განვითარებისკენ მიმართული ადრეული ჩარევის სახელმწიფო კონცეფციის“ განხორციელების 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა (2018 წლის 15 მაისის საქართველოს მთავრობის №234 დადგენილება) და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით შექმნა უწყებათაშორისი ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფის ფარგლებში განიხილება ადრეული ინტერვენციის მინიმალური სტანდარტიც. საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში გადაიხედება და დაიხვეწება აღნიშნული სტანდარტი.

ამოცანა 16.1.5. სოციალურად დაუცველი/სახელმწიფო ზრუნვაში განთავსების რისკის წინაშე მყოფი ბავშვების დღის ცენტრების მომსახურებათა გაძლიერება

ამოცანის ინდიკატორი: სოციალურად დაუცველი/სახელმწიფო ზრუნვაში განთავსების რისკის წინაშე მყოფი ბავშვების დღის ცენტრები აწვდიან სტანდარტის შესაბამის მომსახურებას

სტატუსი: დაწყებულია შესრულება

საქმიანობა 16.1.5.1. ბავშვთა მიტოვების მიზეზების ანალიზი

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

ორგანიზაციის „საქართველოს ბავშვები“ მიერ განხორციელდა ჩვილ ბავშვთა სახლში ბოლო სამი წლის მანძილზე შესული ბავშვების ჩარიცხვის მიზეზებისა და წყაროების დეტალური შეფასება. შეფასების განხორციელება მხარდაჭერილი იყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სოციალური მომსახურების სააგენტოს, ასევე, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ და განხორციელდა გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ფინანსური მხარდაჭერით. აღნიშნული შეფასებით გამოიკვეთა, რომ ჩვილ ბავშვთა სახლში ჩარიცხული 54 ბენეფიციარიდან 50% შემთხვევაში (28 ბავშვი) სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებაში ჩარიცხვის მიზეზი ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა იყო, ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ჩვილ ბავშვთა სახლში ჩაირიცხა 17 ბენეფიციარი, 9 შემთხვევაში ბავშვის მიტოვების მიზეზი უცნობია, 1 ბენეფიციარის მშობელი იყო მარტოხელა დედა, 1 ბენეფიციარი იყო ძალადობის მსხვერპლი. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მოწოდებული ინფორმაციით, 2018 წელს სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსების მიზეზები იყო: ძალადობა და უგულებელყოფა - 72,4%, სიღარიბე, ცხოვრების არასათანადო დონე და ოჯახების დისფუნქცია - 19%, მშობლისგან ბავშვის სამშობიაროში მიტოვება პირადი განცხადების საფუძველზე - 5,4 %, ჯანმრთელობის მდგომარეობა - 1,6%, ბავშვის ქცევითი აშლილობის დიაგნოზი - 1,6%.

საქმიანობა 16.1.5.2. მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვებისათვის მომსახურებების დახვეწა და გადახედვა

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული „დღის ცენტრების ქვეპროგრამის“ განვითარების მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი. მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად გადაიხედება და დაიხვეწება სტანდარტი. საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 9 თებერვლის „ბავშვთა განვითარებისკენ მიმართული ადრეული ჩარევის სახელმწიფო

კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების (№282-IIს) საფუძველზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა „ბავშვთა განვითარებისკენ მიმართული ადრეული ჩარევის სახელმწიფო კონცეფციის“ განხორციელების 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა (2018 წლის 15 მაისის საქართელოს მთავრობის №234 დადგენილება) და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით შექმნა უწყებათაშორისი ჯგუფი.

ამოცანა 16.1.6. არასრულწლოვანთა დანაშაულის/კანონდარღვევის პრევენციის მექანიზმის დანერგვა

ამოცანის ინდიკატორი: არასრულწლოვანთა დანაშულის პრევენციის მექანიზმი დანერგილია, აერთიანებს ყველა პასუხისმგებელ უწყებას და უზრუნველყოფს მათ კოორდინირებულ მუშაობას მთელი ქვეყნის მასშტაბით

სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა 16.1.6.6.</u> <u>დანაშაულის ხელშემწყობი რისკ ფაქტორების იდენტიფიცირების, ადრეული ჩარევის, რეფერირების და რეაგირების(პროგრამები) უწყებათაშორისი მექანიზმის დანერგვა/ამოქმედება</u>

პასუხისმგებელი უწყება: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სამინისტრო; ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი; შინაგან საქმეთა სამინისტრო; მთავარი პროკურატურა

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აქტიურად მუშაობდა ბავშვთა რეფერირების მექანიზმის დანერგვასა და რეფერირების ცენტრის შექმნაზე. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე რეაგირების ერთადერთი სამართლებრივი მექანიზმი სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების შეწყვეტაა. 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვნების მიმართ არ არსებობს რეფერირების ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ არასრულწლოვანთა მიმართ შედეგზე ორიენტირებულ კომპლექსურ მიდგომას, მათ სოციალიზაციასა და კანონსაწინააღმდეგო საქმიანობისგან ჩამოცილებას.

ამ გამოწვევის დაძლევისა და ბავშვთა რეფერირების პროცესის განხორცილებისათვის მნიშვნელოვანია ბავშვთა რეფერირების მექანიზმის დანერგვა.

2018 წლის იანვარში იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა სახელმწიფოთა პრაქტიკის შედარებითი კვლევა „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ პირთა მიერ სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევის პრევენცია“, რომელსაც თან ახლდა სამინისტროს მიერ შემუშავებული

რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციების საფუძველზე 2018 წლის პირველ ნახევარში ყველა შესაბამის უწყებასთან ერთად, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში, იუსტიციის მინისტრის ინიციატივით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა მოამზადა ბავშვთა რეფერირების კონცეფცია, რომელშიც განხილულია დანაშაულის პრევენციის მიმართულებით არსებული გამოწვევები და პრობლემების გადაჭრის გზები. ბავშვთა რეფერირების კონცეფციაზე დაყრდნობით იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელშიც შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან ერთად საერთაშორისო ორგანიზაციების და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, ასევე დარგის ექპერტებიც მონაწილეობდნენ. ამჟამად საკანონმდებლო პაკეტი უკვე წარდგენილია საქართველოს პარლამენტში.

ბავშვთა რეფერირების საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის მიზანია სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინირებული მუშაობის გზით, საჭირო სერვისებისა და პროგრამების საშუალებით მოახდინოს ბავშვთა სოციალიზაცია, ინტეგრაცია და დანაშაულის პრევენცია.

საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის თანახმად, 2020 წლის 1 იანვრიდან იქმნება ასევე ბავშვთა რეფერირების ცენტრი, რომლის შექმნის მიზანი იქნება იმ ბავშვების დროული იდენტიფიკაცია, გადამისამართება და რესოციალიზაცია, რომელთაც ჩაიდინეს სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ქმედება ან სხვა ტიპის რთული ქცევით გამოირჩევიან.

ბავშვთა რეფერირების ცენტრის ძირითადი უფლებამოსილება იქნება:

სხვადასხვა უწყებების მიერ იდენტიფიცირებული რთული ქცევის მქონე ბავშვთა და შესაბამისი პროცესის საერთო კოორდინაცია; ბავშვის მდგომარეობის, მისი ინდივიდუალური საჭიროებების შეფასება; ბავშვის შესაბამის სერვისებში/პროგრამებში ჩართვა; შესაბამის სერვისებში/პროგრამებში ბავშვის მონაწილეობის მონიტორინგი და ზედამხედველობა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე ძალადობის/სავარაუდო ძალადობის ფაქტის გამოვლენა და სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოში მსხვერპლის/სავარაუდო მსხვერპლის გადამისამართება ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით განსაზღვრული წესით. საჯარო სკოლების მიერ დამტკიცებულია ძალადობასთან დაკავშირებული შიდა წესები, რომლის თანახმადაც, ძალადობის/სავარაუდო ძალადობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში ხდება სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოში მსხვერპლის/სავარაუდო მსხვერპლის გადამისამართება და საჭიროების შემთხვევაში აღნიშნულის თაობაზე პოლიციის ინფორმირება. პროცედურაზე პასუხისმგებელ სუბიექტს წარმოადგენს მანდატური, ხოლო იმ სკოლებში, სადაც მანდატურები არ არიან წარმოდგენილები, დირექტორი, დირექტორის მოადგილე ან უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

ამასთანავე, მანდატური უზრუნველყოფს, რეფერირების შიდა პროცედურების თანახმად, მოსწავლეთა გადამისამართებას მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრში, სადაც ისინი იღებენ მაღალკვალიფიციურ ფსიქო-სოციალურ დახმარებას. 2018 წლის განმავლობაში, შიდა რეფერირების მექანიზმით, სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრში, მანდატურის მიერ გადმომისამართდა და თვითდინებით მიმართა 2903-მა ბენეფიციარმა.

მიზანი 16.2. ღარიბი და მოწყვლადი ბავშვებისა და მათი ოჯახების და განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების მომსახურების გაძლიერება და დახვეწა

ამოცანა 16.2.2. განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების ფორმალური განათლების პროცესში ჩართვის უზრუნველყოფა

ამოცანის ინდიკატორი: ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული ბავშვების რაოდენობა; ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული მოწყვლად ჯგუფების წარმომადგენელი ბავშვების რაოდენობა

სტატუსი: დაწყებულია შესრულება

საქმიანობა 16.2.2.1. განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვებისათვის ფორმალური განათლების სისტემაში ჩასართავად დამატებითი კურიკულუმისა და საგანმანათლებლო რესურსების შემუშავება განათლების და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის "განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი ბავშვებისთვის საქართველოში" ფარგლებში

პასუხისმგებელი უწყება: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სამინისტრო

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შემუშავდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის სტრატეგიის პროექტი სკოლის მიღმა დარჩენილი და დარჩენის მაღალი რისკის მქონე ბავშვებისათვის. შემუშავდა დაწევის პროგრამების კურიკულუმები-1 წიგნიერებისა და მათემატიკური წიგნიერების მიმართულებით.

საქმიანობა 16.2.2.2. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისათვის ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება

პასუხისმგებელი უწყება: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სამინისტრო

ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდა ქვეყანაში არსებული მიუსაფარი ბავშვების ყველა სერვისის ბენეფიციარებისთვის. პროგრამა მუშაობს მიუსაფარი ბავშვების ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციაზე, მათი სოციალური ჩართულობის გასაუმჯობესებლად და სკოლაში ან პროფესიულ სასწავლებელში სწავლის ხელშეწყობისთვის, სასწავლო პროცესებში სრულფასოვანი ჩართვისთვის. სპეციალური საგანმანათლებლო სერვისის მიმღები ბენეფიციარების რაოდენობა საანგარიშო წლის სხვადასხვა პერიოდში, შეადგენს 120-დან 140-მდე ბენეფიციარს. მათი დიდი ნაწილი ირიცხება სკოლაში, აქვს მოსწავლის სტატუსი და გრძელდება მუშაობა სწავლის ვადაზე ადრე მიტოვების პრევენციისთვის. მხოლოდ 19 მათგანი არ ირიცხება სკოლაში.

<u>საქმიანობა 16.2.2.3.</u> <u>ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე, სოციალურად დაუცველი, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზება შემდგომში მათი ფორმალურ განათლებაში ჩართვის მიზნით</u>

პასუხისმგებელი უწყება: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სამინისტრო

სოციალური ინკლუზიის მიზნების შესაბამისად შერჩეული საჯარო სკოლების განაცხადების დაფინანსდებით, ხდება პროგრამის ბენეფიციარებისა (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე და რეპატრიანტი მესხი (36), ბოშა (63), სსსმ (112) მოზარდები) და მათი თანატოლების (272) საერთო ინტერესების გარშემო მოზიდვა, სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება; უმცირესობების თვითმყოფადობის შესწავლით და თანატოლებთან კომუნიკაციის ხელშეწყობით, მონაწილეებში იზრდება განსხვავებული კულტურის მიმართ მიმღებლობა.

მიზანი 16.3. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის შექმნა და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

ამოცანა 16.3.1. ბავშვებთან დაკავშირებული სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობის გაუმჯობესება ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად

ამოცანის ინდიკატორი: სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული მართლმსაჯულების პროცესში დანერგილია ბავშვის უფლებათა დაცვის სამართლებრივი გარანტიები; მომზადებული და ინიცირებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები

სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა: 16.3.1.2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის განხორციელების ხელშეწყობა ცენტრალური და ადგილობრივი მულტიდისციპლინური მექანიზმის მეშვეობით</u>

პასუხისმგებელი უწყება: იუსტიციის სამინისტრო; სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო

2017 წლის ზაფხულში, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღებიდან ორი წლის თავზე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მულტიდისციპლინური სამუშაო ჯგუფის წევრებთან ერთად იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა კოდექსის იმპლემენტაციისას გამოვლენილი გამოწვევების ცხრილი. სისხლის სამართლის უწყებათაშორისი საბჭოს სამდივნოს (იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი) კოორდინაციით, გაეროს ბავშვთა ფონდმა (UNICEF) და არასამთავრობო ორგანიზაციამ

„ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის“ წარმოადგინეს ინფორმაცია არსებული პრობლემების და მათი გადაჭრის გზების შესახებ, რომელზეც სამუშაო ჯგუფის თითოეულმა წევრმა საკუთარი პოზიცია დააფიქსირა.

მულტიდისციპლინურმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა მართლმსაჯულების კოდექსის იმპლემენტაციის პროცესში გამოვლენილი სირთულეების ერთიანი ცხრილი. ხარვეზების ცხრილისთვის საბოლოო სახის მიცემის შემდეგ იუსტიციის სამინისტრომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსსა და მასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში ცვლილებებზე იმუშავა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ცვლილებები პარლამენტმა 2018 წლის მაისში მიიღო. სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ცვლილებების თანახმად:

- დეტალურად განისაზღვრა, რა შემთხვევებში გამოიყენება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მატერიალური და საპროცესო ნორმები;
- უფასო იურიდიული დახმარების უფლების სუბიექტად ბრალდებულთან ერთად არასრულწლოვანი მსჯავრდებულიც დაკონკრეტდა;
- არასრულწლოვან მოწმეს მიეცა უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება;
- დაკონკრეტდა არასრულწლოვნის უფლება, რომ საჭიროების შემთხვევაში მიიღოს ფსიქოლოგის დახმარება; დაზუსტდა პროცესში ფსიქოლოგის ჩართვის წესი და მისი ფუნქციები;
- არასრულწლოვნის უფლება, რომ მის მიმართ საპროცესო მოქმედება მხოლოდ არასრულწლოვნების მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულმა პირებმა განახორციელონ, გავრცელდება იმ საქმეზეც, სადაც იგი მოწმედ მონაწილეობს სრულწლოვანი პირის პროცესში და სხვ.

ამოცანა 16.3.2. ბავშვზე მორგებული გარემოს შექმნა

ამოცანის ინდიკატორი: ქალაქში, პოლიციის, პროკურატურის, სასამართლოს და იურიდიული დახმარების შენობებში შექმნილია ბავშვზე მორგებული გარემო შემუშავებულია გეგმა ბავშვზე მორგებული გარემოს კონცეფციის გაფართოების შესახებ მთელი ქვეყნის მასშტაბით; სასჯელაღსრულების სისტემა მოდერნიზებულია ბავშვთა და ახალგაზრდათა უფლებების რეალიზაციის კონცეფციის შესაბამისად

სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა 16.3.2.1.</u> <u>საქართველოს 2 ქალაქში პოლიციის, პროკურატურის, სასამართლოს და სსიპ იურიდიული დახმარების შენობებში ბავშვზე მორგებული სივრცის მოწყობა</u>

პასუხისმგებელი უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო; მთავარი პროკურატურა

2018 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის შენობაში არასრულწლოვანთა გამოკითხვის ახლად მოწყობილი ოთახი, ასევე, რუსთავის დროებითი მოთავსების იზოლატორში

არასრულწლოვნების უფლებების დაცვის სტანდარტებზე მორგებული საგამოძიებო და განთავსების ოთახები გაიხსნა. ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტში არასრულწლოვნებისთვის შექმნილ ადაპტირებულ სივრცეში, რომელიც სრულად არის მორგებული მოზარდის ემოციურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და განვითარებაზე, არასრულწლოვანთა მიმართულებით სპეციალიზებული გამომძიებლების მიერ განხორციელდება არასრულწლოვან მოწმეთა და დაზარალებულთა გამოკითხვა, რაც მათი ხელახალი და მეორეული ვიქტიმიზაციის პრევენციას ისახავს მიზნად. ასევე, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნები განთავსდებიან დროებითი მოთავსების იზოლატორის დაკავების ოთახში, რომელიც არასრულწლოვანზეა მორგებული. 2018 წლის დეკემბრიდან, გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ მხარდაჭერილი და შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ინიცირებული პროექტის ფარგლებში, არასრულწლოვნებისთვის ქალაქ თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორში ხელმისაწვდომია ფსიქოლოგის მომსახურებაც. არასრულწლოვნებზე ადაპტირებული ინფრასტრუქტურა რუსთავში, ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტში გაეროს ბავშვთა ფონდისა და ევროკავშირის მხარდაჭერით მოეწყო. 2018 წელს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს შენობაში გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით მოეწყო ბავშვზე მორგებული სივრცე.

2018 წელს არასრულწლოვანზე მორგებული გარემო შეიქმნა რუსთავის რაიონული პროკურატურის ოფისში. რუსთავის რაიონული პროკურატურის ოფისში გამოყოფილი სპეციალური ოთახი არის იზოლირებული პროკურატურის ოფისის ძირითადი ნაწილისგან, აქვს ინდივიდუალური შესასვლელი და დაყოფილია რამდენიმე სივრცედ, რომ არასრულწლოვანი ასაკობრივი თავისებურებებისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით მოხერხებულად განთავსდეს გამოკითხვის მიმდინარეობისას. ოთახში დამონტაჟებულია შესაბამისი ტექნიკა, რომლითაც აუდიო-ვიდეოჩაწერა წარმოებს, რაც საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ ბავშვის რამდენჯერმე გამოკითხვა და ფსიქოლოგის მიერ გამოკითხვის წარმოებისას გამომძიებელი დააკვირდეს გამოკითხვის მიმდინარეობას დისტანციურად. ბავშვზე მორგებულ გარემოში ინფრასტრუქტურა გათვლილია შშმ პირებზე. პროკურატურის მიერ შეიქმნა შესაბამისი ინსტრუქცია, რომელიც ადგენს ბავშვზე მორგებულ გარემოში შესაბამისი პროცედურების განხორციელების მინიმალურ სტანდარტს.

<u>საქმიანობა 16.3.2.2.</u> <u>ბავშვზე მორგებული გამოკითხვა/დაკითხვის პროცედურების დანერგვა, რომელსაც ახორციელებენ სპეციალიზებული ინტერვიუერები</u>

პასუხისმგებელი უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო; მთავარი პროკურატურა

2016 წელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედების შემდეგ არასრულწლოვანთა დაკითხვა/გამოკითხვას ახორციელებენ სპეციალიზებული პროკურორები და გამომძიებლები ბავშვზე მორგებული, NCHD პროტოკოლის შესაბამისად.

2018 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ფინანსური მხარდაჭერით, სამინისტროს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით სპეციალიზებულმა 50-მა გამომძიებელმა დამატებითი გადამზადების 5-დღიანი კურსი გაიარა. პირველ ეტაპზე, განგრძობადი სპეციალიზაციის ტრეინინგისთვის გამომძიებლები იმ ქალაქებიდან და

რაიონებიდან შეირჩა, სადაც ყველაზე მაღალია არასრულწლოვანთა მიერ/ მიმართ ჩადენილი დანაშაულების მაჩვენებელი. გადამზადების კურსი ორიენტირებული იყო როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფ, ასევე, დანაშაულის მსხვერპლ და მოწმე ბავშვებზე. სწავლება მოიცავდა როგორც შიდა და საერთაშორისო სამართლებრივ საკითხებს, ასევე, ბავშვებთან ურთიერთობის ფსიქოლოგიურ ასპექტებს. ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით და გაეროს ბავშვთა ფონდისა და საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, სამინისტროს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით სპეციალიზებულმა 30-მა გამომძიებელმა დამატებითი გადამზადების 4-დღიანი კურსი გაიარა. გადამზადების კურსი ორიენტირებული იყო როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფ, ასევე, დანაშაულის მოწმე და დაზარალებულ ბავშვებზე. სწავლება მოიცავდა როგორც სამართლებრივ საკითხებს ასევე, გამოკითხვა/დაკითხვისას ბავშვებთან ურთიერთობის ფსიქოლოგიურ ასპექტებს. 2019 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროში დაგეგმილია არასრულწლოვანთა დანაყოფის შექმნა. აღნიშნული დანაყოფი მხოლოდ არასრულწლოვნის მიერ და მიმართ ჩადენილ დანაშაულებს გამოძიებს, რაც კიდევ უფრო ეფექტიანს გახდის გამოძიებას.

ამასთან, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით პრობაციის ეროვნულ სააგენტოში სპეციალიზაცია გავლილი აქვს 96 სპეციალისტს.

2016 წელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედების შემდეგ პროკურატურაში არასრულწლოვანთა დაკითხვა/გამოკითხვას ახორციელებენ სპეციალიზებული პროკურორები და გამომძიებლები ბავშვზე მორგებული, NCHD პროტოკოლის შესაბამისად.

<u>საქმიანობა 16.3.2.3.</u> <u>ბავშვზე მორგებული გარემოს კონცეფციის გაფართოების გეგმის შემუშავება</u>

პასუხისმგებელი უწყება: *შინაგან საქმეთა სამინისტრო; მთავარი პროკურატურა*

ბავშვზე მორგებული გარემოს კონცეფციის, სპეციალიზებულ პროკურორთა და გამომძიებელთა არსებობის და ბავშვზე მორგებული გარემოს შექმნის აუცილებლობის შესაბამისად, 2018 წელს ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურაში გაიხსნა არასრულწლოვნის დაკითხვა/გამოკითხვისთვის ადაპტირებული ოთახი და შემუშავდა დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვანზე მორგებული გარემოს ეფექტიან გამოყენებას. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი სპეციალიზებულ ოთახში არასრულწლოვანთან შეხვედრის/გამოკითხვის ძირითადი პროცედურები. ამასთან, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში დამატებით გადამზადდნენ პროკურორები და გამომძიებლები. მოცემული მომენტისთვის პროკურატურის სისტემაში გადამზადებულია 87 მენეჯერი, 176 პროკურორი და 29 გამომძიებელი.2018 წელს, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში დამატებით გადამზადდნენ სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის 23 ადვოკატი.

ამოცანა 16.3.3. მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუციური სპეციალიზაცია

ამოცანის ინდიკატორი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე უწყებებში დანერგილია პროფესიონალთა სპეციალიზაციის ინსტიტუციური მექანიზმი

სტატუსი: დაწყებულია შესრულება

საქმიანობა 16.3.3.1. თითოეულ უწყებაში (შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა, იუსტიციის სამინისტრო, სოციალური მომსახურების სააგენტო, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო) სპეციალიზაციის პროცესის მარეგულირებელი შიდა ნორმატიული აქტის შემუშავება, რომელიც არეგულირებს პროფესიონალთა შერჩევის კრიტერიუმებს, სამუშაო აღწერილობებს, მეთოდოლოგიას და ინსტრუქციებს, საწყისი და უწყვეტი გადამზადების პროგრამებს, საქმეთა გადანაწილების სისტემას და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი; შინაგან საქმეთა სამინისტრო; მთავარი პროკურატურა; იუსტიციის სამინისტრო

გაეროს ბავშვთა ფონდის ტექნიკური მხარდაჭერის შედეგად შემუშავებული იქნა არასრულწლოვანთა საქმეების მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვას და, მეორეს მხრივ, შესაძლებლობას მისცემს პროკურატურას ეფექტიანი მონიტორინგი განახორციელოს და გამოავლინოს სამართალწარმოების პროცესში არსებული ხარვეზები, რაც უზრუნველყოფს ხარისხის ამაღლებას.

დოკუმენტი მოიცავს მეთოდოლოგიასა და ინსტრუმენტებს, რომლის მეშვეობითაც უნდა შეფასდეს როგორც სამართალდამცავი ორგანოებისა და პროკურორის საქმიანობს ხარისხი, ასევე მათი მხრიდან კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვა, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. 2019 წლიდან არასრულწლოვანთა საქმეების მონიტორინგი განხორციელდება ამ კონცეფციის მიხედვით.

რაც შეეხება სპეციალიზაციის პროცესის მარეგულირებელი შიდა ნორმატიული აქტის შემუშავებას, რომელიც არეგულირებს პროფესიონალთა შერჩევის კრიტერიუმებს, სამუშაო აღწერილობებს, მეთოდოლოგიას და ინსტრუქციებს, საწყისი და უწყვეტი გადამზადების პროგრამებს, აღნიშნული საკითხები გათვალისწინებულია მთავრობის დადგენილების პროექტით, რომლის დამტკიცების შემდეგაც ყველა უწყებაში დეტალურად იქნება გაწერილი შიდა ინსტრუქციები.

მიზანი 16.4. ბავშვთა ძალადობისაგან დაცვის პრევენციული მექანიზმების ჩამოყალიბება და გაძლიერება

ამოცანა 16.4.1. გლობალურ კამპანიაში-"დავასრულოთ ბავშვთა მიმართ ძალადობა" გზამკვლევი ქვეყნის სტატუსით ჩართვა და შესაბამისი სახელმწიფო კამპანიის წარმოება

ამოცანის ინდიკატორი: საქართველო ოფიციალურად წარმოადგენს გლობალური პარტნიორობის გზამკვლევ ქვეყანას შესაბამისი უფლება-მოვალეობებით; დაგეგმილი და განხორციელებულია სახელმწიფო კამპანია ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ

სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>**საქმიანობა 16.4.1.1.** ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ სახელმწიფო კამპანიის სამოქმედო გეგმის შემუშავება და შესაბამისი რესურსების მობილიზება</u>

პასუხისმგებელი უწყება: *გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი კომისია*

2018 წელს საქართველო გახდა გლობალური ალიანსის „დავასრულოთ ბავშვთა მიმართ ძალადობა“ გზამკვლევი ქვეყანა. ალიანსში გაწევრიანების შემდეგ, სახელმწიფოს მხრიდან მოხდა თვითშეფასების კითხვარის მომზადება, რომელიც ასახავს ბავშვთა მიმართ ძალადობის კუთხით ქვეყანაში არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოს და პრაქტიკას. 2019 წლის განმავლობაში, გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით დაგეგმილია ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის განვითარება, რომელიც გაწერს სახელმწიფოს მხრიდან განსახორციელებლ ღონისძიებებს აღნიშნული მიმართულებით.

ამოცანა 16.4.2. უსაფრთხო და ძალადობისაგან დაცული გარემოს შექმნა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და სკოლის გარეშე სასწავლებლებში

ამოცანის ინდიკატორი: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შექმნილი და დამტკიცებულია უსაფრთხო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების კონცეფცია

სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>**საქმიანობა 16.4.2.1.** უსაფრთხო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების კონცეფციის დამტკიცება და პილოტირება</u>

პასუხისმგებელი უწყება: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ 2019 წლის 29 იანვარის ბრძანებით დამტკიცდა „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების კუთხით განსახორციელებელი ღონისძიებები. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ეს არის პირველი დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს მანდატურის სამსახურსა და საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის კოორდინირებული თანამშრომლობის მექანიზმს.

ზემოაღნიშნული ბრძანებით განსაზღვრულია განსახორციელებელი აქტივობების პერიოდი, რომელიც უნდა დასრულდეს 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით უნდა შეიქმნას:

- საფრთხეების იდენტიფიცირების მიზნით რისკების შეფასების მექანიზმი - სხვადასხვა კითხვარები, მრჩეველთა საბჭო და ა.შ.
- ელექტრონული პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს მშობლის, სკოლის ადმინისტრაციის, მანდატურისა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლების მაღალ ჩართულობას სასკოლო პროცესებში.
- სკოლის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებული მოქმედების მიზნით შეიქმნება სკოლის მრჩეველთა საბჭო, რომელიც ერთგვარ მაკონტროლებელ და საკონსულტაციო როლს შეასრულებს სკოლის უსაფრთხოების საკითხებში;
- მანდატურის სამსახურის მიერ სკოლებისათვის უსაფრთხოების საკითხებზე რეკომენდაციების მიცემისა და ამ რეკომენდაციებთან დაკავშირებით სკოლების მიერ განხორციელებული მოქმედებების შესახებ უკუკავშირის წესი.

ასევე, ყველა საჯარო სკოლაში სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განისაზღვრება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი - მანდატური/უფლებამოსილი პირი. კერძო სკოლა ვალდებულია იხელმძღვანელოს წესით, ან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით შეიმუშაოს წესი, რომელიც უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებას.

ამოცანა 16.4.3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების მექანიზმის დანერგვა

ამოცანის ინდიკატორი: ძალადობის პრევენციისა და რეაგირების ინსტრუქციები შემუშავებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში

სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>**საქმიანობა 16.4.3.1.** ძალადობის პრევენციისა და რეაგირების ინსტრუქციების შემუშავება და დამტკიცება</u>

პასუხისმგებელი უწყება: *განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სამინისტრო*

სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ 2018 წლის განმავლობაში შემუშავდა და 2019 წლის 30 იანვრიდან ძალაში შევიდა:

- მანდატურის/უფლებამოსილი პირის მიერ უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელების წესი;
- მანდატურის/უფლებამოსილი პირის მიერ მოსწავლის განცალკევების განხორციელების წესი;
- მანდატურის მიერ ფიზიკური ძალის გამოყენების წესი.

ამოცანა 16.4.4. ზოგადსაგანმანათლებლო და დაწესებულებების სასწავლო პროგრამებში ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხების ინტეგრირება

ამოცანის ინდიკატორი: ეროვნულ სასწავლო გეგმაში ინტეგრირებულია ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხები

სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>**საქმიანობა 16.4.4.1.** სწავლების სხვადასხვა საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სხვადასხვა საგნებში ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების ჩართვა, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად მოიცავენ ბავშვთა მიმართ ძალადობის ასპექტს</u>

პასუხისმგებელი უწყება: *განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სამინისტრო*

დაწყებითი საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების: „მე და

საზოგადოება“ და „ჩვენი საქართველო“ სტანდარტებით გათვალისწინებულია ბავშვის უფლებათა სწავლების საკითხი, ხოლო საბაზო საფეხურის „მოქალაქეობის“ სასწავლო გეგმა ასევე მოიცავს ადამიანის/ბავშვის უფლებათა კომპონენტს. ეს საგნები ორიენტირებულია არაძალადობრიობის, კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების, ტოლერანტობის ღირებულებებით მოსწავლეთა აღზრდაზე, რაც ხელს შეუწყობს როგორც მათი სამოქალაქო ცნობიერების, ისე ზნეობრივ-ეთიკური საფუძვლების გაძლიერებასა და, ამ ყოველივეს მეშვეობით, ძალადობის პრევენციას.

ამოცანა 16.4.5. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება სკოლებში ბავშვის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული აქტივობების განსახორციელებლად, მოსწავლეებში ერთმანეთის უფლებების დაცვისა და ურთიერთპატივისცემის კულტურის დასამკვიდრებლად.

ამოცანის ინდიკატორი: აღნიშნულ თემატიკაზე დატრენინგებული სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების, მათ შორის არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა რაოდენობა

სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა 16.4.5.1. ტრენინგების ჩატარება ბავშვთა უფლებების დაცვის და ბულინგისა და ჩაგვრის საკითხებზე სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლებისათვის, მათ შორის არაქართულენოვანი სკოლებისათვის</u>

პასუხისმგებელი უწყება: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სამინისტრო

სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი ახორციელებს პროგრამას „ძალადობრივი და დესტრუქციული ქცევის ამოცნობა და პრევენცია“. პროგრამის მიზანია ძალადობრივი და დესტრუქციული ქცევის პრევენცია, ამოცნობა და მასზე ეფექტური რეაგირება, პრობლემის გაჩენის რისკის შემცირება და მისი მინიმუმამდე დაყვანა. სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ სკოლის პედაგოგები და ფსიქოლოგები (როგორც საჯარო ასევე კერძო სკოლებიდან). 2018 წლის განმავლობაში, პროგრამის ფარგლებში, გადამზადდა 330 პედაგოგი.

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში მომზადდა პროფესიული განვითარების სატრენინგო პროგრამა - „ბულინგის პრევენციისა და სკოლებში ტოლერანტული კულტურის განვითარების ხელშეწყობა“, რომელიც მოიცავს 24 საკონტაქტო საათს. ტრენინგი 2018 წელს გაიარა სამოქალაქო განათლების 5749 მასწავლებელმა.

მიზანი 16.5. ძალადობის მსხვერპლ ბავშვთათვის სარეაბილიტაციო მექანიზმების გაუმჯობესება/გაძლიერება

ამოცანა 16.5.1. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების აღსრულება ყველა ჩართული უწყების მიერ

ამოცანის ინდიკატორი: ძალადობის მსხვერპლი/სავარაუდო მსხვერპლი ბავშვების გამოვლენა და მიმართვიანობა მიმდინარეობს გადამზადებული პროფესიონალების მიერ ბავშვთა დაცვის პროცედურების შესაბამისად

სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა 16.5.1.1.</u> <u>ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურებში ჩართული ყველა უწყების მიერ რეფერირების შიდა ინსტრუქციების დამტკიცება</u>

პასუხისმგებელი უწყება: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; მთავარი პროკურატურა; იუსტიციის სამინისტრო; ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო;

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში/სკოლაში და ასევე სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში/სკოლაში დამტკიცებულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის რეფერირების შიდა ინსტრუქციები და განსაზღვრულია შესაბამისი პასუხისმგებელი პირი/პირები.

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურებში ჩართულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი, რომელმაც შიდა ინსტრუქცია დაამტკიცა 2018 წლის 15 თებერვალს.

<u>საქმიანობა 16.5.1.2.</u> <u>ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურებში ჩართული სპეციალისტების გადამზადება</u>

პასუხისმგებელი უწყება: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

2018 წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს

დაქვემდებარებაში მყოფ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში/სკოლაში და ასევე სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში/სკოლაში დაიგეგმა და განხორციელდა დამატებით ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის რეფერირების მექანიზმებზე შესაბამისი პასუხისმგებელი პირების გადამზადება/ტრენინგი - 70 პირი.

სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ, საანგარიშო პერიოდში, იმ საჯარო სკოლებში, სადაც არ არის წარმოდგენილი მანდატურის სამსახური, გადამზადდა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი 129 პირი.

2018 წლის 12-15 მარტი - საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ იმერეთის, სამაგრელო-ზემო სვანეთის, გურიის სამხარეო ცენტრებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის სოციალური მუშაკებისთვის ჩაატარა ტრენინგი თემაზე: ,,სოციალური მუშაობის ემოციების მართვის სირთულის მქონე პირებთან, მოტივაციური სოციალური მუშაობა, ეფექტიანი კომუნიკაცია ეფექტიანი კონსულტირებისთვის“ (16 მონაწილე).

2018 წლის 19-20 ივნისს - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან (ICMPD) თანამშრომლობით, ქართველი და უცხოელი ექსპერტების ჩართულობით ჩაატარა ტრენინგი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე (10 მონაწილე).

2018 წლის 15-31 ივლისის ჩათვლით - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდმა USAID-ის საგრანტო პროექტის ,,ოჯახში ძალადობის შემცირება საქართველოში'' დაფინანსების ფარგლებში შემუშავებული განრიგის შესაბამისად სააგენტოს სოციალურ მუშაკებს ჩაუტარა ტრენინგი თემაზე ,,სოციალური მუშაობა გენდერის ნიშნით ძალადობის დროს'' (229 სოციალური მუშაკი, 8 სააგენტოს თანამშრომელი).

2018 წლის 13-17 და 20-25 აგვისტოს - გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ ბათუმის, ხელვაჩაურის, ქედის, ხულოს, შუახევისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში ჩაატარა სამუშაო შეხვედრა სოციალური მუშაკების, მეურვეობა-მზრუნველობის რეგიონული საბჭოს წევრებისა და მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისთვის თემაზე: ,,ძალადობის შემთხვევებზე და რეგიონში მოწყვლადი ოჯახების მხარდაჭერაზე დროული რეაგირება“ (10 სოციალური მუშაკი).

2018 წლის 24-26 ოქტომბერს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე ,,მოტივაციური ინტერვიურება'' (12 სოციალური მუშაკი).

2018 წლის დეკემბრის თვეში იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ მოხდა სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლების ტრენერებად გადამზადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებში (10 ტრენერი), ხოლო შემდეგ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებში

სპეციალიზაცია გაიარეს სოციალურმა მუშაკებმა (67 სოციალური მუშაკი).

ამოცანა 16.5.3. ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისათვის ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო მომსახურებების შექმნა და გაძლიერება

ამოცანის ინდიკატორი: ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების საშუალებით გამოვლენილი ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისათვის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის კონცეფცია შემუშავებულია

<u>საქმიანობა 16.5.3.1.</u> <u>ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მომსახურების საჭიროებათა განსაზღვრა</u>

პასუხისმგებელი უწყება: *ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო;*

საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მანდატურის მიერ ხორციელდება ძალადობის ნებისმიერი ფორმის პირველადი იდენტიფიცირება, რის საფუძველზეც იგი ახდენს შესაბამისი სამსახურის ინფორმირებას, მათ შორის მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის, სადაც ინდივიდუალური მიდგომებისა და მუშაობის შედეგად განისაზღვრება ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მომსახურების საჭიროებათა და ხდება შესაბამისი მომსახურების გაწევა.

ამოცანა: 16.5.6. „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰაგის 1980 წლის კონვენციის ფარგლებში ბავშვთა უფლებების დაცვისა და კოორდინაციის მექანიზმის გაუმჯობესება

ამოცანის ინდიკატორი: შემუშავებულია ბავშვთა საერთაშორისო არამართლზომიერი გადაადგილების საქმეებზე რეფერირებისა და აღსრულების მექანიზმი; შემუშავებულია სახელმძღვანელო წიგნი

სტატუსი: სრულად შესრულებული

<u>საქმიანობა: 16.5.6.1.</u> <u>ბავშვთა საერთაშორისო არამართლზომიერი გადაადგილების/დაკავებისა და ურთიერთობის უფლების განხორციელების საქმეებზე რეფერირებისა და აღსრულების მექანიზმის შემუშავება</u>

პასუხისმგებელი უწყება: *იუსტიციის სამინისტრო*

შემუშავდა ბავშვთა საერთაშორისო არამართლზომიერი გადაადგილების/დაკავებისა და ურთიერთობის უფლების განხორციელების საქმეებზე რეფერირებისა და აღსრულების მექანიზმის პროექტი და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები.

<u>საქმიანობა: 16.5.6.2.</u> <u>ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის კონვენციის იმპლემენტაციის მიზნით პრაქტიკული სახელმძღვანელოს შემუშავება</u>

პასუხისმგებელი უწყება: იუსტიციის სამინისტრო

მომზადდა და გამოიცა „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის კონვენციის იმპლემენტაციის მიზნით შემუშავებული პრაქტიკული სახელმძღვანელო, რომელიც დაურიგდათ კომპეტენტური უწყებების წარმომადგენლებს, მათ შორის, მოსამართლეებს. სახელმძღვანელო ელექტრონულად აიტვირთა იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზეც.

<u>საქმიანობა 16.5.6.3.</u> <u>თანამშრომლობის გაძლიერება/მოლაპარაკებების წარმოება იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც საქართველო არ ახორციელებს ორმხრივ თანამშრომლობას „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის კონვენციის საფუძველზე</u>

პასუხისმგებელი უწყება: იუსტიციის სამინისტრო

საქართველომ ჰააგის 1980 წლის „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების კონვენციაზე“ აღიარა ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკის, ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს, რუმინეთისა და დანიის სამეფოს მიერთება.

მიზანი 16.6. შეზღუდული შესაძლებლობის და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების დიდი ზომის სამზრუნველო დაწესებულებათა დეინსტიტუციონალიზაცია

ამოცანა 16.6.1. დიდი ზომის სამზრუნველო დაწესებულებებში ბავშვთა შედინების შემცირება

ამოცანის ინდიკატორი: შშმ და განსაკუთრებული საჭიროებების ბავშვების რაოდენობა სახელმწიფო 24-იან ზრუნვაში (დიდი ზომის სამზრუნველო დაწესებულებებში) შემცირებული და მინიმიზირებულია; სახელმწიფო 24-იან ზრუნვაში ბავშვები ხვდებიან ყველა პრევენციული მექანიზმის ამოქმედების შემდეგ "გეითქიფინგის" მექანიზმის შესაბამისად

სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა 16.6.1.1.</u> <u>სახელმწიფო ზრუნვაში განთავსების პრევენციის ("გეითქიფინგის") მექანიზმის დახვეწა, დამტკიცება და ამოქმედება</u>

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

2017 წლის 6 ივნისს დამტკიცდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-129/ო ბრძანება „სამედიცინო დაწესებულებებში ბავშვის მიტოვების პრევენციის სამოქმედო ინსტრუქცია“. აღნიშნული ბრძანების გაცნობის მიზნით 2018 წელს შეხვედრები გაიმართა ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის, კახეთის, გურიისა და ქვემო ქართლის რეგიონის სამედიცინო დაწესებულებების პერსონალთან.

<u>საქმიანობა 16.1.1.2.</u> <u>დიდი ზომის სამზრუნველო დაწესებულებებიდან შშმ ბავშვების საჭიროებების მიხედვით: რეინტეგრირება ბიოლოგიურ ოჯახში, განთავსება სპეციალიზებული ოჯახური ტიპის მომსახურებასა ან სპეციალიზირებულ მინდობით აღზრდაში</u>

პასუხისმგებელი უწყება: *ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო*

ბავშვების ინტერესებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით მუდმივად მიმდინარეობს მათი საქმეების გადახედვა და ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების ან ალტერნატიულ სერვისებში გადასვლის დაგეგმვა. ბენეფიციარი. 2018 წელს ჩვილ ბავშთა სახლიდან მინდობით აღზრდაში განთავსდა 8, გაშვილდა 3, ბიოლოგიური ოჯახში დაბრუნდა 3, მცირე საოჯახო ტიპის სახლში ჩაირიცხა 7.

ამოცანა 16.6.2. ოჯახის ჩამნაცვლებელი ალტერნატიული მომსახურებების (მინდობით აღზრდა, სპეციალიზირებული ოჯახური ტიპის მომსახურება) განვითარება და დახვეწა

ამოცანის ინდიკატორი: ოჯახის ჩამნაცვლებელი ალტერნატიული მომსახურებები (მინდობით აღზრდა, სპეციალიზირებული ოჯახური ტიპის მომსახურება) ფუნქციონირებენ შემუშავებული სტანდარტების შესაბამისად

სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>**საქმიანობა 16.6.2.1.** სპეციალიზებული ოჯახური ტიპის მომსახურებისათვის დამატებითი საჭიროებების განსაზღვრა</u>

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეყანაში ფუნქციონირებს 2 სპეციალიზებული ოჯახური ტიპის მომსახურება. აღნიშნული სერვისი ქვეყანაში ახალია, მიმდინარეობს სერვისის მონიტორინგი. მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად განისაზღვრება თუ რა დამატებითი საჭიროებები იქნება აუცილებელი მომსახურების განვითარებისათვის. "სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში გაიზარდა მინდობით აღზრდის (მათ შორის განსხვავებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის) დაფინანსება. გადამზადდნენ მინდობით აღმზრდელები.

<u>**საქმიანობა 16.6.2.2.** სპეციალიზებული ოჯახური ტიპის დამატებითი მომსახურებების შექმნა არსებული საჭიროების გათვალისწინებით</u>

პასუხისმგებელი უწყება: *ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო*

2018 წლის ბოლოს გაიხსნა მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის 1 მცირე საოჯახო ტიპის სახლი ქ. თბილისში, სადაც განთავსდა 7 აღსაზრდელი ჩვილ ბავშვთა სახლიდან. ბავშვების ინტერესებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით ჩვილ ბავშვთა სახლიდან ბენეფიციარები გადადიან სპეციალიზებულ მინდობით აღზრდაში. 2018 წელს ჩვილ ბავშთა სახლიდან მინდობით აღზრდაში განთავსდა 8 ბავშვი.

მიზანი 16.7. რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე მუნიციპალიტეტების მიერ ადმინისტრირებული ბავშვთა თავშესაფრების და სკოლა-პანსიონების რეგულირების სფეროში მოქცევა

ამოცანა 16.7.1. რეგულირების ჩარჩოს ფარგლებში მოქცეულია ყველა რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე მუნიციპალიტეტების მიერ ადმინისტრირებული ბავშვთა თავშესაფარი და სკოლა-პანსიონატი

ამოცანის ინდიკატორი: რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე მუნიციპალიტეტების მიერ ადმინისტრირებული ბავშვთა თავშესაფრების და სკოლა-პანსიონების ოპტიმიზაცია

სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა 16.7.1.1.</u> <u>რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე მუნიციპალიტეტების მიერ ადმინისტრირებული ბავშვთა თავშესაფრების და სკოლა-პანსიონების შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება</u>

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სამინისტრო

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით შემუშავდა შეფასების ინსტრუმენტი.

<u>საქმიანობა 16.7.1.2.</u> <u>შემუშავებული ინსტრუმენტებით დაწესებულებების შეფასება</u>

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

შემუშავებული ინსტრუმენტის საფუძველზე განხორციელდა დაწესებულებების შეფასება, რომლის საფუძველზეც გამოიკვეთა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მუსლიმანური კონფესიის დაქვემდებარებაში არსებულ ბავშვთა პანსიონებში მცხოვრები არასრულწლოვნების დაწესებულებებში მოხვედრის მიზეზები და საჭიროებები.

<u>საქმიანობა 16.7.1.3.</u> <u>რელიგიურ დაწესებულებებში და ადგილობრივ დონეზე მუნიციპალიტეტების მიერ ადმინისტრირებული ბავშვთა თავშესაფრების და სკოლა-პანსიონების მარეგულირებელი ჩარჩოს დადგენა</u>

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაიმართა შეხვედრა საქართველოს საპატრიარქოსა და მუსლიმანური კონფესიის დაქვემდებარებული დაწესებულებების წარმომადგენლებთან. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ არალიცენზირებულ დაწესებულებებს გაუგზავნა წერილები „სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულების აუცილებლობის შესახებ. ასევე, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულებიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია, მათ ტერიტორიულ ერთეულში სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზიის გარეშე არსებული დაწესებულებების შესახებ. დღეს სამინიტროში შემოსული კორესპოდენციის საფუძველზე სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზიის გარეშე დაწესებულებები არ ფუნქციონირებენ. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში 2018 წლის 26 ნოემბერს შევიდა ცვლილება და დუშეთის მუნიციპალიტეტის 3 სკოლა (ბარისახო, მაღაროსკარი, შატილი) დაემატა ქალაქ დუშეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებული საჯარო სკოლების ჩამონათვალს.

მიზანი 16.8. ბავშვთა დაცვის საკითხებზე უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაძლიერება

ამოცანა 16.8.2. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი კომისიის გაძლიერება

ამოცანის ინდიკატორი: მიმდინარეობს ადამიანის უფლებათა დაცვის 2018-2020 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ბავშვთა უფლებების თავის შესრულების მონიტორინგი; ყოველწლიურად ქვეყნდება ბავშვის უფლებრივი მდგომარეობის ანგარიში გეგმის შესრულებისა და ბავშვის უფლებათა კომიტეტის 2017 წლის 9 მარტის რეკომენდაციების საფუძველზე

სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა 16.8.2.1.</u> <u>სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ინსტრუმენტების შემუშავება</u>

პასუხისმგებელი უწყება: გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი კომისია

<u>საქმიანობა 16.8.2.2.</u> <u>ბავშვის უფლებათა საკითხებზე განსახორციელებელი აქტივობების უწყებათაშორისი კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით გაეროს ბავშვის უფლებათა კომისიის შესაძლებლობების გაძლიერება</u>

პასუხისმგებელი უწყება: გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი კომისია გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ მოწვეულ იქნენ საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები, რომლებმაც შეიმუშავეს რეკომენდაციები სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის პროცესის დახვეწის მიზნით. ამასთან, რეკომენდაციები შეეხებოდა კომისიის დებულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანას. შესაბამისად, 2019 წლის განმავლობაში დაგეგმილია კომისიის დებულების მოდიფიცირება და მონიტორინგის მექანიზმის დანერგვა.

17. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა

მიზანი 17.1 ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების დისკრიმინაციული მოპყრობისაგან დაცვის ხელშეწყობა და მათი მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა.

ამოცანა 17.1.1 ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ცნობიერების ამაღლება მათ უფლებებსა და ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან მიმართებაში~

ამოცანის ინდიკატორი: ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა; დამსწრეთა რაოდენობა; გაფართოებული გეოგრაფიული არეალი

ამოცანის შესრულების სტატუსი: სრულად შესრულებული

<u>საქმიანობა 17.1.1.1.</u> <u>საინფორმაციო კამპანიის წარმოება ეროვნული/ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში</u>

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; იუსტიციის სამინისტრო

2018 წლის 24 ოქტომბრიდან 13 დეკემბრის ჩათვლით ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის შესახებ დიდ ქალაქებსა და ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონულ ცენტრებში (მარნეული, რუსთავი, საგარეჯო, გარდაბანი, ბოლნისი, თეთრიწყარო, ახალქალაქი, ახალციხე, თელავი, ყვარელწყალი, ლაგოდეხი, ბათუმი, ფოთი, ზუგდიდი, ქუთაისი, თბილისი) ჩატარდა უფასო ტრენინგები. 5 საათიან ტრენინგს 17 ჯგუფში დაესწრო ჯამში 244 მონაწილე (ქალი201/კაცი 43) . აღსანიშნავია, რომ ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ქალაქებში (მარნეული, გარდაბანი, ახალქალაქი, თეთრიწყარო) ტრენინგს უძღვებოდა ორი ტრენერი. რომელთაგან ერთ-ერთი იყო იმავე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი. ტრენინგის მასალები ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

იუსტიციის სასწავლო ცენტრს გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP) გადასცა დისკრიმინაციის თემაზე მომზადებული რამდენიმე ენოვანი ბროშურის ელექტრონული ვერსია. ამჟამად, სასწავლო ცენტრის დიზაინერის მიერ ხორციელდება საინფორმაციო ბროშურის დიზაინის შემუშავება, რომელიც ელექტრონულად გავრცელდება იუსტიციის სასწავლო ცენტრის ვებ. გვერდზე.

ამოცანა 17.1.2. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ინფორმირება სახელმწიფოს სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის შესახებ

ამოცანის ინდიკატორი: ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა; დამსწრეთა რაოდენობა გაფართოებული გეოგრაფიული არეალი

ამოცანის შესრულების სტატუსი: სრულად შესრულებული

საქმიანობა 17.1.2.1. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის გაცნობა

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; იუსტიციის სამინისტრო

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით სამცხე-ჯავახეთში (ნინოწმინდა, ახალქალაქი, ახალციხე), ქვემო ქართლში (მარნეული, ბოლნისი, დმანისი, წალკა, გარდაბანი), კახეთში (პანკისის ხეობა, ლაგოდეხი, საგარეჯო, თელავი) გაიმართა სახელმწიფო სტრატეგიითა და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიმდინარე პროგრამებისა და პროექტების პრეზენტაცია, სადაც ყურადღება გამახვილდა ასევე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებებსა და ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაზე. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს თემის ლიდერებმა, რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებმა, სოფლის რწმუნებულებმა, ახალგაზრდებმა და მასწავლებლებმა.

ამასთან, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია გაიმართა, საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსთან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით, ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებთან, ქ. თბილისსა და ქ. ახალციხეში გაიმართა შეხვედრები თემაზე: „სამოქალაქო ინტეგრაცია და ტოლერანტობა საქართველოში“.

ამოცანა 17.1.3. საჯარო სამსახურში ცნობიერების ამაღლება დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვის შესახებ და ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის შესახებ სპეციალური საგანმანათლებლო კურიკულუმი

ამოცანის ინდიკატორი: 2018 წელს ჩატარებულია პირველი საპილოტე ტრენინგი შესაბამის სამიზნე ჯგუფთან; ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების უფლებების კომპონენტის ზეგავლენის შეფასება და შესაბამისი ცვლილებების გაუმჯობესებისათვის

ამოცანის შესრულების სტატუსი: შესრულება არ დაწყებულა

<u>**საქმიანობა 17.1.3.1.** სავალდებულო ტრენინგ მოდული საჯარო მოხელეებისათვის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვის შესახებ ეროვნული/ეთნიკური უმცირესოებების უფლებების ეფექტიანი რეალიზაციის კუთხით</u>

პასუხისმგებელი უწყება: *ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო*

ამოცანა 17.1.4. სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების საბჭოსთან თანამშრომლობის გაღრმავება

ამოცანის ინდიკატორი: სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების ყოველწლიური ანგარიშის მომზადებამდე და მის შემდგომ საინფორმაციო შეხვედრების ორიგანიზება

ამოცანის შესრულების სტატუსი: შესრულება არ დაწყებულა

<u>**საქმიანობა 17.1.4.1.** პერიოდული საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება</u>

პასუხისმგებელი უწყება: ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო

მიზანი 17.2. ეთნიკურ უმცირესობათა წვდომის გაუმჯობესება მასმედიასა და ინფორმაციაზე

ამოცანა 17.2.1. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ენებზე ბეჭდვითი მედიის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

ამოცანის ინდიკატორი: მედიაპროდუქტი მომზადებული და გავრცელებულია

ამოცანის შესრულების სტატუსი: სრულად შესრულებული

<u>**საქმიანობა 17.2.1.1.** ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ენებზე ბეჭდური მედია საშუალებების გავრცელების ხელშეწყობა ეროვნული/ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციალურ დაწესებულებებში</u>

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

წლის განმავლობაში სახელმწიფოს მხარდაჭერით გამოიცა სომხურენოვანი ყოველკვირეული გაზეთი

„ვრასტანი“ (102 ნომერი, 3500 ტირაჟი) და აზერბაიჯანულენოვანი ყოველკვირეული გაზეთი „გურჯისტანი“ (93 ნომერი; ტირაჟი 2000). გაზეთები გავრცელდა როგორც თბილისში, ისე ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში და პენიტენციურ დაწესებულებებში.

ყველა პენიტენციური დაწესებულის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია აზერბაიჯანულენოვანი ,,გურჯისტანისა'' და სომხურენოვანი ,,ვრასტანის'' გაზეთების მომარაგებით.

ამოცანა 17.2.2. ეროვნულ უმცირესობებში გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება

ამოცანის ინდიკატორი: ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა; დამსწრეთა რაოდენობა

ამოცანის შესრულების სტატუსი: შესრულება არ დაწყებულა

<u>საქმიანობა 17.2.2.1.</u> <u>გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების (მათ შორის ოჯახში ძალადობა) შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება საზოგადოებრივი ცენტრების ბაზაზე</u>

პასუხისმგებელი უწყება: *გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია*

მიზანი 17.3. ცნობიერების ამაღლება ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ

ამოცანა 17.3.1. საინფორმაციო კამპანია საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ

ამოცანის ინდიკატორი: ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა; მონაწილეთა რაოდენობა; სამიზნე ჯგუფები; გავრცელებული მასალების რაოდენობა

ამოცანის შესრულების სტატუსი: სრულად შესრულებული

<u>საქმიანობა 17.3.1.1.</u> <u>ეროვნული/ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების, სოფლის მეურნეობის განვითარების, განათლების კუთხით არსებული პერსპექტივებისა და ინიციატივების გაცნობა</u>

პასუხისმგებელი უწყება: *შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;*

სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ორგანიზებული ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიის გზით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს (სამცხეჯავახეთი, ქვემო ქართლი, კახეთი, პანკისის ხეობა) მიეწოდათ ინფორმაცია სახელმწიფო სერვისებისა და პროგრამების შესახებ, მათ შორის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის, ეკონომიკური და ფინანსური, განათლების მიმართულებით არსებული პროგრამებისა და სიახლეების შესახებ (ჩატარდა 50-ზე მეტი შეხვედრა).

პროექტი „ახალგაზრდა ევროპელი ელჩები“ - პროექტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის შესახებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი) ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მათთვის გასაგებ ენებზე. ახალგაზრდებისგან შემდგარმა მობილურმა ჯგუფმა, რომლებმაც გაიარეს სპეციალურად მათთვის დაგეგმილი თემატური სკოლა, ქვემო ქართლის, კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მაცხოვრებელს მიაწოდეს ინფორმაცია საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესისა და მისგან მომდინარე სარგებლის შესახებ. 3 რეგიონის (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი) 10 მუნიციპალიტეტის 56 სოფელში, ჩატარდა 80 - ტრენინგი (2133 ბენეფიციარი).

მომზადდა საინფორმაციო მასალები საქართველოს ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის შესახებ ქართულ, აფხაზურ, ოსურ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. საინფორმაციო მასალები სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ და ქართულ ენებზე გავრცელდა ქ. თბილისში, ასევე სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში.

სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ერთობლივი ინიციატივით, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით, პირველად განხორციელდა პანკისის ხეობის ქალების ცნობიერების ამაღლებასა და ჩართულობის გაძლიერებაზე ორიენტირებული პროექტი - „ცნობიერების ამაღლება საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესახებ“. პროექტის ფარგლებში, ქ. თბილისში დაგეგმილ ორდღიან სემინარში მონაწილეობა მიიღეს პანკისის ხეობის საჯარო სკოლების პედაგოგმა და დირექტორმა ქალბატონებმა (20 ადამიანი), რომელთაც საშუალება ჰქონდათ მიეღოთ ინფორმაცია საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესახებ, ემსჯელათ და განეხილათ ზემოაღნიშნულთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები, ჩართულიყვნენ კულტურულ პროგრამაში, დაეთვალიერებინათ საქართველოს დედაქალაქი. პროექტის მეორე ეტაპზე, 2019 წელს გათვალისწინებულია მონაწილეთა სასწავლო ვიზიტი ქ. ბრიუსელში, სადაც ისინი შეხვდებიან ევროპელ კოლეგებს და გაეცნობიან საგანმანათლებლო სისტემას და შეხვდებიან ევროპელ კოლეგებს.

ამოცანა 17.3.2. ევროკავშირის შესახებ ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობა ადგილობრივ ბეჭდვით/ელექტრონულ მედიაში; არაქართულენოვან გაზეთებში;

ამოცანის ინდიკატორი: მასალები განთავსებულია ადგილობრივ ელექტრონულ/ბეჭდვით მედიაში და გაზეთებში - "ვრასტანი" და "გურჯისტანი".

ამოცანის შესრულების სტატუსი: სრულად შესრულებული

<u>**საქმიანობა 17.3.2.1.** ადგილობრივ ელექტრონულ/ბეჭდვით მედიაში და გაზეთებში "ვრასტანი" და "გურჯისტანი" ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ ინფორმაციის განთავსების ხელშეწყობა</u>

პასუხისმგებელი უწყება: *შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრი*

სომხურენოვანი ყოველკვირეული გაზეთ „ვრასტანში“ (95 ნომერი) და აზერბაიჯანულენოვან ყოველკვირეულ გაზეთი „გურჯისტანში“ (90 ნომერი) განთავსდდა ინფორმაცია საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური პროცესის, მისგან მომდინარე სიკეთეებისა და შესაძლებლობების შესახებ.

მიზანი 17.4. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისთვის თანაბარი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა

ამოცანა 17.4.1. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა ინფორმირება

ამოცანის ინდიკატორი: ეროვნული/ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, კახეთი) გათვალისწინებით არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა შესახებ სტატისტიკური მონაცემები დამუშავებულია და ცესკოს ვებგვერდზე განთავსებულია

ამოცანის შესრულების სტატუსი: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა 17.4.1.1.</u> <u>საინფორმაციო რგოლის მომზადება ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა საარჩევნო უფლებისა და ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ</u>

პასუხისმგებელი უწყება: ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო)

2018 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის (I და II ტური), ცესკოს მიერ მომზადდა სპეციალური საინფორმაციო ვიდეო რგოლი ეთნიკური უმცირესობებისთვის

ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ. ცესკოს მიერ მომზადებული 15 საინფორმაციო ვიდეო რგოლი ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და განთავსდა რეგიონული ტელევიზიების ეთერში. ცესკომ უზრუნველყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის ხელმისაწვდომი სერვისებისა და კენჭისყრის დღეს ამომრჩეველთა ხმის მიცემის პროცედურების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება სომხურენოვან გაზეთში „ვრასტანი“ და აზერბაიჯანულენოვანში –„გურჯისტანი“. ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით, დაინტერესებულ პირებს ინფორმაციის მიღება შეეძლოთ სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი ოთხი ოპერატორისგან.

ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.cesko.ge) კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩევლებს ამომრჩეველთა ერთიანი სიაში საკუთარი მონაცემების გადამოწმება შეეძლოთ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ასევე ვებგვერდზე ბანერში „ეთნიკური უმცირესობები“ განთავსებული იყო სომხურ და აზერბაიჯანულ ნებზე ნათარგმნი სხვადასხვა დოკუმენტაცია.

ცესკომ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნა არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც ასევე მოიცავს ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებს. ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ბმულზე http://cesko.ge/res/docs/monacile_I_II_turi.pdf.

<u>საქმიანობა 17.4.1.2.</u> <u>ეროვნული/ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში ჩატარებული შეხვედრებისა და მონაწილე პირთა შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია ცესკოს ვებგვერდზე განთავსებულია</u>

პასუხისმგებელი უწყება: ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო)

2018 წელს, ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით, ცესკომ ინფორმირების კამპანია „ვესაუბრებით ამომრჩევლებს" განახორციელა. ინფორმირების კამპანიის ფარგლებში გავრცელებული ყველა საინფორმაციო ფლაერები და ვიდეო რგოლები, ნათარგმნი იყო სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. კამპანიის პირველ ეტაპზე საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, საქართველოს მასშტაბით, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გამართეს 263 საჯარო შეხვედრა, ხოლო 73 შეხვედრა გაიმართა საოლქო საარჩევნო კომისიებში. შეხვედრების ფარგლებში გავრცელდა, არჩევნების ისტორიის (პირველი დემოკრატიული არჩევნებიდან 100 წლის იუბილე), საარჩევნო ადმინისტრაციის განვითარების, მიღწევებისა და შეთავაზებული სერვისების შესახებ საინფორმაციო ფლაერები.

კამპანიის მეორე ეტაპის ფარგლებში გაიმართა აქცია „იპოვე შენი თავი, იპოვე შენი უბანი", რომლის ფარგლებშიც ამომრჩევლებმა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით (Android და iOS ოპერაციული სისტემა, სწრაფი გადახდის ტერმინალები NOVA, TBC, პლანშეტი) ამომრჩეველთა ერთიან სიაში საკუთარი მონაცემების გადამოწმება განახორციელეს. თბილისში გაიმართა 34, ხოლო რეგიონებში – 63 აქცია, რომლის ფარგლებშიც ამომრჩეველთა ერთიან სიაში მონაცემები ადგილზე 4 გადაამოწმა 1 011-მა მოქალაქემ. აქციის „იცოდე შენი საარჩევნო უფლებების შესახებ" ფარგლებში მთელი საქართველოს მასშტაბით, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში გავრცელდა თავმჯდომარის წერილობითი მიმართვა იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც 18 წელი შეუსრულდათ და პირველად იღებდნენ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობას. ამასთან, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა ამომრჩევლის ბარათის დარიგების დროს გაავრცელეს კენჭისყრის დღის პროცედურების შესახებ საინფორმაციო ფლაერები. აღსანიშნავია, რომ კამპანიის ფარგლებში გავრცელებული ყველა საინფორმაციო მასალა ნათარგმნი იყო სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

2018 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის, ცესკოს წარმომადგენლებმა გამართეს შეხვედრები მარნეულის რაიონის სოფელ კაპანახჩში და ნინოწმინდაში მცხოვრებ 100-მდე ქალთან. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ქალების საარჩევნო პროცესებში ჩართულობის ხელშეწყობა.

2018 წელს, ცესკომ საგრანტო კონკურსის დაფინანსების პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრა მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის ხელშეწყობა საარჩევნო პროცესში. ცესკოსთან არსებულმა სსიპ – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა (სწავლების ცენტრი), საგრანტო კომისიის გადაწყვეტილებით, დააფინანსა არასამთავრობო ორგანიზაციების 10 პროექტი, რომელიც განახორციელა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. პროექტების ბიუჯეტმა შეადგინა 219 062 ლარი.

მიზანი 17.5. ეთნიკური უმცირესობებისათვის ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება

ამოცანა 17.5.1. საინფორმაციო/ ცნობიერების ამაღლების კამპანია განათლების სისტემაში დაგეგმილი და მიმდინარე სიახლეების შესახებ

ამოცანის ინდიკატორი: ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა; მონაწილეთა რაოდენობა; გაფართოებული გეოგრაფიული არეალი; მედიაში გაშუქების დინამიკა

ამოცანის შესრულების სტატუსი: სრულად შესრულებული

საქმიანობა 17.5.1.1. უმაღლესი განათლების სისტემის საშეღავათო პოლიტიკის, სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიის, სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სასწავლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მცხოვრები ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ცნობიერების ამაღლების კამპანიას უმაღლესი განათლების სფეროში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის განკუთვნილი შეღავათებისა და შესაძლებლობების შესახებ. გაიმართა შეხვედრები „ქართულ ენაში მოსამზადებელი სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამის“ შესახებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში (ბოლნისის, ახალქალაქის, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტები). საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეობას იღებდნენ სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის, სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციისა და სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის წარმომადგენლები.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, საქართველოს გაეროს ასოციაციისა და „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ (CCIIR) მხარდაჭერით ახალგაზრდებისათვის ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი თემაზე - ,,ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა“. ეთნიკურად სომეხი, აზერბაიჯანელი და ქართველი ახალგაზრდებისაგან შემდგარმა (30 მონაწილე) ჯგუფმა ორდღიანი გადამზადება გაიარა „1+4 სტაჟირების“ პროგრამების, უმაღლესი და პროფესიული განათლების მიმართულებით არსებული შესაძლებლობების შესახებ. 2019 წლის იანვრიდან ტრენერთა ტრენინგის მონაწილეები ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში აბიტურიენტებს და სკოლის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს 1+4 პროგრამებისა და პროფესიული განათლების შესახებ მიაწვდიან ინფორმაციას.

ამოცანა 17.5.2. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ საჯარო მოხელეთა პროფესიული ზრდა და განვითარება

ამოცანის ინდიკატორი: სახელმწიფო ენის სწავლებისა და საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების განხორციელებული პროგრამების რაოდენობა; პროგრამებით გადამზადებულ პირთა რაოდენობა; სახელმწიფო ენის სწავლებისა და საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამების განხორციელების გეოგრაფიული დაფარვის გაზრდილი არეალი.

ამოცანის შესრულების სტატუსი: სრულად შესრულებული

საქმიანობა 17.5.2.1. საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში საჯარო მოხელეთა (ეროვნული/ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები პირები) გადამზადება სხვადასხვა დარგობრივი მიმართულებებით

პასუხისმგებელი უწყება: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

• სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ განახორციელა

პროექტი - „პროფესიული განათლების ხელშეწყობა ეროვნული უმცირესობებისთვის“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს და განავითაროს საქართველოში პროფესიული განათლება, დაეხმაროს ეროვნულ უმცირესობებს მაქსიმალურად გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, სრულფასოვნად დაეუფლონ სასურველ პროფესიას, აქტიურად ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ღირსეული წვლილი შეიტანონ ქვეყნის განვითარების საქმეში. პროექტის ფარგლებში შეიქმნა 10 ჯგუფი. თითოეულმა დაასრულა მუშაობა B1+ დონის კონკრეტული დარგობრივი მიმართულების სახელმძღვანელოსა და სამუშაო რვეულის შექმნაზე;

• მომზადდა და დაიბეჭდა დარგობრივი მიმართულების 10 სახელმძღვანელო და სამუშაო რვეული: საექთნო საქმე, პედაგოგებისათვის, საბუღალტრო აღრიცხვა, აგრონომია, ელექტრობა, სასურსათო ტექნოლოგიები, ტურიზმი, მშენებლობა, მეცხოველეობა და ტრანსპორტი;
• სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ფარგლებში დამტკიცდა დარგობრივი მიმართულების 12 პროგრამა (A2+ დონის - პედაგოგებისათვის, B1+ დონის: სამოქალაქო განათლება, საექთნო საქმე, პედაგოგებისათვის, საბუღალტრო აღრიცხვა, აგრონომია, ელექტრობა, სასურსათო ტექნოლოგიები, ტურიზმი, მშენებლობა, მეცხოველეობა და ტრანსპორტი);
• სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამით სკოლის 10 რეგიონულ სასწავლო ცენტრში, რომლებიც მდებარეობს საქართველოს სამ რეგიონში: ქვემო-ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და კახეთი, სწავლა დაასრულა 2017 წელს ჩარიცხულმა 81 ჯგუფის 1072-მა და 2018 წელს ჩარიცხულმა 145 ჯგუფის, ეროვნული უმცირესობების 2058-მა წარმომადგენელმა;
• 2018 წელს სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ფარგლებში ჩაირიცხა ეროვნული უმცირესობების 3400 წარმომადგენელი, შეიქმნა 246 სასწავლო ჯგუფი, მათგან 171 - მობილური ჯგუფი 10 ქალაქსა და 67 სოფელში;

• სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო ენას A1 და A2 დონეზე დაეუფლა/ეუფლება 126 უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელთაც მინიჭებული აქვთ საქართველოს ტერიტორიაზე ლეგალურად ცხოვრების უფლება. მათ შორის არიან: სომხეთის, რუსეთის, უკრაინის, სირიის, ეგვიპტის, ტაჯიკეთის, ერაყის, ირანის, იემენისა და სომალის მოქალაქეები;

• 2018 წლის სექტემბრიდან სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა სახელმწიფო ენის კურსებს ახორციელებს საველე-საწვრთნელ ბაზებზე საქართველოს თავდაცვის ძალებში სავალდებულო სამხედრო სამსახურში მომსახურე ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებისთვის, რომლებიც საწყის საბრძოლო მომზადებას გადიან. A1 დონის ენის კურსი გაიარა 299-მა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელმა;

• სსიპ-მა ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა UNHCR-ის რეგიონულ

წარმომადგენლობასთან ერთად განახორციელა პროექტი - „ისწავლე ქართული აუდიო გაკვეთილებით“, რომლის ფარგლებშიც მომზადდა კომპაქტდისკი, 12 აუდიო გაკვეთილითა და შესაბამისი ილუსტრაციებით. კურსი დაეხმარება საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ, თავშესაფრის და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებზეც ვრცელდება UNHCR-ის მანდატი ქართული ენის საბაზისო ცოდნის მიღებასა და ინტეგრირებაში;

• საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში შეიქმნა მოკლევადიანი სპეციალიზებული სასწავლო ტრენინგ კურსები, ასევე გასვლითი ტრენინგ კურსი, ჯამში 16 მიმართულება;

• განხორციელდა ტრენინგ კურსები:

- „საქმისწარმოება და ელექტრონული მმართველობა“ - 9 მუნიციპალიტეტში (ახალქალაქი, ბოლნისი, ახმეტა, დედოფლისწყარო, ლანჩხუთი, ჩხოროწყუ, წალკა, ჭიათურა, ქუთაისი), მონაწილეობა მიიღო 193-მა პირმა;
- „ადამიანური რესურსების მართვა“ და „საზოგადოებასთან ურთიერთობა და კომუნიკაცია“ - კახეთის რეგიონში, მასში მონაწილეობა მიიღო 22-მა სხვადასხვა მუნიციპალიტეტების მერიის, საკრებულოსა და გუბერნიის თანამშრომლებმა;
- „მოქალაქეთა ეფექტური მომსახურების ტექნოლოგიები“ - რუსთავში, მონაწილეობა მიიღო 10-მა პირმა;
- კომპიუტერული ტექნოლოგიების შემსწავლელი საბაზისო პროგრამა - გადამზადდა 82 საჯარო მოსამსახურე;
- საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამით 2018 წელს ისარგებლა 307-მა პირმა, მათ შორის ეროვნული უმცირესობის 48 წარმომადგენელმა.

ამოცანა 17.5.3. ეროვნული/ეთნიკურიუმცირესობების წარმომადგენელთათვის განათლების მიღების ხელშეწყობა; სახელმწიფო ენის სწავლების პოპულარიზაცია/გაუმჯობესება; "1+4 პროგრამის" განხორციელება

ამოცანის ინდიკატორი: ქართულ ენაში მოსამზადებელი საგანმანათლებლო 1+4 პროგრამით მოსარგებლე ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა რაოდენობა

ამოცანის შესრულების სტატუსი: სრულად შესრულებული

<u>საქმიანობა 17.5.3.1.</u> <u>„ქართულ ენაში მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამის“, იგივე 1+4 პროგრამა განხორციელება ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის; პროგრამის შესახებ საინფორმაციო კამპანიების ჩატარება სამიზნე ჯგუფებთან, საინფორმაციო საშუალებებით, ელექტრონული და ბეჭდვითი საინფორმაციო საშუალებებით ინფორმაციის გავრცელება აღნიშნულის თაობაზე.</u>

პასუხისმგებელი უწყება: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

2018 წელს პროგრამაზე ჩაირიცხა 424 სომხურენოვანი სტუდენტი (დაფინანსდა 93), 806 აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტი (დაფინანსდა 96), 1 ოსურენოვანი სტუდენტი (დაფინანსდა 1).

მიზანი 17.6. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების კულტურისა და თვითმყოფადობის დაცვის უზრუნველყოფა

ამოცანა 17.6.1. ისტორიული საკულტო ნაგებობების თანმიმდევრული რეაბილიტაციის და დაცვის უზრუნველყოფა

ამოცანის ინდიკატორი: რეაბილიტირებული ისტორიული საკულტო ნაგებობების რაოდენობის მზარდი ტენდენცია განადგურების საფრთხის წინაშე მდგომი ობიექტების რეაბილიტაცია

ამოცანის შესრულების სტატუსი: შესრულება არ დაწყებულა

ამოცანის მიმოხილვა:

<u>**საქმიანობა 17.6.1.1.** ისტორიული საკულტო ნაგებობების რეაბილიტაციის პრიორიტეტულობის დადგენა და შესაბამისი სიის შემუშავება</u>

პასუხისმგებელი უწყება: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ამოცანა 17.6.2. კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ტრადიციების და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერით

ამოცანის ინდიკატორი: ეთნიკურ უმცირესობათა სსიპ ორგანიზაციების და სხვა ორგანიზაციების მხარდაჭერის მზარდი ბიუჯეტი

ამოცანის შესრულების სტატუსი: შესრულება დაწყებულია

<u>**საქმიანობა 17.6.2.1.** ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა</u>

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით, განხორციელდა **პროექტი „მრავალფეროვანი საქართველო“,** რომელიც ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელებას ისახავს მიზნად.

პროექტის ფარგლებში გაიმართა რიგი ღონისძიებები ეთნიკური უმცირესებობებით დასახლებულ რეგიონებში: მარნეულში - 15 მაისს და 9 ნოემბერს, ახალციხეში - 7 ივნისს, ნინოწმინდაში - 5 ივლისს, გარდაბანში - 21 სექტემბერს, პანკისის რეგიონში - 2 ივნისი; 27 აგვისტო, 22 ოქტომბერი, ბოლნისში - 26 ოქტომბერი.

- გაიმართა: შეხვედრები (ლექციების კურსი) მწერლებთან, მეცნიერებთან, ხელოვანებთან.

თემები: საიუბილეო თარიღები - პირველი რესპუბლიკის 100 წლისთავი; ალ. ყაზბეგი - 170; ო.ჭილაძე - 85; ქართული კინო - 110; ევროპული მემკვიდრეობის წელი; მარნეულში აღინიშნა შოთა რუსთაველის დღე (უწყებათაშორისი კომიისიის მიერ დადგენილი - 15 მაისი) – 19 ლექცია/სემინარი.

- მოეწყო: სხვადასხვა სახის გამოფენები ადგილობრივი და დედაქალაქიდან ჩასული ხელოვანების მონაწილეობით - 11;

- კინოჩვენება: ბოლო დროის მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური და მხატვრული ფილმების ჩვენება - ფილმების განხილვა (რეჟისორებთან ერთად) – 7.

- მუს. კონცერტი: ადგილობრივი, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან და დედაქალაქიდან ჩასული მუსიკოს-შემსრულებლების მონაწილეობით - 7 ;

- სპექტაკლები: 2 ივნისი პანკისის ხეობა (დუისი) სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი - „რწყილი და ჭიანჭველა"; მარნეული, 9 ნოემბერი - სსიპ ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი - ყურბან საიდის რომანის მიხედვით შექმნილი სპექტაკლი „ალი და ნინო" - 2

პროექტის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებს 6 000-მდე ადამიანი დაესწრო.

„ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის" ფარგლებში გაიმართა კონკურსი „საქართველოს ცენტრსა და რეგიონებში ეთნიკურ უმცირესობათა ტრადიციული სახალხო დღესდასწაულებისა და საიუბილეო ღონისზებების ხელშეწყობა" გაიმარჯვა 11 პროექტმა, საერთო ბიუჯეტით 64617 ლარი.

განხორციელდა: კულტურული მრავალფეროვნების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საღამო (მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეთნიკური უმცირესობის 8 ანსამბლმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა, დაესწრო 200-მდე მაყურებელი); პროექტის „მრავალფეროვანი საქართველო"-ს ფარგლებში ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში (მარნეული, გარდაბანი, ახალციხე, ნინოწმინდა) და პანკისში (დუისი, ჯოყოლო, ბირკიანი) გაიმართა თბილისიდან ჩასული და ადგილობრივი შემსრულებლების მონაწილეობით კონცერტები, თემატური შეხვედრები; გამოცხადდა და ჩატარდა კონკურსები: „ეთნიკურ უმცირესობათა თვითმყოფადობის ამსახველი გამოცემების ხელშეწყობა" და „საქართველოს ცენტრსა და რეგიონებში ეთნიკურ უმცირესობათა ტრადიციული დღესასწაულებისა და საიუბილეო ღონისძიებების მხარდაჭერა", რომლის ფარგლებშიც კონკურსში გამარჯვებული 10 პროექტიდან განხორციელდა 8 პროექტი („ძველი თბილისის თეატრალური ლიტერატურული ბოჰემა", „უძველესი ტრადიციების ერთგულნი", „სერგო ჩახოიანცის გამოფენა", „სომხური ტრადიციული დღესასწაული-კათნაპური", „ბოშათა კულტურის ფესტივალი", „ლესია უკრაინკას კვალი საქართველოში", „მინაში გაცოცხლებული ორნამენტი", „კულტურათაშორისი ურთიერთობების ხელშეწყობა"), პროექტის „კულტურა საზღვრებს გარეშე" ფარგლებში სოფლებში: ტყაისა და ორსანტიაში გაიმართა კონცერტები და შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან.

ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერის ფარგლებში, 2018 წელს, სამინისტროს სისტემა/მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ მუზეუმების მიერ განხორციელდა 68 პროექტი.

მიზანი 17. 7. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება და ინფორმირებულობის გაზრდა სხვადასხვა სფეროში მიმდინარე პროგრამების/სერვისებისა და სიახლეების შესახებ

ამოცანა 17.7.1. საინფორმაციო კამპანიის წარმოება სოციალურ-ეკონომიკური საკითხების შესახებ

ამოცანის ინდიკატორი: გამართული შეხვედრების/სემინარების და მონაწილეთა რაოდენობა; გეოგრაფიული არეალი, სამიზნე ჯგუფები

ამოცანის შესრულების სტატუსი: სრულად შესრულებული

<u>საქმიანობა 17.7.1.1.</u> <u>საინფორმაციო შეხვედრები სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებსა და სერვისებზე.</u>

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში გაიმართა საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების შეხვედრები სოციალურ-ეკონომიკური პროგრამებისა და სერვისების შესახებ. კერძოდ:

- „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამით" გათვალისწინებული სერვისებისა და სახელმწიფო გასაცემლებების შესახებ ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში 2018 წელს გაიმართა შეხვედრები სხვადასხვა რეგიონში: 14 ივნისს - მარნეულსა და გარდაბანში, 19 ივნისს - წალკაში, 21 ივნისს - დმანისსა და ბოლნისში.
  ასევე კახეთში: 10 ივლისს - იორმუღალოში, 12 ივლისს - კაბალსა და ჩანტლისყურეში, 13 ივლისს - დუისსა და ყარაჯალაში, ხოლო პირველი აგვისტოს ახალქალაქსა და ნინოწმინდაში. შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო ადგილობრივ მოსახლეობამ, პედაგოგებმა, სოფლის ექიმებმა და ადგილობრივი სავადმყოფოების პერსონალმა. შეხვედრებში ასევე აქტიურად იყვნენ ჩართული მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები.
- მობილური ექსტენციის ფარგლებში ფერმერებთან საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები ჩატარდა 8 სოფელში:

  - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორელოვკა;
  - ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფელი კოთელია და ვაჩიანი;
  - წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი დაბა თრიალეთი;
  - მარნეული მუნიციპალიტეტი, სოფელი კასუმლო და სადახლო;
  - დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტნუსი;
  - ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფელი სამწვერისი.

18. რელიგიის თავისუფლებისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვა

მიზანი 18.1. სეკულარიზმის და რელიგიური ნეიტრალიტეტის განმტკიცება

ამოცანა 18.1.1. საქართველოში რელიგიის თავისუფლების, ტოლერანტობის, თანასწორუფლებიანობისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის განმტკიცება

ამოცანის ინდიკატორი: შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის ანგარიშებში ასახული პოზიტიური დინამიკა; 2018 წლის განმავლობაში საჯარო სამსახურში გამოვლენილია პრიორიტეტული/რისკის შემცველი სამიზნე ჯგუფები და ხდება მათი ტრენინგი. საგანმანათლებლო მოდულის ზეგავლენის შეფასება და შესაბამისი ცვლილებების პროექტის მომზადება მაღალი სტანდარტის დასანერგად

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა 18.1.1.1.</u> <u>სეკულარიზმის შესახებ სპეციალური ქვეთავის მომზადება საჯარო მოხელეებისათვის ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ სავალდებულო საგანმანათლებლო კურსის პროგრამაში</u>*პასუხისმგებელი უწყება: ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისთან თანამშრომლობით*

<u>საქმიანობა 18.1.1.2.</u> <u>საქართველოს მთავრობის N200 დადგენილების (საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ) პოპულარიზაცია და საჯარო მოხელეებისათვის აღნიშნული დადგენილების მე-7 მუხლის შესახებ საინფორმაციო მასალების მომზადება</u>

პასუხისმგებელი უწყება: *საჯარო სამსახურის ბიურო*

საჯარო სამსახურში ეთიკური გარემოს შექმნისა და კორუფციის პრევენციული მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობის ფარგლებში, 2018 წლის აპრილში, საჯარო სამსახურის ბიურომ, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით, შეიმუშავა „საჯარო დაწესებულების ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების კომენტარი, რომელიც ხელს შეუწყობს ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების გამოყენების ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას საქართველოს საჯარო დაწესებულებებში. კომენტარების საჯარო განხილვა-პრეზენტაცია მოეწყო 2018 წლის 7 მაისს, რომელშიც ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული მოხელეები, ასევე აკადემიური, არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

2018 წლის 20 მარტს საჯარო სამსახურის ბიუროს ორგანიზებითა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) სამართლის პროგრამის მხარდაჭერით გაიმართა საჯარო სამსახურის ეთიკის რიგით მეორე ფორუმი, რომელზეც განხილულ იქნა საჯარო მოსამსახურეთა შეუთავსებელ საქმიანობასა და ხელმძღვანელის ქცევის სტანდარტებთან დაკავშირებული საკითხები. ეთიკის ფორუმები ტარდება პერიოდულად და მათში მონაწილეობენ ცენტრალური საჯარო დაწესებულებების შიდა აუდიტისა და ინსპექტირების, ასევე ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების წარმომადგენლები. ფორუმზე განიხილება პრობლემური საკითხები და მუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები საჯარო სამსახურში ეთიკური გარემოს გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი მექანიზმების შექმნასთან დაკავშირებით. ეთიკის ფორუმის თემატიკა განისაზღვრება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ მონაწილეებისათვის გაგზავნილი კითხვარის შესაბამისად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2018 წლის იანვარში, საჯარო სამსახურის ბიუროს ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს თანამშრომლობითა და USAID-ის პროექტის - „კარგი მმართველობის ინიციატივა

საქართველოში (GGI)“ მხარდაჭერით, ჩატარდა სამი ორდღიანი ტრენინგი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისათვის. ტრენინგის მთავარი თემა იყო საჯარო სამსახურის რეფორმის სიახლეები, ანტიკორუფციული პოლიტიკა და სამართლებრივი ჩარჩო, ასევე კორუფციის პრევენციის მექანიზმები. ტრენინგში მონაწილეობდა 4 რეგიონის (იმერეთი, სამეგრელო, ზემო სვანეთი და სამცხე-ჯავახეთი) მუნიციპალიტეტის 48 წარმომადგენელი.

2018 წლის განმავლობაში საჯარო სამსახურის ბიურომ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით განახორციელა პროექტი - „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონსა და ანტიკორუფციულ მექანიზმებზე ცნობიერების ამაღლების გზით, საჯარო სამსახურის რეფორმის დანერგვის მხარდაჭერა“. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის სიახლეებსა და ანტიკორუფციულ მექანიზმებზე, მათ შორის ეთიკის საკითხებზე, როგორც ცენტრალურ საჯარო უწყებებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულ მოხელეთათვის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებისათვის - სულ 400-მდე ადამიანისთვის. პროექტის ფარგლებში, ასევე, შემუშავდა სახელმძღვანელო ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა რელიგიური ნეიტრალიტეტი საჯარო სამსახურში.
2018 წლის განმავლობაში საჯარო სამსახურის ბიურომ შეიმუშავა საჯარო სამსახურში ეთიკის ელექტრონული სასწავლო პლატფორმის კონცეფცია. კონცეფციით განისაზღვრა ელექტრონული კურსის მიზანი, ელექტრონული კურსის თემატიკა, ელექტრონული კურსის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, სამიზნე აუდიტორია და კურსის მოდულები. შემუშავებული კონცეფციის საფუძველზე განხორციელდა ელექტრონული კურსის პროგრამული უზრუნველყოფა.

ელექტრონული კურსის მიზანია საქართველოს საჯარო სამსახურში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების შესახებ ცოდნის მიღება, მისი გამოყენების ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, ამავდროულად, საჯარო მოსამსახურეებში ეთიკური გარემოსა და კეთილსინდისიერების მნიშვნელობის წახალისება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროფესიული სტანდარტებისა და კორუფციის პრევენციის მექანიზმების შესახებ ცნობიერების ამაღლების გზით. სწავლების ელექტრონული მოდელის მეშვეობით, შესაძლებელი გახდება საჯარო მოსამსახურეთა დისტანციურად გადამზადება საჯარო სამსახურში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების შესახებ. კურსის ფარგლებში ისინი, სამუშაო ადგილისა და გარემოს დატოვების გარეშე, მიიღებენ ინფორმაციას საჯარო დაწესებულებაში „ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული ცნებებისა და მათი პრაქტიკაში გამოყენების შესახებ, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში მიზნად ისახავს შესაძლო გადაცდომების, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევების, ასევე, ეთიკის ნორმებისა და ქცევის ზოგადი წესების დარღვევის თავიდან აცილებას.

<u>**საქმიანობა 18.1.1.3.** საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ბეჭდვითი და ელექტრონული გამოცემების საშუალებებით</u>

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო საქმიანობის შესრულებასთან დაკავშირებით, რადგან ვებ გვერდის ფორმატი ვერ იტევს ტექსტს, იხილეთ თანდართული დოკუმენტი.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ შეიქმნა ფოტოალბომი „რელიგიები საქართველოში“, რომელშიც ასახულია საქართველოს რელიგიურ-კულტურული მრავალფეროვნება და რელიგიურ ლიდერთა ფოტოები. ალბომი დაყოფილია საქართველოს მხარეების მიხედვით და აღწერილია ამ რეგიონებში არსებული მნიშვნელოვანი და ისტორიული საკულტო ნაგებობები. ცალკე სივრცე აქვს დათმობილი საქართველოში არსებულ რელიგიურ მიმდინარეობებს, ხოლო ალბომის ელექტრონული ვერსია რელიგიის სააგენტოს საიტზეა განთავსებული.

<u>საქმიანობა 18.1.1.4.</u> <u>მასმედიის წარმომადგენლებში ცნობიერების ამაღლება რელიგიის თავისუფლების, ტოლერანტობის, თანასწორობისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის საკითხებზე</u>

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო
ამავე სამოქმედო გეგმის ფარგლებში, მასმედიის წარმომადგენლებში რელიგიის თავისუფლების, ტოლერანტობის, თანასწორობისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, (პუნქტი 18.1.1.4.) სააგენტომ ტრენინგები ჩაატარა საქართველოში მოქმედი თითქმის ყველა ტელევიზიის რადიოს და გაზეთის წარმომადგენლებისთვის. ტრენინგები ტარდებოდა 2018 წლის განმავლობაში სხვადასხვა ქალაქებში, მათ შორის თბილისში რამოდენიმეჯერ. სულ დატრენინგდა მასმედიის რამოდენიმე ათეული წარმომადგენელი.

ამოცანა 18.1.2. სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოსთან თანამშრომლობის გაღრმავება

ამოცანის ინდიკატორი: სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების ყოველწლიური ანგარიშის მომზადებამდე და მის შემდგომ საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა

ამოცანის შესრულების სტატუსი: შესრულება არ დაწყებულა

<u>საქმიანობა 18.1.2.1.</u> <u>პერიოდული საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება</u>

პასუხისმგებელი უწყება: ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო

ამოცანა 18.1.3. საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის ანალიზი და შესაძლო რელიგიური შეუწყნარებლობის შემთხვევებზე კვალიფიციური კვლევის ჩატარება

ამოცანის ინდიკატორი: რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს სპეციალური ანგარიში; შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის ანგარიშებში ასახული პოზიტიური დინამიკა

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა 18.1.3.1.</u> <u>რელიგიის საკითხებში კვლევაზე დაფუძნებული პოლიტიკის წარმოების მიზნით ანგარიშებში გამოვლენილი პრობლემების მიზეზების კვლევა</u>
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ყოველწლიურად ეცნობა და სწავლობს სხვადასხვა ავტორიტეტულ საერთაშორისო და ადგილობრივ ანგარიშებს და მათში გამოვლენილი პრობლემების მიზეზების კვლევის მიზნით მიმდინარეობს კონსულტაციები რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან არსებული ინტერრელიგიური სათათბიროს წევრ რელიგიურ ორგანიზაციებთან. ასევე, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტთან სამუშაოდ და გაიმართა ინტერრელიგიური სათათბიროს წევრი რელიგიური ორგანიზაციების რამოდენიმე შეხვედრა ხსენებულ კომიტეტში. იგეგმება თემატური შეხვედრები შესაბამის უწყებებთან კომპეტენციების მიხედვით.

<u>საქმიანობა 18.1.3.2.</u> <u>რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლების (სასულიერო პირების) ცნობიერების ამაღლება რელიგიის თავისუფლების და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების კუთხით, ასევე, რელიგიური შემწყნარებლობისა და ტოლერანტობის კულტურის გაძლიერება</u>

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

რელიგიის თავისუფლების და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების კუთხით რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლების (სასულიერო პირების) ცნობიერების ამაღლების, ასევე, რელიგიური შემწყნარებლობისა და ტოლერანტობის კულტურის გაძლიერების მიზნით (პუნქტი 18.1.3.2.) სააგენტომ ჩაატარა ტრენინგები საქართველოს მასშტაბით. ტრენინგებს ესწრებოდნენ საქართველოში მოქმედი თითქმის ყველა რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენლები:

1. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია,
2. ებრაული თემი,
3. ლათინ-კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია,
4. მუსლიმანური თემი,
5. სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქია,
6. საქართველოს იეზიდთა სასულიერო კრება,
7. საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია,
8. საქართველოს სახარების ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების კავშირი,
9. თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესია,
10. საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია,
11. სახარების რწმენის ეკლესია,
12. კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოება.

საერთო ჯამში 700-ზე მეტი სასულიერო პირი. ტრენინგი მოიცავთა თემებს: ადამიანის უფლებები ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით; რელიგიის თავისუფლება, სამართლებრივი გარანტიები და ევროპული სტანდარტები; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის თემაზე (ევროკონვენციის მე-9 მუხლთან მიმართებაში).

აღნიშნული ტრენინგები ჩატარდა:

თბილისში - 19, 26 და 27 ივნისი 2018 წ.

ბათუმში - 10 ოქტომბერი 2018 წ.

ახალციხეში - 06 ნოემბერი 2018 წ.

ქუთაისში - 26 ნოემბერი 2018 წ.

გორში - 05 დეკემბერი 2018 წ.

საერთო ჯამში 700-ზე მეტი სასულიერო პირი.

წინამდებარე სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული ტრენინგების - „ადამიანის უფლებები და რელიგიური შემწყნარებლობა“ მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ სემინარების მონაწილე რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელ სასულიერო პირებს სახელმწიფო ენის სათანადოდ, ან საერთოდ ვერ

ფლობის გამო უჭირდათ სასაუბრო თემის გაგება-გააზრება. გადაწყდა, განხორციელებულიყო სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტი, სახელწოდებით: „სახელმწიფო ენა სასულიერო პირებისთვის“, რომლის ფარგლებშიც ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასთან გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი. პროექტი წარმატებით მიმდინარეობს ა/წ ივლისის თვიდან და ამ ეტაპზე პროექტში მონაწილეობას იღებენ: საქართველოს მუსლიმი თემი, სომხური სამოციქულო ეკლესია და ევანგელურ-ლუთერული ეკლესია. შემდგომში, პროექტში მონაწილე რელიგიური ორგანიზაციების რიცხვი გაიზრდება.

საქმიანობა 18.1.3.3. შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის მიერ სტატისტიკის წარმოება, დაკავშირებული რელიგიური სიძულვილით ჩადენილ დანაშაულებებთან

პასუხისმგებელი უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო; მთავარი პროკურატურა.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს პროკურატურისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულს წარმოადგენს. საქართველოს გენერალური პროკურატურა აწარმოებს რელიგიური ნიშნით შეუწყნარებლობის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ სტატისტიკას. 2018 წელს, რელიგიური შეუწყნარებლობის ნიშნით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2 პირის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით.

საქმიანობა 18.1.3.4. რელიგიის ან რწმენის ნიშნით დისკრიმინაციასთან დაკავშირებით კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ შსს-ს და პროკურატურის თანამშრომლების გადამზადება.

პასუხისმგებელი უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო; მთავარი პროკურატურა.

საქართველოს პროკურატურაში 2018 წელს რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის თემაზე განხორციელდა დამატებით 1 ტრენინგი "რელიგის თავისუფლება, საერთაშორისო სტანდარტები". ტრენინგი ერთობლივი იყო და მასში საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობას იღებდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები.

ამოცანა 18.1.4. ზოგადი განათლების სისტემაში რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპების განმტკიცება

ამოცანის ინდიკატორი: გადამზადებული მასწავლებლების რაოდენობა; შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის ანგარიშებში ასახული პოზიტიური დინამიკა

ამოცანის შესრულების სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული

საქმიანობა 18.1.4.1. მასწავლებლების და დირექტორების გადამზადების პროგრამებში რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპების გათვალისწინება

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ-რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო; განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

სასკოლო სახელმძღვანელოების შეფასების კრიტერიუმები ითვალისწინებს რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპს, კრძალავს რელიგიური ნიშნით სტერეოტიპული, არაკორექტული, დისკრიმინაციული ან/და დისკრედიტაციული ელემენტების არსებობას სახელმძღვანელოებში. აღნიშნული პრინციპის დაცვით განხორციელდა დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესი. რამდენად აისახა ეს

რეალობა სახალხო დამცველისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში, ჩვენთვის ეს ამ ეტაპზე უცნობია.

<u>საქმიანობა 18.1.4.2.</u> <u>შერეული ეროვნული/ეთნიკური კომპოზიციის საჯარო სკოლებში მულტიკულტურალიზმის და თანასწორობის ხელშეწყობისათვის პოზიტიური აქტივობების განხორციელება</u>

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ-რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო; განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

მულტიკულტურალიზმის და თანასწორობის ხელშეწყობისათვის პოზიტიურ აქტივობებს ახორციელებენ სკოლები. აღნიშნული მიმართულებით სამინისტრო ასევე ხელს უწყობს სხვადასხვა ორგანიზაციებს სკოლებში აღნიშნულ თემატიკაზე პროექტების განხორციელებაში.

2018 წლის ზაფხულში, სამინისტროს მიერ ორგანიზებულ „ქართული ენის საზაფხულო სკოლაში“ მონაწილეობა მიიღო საქართველოს არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სექტორების 200 მოსწავლემ.

საზაფხულო სკოლის მიზანი იყო სახელმწიფო ენის პოპულარიზაციის ხელშეწყობა და ენობრივი კომპეტენციების განვითარება. საზაფხულო სკოლის მოსწავლეებისთვის განხორციელდა სხვადასხვა გასართობი, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები, მათ შორის კინოხელოვნების მიმართულებით. აღნიშნული საზაფხულო სკოლის განხორციელება დაგეგმილია 2019 წლის ზაფხულშიც.

ასევე, საქართველოს არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სექტორების კლასის მოსწავლეებისთვის, 2018 წლის გაზაფხულზე ჩატარდა ქართულენოვანი სპექტაკლების კონკურსი სახელწოდებით „ჩემი პირველი ქართული როლი“. კონკურსის მიზანი იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეებისთვის სახელმწიფო ენაზე სამეტყველო კომპეტენციების განვითარება და შემოქმედებითი უნარების გამოვლენა.

<u>საქმიანობა 18.1.4.3.</u> <u>სკოლის სახელმძღვანელოების რევიზია და გრიფირების სტანდარტში ასახვა</u>

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ-რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო; განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

დაწყებითი საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების: „მე და საზოგადოება“ და „ჩვენი საქართველო“ სტანდარტებით გათვალისწინებულია ბავშვის უფლებათა სწავლების საკითხი, ხოლო საბაზო საფეხურის „მოქალაქეობის“ სასწავლო გეგმა ასევე მოიცავს ადამიანის/ბავშვის უფლებათა კომპონენტს. ეს საგნები ორიენტირებულია არაძალადობრიობის, კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების, ტოლერანტობის ღირებულებებით მოსწავლეთა აღზრდაზე, რაც ხელს შეუწყობს როგორც მათი სამოქალაქო ცნობიერების, ისე ზნეობრივ-ეთიკური საფუძვლების გაძლიერებასა და, ამ ყოველივეს მეშვეობით, ძალადობის პრევენციას.

<u>საქმიანობა 18.1.4.4.</u> <u>სკოლების მონიტორინგის მეთოდოლოგიაში ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის კრიტერიუმების გათვალისწინება (მათ შორის რელიგიური ნეიტრალეიტეტის დაცვა)</u>

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ-რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო; განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმისა და რელიგიური დისკრიმინაციისაგან თავისუფალ საგანმანათლებლო სივრცის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონმა შექმნა საჯარო სკოლებში სეკულარული და ტოლერანტული გარემოს დაცვის მნიშვნელოვანი სამართლებრივი გარანტიები. მასში გათვალისწინებული იქნა მთელი რიგი პრინციპები, რომლებიც გამოიყენება სკოლების ყოველდღიურ ცხოვრებაში, ინერგება სასწავლო პროცესში, სხვა აქტივობებში.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო რელიგიური ძალადობის წინააღმდეგ კომპლექსურ ღონისძიებებს ახორციელებს შემდეგი მიმართულებით: ა) მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა ცნობიერების ამაღლება ბ) რელიგიური და სხვა ტიპის ძალადობის იდენტიფიცირება გ) ძალადობის ფაქტების გამოვლენა და რეაგირება.

სკოლების მონიტორინგის ფუნქცია დაეკისრათ აგრეთვე საგანმანათლებლო რესურსცენტრებს და სკოლის დირექციაც ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო სკოლაში საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვა და ამ კუთხით აკონტროლოს მდგომარეობა. მონიტორინგის ჯგუფი, აღმოჩენილი გადაცდომის სირთულისა და ხასიათის შესაბამისად სკოლას ადგილზე აძლევს მითითებას, წერილობით რეკომენდაციას ან/და მიმართავს სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტს შემდგომი რეაგირების მიზნით.

ამოცანა 18.1.5. დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდა

ამოცანის ინდიკატორი: დისკრიმინაციული დანაშაულის გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით პროკურორებმა, გამომძიებლებმა და სტაჟიორებმა გაიარეს სასწავლო კურსები, სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით შესაბამისი რეკომენდაცია მომზადებულია

ამოცანის შესრულების სტატუსი: სრულად შესრულებული

<u>საქმიანობა 18.1.5.1. დისკრიმინაციული დანაშაულის გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით პროკურორების, გამომძიებლებისა და სტაჟიორების მომზადება/გადამზადება</u>

პასუხისმგებელი უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო; მთავარი პროკურატურა

შემუშავდა დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე სამდღიანი კურსი, რომელიც მოიცავს როგორც სამართლებრივ, ასევე, ფსიქოლოგიურ საკითხებს: უმცირესობების ფსიქოლოგიური პორტრეტი, დისკრიმინაციის სახეები, ტერმინები, დისკრიმინაციული მოტივის განმსაზღვრელი ინდიკატორები, პირველადი რეაგირება და სავარაუდო დაზარალებულთან ურთიერთობა, მსხვერპლებთან და მოწმეებთან მუშაობა, დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთის მიზნით ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედებები, მსხვერპლებისთვის არსებული სახელმწიფო სერვისები, არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, პრევენცია. აღნიშნული კურსის ფარგლებში უკვე გადამზადდა 50-მდე გამომძიებელი. ამასთანავე, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე გამომძიებელთა ტრენინგ პროგრამის დანერგვასთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ევროპის დემოკრატიულ ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისს (OSCE ODIHR) შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის ფარგლებშიც შემუშავებულ სასწავლო კურსს შს სამინისტროს ყველა გამომძიებელი გაივლის. სწავლება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს გამომძიებელთა უნარ-ჩვევების განვითარებას და მათი შესაძლებლობების განვითარებას. სწავლების შედეგად პოლიციელები შეძლებენ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის დიფერენცირებას და უკეთ გააცნობიერებენ პოლიციის ძირითად

ვალდებულებას დაიცვან მსხვერპლები და ჯეროვნად გამოიძიონ დანაშაული.

2018 წლის მონაცემებით,ანტიდისკრიმინაციულ საკითხებზე განხორციელდა 4 სასწავლო აქტივობა. ტრენინგების ფარგლებში გადამზადება პროკურატურის სისტემის 102-მა წარმომადგენელმა გაიარა, მათ შორის იყვნენ პროკურორები და სისტემის გამომძიებლები. აღნიშნული მიმართულებით გადამზადებას ყველა პროკურორი და სისტემის გამომძიებელი ეტაპობრივად გადის.

ასევე, ამავე წელს რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის თემაზე განხორციელდა დამატებით 1 ტრენინგი "რელიგის თავისუფლება, საერთაშორისო სტანდარტები". ტრენინგი ერთობლივი იყო და მასში საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობას იღებდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები.

გარდა ამისა, ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობის ფარგლებში, 2018 წელს ჩატარდა ტრენინგები თემებზე: „გენდერის და სქესის ნიშნით დისკრიმინაცია“ და „სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები და სიძულვილის ენა.“გენდერის და სქესის ნიშნით დისკრიმინაციის თემაზე განხორციელებულ სასწავლო აქტივობაში მონაწილეობა მიიღო 21-მა პროკურორმა და პროკურატურის გამომძიებელმა. ტრენინგზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის არსი; საკანონმდებლო გარანტიები და დაცვის მექანიზმები, სტერეოტიპები, როგორც თანასწორობის ბარიერი, სექსუალური შევიწროების ძირითადი ფაქტები და მისი გავლენა მსხვერპლზე და საზოგადოებაზე; რეაგირება და პრევენციის მექანიზმები, ოჯახში ძალადობის დისკრიმინაციული ასპექტები და სხვა. ხოლო ტრენინგში „სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და სიძულვილის ენის თემაზე მონაწილეობა მიიღეს ტელე-რადიო და ონლაინ მედიის ჟურნალისტებმა და სპიკერმა პროკურორებმა. ტრენინგის ფარგლებში დაიფარა შემდეგი საკითხები: სტიგმა, სტერეოტიპი, დისკრიმინაცია, სიძულვილის ენის მნიშვნელობა და გავლენა თანასწორობაზე; რა განსხვავებაა სიძულვილის ენასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის; ლგბტი საკითხების გაშუქების დინამიკა საქართველოში; ძალადობა და დისკრიმინაცია გენდერის ნიშნით; სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის იდენტიფიცირება და გაშუქება;

ამასთან, ODHR-თან თანამშრომლობით, 2016 წელს შემუშავდა და 2017 წლის დასაწყისში დაინერგა სასწავლო კურსი პროკურორებისთვის თემაზე - „სიძულივილით მოტივირებული დანაშაულები.“ 2018 წელს აღნიშნული პროგრამით გადამზადება გაიარეს პროკურორებმა და სისტემის გამომძიებლებმა. 4 სასწავლო აქტივობის ფარგლებში, ჯამში 65 პირი გადამზადდა.

ასევე, საქართველოს მთავარ პროკურატურაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირებთან კომუნიკაციის თემაზე ჩატარდა 4 ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც გადამზადება გაიარეს პროკურორებმა, პროკურატურის სისტემის გამომძიებლებმა და სტაჟიორებმა. სწავლების პროცესში მონაწილეები გაეცნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის თემას, ადგილობრივ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებს. ასევე, სწავლების მიზანი იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება, დისკრიმინაციული ქცევის ანალიზი და სწორი დამოკიდებულების ფორმირება.

დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და „სიძულივილით მოტივირებული დანაშაულები“-ს სასწავლო პროგრამები ინტეგრირებულია სტაჟიორთა მოსამზადებელ კურსში.

<u>საქმიანობა 18.1.5.2.</u> <u>დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტურობის გაზრდის მიზნით ანგარიშის მომზადება</u>

პასუხისმგებელი უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო; მთავარი პროკურატურა

შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკა დისკრიმინაციული ნიშნით დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ არის მკაცრი, რაც, უპირველეს ყოვლისა, ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრასა და თითოეული პირისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის შესაძლებლობის მიცემის მიზანს ემსახურება. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2018 წლის პერიოდში გაიზარდა სისხლის სამართლის საქმეებში დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთის შემთხვევათა რაოდენობა. ადამიანის უფლებათა დაცვის და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდება. შესწავლილი საქმეების სტატისტიკის თანახმად, რომ 2018 წელს პასუხისგებაში მიცემული იქნა 100-ზე მეტი პირი, რაც აჭარბებს 2017 წლის მონაცემებს.

2018 წელს საქართველოს პროკურატურისთვის პრიორიტეტული იყო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა. მომზადდა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტურობის გაზრდის მიზნით პროკურორებისთვის შემუშავებული რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგის ანგარიში, რომლის შემოკლებული ვერსია გამოქვეყნდა საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე. აღნიშნულ ანგარიშში გაანალიზებულია სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხები.

2019 წლის 6 თებერვალს, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გაიმართა კონფერენცია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების თემაზე, სადაც წარმოდგენილ იქნა 2016-2018 წლებში ჩადენილი სძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ანალიზი. http://pog.gov.ge/uploads/docs/sizulviliTmotivirebulidanashaulebisanalizi.pdf

<u>საქმიანობა 18.1.5.3.</u> <u>რელიგიური ნიშნით ჩადენილი დანაშაულების გამოვლენისა და დევნის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციის მომზადება</u>

პასუხისმგებელი უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო; მთავარი პროკურატურა

2018 წლის იანვარში, შს მინისტრის ბრძანებით, სამინისტროში შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, რომელიც კომპეტენციის ფარგლები განახორციელებს სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციისა და მის წინაამდეგ ბრძოლის არსებული მეთოდების შესწავლას, შესრულების მონიტორინგს, ხოლო მონიტორინგის საფუძველზე გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, შეისწავლის საუკეთესო პრაქტიკას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს. დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულის აღკვეთისა და მასზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით, უწყებაში შემუშავებული იქნა დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის გამოძიების სახელმძღვანელო პრინციპები, რომელიც წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს იმ დანაყოფებისათვის, რომელთა ვალდებულებასაც ზემოაღნიშნულ დანაშაულზე რეაგირება წარმოადგენს. წინამდებარე დოკუმენტში ასახული კომპლექსური რეკომენდაციები შესაბამის დანაყოფებს დაეხმარება დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის იდენტიფიცირებასა და ჯეროვან გამოძიებაში. აღნიშნული დოკუმენტი არის გადასინჯვის პროცესში და უახლოეს მომავალში დამტკიცდება.

რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთა საქმეებზე ეფექტიანი საპროკურორო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, 2017 წელს ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოში პროკურორებისთვის შემუშავდა რეკომენდაცია, რომელიც შეისწავლა ევროპის საბჭოს ექსპერტმა. რეკომენდაცია ეხება რელიგიურ შეუწყნარებლობასთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მოცემულ ნორმათა განმარტებას, რელიგიური შენობა-ნაგებობების დაზიანებათა შემთხვევებს, ვერბალური შეურაცხყოფის მიყენების სამართლებრივ კვალიფიკაციას და სხვა აქტუალურ საკითხებს. 2018 წელს კი განხორციელდა აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგი.

საქმიანობა 18.1.5.4. დისკრიმინაციულ და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სპეციალიზებულ პროკურორთა შერჩევა

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა

საქართველოს პროკურატურაში 2018 წელს განხორციელდა სპეციალიზაცია, შეირჩნენ პროკურორები, რომლებმაც გადამზადების ინტენსიური კურსები გაიარეს და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე იმუშავებენ. პროკურორთა სპეციალიზაცია 2019 წელსაც გაგრძელდება და საქართველოს ყველა ტერიტორიულ დანაყოფს მოიცავს.

საქმიანობა 18.1.5.5. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, პროკურორებისთვის, გამომძიებლებისა და სტაჟიორებისთვის სპეციალური კურიკულუმის დანერგვა

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა

2016 წელს, საქართველოს პროკურატურასა და ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს (ODIHR) შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის ფარგლებში, 2016 წელს შემუშავდა და 2017 წლის დასაწყისში დაინერგა სასწავლო კურსი პროკურორებისთვის თემაზე - „სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები (PAHCT).“ 2017 წელს აღნიშნული პროგრამით მომზადდა შიდა ტრენერთა გუნდი. ტრენერთა ტრენინგი გაიარა პროკურორებისა და პროკურატურის სისტემის გამომძიებლების 2-მა ჯგუფმა, რომელშიც ჯამში 24 პირი მონაწილეობდა. დანერგილი სასწავლო პროგრამით ყოველწლიურად ხორციელდება პროკურორთა, სისტემის გამომძიბელთა და სტაჟიორთა მომზადება/გადამზადების პროცესი.სასწავლო პროგრამა „სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები“ ინტეგრირებულია სტაჟიორთა მოსამზადებელ კურსში.

ამოცანა 18.1.6. დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებრივი ფაქტების შესახებ საზოგადოების პროაქტიური ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება

ამოცანის ინდიკატორი: დისკრიმინაციულ და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებრივ ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და პირის მსჯავრდების შესახებ ინფორმაცია საჯაროა

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა: სრულად შესრულებული

საქმიანობა 18.1.6.1. დისკრიმინაციულ და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებრივ ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და პირის მსჯავრდების შესახებ ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება

პასუხისმგებელი უწყება: *მთავარი პროკურატურა*

2018 წელს დისკრიმინაციულ და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და პირის მსჯავრდების შესახებ ინფორმაციის განთავსება საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე მთელი წლის განმავლობაში ხდებოდა.

ამოცანა 18.1.7. ადგილობრივ დონეზე საკოორდინაციო მექანიზმის გაძლიერება

ამოცანის ინდიკატორი: დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით ადგილობრივ დონეზე ფუნქციონირებს საკოორდინაციო მექანიზმი.

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა: შესრულება არ დაწყებულა

საქმიანობა 18.1.7.1. ადგილობრივ დონეზე გამოყოფილი პასუხისმგებელი პირების მონაწილეობით შეხვედრის გამართვა და მათი ანგარიშების განხილვა, ანგარიშებიდან გამომდინარე საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა

პასუხისმგებელი უწყება: *მთავარი პროკურატურა*

საქართველოს გენერალური პროკურატურიდან 2018 წლის დეკემბერში გაიგზავნა წერილი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოში, რათა პასუხისმგებელ უწყებად საქართველოს გენერალური პროკურატურა მითითებული აღარ ყოფილიყო.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოვლენა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციაა, ხოლო გამოვლენილ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა-საქართველოს პროკურატურის. ვინაიდან, საქართველოს პროკურატურის კომპეტენციას სცდილდება საკოორდინაციო მექნიზმის შექმნა, ადგილობრივ დონეზე გამოყოფილი პასუხისმგებელი პირების მონაწილეობით შეხვედრის გამართვა და მათი ანგარიშების განხილვა, ანგარიშებიდან გამომდინარე საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა, აგრეთვე, ადგილობრივ დონეზე გამოყოფილი პირის მიერ წელიწადში მინიმუმ 2-ჯერ ადგილობრივ დონეზე შეხვედრის ორგანიზება და ანგარიშის მომზადება, პასუხისმგებელ უწყებად უნდა განისაზღვროს რელევანტური უწყება, ხოლო საქართველოს გენერალური პროკურატურა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად განისაზღვროს პარტნიორ უწყებებად. საქართველოს გენერალური პროკურატურა გამოხატავს მზაობას, მონაწილეობა მიიღოს მითითებული საკოორდინაციო მექანიზმის სამუშაო შეხვედრებში, როგორც პარტნიორმა უწყებამ.

საქმიანობა 18.1.7.2. ადგილობრივ დონეზე გამოყოფილი პირის მიერ წელიწადში მინიმუმ 2-ჯერ ადგილობრივ დონეზე შეხვედრის ორგანიზება და მიერ მიერ ანგარიშის მომზადება

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა

საქართველოს გენერალური პროკურატურიდან 2018 წლის დეკემბერში გაიგზავნა წერილი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოში, რათა პასუხისმგებელ უწყებად საქართველოს გენერალური პროკურატურა მითითებული აღარ ყოფილიყო.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოვლენა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციაა, ხოლო გამოვლენილ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა-საქართველოს პროკურატურის. ვინაიდან, საქართველოს პროკურატურის კომპეტენციას სცდილდება საკოორდინაციო მექნიზმის შექმნა, ადგილობრივ დონეზე გამოყოფილი პასუხისმგებელი პირების მონაწილეობით შეხვედრის გამართვა და მათი ანგარიშების განხილვა, ანგარიშებიდან გამომდინარე საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა, აგრეთვე, ადგილობრივ დონეზე გამოყოფილი პირის მიერ წელიწადში მინიმუმ 2-ჯერ ადგილობრივ დონეზე შეხვედრის ორგანიზება და ანგარიშის მომზადება, პასუხისმგებელ უწყებად უნდა განისაზღვროს რელევანტური უწყება, ხოლო საქართველოს გენერალური პროკურატურა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად განისაზღვროს პარტნიორ უწყებებად.

საქართველოს გენერალური პროკურატურა გამოხატავს მზაობას, მონაწილეობა მიიღოს მითითებული საკოორდინაციო მექანიზმის სამუშაო შეხვედრებში, როგორც პარტნიორმა უწყებამ.

ამოცანა 18.1.8. კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციული ჩანაწერების აღმოფხვრა

ამოცანის ინდიკატორი: შესაბამისი ცვლილებების პაკეტი შემუშავებულია

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა:

<u>საქმიანობა 18.1.8.1.</u> <u>დისკრიმინაციული ხასიათის ჩანაწერების აღმოფხვრის მიზნით საკანონმდებლო სისტემის გადახედვა</u>

პასუხისმგებელი უწყება: *საქ.პარლამენტი*

ამოცანა 18.1.9. რელიგიური გაერთიანებების მიერ საკუთარი საქმიანობის შეუზღუდავად განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;

ამოცანის ინდიკატორი: საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული არასადავო ისტორიული, მათ შორის რელიგიური ორგანიზაციების სარგებლობაში არარსებული, საკულტო შენობა- ნაგებობების გადაცემის პროცესი სისტემატიზირებული და გაგრძელებულია; საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული სადავო ისტორიული საკულტო შენობა-ნაგებობების კონფესიური წარმომავლობის და დავების გადაწყვეტის პოლიტიკის კონცეფცია და სამოქმედო გეგმა შემუშავებულია.

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა: ნაწილობრივ შესრულებული

<u>საქმიანობა 18.1.9.1.</u> <u>საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული არასადავო ისტორიული, მათ შორის რელიგიური ორგანიზაციების სარგებლობაში არარსებული, საკულტო შენობა- ნაგებობების გადაცემის პროცესის სისტემატიზირება და გაგრძელება</u>

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული საკულტო-რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობების დაბრუნების პროცესი გრძელდება. სრულად დაუბრუნდა სინაგოგები ებრაულ თემს. მუსლიმურ თემს 2018 წლის განმავლობაში დაუბრუნდა 30 მეჩეთი. 2014 წლიდან დღემდე გადაცემულია 200 მეჩეთი. ასევე, საქართველოს ევანგელურ¬ლუთერული ეკლესიას დაუბრუნდა თბილისში არსებული ეკლესია და სასაფლაო მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთთან ერთად (სულ ევანგელურ-ლუთერულ ეკლესიას გადაეცა 5500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი).

საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული საკულტო ნაგებობების დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით სომხურ თემთან მიმდინარე კონსულტაციები წარმატებით გაგრძელდა სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის ახალი ხელმძღვანელის - არქიმანდრიტ კირაკოს დავთიანის პირობებშიც. რელიგიის სააგენტოს მიერ გამოცემული საკულტო ნაგებობების რუკის მიხედვით, სომეხთა სამოციქულო ეკლესია ფაქტობრივად ფლობს 58 საკულტო ნაგებობას, რომლებიც გადაცემული არ არის სარგებლობაში და მიმდინარეობს მუშაობა. ამ მხრივ უკვე გაიმართა რამოდენიმე საკონსულტაციო შეხვედრა.

<u>საქმიანობა 18.1.9.2.</u> <u>საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული სადავო ისტორიული საკულტო შენობა-ნაგებობების კონფესიური წარმომავლობის და დავების გადაწყვეტის პოლიტიკის კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება</u>

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2018-2020 წწ) 18.1.9.2 პუნქტით გათვალისწინებული საკითხის გადასაჭრელად, კერძოდ, „საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული სადავო ისტორიული საკულტო შენობა-ნაგებობების კონფესიური წარმომავლობისა და დავების გადაწყვეტის პოლიტიკის კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის“ შემუშავების მიზნით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და რეგიონალურ საკითხებში საქართველოს პრემიერმინისტრის მრჩევლის წარმომადგენლების მონაწილეობით. აღნიშნული გეგმის განხორციელებისათვის პირველ რიგში აუცილებელია კონკრეტულად იმ საკულტო ნაგებობების შესახებ ინფორმაციის მოძიება, რომელთა ჩამორთმევაც მოხდა 1921 წლიდან, რათა შესწავლილ იქნას მათი წარმომავლობისა და შემდგომში სხვადასხვა რელიგიურ უმცირესობათათვის გადაცემის საფუძვლიანობის საკითხი. შესაბამისად, ინფორმაციის მოძიება ეთხოვა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში შემავალ „გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ კვლევით ცენტრს“ კონფესიების, კერძოდ: მართლმადიდებლურ, კათოლიკურ, ლუთერულ, სომხურ სამოციქულო და მუსლიმურ თემებს რომელი საკულტო ნაგებობები ჩამოერთვათ 1921 წლიდან 1991 წლამდე პრიოდში, საკულტო ნაგებობების ჩამონათვალითა და ადგილმდებარეობის მითითებით. ასევე, ამჟამად რომელი რელიგიური ორგანიზაცია სარგებლობს შესაძლო სადავო საკულტო ნაგებობებით.

19. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები

მიზანი 19.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა და მათი საზოგადოებაში სრული ჩართულობა

ამოცანა 19.1.2. შშმ პირთა სოციალური დაცვის უფლებით სარგებლობის გაუმჯობესება

ამოცანის ინდიკატორი: შშმ პირთა შეფასების ახალი ინსტრუმენტი შემუშავებულია; დაწყებულია შეფასების ახალი ინსტრუმენტის დანერგვა; სატრეინინგო მასალა მომზადებულია; პროფესიონალები შერჩეული და გადამზადებულია; მომზადებული საკანონმდებლო ბაზა; გაანალიზებულია რეფორმის შემდგომი რეკომენდაციები; გაზიარებულია შესაბამის უწყებებთან სამუშაო ჯგუფის ფორმატში (შეხვედრების რაოდენობა), საჭიროებისამებრ მომზადებულია ცვლილებები

სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>**საქმიანობა 19.1.2.1.** შშმ პირთა შეფასებისა და სტატუსის მინიჭების სისტემის რეფორმირების მიზნით ახალი მოდელის მომზადება</u>

პასუხისმგებელი უწყება: *ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო*

<u>**საქმიანობა 19.1.2.2.** შშმ პირთა შეფასებისა და სტატუსის მინიჭების ახალი სისტემის ამოქმედება</u>

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

შშმ პირთა შეფასებისა და სტატუსის მინიჭების სისტემის რეფორმირების კუთხით ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული იქნა ბიოფსიქო-სოციალური მოდელის დანერგვისათვის საჭირო ინსტრუმენტები. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) ICF-ის ექსპერტებთან ინტენსიური კონსულტაციების შედეგად ზრდასრული შშმ პირების შეფასებისთვის შერჩეული იქნა ინსტრუმენტი - Disability Assessment Schedule 2.0 (WHODAS 2.0), ხოლო 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვს - MDS. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ბავშვის ფუნქციის შეფასების ინსტრუმენტის სამუშაო ვერსიას, რომელიც შემუშავდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის კითხვარის -Model Disability Survey - მოდიფიცირების შედეგად. ამასთან, შერჩეული იქნა საპილოტე რეგიონი - აჭარა, სადაც მოეწყო შეხვედრები როგორც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ასევე, რეგიონის სამედიცინო დაწესებულებების ადმინისტრაციასა და სამედიცინო-სოციალურ ექსპერტიზაში მონაწილე სამედიცინო პერსონალთან, შშმ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებსა და თვით დაინტერესებულ შშმ პირებთან. ასევე, გამოცხადებული კონკურსის შედეგად განხორციელდა შეფასებისათვის საჭირო სპეციალისტების შერჩევა და მათი კომპეტენციების განსაზღვრა. ამასთან, დაიგეგმა საპილოტე პროექტში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებების ექიმ-სპეციალისტების ტრენინგი შეფასების ახალ ინსტრუმენტთან და მიდგომებთან დაკავშირებით.

შშმ პირთა შეფასებისა და სტატუსის მინიჭების სისტემის რეფორმირების მიზნით შეფასების ახალი ინსტრუმენტების პირველადი ვერსია შემუშავებულია და დაწყებულია მათი ტესტირების დანერგვის პროცესი.

ამოცანა 19.1.3. შშმ პირთა განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

ამოცანის ინდიკატორი: საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილია შშმ პირებისუფლება განათლებაზე შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენციის შესაბამისად;გადამზადებული მასწავლებლებისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტების რაოდენობა; ნაწილობრივ და სრულად ადაპტირებული საჯარო სკოლების რაოდენობა:გაზრდილი პროფესიულ განათლებაში ჩართული სსსმ და შშმ პირების რაოდენობა;გაზრდილი პროფესიული სასწავლებლების რაოდენობა, რომლებიც უზრუნველყოფენ სსსმდა შშმ პირებს შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურებით; დაფინანსებულიმკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შშმ სტუდენტების რაოდენობა

სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>**საქმიანობა 19.1.3.1.** ინკლუზიური განათლების მარეგულირებელ დოკუმენტთა სრულყოფა</u>

პასუხისმგებელი უწყება: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსამინისტრო

2018 წელს, განხორციელდა ინიცირება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების #152ნ ბრძანებაში ცვლილებების შეტანის მიზნით. ცვლილებით გათვალისწინებულია სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში სსსმ პირების მონაწილეობა.

2018 წელს საქართველოს კანონმდებლობის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციასთან ჰარმონიზაციის მიზნით განხორციელდა ცვლილებები „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში. კერძოდ, დაზუსტდა კანონში არსებული ისეთი ტერმინები, როგორიც არის ინკლუზიური განათლება, სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ინკლუზიური განათლების ტერმინის ახალი რედაქცია უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს მოსწავლის ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროების და შესაძლებლობის გათვალისწინებით. ასევე, გაფართოვდა სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ტერმინის მნიშვნელობა, განისაზღვრა ყველა ის საჭიროება რაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს ესაჭიროება სწავლა-სწავლების პროცესში და ამის შესაბამისად, გაიმართა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მნიშვნელობა, რომელიც უფრო მრავალფეროვანი გახდა და მორგებულია ნებისმიერი საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საჭიროებაზე. შეიცვალა მულტიდისციპლინური გუნდის განსაზღვრება. ტერმინების დაზუსტებასთან ერთად კანონმა სცნო ისეთი ახალი ტერმინები, როგორიც არის ალტერნატიული სასწავლო გეგმა, გაფართოებული სასწავლო გეგმა, ინტეგრირებული კლასი, სპეციალიზებული კლასი. კანონში შესულ კიდევ ერთ ცვლილებას წარმოადგენს სპეციალური პროფილის მქონე რესურსსკოლის ტერმინის შემოღება. კანონში შესული ცვლილების შესაბამისად, სკოლაში საჭიროების შემთხვევაში სმენის დარღვევის მქონე მოსწავლის სწავლების ენად გამოიყენება ქართულ ჟესტური ენა და ბილინგვური სწავლების

პრინციპები, ხოლო იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც მხოლოდ სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეები იღებენ განათლებას სავალდებულოდ გამოიყენება ქართული ჟესტური ენა ან/და ბილინგვური სწავლების პრინციპები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, საჭიროების შემთხვევაში მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლესთან გამოიყენება ბრაილის სისტემა ან/და შესაბამისი დამხმარე ტექნოლოგიები, ხოლო იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელშიც განათლებას იღებენ მხოლოდ მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეები, სავალდებულოდ გამოიყენება ბრაილის სისტემა ან/და შესაბამისი დამხმარე ტექნოლოგიები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში შესული ცვლილების საფუძველზე მასწავლებლის ვალდებულებად განისაზღვრება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებების სასწავლო პროცესში გათვალისწინების უზრუნველყოფა. კანონში შესული კიდევ ერთი ცვლილება უკავშირდება სპეციალურ მასწავლებელს. კერძოდ, კანონმა სპეციალური მასწავლებელი აღიარა მასწავლებლის ერთ-ერთ სახედ. აღნიშნულის საფუძველზე იგეგმება, რომ სპეციალური მასწავლებელიც ჩაერთოს მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში, რაც საშუალებას მისცემს მას იზრუნოს მუდმივ პროფესიულ ზრდაზე.

<u>საქმიანობა 19.1.3.2.</u> <u>ახალი მარეგულიებელი დოკუმენტების ამოქმედება და ეფექტიანი განხორციელება, მათ შორის შესაბამისი სპეციალისტების მომზადების გზით</u>
პასუხისმგებელი უწყება: *განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სამინისტრო*

- 2018 წელს დამტკიცდა საჯარო სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესები, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმი (მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანება).
- 2018 წელს მომზადდა უმაღლესი განათლების მისაწვდომობის მოდელი, რომელიც ასახავს იმ საბაზისო და აუცილებელი სტანდარტების დანერგვის გზებს, რაც საშუალებას იძლევა, მოხდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების წარმატებული და ღირსეული ინკლუზია უმაღლეს განათლებაში.

ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში 2018 წელს „სპეციალური მასწავლებლის პროფესიული განვითარების კურსი" გაიარა 217-მა სპეცმასწავლებელმა; 10 რეგიონში მომუშავე 60-მდე სპეც.მასწავლებელმა გაიარა პრაქტიკული კურსი; სხვადასხვა მიმართულების ტრენინგები გაიარა სპეციალურმა და სხვადასხვა საგნის 2020-მდე მასწავლებელმა. პრაქტიკული კურსი გაიარა და გამოცდა ჩააბარა 40-მა მობილობა-ორიენტაციის და ადრეული განვითარების მრავლობითი დარღვევის სპეციალისტმა.

<u>საქმიანობა 19.1.3.3.</u> <u>შშმ პირებისათვის საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება დამტკიცებული გეგმის შესაბამისად</u>

პასუხისმგებელი უწყება: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სამინისტრო

2018 წელს განხორციელდა 36 საჯარო სკოლის სანიტარული კვანძების მოწყობა, 5 საჯარო სკოლის პანდუსის ან/და ლიფტის მოწყობა, დასრულდა 27 სრულად ადაპტირებული სკოლის მშენებლობა.

ყველა სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ადაპტირებულია შშმ და სსსმ

პირების საჭიროების შესაბამისად, მათ შორის 4 დაწესებულება ადაპტირებულია უნივერსალური დიზაინის პრინციპების შესაბამისად (ნორვეგიული სტანდარტი).

<u>საქმიანობა 19.1.3.4.</u> <u>პროფესიული ტესტირების ალტერნატიული ფორმატის შემოღება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისათვის</u>

პასუხისმგებელი უწყება: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ალტერნატიული ტესტირების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2018 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღების ფარგლებში ჩაირიცხა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 259 პირი.

<u>საქმიანობა 19.1.3.5.</u> <u>შშმ აბიტურიენტებისა და მაგისტრანტების კანდიდატებისათვის სპეციალურად მოწყობილი საგამოცდო სექტორით უზრუნველყოფა</u>

პასუხისმგებელი უწყება: *განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო*

2018 წელს ერთიან ეროვნულ/საერთო სამაგისტრო გამოცდებზე სპეციალური პირობები (ბრაილის/ხმოვანი პროგრამებით უზრუნველყოფა, ტესტური დავალებების გაზრდილი შრიფტით მიწოდება, საგამოცდო დროის დამატება, დამხმარე პირის გამოყოფა მოტორული ფუნქციების დარღვევის მქონე აპლიკანტებისათვის და სხვ.) შეექმნა 775 (შვიდას სამოცდათხუთმეტი) აბიტურიენტს და მაგისტრანტობის კანდიდატს (აბიტურიენტი - 734 და მაგისტრანტობის კანდიდატი - 41).

<u>საქმიანობა 19.1.3.6.</u> <u>მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შშმ პირებზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მოქმედი სოციალური პროგრამით სწავლის დაფინანსება უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამებზე</u>

პასუხისმგებელი უწყება: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 სექტემბრის N461 და N463 დადგენილებების შესაბამისად, უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურების უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა დაუფინანსდა 39 სტუდენტს, რომლებიც არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შშმ პირები.

ამოცანა 19.1.4. შშმ პირთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის ხელშეწყობა

ამოცანის ინდიკატორი: შშმ პირთა საარჩევნო პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, გამოყენებული საინფორმაციო საშუალებების რაოდენობა; გადამზადებული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შესახებ სტატისტიკური მონაცემები დამუშავებულია და ცესკოს ვებგვერდზე განთავსებულია; არჩევნებში მონაწილე შშმ პირთა შესახებ სტატისტიკური მონაცემები დამუშავებულია და განთავსებულია ცესკოს ვებგვერდზე

სტატუსი: უმეტესად შესრულებული

საქმიანობა 19.1.4.1. შშმ პირებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიის განხორციელება

პასუხისმგებელი უწყება: ეთხოვოს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას

შშმ პირთა საარჩევნო პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, გამოიყენა შემდეგი საინფორმაციო საშუალებები: ცენტრალური და რეგიონული ტელევიზია, რადიო, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი.

2018 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის ცესკომ განაახლა სასწავლო ინსტრუქცია შშმ ამომრჩევლებთან საუბრის ეტიკეტისა და ქცევის ნორმების დაცვის შესახებ. ინსტრუქციის მიხედვით პირველად მომზადდა ვიდეორგოლი უსინათლო, მცირემხედველი, ყრუ, მობილობის შეზღუდვის მქონე (ეტლით მოსარგებლე), ზედა კიდურების არმქონე და ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირების მონაწილეობით. სწავლების ცენტრის მიერ 2018 წელს შემუშავებული ტრენინგების კონცეფციის მიხედვით, საარჩევნო ადმინისტრაციის სასწავლო პროგრამაში მოხდა პრაქტიკული სწავლების კომპონენტის შემოღება, რომელიც ასევე ითვალისწინებდა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის აღნიშნული ინსტრუქციისა და ვიდეორგოლის ჩვენებით მომზადებას.
პრეზიდენტის არჩევნებისთვის სწავლება გაიარა საარჩევნო ადმინისტრაციის 181-მა ტრენერმა, 73 საოლქო საარჩევნო კომისიის 827-მა წევრმა, 3 637 საუბნო საარჩევნო კომისიის 9 663-მა ხელმძღვანელმა პირმა და 25 355-მა წევრმა. სასწავლო ინსტრუქტაჟს დაეთმო 30 წუთი.

პრეზიდენტის არჩევნებისთვის, ცესკომ და სწავლების ცენტრმა, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით, ჩაატარეს სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრა ცენტრალური და რეგიონული მედია საშუალებების წარმომადგენლებთან. შეხვედრის ფარგლებში მონაწილეები მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად გაეცნენ ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის შესახებ ინფორმაციას. სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 19-მა ცენტრალური მედია ორგანიზაციის 21-მა წარმომადგენელმა, ასევე რეგიონული მედიის, 25 ტელე/რადიო და 26 ბეჭდური/ონლაინ მედიის 61-მა წარმომადგენელმა. პრეზიდენტის არჩევნებისთვის (I და II ტური), ცესკომ დაამუშავა შშმ პირების არჩევნებში მონაწილეობის სტატისტიკა. არჩევნების პირველ ტურში მონაწილეობა მიიღო შშმ 3 041-მა ამომრჩეველმა, მათ შორის: მცირემხედველი (გამოიყენა გამადიდებელი ლინზა) – 1 922, უსინათლო– 385, ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირი – 283, მობილობის შეზღუდვის მქონე (ეტლით მოსარგებლე) – 226, ყრუ/სმენადაქვეითებული – 225. გარდა ამისა, გადასატანი ყუთით ისარგებლა შშმ 1 277-მა ამომრჩეველმა. არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობა მიიღო შშმ 3 543-მა ამომრჩეველმა, მათ შორის: მცირემხედველი (გამოიყენა

გამადიდებელი ლინზა) – 2 071, უსინათლო – 497, ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირი – 368, ყრუ/სმენადაქვეითებული – 306, მობილობის შეზღუდვის მქონე (ეტლით მოსარგებლე) – 301. გარდა ამისა, გადასატანი ყუთით ისარგებლა შშმ მქონე 2 024-მა ამომრჩეველმა. პრეზიდენტის არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციაში დასაქმებული იყო შშმ 25 პირი. აქედან, ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში ოპერატორის პოზიციაზე დასაქმებული იყო – სამი, საოლქო საარჩევნო კომისიაში – ორი (ტექნიკური პერსონალი), საოლქო საარჩევნო კომისიის დროებით წევრად - ერთი, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად – 19.

2018 წელს, ცესკომ საგრანტო კონკურსის დაფინანსების პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრა მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის შშმ პირების მონაწილეობის ხელშეწყობა არჩევნების პროცესში. საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, სწავლების ცენტრმა დააფინანსა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების სამი პროექტი. პროექტების საერთო ბიუჯეტი შეადგენდა 65 457 ლარს.

პრეზიდენტის არჩევნებისთვის, კენჭისყრის დღეს (I და II ტური) შშმ ამომრჩევლებისთვის საარჩევნო უბანზე ხელმისაწვდომი იყო შემდეგი სერვისები: მობილობის შეზღუდვის მქონე (ეტლით მოსარგებლე) ამომრჩევლებისთვის – 1 268 ადაპტირებულ საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის სპეციალური კაბინა, უსინათლო ამომრჩევლებისთვის - საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა, მცირემხედველი ამომრჩევლებისთვის – ორი ცალი გამადიდებელი ლინზა. ყრუ, სმენადაქვეითებული და ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე ამომრჩევლებისთვის ყველა საარჩევნო უბანზე გამოკრული იყო კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველი პოსტერი.

<u>**საქმიანობა 19.1.4.2.** ცესკოს ყველა საინფორმაციო მასალის მომზადება უსინათლო და მცირემხედველიანი, ყრუ და სმენდაქვეითებული პირებისათვის ხელმისაწვდომი ფორმით</u>

პასუხისმგებელი უწყება: ეთხოვოს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას

2018 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის შშმ პირების ინფორმირების მიზნით, მომზადდა სპეციალური ვიდეორგოლი ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ. ცესკოს მიერ მომზადებული ყველა ვიდეორგოლი სურდოთარგმანის თანხლებით განთავსდა ცენტრალური და რეგიონული ტელევიზიების ეთერში. საარჩევნო პერიოდში, ცესკოს საინფორმაციო ბრიფინგები შუქდებოდა სურდოთარგმანით. ცესკოს ვებგვერდზე განთავსებული იყო ინფორმაცია არჩევნებისთვის რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტებისა და კანდიდატების შესახებ.

ცესკოს წარმომადგენლებმა, საქართველოს ყრუთა კავშირში გამართეს შეხვედრა ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებთან და მათ მიაწოდეს ინფორმაცია ვიდეოზარის სერვისის გამოყენებისა და ამომრჩეველთა ერთიან სიაში პირადი მონაცემების გადამოწმების შესაძლებლობის შესახებ. ამასთან, აღნიშნული სერვისის შესახებ მომზადდა საინფორმაციო პლაკატი და ყრუთა კავშირთან თანამშრომლობით, გავრცელდა საქართველოს მასშტაბით ყრუთა კავშირის ოფისებში.

ცესკოს ვებგვერდი ხელმისაწვდომია უსინათლო და მცირემხედველი პირებისთვის, ხოლო ცესკოსთან არსებული სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის (შემდგომში სწავლების ცენტრი) ვებგვერდი უსინათლო პირებისთვის.

<u>საქმიანობა 19.1.4.4.</u> <u>ყრუ და სმენადაქვეითებული პირების მომსახურება ცესკოს საინფორმაციო/სატელეფონო ცენტრში ვიდეო ზარის მეშვეობით და ჟესტური ენის გამოყენებით</u>

პასუხისმგებელი უწყება: ეთხოვოს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას

2018 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის, ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრის ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორები ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს აწვდიდნენ ინფორმაციას საარჩევნო საკითხების შესახებ ვიდეო ზარის მეშვეობით.

ამოცანა 19.1.5. შშმ პირთა ჯანმრთელობის უფლების ხელშეწყობა

ამოცანის ინდიკატორი: ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს დეინსტიტუციონალიზაციის და თემზე დაფუძნებული სერვისების განვითარების სტრატეგია შემუშავებულია და განვითარებულია თემზე დაფუძნებული მომსახურებები, მათ შორის ბავშვებისთვის; დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის 2017-2030 წლების სტრატეგიასა და 3-წლიან სამოქმედო გეგმაში (2017-2019) გათვალისწინებულია შშმ პირთა ხელმისაწვდომობა ოჯახის დაგეგმვის სერვისებზე და ასაკის შესაბამის განათლებაზე, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე

სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა 19.1.5.1.</u> <u>ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება</u>

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

<u>საქმიანობა 19.1.5.2.</u> <u>ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში თემზე დაფუძნებული მომსახურებების განვითარება</u>

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის N762 დადგენილებით დამტკიცებული ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის და 2015-2020 წლის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი ღონისძიებაა ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება (3.1.3).

2018 წელის მარტში ჩამოყალიბდა სამინისტროს თანამშრომლების, სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლების, დარგის ექსპერტების და ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებების წარმომადგენლების მიერ დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანია 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულებისთვის კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება სერვისების ორგანიზაციული მოწყობის, დეინსტიტუციონალიზაციის, დაწესებულებათა მართვის, ინფრასტრუქტურისა და ადამიანური რესურსების გაუმჯობესების, პაციენტთა უფლებების დაცვის მიმართულებით.

2018 წელს შესაძლებელი გახადა, ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამის მოცულობისა და ბიუჯეტის გადანაწილება ფსიქიკური ჯანდაცვის სისტემის განვითარების პოლიტიკის მთავარი დოკუმენტების პრინციპებზე დაყრდნობით. გაიზარდა სათემო სერვისების დაფინანსება და შესაძლებელი გახდა ქვეყნის მასშტაბით 11 მობილური გუნდის დაფინანსება (2017 წელს ფინანსდებოდა მხოლოდ 3 მობილური გუნდი). გაიზარდა თითოეული მობილური გუნდისთვის განკუთვნილი ბიუჯეტიც, რაც ნიშნავს, რომ თბილისსა და საქართველოს რეგიონებში მომსახურებას გაცილებით მეტი ბენეფიციარი მიიღებს. 2019 წლის ბოლოს მობილური გუნდების

2018 წლიდან ამბულატორიული მომსახურების მიწოდება ხორციელდება ბიო-ფსიქო-სოციალური მოდელისა და მულტიდისციპლინური მიდგომის გამოყენებით. სამკურნალო მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მკაფიოდ განისაზღვრა, რომ სათემო ამბულატორიული სერვისის სერვისის მიმწოდებელი ვალდებულია პროგრამით განსაზღვრული ყოველთვიური ბიუჯეტის არანაკლებ 35% გაითვალისწინოს ბენეფიციართათვის საჭირო მედიკამენტების შესასყიდად. თანამედროვე (თემზე დაფუძნებული) ფსიქიატრიული სერვისების მოცვის გარდა - 40%.

2018 წლიდან პროგრამისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები იზრდება და მათი ეფექტურად და ეფექტიანად ხარჯვისთვის სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკის განმსაზღვრელი საბჭოს წევრებთან და დარგის ექსპერტებთან. 2019 წლის ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის სათემო ამბულატორიული მომსახურების და თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის კომპონენტის ფარგლებში გაწეული მომსახურება ფინანსდება გლობალური ბიუჯეტის პრინციპით. სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, 2019 წელს დაწესებულებას მოეთხოვება ყოველთვიური ბიუჯეტის არანაკლებ 35%-ის მდგ წევრების ხელფასების ასანაზღაურებლად მიმართვა.

<u>საქმიანობა 19.1.5.3.</u> <u>ბავშვების საჭიროებების გათვალისწინებით თემზე დაფუძნებული ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების განვითარება და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა</u>

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრომ დაიწყო მუშაობა ბავშვების საჭიროებების გათვალისწინებით თემზე დაფუძნებული ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების განვითარებაზე. აღნიშნული სერვისები ქ.თბილისის მერიის დაფინანსებით უკვე მიეწოდება დედაქალაქის 18 წლამდე ასაკის მოსახლეობას.

<u>საქმიანობა 19.1.5.4.</u> <u>დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის 2017-2030 წლების სტრატეგიისა და 3-წლიანი სამოქმედო გეგმის (2017-2019) - შეფასების შედეგების საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებების პროექტის მომზადება და დამტკიცება</u>

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობს 2017-2019 წლების სამოქმედო გეგმის შეფასების

პროცესი ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ინსტრუმენტარის გამოყენებით. შედეგების და რეკომენდაციების შესაბამისად მოხდება ახალი 2020-2022 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება.

ამოცანა 19.1.6. შშმ პირთა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა

ამოცანის ინდიკატორი: ზრდასრულებისთვის სარეაბილიტაციო საჭიროებები და სერვისის განვითარების შესაძლებლობები განსაზღვრულია; შშმ ბავშთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის სერვისების ხელმისაწვდომობა გაზრდილია (სერვისებში ჩართული ბავშვების რაოდენობა 2017 წელთან მიმართებაში)

სტატუსი: შესრულება დაწყებულია

<u>**საქმიანობა 19.1.6.1.** ზრდასრულ პირთათვის რეაბილიტაციის სერვისის საჭიროების განსაზღვრა</u>

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

ზრდასრულთა რეაბილიტაციის პროგრამების შემუშავებისა და დაგეგმვის მიზნით, ემორის უნივერსიტეტმა (ატლანტა აშშ) აშშ საერთაშორისო განვითარების საგენტოს - USAID-ის მხარდაჭერით პარტნიორ ორგანიზაციებთან (კორპორაცია ,,პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისათვის“, თსუ, კოალიცია ,,დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის) ერთად დაიწყო საქართველოში ფიზიკური რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება. პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში ფიზიკური რეაბილიტაციის პროფესიის გაძლიერების, სპეციალისტების გადამზადების, მომსახურების გაუმჯობესების, შშმ პირებისათვის დამხმარე და ტექნოლოგიური საშუალებების ხელმისაწვდომობისა და სხვა ღონისძიებების ხელშეწყობას. პროექტის ფარგლებში დასრულდა ტრენერთა გადამზადების ორი ეტაპი.
2018 წლის აგვისტოში პროექტის ფარგლებში სამინისტროში შედგა შეხვედრა არჩილ უნდილაშვილთან და ემორის უნივერსიტეტის ქცევითი ჯანმრთელობის მონიტორინგის კვლევების ცენტრის პროფესორთან სილკვინ ეზენვაინთან შშმ პირების კანონმდებლობასთან დაკავშირებით.

პროექტის ღონისძიებების აქტუალურობისა და მისი შედეგების მდგრადობის ხელშეწყობის მიზნით მინისტრის 2018 წლის 19 ნოემბრის N01-1301/ო ბრძანებით შეიქმნა მმართველი საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს მინისტრის მოადგილე და რომლის შემადგენლობაშიც ჩართული არიან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს პარლამენტის, თბილისისა და ბათუმის მუნიციპალიტეტების, საერთაშორისო ორგანიზაციების (USAID-ისა და UNICEF–ის) წარმომადგენლები, ასევე, ჩვენი სამინისტროს სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტებისა და სსიპ ,,სოციალური მომსახურების სააგენტოს“ თანამშრომლები.

<u>**საქმიანობა 19.1.6.2.** ბავშთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა</u>

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

2018 წლის განმავლობაში ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში დარეგისტრირდა და სერვისის მიწოდების განხორციელება დაიწყო 3 ახალმა ორგანიზაციამ თბილისში, რუსთავსა და ახალციხეში. ჯამში ქვეპროგრამის ფარგლებში 2018 წლის განმავლობაში მომსახურება გაეწია 1200-მდე ბენეფიციარს.

ამოცანა 19.1.7. შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა

ამოცანის ინდიკატორი: დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულებების დეინსტუციონალიზაციის და შშმ პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის გეგმა შემუშავებულია; დიდი ზომის რეზიდენტულ დაწესებულებებში მცხოვრები შშმ პირების შეფასება; სათემო ორგანიზაციებში ჩარიცხული შშმ პირების რაოდენობა (დიდ ინსტიტუციაში ჩარიცხვის პრევენცია, დიდი ინსტიტუციებიდან გადაყვანა)

სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა 19.1.7.1.</u> <u>დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულების დეინსტიტუციონალიზაციის გეგმის შემუშავება</u>

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

<u>საქმიანობა 19.1.7.2.</u> <u>თემზე დაფუძნებული მომსახურებების განვითარება შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით</u>

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა მომსახურების მინიმალური სტანდარტების გაუმჯობესებისა და დაფინანსების გაზრდის მიზნით 2018 წელს შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის ფორმატში მომზადდა პროექტი სათემო ორგანიზაციების ბენეფიციართა კატეგორიების შესაბამისი სტანდარტის შესახებ. სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2018 წლის პროგრამის ფარგლებში გახდა შესაძლებელი სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციართათვის გამოყოფილი ლიმიტის გაზრდა 235-დან 263-მდე.
სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამის შშმ პირთა საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტის მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაცია მომსახურებას ახორციელებს გურჯაანსა (3 ორგანიზაცია) და თბილისში (2 ორგანიზაცია) სულ 25 ბენეფიციარზე.

ამოცანა 19.1.8. შშმ პირთა შრომის უფლების რეალიზება და დასაქმების უზრუნველყოფა

ამოცანის ინდიკატორი: „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამით“ და „პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამით“ მოსარგებლე შშმ პირთა რაოდენობა; „დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის“ კომპონენტებში ჩართული შშმ პირთა რაოდენობა, მათ შორის: მხარდაჭერითი დასაქმების, პროფესიული კონსულტირების, სტაჟირების და სუბსიდირების მიმართულებით; შესაბამისი კანონპროექტი მომზადებული და ინიცირებულია საქართველოს პარლამენტში

სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა 19.1.8.1.</u> <u>მხარდაჭერითი დასაქმების მოდელის გეოგრაფიული არეალის გაფართოება და ადამიანური რესურსის გაძლიერება - დასაქმების კონსულტანტების რაოდენობის ზრდა 9-დან 15 კონსულტანტამდე</u>

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო

2018 წლის „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამით“ მოსარგებლეთა დასაქმების მაჩვენებელ-კოლეჯებისგან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, სულ დასაქმებულია 514 სამუშაოს მაძიებელი. მათ შორის, 9 შშმ პირი.

კვალიფიკაციის ამაღლების (სტაჟირების) კომპონენტის ფარგლებში მიმწოდებლად დარეგისტრირდა 44 ორგანიზაცია, სტაჟიორად დარეგისტრირებაზე სურვილი გამოთქვა 193 სამუშაოს მაძიებელმა, სტაჟიორად დარეგისტრირდა 188 მოსარგებლე, მათ შორის შესაძლებლობის მქონე პირი 35. ჩართული სტაჟიორებიდან, პროგრამის ფარგლებში დასაქმდა 79 მოსარგებლე, მათ შორის, 12 შშმ პირი. ასევე, 2017 წლის სტაჟირების კომპონენტის ფარგლებში დამატებით 2018 წელს დასაქმდა 15 სტაჟიორი მათ შორის 1 შშმ პირი.

<u>საქმიანობა 19.1.8.2.</u> <u>შშმ პირთა პროფესიულ ორიენტაციის სერვისზე, მომზადება-გადამზადების/სტაჟირების პროგრამებზე, დასაქმების სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა („დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ და „პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის" განხორციელება)</u>

პასუხისმგებელი უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო

დამსაქმებლებთან შეხვედრის შედეგად, მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტებმა შშმ პირთათვის მოიძიეს 341 ვაკანსია. თბილისსა და 5 რაიონულ განყოფილებაში, მხარდაჭერითი მომსახურება გაეწია 274 შშმ პირს (თბილისი - 93, რეგიონი - 181), მათ შორის ქალი - 126. აღნიშნული აქტივობის ფარგლებში დასაქმდა 35 შშმ პირი (თბილისი - 3, რეგიონი - 32).

დასაქმების კონსულტანტების მხარდაჭერით, სუბსიდირების კომპონენტში ჩაერთო 15 დამსაქმებელი და 26 ბენეფიციარი. აქედან, 23 შშმ პირი. მომსახურების მიღება დაასრულა და შრომითი ხელშეკრულება გაუფორმდა 14 ბენეფიციარს, მათ შორის, 12 შშმ პირს.

2017 წლის პროგრამის ფარგლებში, სუბსიდირების კომპონენტში ჩართული ბენეფიციარებიდან, 2018 წელს დასაქმდა 15 შშმ პირი.

მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტების რაოდენობა -11. (10 მხარდაჭერითი კონსულტანტი: თბილისი - 3, აჭარა - 2, შიდა ქართლი - 2, კახეთი - 1, იმერეთი - 1, გურია - 1 და 1 კოორდინატორი).

ამოცანა 19.1.9. ფიზიკურ გარემოზე, ტრანსპორტზე, ინფორმაციაზე და ტექნოლოგიებზე შშმ პირთა მისაწვდომობის უზრუნველყოფა

ამოცანის ინდიკატორი: ფიზიკური გარემოს ადაპტირების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია; საზოგადოებრივ ტრანსპორტზე მომუშავე მძღოლებს გავლილი აქვთ შესაბამისი სწავლება; შშმ პირებისათვის მომსახურება უზრუნველყოფილია სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 30 იანვრის №16 ბრძანების შესაბამისად; ძირითად სარკინიგზო სადგურებზე გაუმჯობესებულია შშმ პირებისათვის სარკინიგზო გადაყვანის მომსახურების მიწოდება უსინათლო და მცირედმხედველთა პირებისთვის მოწყობილია ინტერნეტ სერვის ცენტრი (Information Access Center – IAC), რომელიც აღჭურვილია ტექნიკური დანადგარებით, მათ შორის უსინათლოთა შშმ პირებისთვის განკუთვნილი ბრაილის შრიფტის მქონე კლავიატურებით და სხვა საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით; საქართველოს მთავრობის ყველა სამინისტროს ვებ-გვერდი ადაპტირებულია ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის

სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>**საქმიანობა 19.1.9.3.** სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 30 იანვრის №16 ბრძანებით დამტკიცებული „საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დახმარების აღმოჩენის წესის“ შესაბამისად აეროპორტის ოპერატორების გეგმური და არაგეგმური ინსპექტირება, შშმ პირებისათვის განკუთვნილი აღჭურვილობების შემოწმება და მათი შესაბამისობის დადგენა შიდა სახელმწიფოებრივ და საერთაშორისო სტანდარტებთან</u>

პასუხისმგებელი უწყება: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო ყოველწლიურად (წელიწადში ორჯერ) ახორციელებს საქართველოში მდებარე აეროპორტების მონიტორინგს (ინსპექტირებას), სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ დირექტორის 2013 წლის 30 იანვარის №16 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვისას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის დახმარების აღმოჩენის წესის“, საფუძველზე, რათა საქართველოს აეროპორტებში სრულად იქნეს დაცული შშმ პირების უფლებები.

აღნიშნული მონიტორინგის ფარგლებში მოწმდება, როგორც აეროპორტების სამგზავრო ტერმინალის აღჭურვილობა, შშმ პირების მიღების ადგილების მონიშვნა, შშპ სავარძლების, სპეც. ავტოტრანსპორტის მდგომარეობა, პერსონალის მომზადება შშმ პირების მომსახურებისათვის და სამგზავრო ტერმინალის ადაპტირება შშმ პირებზე.
აღსანიშნავია, რომ სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის მიზნით 2018 წელს განახორციელა ქ. თბილისის, ქუთაისის, ამბროლაურის, ბათუმის, მესტიის და ნატახტრის აეროპორტების შემოწმება, სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ დირექტორის 2013 წლის 30 იანვარის №16 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვისას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის დახმარების აღმოჩენის წესის“ მოთხოვნების შესაბამისად.

<u>საქმიანობა 19.1.9.4.</u> <u>ძირითად სარკინიგზო სადგურებზე, ბაქნებზე, სამგზავრო მატარებლებში და სხვა მათთან დაკავშირებულ ობიექტებზე შშმ პირებისთვის ხელმისაწვდომობის გაზრდა</u>

პასუხისმგებელი უწყება: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სს „საქართველოს რკინიგზა“

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის N1-1/586 ბრძანებით დამტკიცებული „რკინიგზის მგზავრთა უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრის შესახებ დებულების" მე-2 თავისა და მე-6 თავის მე-15 მუხლის შესაბამისად, სს „საქართველოს რკინიგზას“ დაეკისრა ვალდებულება, 2017 წლის დეკემბრიდან, ახალი მოძრავი შემადგენლობის შეძენისას ან/და ახალი სარკინიგზო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას გაითვალისწინოს შშმ პირთა საჭიროებები და უზრუნველყოს მგზავრთა მომსახურებისათვის განკუთვნილი სამგზავრო ვაგონების, რკინიგზის ვაგზლების, სხვა ნაგებობებისა და მოწყობილობების ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და გადაადგილების შეზღუდულიუნარის მქონე პირებისათვის.
აღნიშნული ვალდებულების შესაბამისად, 2017 წლის 29 დეკემბრიდან, სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ განსახორციელებელი/განხორციელებული ყველა ინფრასტრუქტურული პროექტის ტექნიკური დავალება ითვალისწინებს შშმ პირთა საჭიროებებზე ინფრასტრუქტურის ადაპტირებას. 2018 წელს განხორცილდა სადგურ ურეკის რეკონსტრუქცია, რომლის ბაქანის მშენებლობაც განხორციელდა შშმ პირთა საჭიროებების გათვლისწინებით.
გარდა ამისა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის ბრძანების ამოქმედებამდეც, ყველანაირი საკანონმდებლო ვალდებულების გარეშე, სს „საქართველოს რკინიგზა“ აცნობიერებდა რა მის სოციალურ პასუხისმგებლობას, ცდილობდა მის მიერ განხორციელებული პროექტები ხელმისაწვდომი ყოფილიყო შშმ პირებისათვის. აღნიშნულს ადასტურებს რკინიგზის მიერ 2016 წელს შესყიდული 4 სამგზავრო მატარებელი, რომლებიც ევროპული სტანდარტების შესაბამისად, სრულადაა ადაპტირებული შშმ პირთა საჭიროებებზე და დღეისთვის, მთავარ სარკინიგზო მაგისტრალზე მგზავრთა გადაყვანის ძირითად საშუალებას წარმოადგენს.

<u>საქმიანობა 19.1.9.5.</u> <u>საქართველოში ინტერნეტ სერვის ცენტრის უსინათლო და მცირემხედველთა პირებისთვის (Information Access Center – IAC) ფუნქციონირების ხელშეწყობა</u>

პასუხისმგებელი უწყება: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

2016 წლის მაისში დადებულ სამმხრივ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს, თბილისი ბიბლიოთეკების გაერთიანებასა და კორეის ეროვნული საინფორმაციო ცენტრს შორის, მხარეები შეთანხმდნენ ინფორმაციაზე წვდომის ცენტრის გახსნის თაობაზე (Information Access Center IAC). კორეის მხარემ აღნიშნული პროექტისათვის გამოყო 220 000 აშშ დოლარის ოდენობის გრანტი, რომლის განმახორციელებელი/შემსყიდველი თავად გახლდათ და რომელიც მოიცავდა საჭიროებების კვლევის შეფასების მიხედვით იდენტიფიცირებულ მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკის რეაბილიტაციას, აღჭურვას და ტექნიკური დახმარების ფარგლებში მენეჯერების გადამზადებას.

„ვინაიდან საქართველოში უსინათლო და მცირე მხედველთათვის მსგავსი ინფრასტრუქტურა არ არსებობს, ქვეყნის ინკლუზიური ეკონომიკის განვითარების ფარგლებში განისაზღვრა სამიზნე ჯგუფად უსინათლოები და მცირემხედველი მოსახლეობა. შესაბამისად ცენტრის აღჭურვილობა მთლიანად

ადაპტირებულია შშმ პირთათვის, ბრაილის შრიფტის დანადგარებისა და წამკითხველებით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ასევე დაფინანსდა კორეაში სასწავლო ვიზიტი სააგენტოს წარმომადგენლის, ინოვაციების ცენტრების კოორდინატორისა და აღნიშნული ცენტრის მენეჯერისათვის. 2018 წელს ცენტრმა განახორციელა რამდენიმე პროექტი უსინათლო და მცირე მხედველთათვის, ასევე 2018 წელს ცენტრის თანამენეჯერად დაინიშნა უსინათლო პირი, ხოლო ცენტრის პროგრამები მაქსიმალურად გახდა მორგებული უსინათლო და მცირე მხედველთა საჭიროებებზე."

სააგენტო განაგრძობს მუშაობას კორეის მხრიდან დამატებითი დაფინანსების მოპოვებისათვის მასალების გაციფრულება-ლოკალიზების ნაწილში.

ამოცანა 19.1.11. შშმ პირთა თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფა სპორტულ, კულტურულ, რეკრეაციულ და გასართობ ღონისძიებებში

ამოცანის ინდიკატორი: იდენტიფიცირებულია კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ფიზიკური ინფრასტრუქტურის და შესაბამისი მასალების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით არსებული საჭიროებები; საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალი 7 ორგანიზაცია ადაპტირებულია და აღჭურვილია შესაბამისი ტექნოლოგიური საშუალებებით შექმნილია განახლებადი საინფორმაციო პლატფორმა კულტურისა და სპორტის სამინისტრო სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული ადაპტირებული დაწესებულებებისა და ღონისძიებების შესახებ

სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა 19.1.11.1.</u> <u>შშმ პირთა საჭიროებების შესახებ კვლევის ჩატარება კულტურული დაწესებულებებისა და მასალების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით</u>

პასუხისმგებელი უწყება: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სამინისტრო

2018 წლის დეკემბერში, სამინისტროს მიერ განხორციელდა სახელოვნებო სასწავლებლებისა და მათი სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით შიდა ადმინისტრაციული კვლევა.

<u>საქმიანობა 19.1.11.2.</u> <u>კულტურული და სპორტული სივრცეების ადაპტირება შშმ პირთა საჭიროებების შესაბამისად</u>

პასუხისმგებელი უწყება: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სამინისტრო

ნაწილობრივ ადაპტირებულია სსიპ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის შენობა, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის, სსიპ - თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრის შენობები.

სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაში შემავალ მუზეუმებში: დიმიტრი შევარდნაძის სახელობის საქართველოს ეროვნული გალერეა, სიმონ ჯანაშიას საქართველოს მუზეუმი, მესტიის მუზეუმი, ახალციხის მუზეუმი და სიღნაღის მუზეუმი - არის ლიფტი, პანდუსები და სველი

წერტილები.

სსიპ - გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ცენტრალურ და საექსპოზიციო დარბაზების შესასვლელებში, მოწყობილია პანდუსები. იგეგმება სველი წერტილის მოწყობა.

სსიპ - აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი - ამ ეტაპზე, არ არის შშმ პირთა მომსახურებისთვის პირობები.

სსიპ - თელავის ისტორიულ მუზეუმის ახალ შენობაში, რომელიც 2018 წლის მაისში გაიხსნა მოწყობილია პანდუსები და სველი წერტილები, თუმცა ერეკლეს სასახლე ადაპტირებული არ არის.

სსიპ - ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმში მოწყობილია პანდუსი მხოლოდ პირველ სართულზე და სველი წერტილი.

ბოლნისის ახალი სამუზეუმო სივრცე - დასრულებულია მშენებლობა. შენობაში გათვალისწინებულია ყველა პირობა შშმ პირთა საჭიროებისთვის დამატებითი სივრცეების (სახურავი) ჩათვლით, მუზეუმი ჯერ არ გახსნილა.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის განახლებულ საგამოფენო დარბაზში - მოეწყო პანდუსი და სველი წერტილი.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემის ყველა მუზეუმში შემუშავებულია სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამები შშმ პირებისთვის.

სსიპ - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო: მუზეუმებში, სადაც მიმდინარეობს დაგეგმვის, რეკონსტრუქციის ან ადაპტაციის პროექტების მომზადება, ყველგანაა გათვალისწინებული შშმ პირთა მომსახურებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა. მაგ. უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალში არის მუზეუმისკენ მიმავალი პანდუსი, გრემის მუზეუმის ტერიტორიაზე შესაძლებელია სპეციალური პანდუსების გარეშეც გადაადგილება. აღნიშნული საკითხი გათვალისწინებულია მცხეთის მუზეუმის პროექტშიც. თუმცა არის მუზეუმები, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებშია განთავსებული და მათი ადაპტირება აღნიშნული თვალსაზრისით ვერ ხერხდება.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააააგენტო ახორციელებს პროექტს ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის ვირტუალური რეალობის სადემონსტრაციო ექსპოზიციის შექმნა, რომელიც მოიცავს საინფორმაციო ხასიათის 360 გრადუსის ხედვის/გამოსახულების მქონე ვიდეო რგოლებს. პროექტის მიზანია ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალი გახდეს ინკლუზიური ტურიზმისათვის ადაპტირებული გარემო, სადაც ყველა ვიზიტორს საშუალება ექნება მიიღოს სრული ინფორმაცია ძეგლის შესახებ. ინკლუზიური ტურების სრულყოფილად მომსახურებისათვის სააგენტომ 2016 წელს განახორციელა შესაბამისი კვლევა, რის საფუძველზეც აქტუალური გახდა აღნიშნული ვირტუალური ტურის შექმნა. სამიზნე ჯგუფებში შედიან არა მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, არამედ მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტის წარმომადგენლებიც, კერძოდ: ასაკოვანი ადამიანები, ორსულები, მცირეწლოვანი ბავშვების თანხლებით მოგზაური ოჯახები. პროექტი ითვალისწინებს აუდიო-ვიზუალური მასალის შექმნას და შესაბამისად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის საიტის ვირტუალური დათვალიერების შესაძლებლობას.

ადაპტირებულია სპორტული ინფრასტრუქტურა, რომელთა მშენებლობა განხორციელდა სამინისტროს დაკვეთით, კერძოდ სამი სპორტის სასახლე და ათი სპორტული მოედანი.

სამინისტროს მიერ გამართულ მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სივრცის ადაპტირება და მათი წახალისება. გარდა ამისა, 2018 წელს გამართული მასშტაბური ღონისძიების „ევროპის სპორტის კვირეულის“ ფარგლებში ერთი დღე მიეძღვნა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს და მოეწყო სპეციალური ღონისძიებები.

<u>საქმიანობა 19.1.11.3.</u> <u>საინფორმაციო პლატფორმის შექმნა, სადაც ხელმისაწვდომი იქნება ინფორმაცია ადაპტირებული კულტურული და სპორტული დაწესებულებებისა და მათ მიერ შემოთავაზებული პროგრამების შესახებ</u>

პასუხისმგებელი უწყება: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შეიქნა სპორტის სფეროში მონაცემთა ერთიანი პლატფორმა sportstat.gov.ge, რომელზედაც ასევე ინტეგრირებულია მონაცემთა ბაზა საქართველოში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის შესახებ, აღნიშნული ბაზა ასევე მოიცავს ინფორმაციას ობიექტის ადაპტირების შესახებ.

სამინისტროს მიერ, 2018 წელს შეიქმნა კულტურული მარშრუტების მობილური აპლიკაცია Geo Routes (Android (Phone) პლატფორმაზე. 2019 წელს იგეგმება კულტურული მარშრუტების მობილური აპლიკაციის ISO (Phone) პლატფორმაზე აწყობა Android (Phone) პლატფორმის შესაბამისად და აპლიკაციის App Store - ზე განთავსება.

კულტურული მარშრუტების მობილური აპლიკაცია Geo Routes წარმოადგენს პლატფორმას, რომელზეც განთავსებული იქნება ინფორმაცია სამინისტროს მიერ სერტიფიცირებულ კულტურულ მარშრუტებზე, მათში შემავალი ობიექტებისა და სერვისების შესახებ, ასევე, ამა თუ იმ ობიექტისა თუ სერვისის ადაპტირების თაობაზე.

ამოცანა 19.1.12. აღნიშნული სამოქმედო გეგმის ამოცანების შესრულების მიზნით ადმინისტრაციული და ინსტიტუციური გარანტიების შექმნა და/ან ამოქმედება

ამოცანის ინდიკატორი: გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის 33-ე მუხლის გათვალისწინებით, კონვენციის იმპლემენტაციასა და კოორდინაციაზე პასუხისმგებელი ინსტიტუციური მექანიზმი შექმნილი და ამოქმედებულია; ადგილობრივ დონეზე შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების მოდალური დებულების შემუშავებულია და მუნიციპალიტეტების წარმომადგენელთათვის ორგანიზებულია შესაბამისი ღონისძიებები საბჭოების მუშაობის ეფექტურობის ზრდის მიზნით; საქართველოში შშმ პირთა მდგომარეობის შესახებ საბაზისო კვლევა განხორციელებულია; საბაზისო კვლევის საფუძველზე მომზადებულია შესაბამისი სამოქმედო გეგმის პროექტი; გაეროს შშმ პირთა უფლებების შესახებ კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირების თაობაზე წინადადებები მომზადებული და წარდგენილია საქართველოს პარლამენტში; შშმ პირთა არსებული მონაცემთა ბაზის სახელმწიფო უწყებებისთვის და მუნიციპალიტეტებისთვის ხელმისაწვდომის უზრუნველყოფის მიზნით გატარებულია შესაბამისი ღონისძიებები; "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" კანონპროექტის მომზადებული და ინიცირებულია საქართველოს პარლამენტში; ინიცირებულია საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომლებიც შესაბამისობაშია გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის დებულებებთან

სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>**საქმიანობა 19.1.12.1.** გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის 33-ე მუხლის გათვალისწინებით, კონვენციის იმპლემენტაციასა და კოორდინაციაზე პასუხისმგებელი ინსტიტუციური მექანიზმის შექმნა და ამოქმედება</u>

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს მთავრობა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ მომხდარა მოცემული მექანიზმის ამოქმედება. აღნიშნული ინსტიტუციური მექანიზმის შექმნის მიზნით, მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომელიც ეფუძნება ევროკავშირის და გაეროს ერთობლივი პროექტის „ადამიანის უფლებები ყველასთვის“ ფარგლებში მოწვეული საერთაშორისო ექსპერტის რეკომენდაციებს. მთავრობის დადგენილების დამტკიცება და შესაბამისი მექანიზმის ამოქმედება დაგეგმილია 2019 წლის განმავლობაში.

<u>**საქმიანობა 19.1.12.7.** "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" კანონის პროექტის მომზადება და საქართველოს პარლამენტში ინიცირება</u>

პასუხისმგებელი უწყება: იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს მთავრობა

იუსტიციის სამინისტროსთან შექმნილი უწყებათაშორისო სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, რომლის საქმიანობაშიც მონაწილეობენ სახელმწიფო დაწესებულებების, ა(ა)იპ „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ (რომელიც შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე არაერთ ორგანიზაციას აერთიანებს), აგრეთვე შესაბამისი პროფილის ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მუშაობა მიმდინარეობს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის პროექტზე, რომელიც, ერთი მხრივ, ეხმიანება გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა

უფლებების კონვენციის“ ძირითად პრინციპებს და, მეორე მხრივ, მაქსიმალურად ითვალისწინებს დაინტერესებული სახელმწიფო უწყებების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების შენიშვნებსა და რეკომენდაციებს. კანონპროექტის მიზანია, ერთიანი საკანონმდებლო აქტის მიღების გზით საქართველოს კანონმდებლობაში კონვენციის მოთხოვნათა სრულფასოვანი იმპლემენტაცია და მისი პრაქტიკული აღსრულებადობის უზრუნველყოფა, ისევე, როგორც საქართველოს მიერ საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულების ხელშეწყობა შშმ პირთა უფლებების საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების დამკვიდრებისა და განვითარების თაობაზე, რომლითაც ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს შშმ პირების უფლებების რეალიზებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება ჯანდაცვის, განათლების, სამოქალაქო ინტეგრაციის, დასაქმების, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მიმართულებებით, აგრეთვე საზოგადოებაში ამ პირთა სრული ინტეგრაცია და მათთვის ყველა სახის მომსახურების ხელმისაწვდომობა თანასწორობის უნივერსალური პრინციპის დაცვით. ამავე კანონპროექტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა „უნივერსალური დიზაინის“ განმარტებას და მის დანერგვასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, გონივრული მისადაგების პრინციპის გათვალისწინებით[8].

გარდა ამისა, პროექტის დონორის - „UNDP“-ის მიერ შერჩეულმა საერთაშორისო ექსპერტმა განახორციელა სახელმწიფო/ადგილობრივ ბიუჯეტზე კანონპროექტის ფინანსური შეფასება და მოამზადა შესაბამისი ანგარიში. ამ ანგარიშის გაანალიზებისა და ქვეყნის რეალური საფინანსო-ეკონომიკური პოტენციალის შეფასების შედეგად, კანონპროექტის მიღებით გამოწვეული მოსალოდნელი შედეგებისა და კანონპროექტით გათვალისწინებული ვალდებულებების ამოქმედების ეტაპების შესახებ რეალური პროგნოზების გაკეთება იქნება შესაძლებელი.

20. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა

მიზანი 20.1. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა

ამოცანა 20.1.1. ტრეფიკინგის ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით რეკომენდაციის განახლება და შესრულების მონიიტორინგი, სასწავლო აქტივობები

ამოცანის ინდიკატორი: ტრეფიკინგის ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით რეკომენდაციები განახლებულია და სასწავლო აქტივობები განხორციელებულია

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა: სრულად შესრულებული

<u>საქმიანობა 20.1.1.1. ტრეფიკინგის ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით რეკომენდაციის განახლება</u>

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა

2018 წლის იანვარში პროკურორებისთვის განახლდა სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის

[8] ამ საკითხებზე განსაკუთრებული აქცენტი კეთდება სახალხო დამცველის ანგარიშში.

განხორციელებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა მოპყრობის შესახებ.

უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა სტანდარტული ოპერატიული პროცედურები, რომელსაც „IOM"-ის მხარდაჭერით ჩაუტარდა საერთაშორისო ექსპერტიზა. 2015 წლის იანვარში შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დამტკიცდა გამომძიებლებისთვის, ოპერატიული მუშაკებისა და შემოწმების მობილური ჯგუფის წევრებისათვის შექმნილი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის სტანდარტული ოპერატიული პროცედურები (SOPs), რომელიც პრაქტიკაში დანერგვის მიზნით დაეგზავნა ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე სამართალდამცველებს. ისინი ყოველდღიურად იყენებენ მას, როგორც სახელმძღვანელო ინსტრუქციას, ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების მიზნით. მობილური ჯგუფების და სპეციალისტთა ჯგუფების მიერ რის შემცველი დაწესებულებების შემოწმებისას და რისკ ჯგუფს მიკუთვნილ პირთა გამოკითხვისას აქტიურად ხდება სტანდარტული ოპერატიული პროცედურების (SOPs) გამოყენება და დოკუმენტში აღნიშნული პრინციპების გათვალისწინება ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის მიზნით თავიათ ყოველდღიურ საქმიანობაში. დამატებით იხ. 20.1.4.1 აქტივობის შედეგი

<u>საქმიანობა 20.1.1.2.</u> <u>რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგი</u>

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტებთან მიმართებაში გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების საკითხებზე გამოცემული რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგი განხორციელებულია და ანგარიში გასაჯაროვდა პროკურატურის ვებ-გვერდზე.http://pog.gov.ge/news/shromiTi-trefikingis-faqtebis-gamovlenis-samushao-jgufis-shexvedra

http://pog.gov.ge/uploads/docs/trefikingi.pdf.

<u>საქმიანობა 20.1.1.3.</u> <u>ტრეფიკინგის მიმართულებით მომუშავე პროკურორების გადამზადება და სტაჟიორების მომზადება/ერთობლივი სასწავლო აქტივობების განხორციელება შესაბამისი საგამოძიებო უწყებების მონაწილეობით</u>

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა

2018 წელს, ადამიანის უკანონო ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე, განხორციელდა მიზნობრივი სასწავლო აქტივობები.

ადამიანით ვაჭრობასა (ტრეფიკინგის) და მასთან მომიჯნავე დანაშაულებზე განხორციელებულ საკანონმდებლო სიახლეებზე ჩატარდა 3 ტრენინგი. სასწავლო აქტივობები იყო ერთობლივი პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინიტროს წარმომადგენლებისთვის. 3 ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა 23 პროკურორი და სტაჟიორი. ასევე, ერთობლივი ტრენინგი ჩატარდა ადამიანების ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ადვოკატთა კორპუსის და სხვა შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. საქართველოს პროკურატურიდან მონაწილეობას იღებდა 3 პროკურორი და სტაჟიორი.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლისა და ბავშვთა პორნოგრაფიის თემაზე განხორციელდა 5 სასწავლო ვიზიტი, რომელშიც 6 პროკურორი იღებდა მონაწილეობას. მათ შორის იყო 2 ერთობლივი სასწავლო ვიზიტი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ტრეფიკინგის თემაზე მომუშავე შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები. ამასთან, 2018 წელს, საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა სამართალდამცავთა სწავლების ევროკავშირის სააგენტოს (CEPOL) გაცვლით პროგრამაში. ტრეფიკინგის თემაზე 2 გაცვლითი პროგრამა განხორციელდა საბერძნეთსა და ბულგარეთში.

გარდა ამისა, 2018 წელს ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის სფეროში უწყებათაშორისი კოორდინაციის მნიშვნელობაზე განხორციელდა 2 ერთობლივი სასწავლო აქტივობა, რომელშიც მონაწილეობა 7-მა პროკურორმა მიიღო. ამავე წელს, ჩატარდა შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა. სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ სამართალდამცავი ორგანოების, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის, სოციალური მომსახურები სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის და შრომის ინსპექტორის წარმომადგენლები.

საზღვარზე მიგრანტის უკანონო გადაყვანის თემაზე 2 სასწავლო აქტივობა განხორციელდა. მათ შორის 1 ტრენინგი სტაჟიორებისთვის, რომელშიც 22 პირი მონაწილეობდა და ერთობლივი სასწავლო აქტივობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა. ტრენინგში ჩართული იყო 9 პროკურორი და 6 სტაჟიორი.

ამოცანა: 20.1.2. შემოწმების მობილური ჯგუფების ეფექტიანი საქმიანობა

ამოცანის ინდიკატორი: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების ეფექტიანი გამოძიების მიზნით შემოწმების მობილური ჯგუფების მიერ სხვადასხვა შემთხვევის პროაქტიულად გამოვლენილია

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა: სრულად შესრულებული

<u>საქმიანობა 20.1.2.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების ეფექტიანი გამოძიების მიზნით შემოწმების მობილური ჯგუფების მიერ სხვადასხვა შემთხვევის პროაქტიული გამოვლენა</u>

***პასუხისმგებელი უწყება**: შინაგან საქმეთა სამინისტრო*

- შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში ფუნქციონირებას აგრძელებს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შემოწმების მობილური ჯგუფი. ამჟამად ფუნქციონირებს შემოწმების ოთხი მობილური ჯგუფი. თითოეული მობილური ჯგუფი დაკომპლექტდა ორი სამართალდამცველისგან, რომელთა ძირითად მოვალეობას წარმოადგენს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) რისკისშემცველი დაწესებულებების, ადგილების გამოვლენა, სადაც შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტებს, ასევე, რისკჯგუფს მიკუთვნებულ პირთა გამოკითხვა მათ მიმართ შესაძლო განხორციელებული ტრეფიკინგის ფაქტის გამოვლენის მიზნით.
- შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს მობილური ჯგუფების მიერ განხორციელებულ იქნა საქართველოს მასშტაბით ტრეფიკინგის რისკშემცველი ადგილების გამოვლენა-აღრიცხვა, გამოვლენილ იქნა რიგი დაწესებულებებისა, მათ შორის ისინი სადაც სისტემატურად ხდებოდა პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემა. გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად მობილური ჯგუფების მიერ 2018 წელს გამოკითხული იქნა 178 პირი, მათ მიმართ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის კუთხით და შემოწმდა 42 დაწესებულება.

- ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, პროაქტიული და პრევენციული ღონისძიებების გაძლიერების მიზნით შემოწმების მობილური ჯგუფების მიერ აქტიურად მიმდინარეობს იმ პირებისა და ორგანიზაციების შესწავლა, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებას როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მობილური ჯგუფის მიერ ხდება ქ. თბილისის ორთაჭალის და დიდუბის ავტოსადგურებში არსებული ორგანიზაციების შესწავლა, რომლებიც ეწევიან მოქალაქეების საზღვარგარეთ გადაყვანას. ასევე, არალეგალური მიგრაციის ხელშეწყობის, ყალბი დოკუმენტის დამზადებისა და ტრეფიკინგთან მათი თანამონაწილეობის ფაქტების დადგენის მიზნით ხორციელდება ტურისტული ფირმების საქმიანობის, იმ ორგანიზაციების და პირთა შესწავლა, რომლებიც უზრუნველყოფენ საზღვარგარეთ წამსვლელ პირთათვის სავიზო მომსახურების გაწევას.
- შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტს შორის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების გამოვლენის ხელშეწყობის შესახებ“ გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტიდან შემოსული ინფორმაციის საფუძველზე მობილური ჯგუფის მიერ 2018 წლის პერიოდში გამოიკითხა 70 პირი.
- არასრულწლოვანთა ყიდვა/გაყიდვის ან მათ მიმართ სხვა უკანონო გარიგების ფაქტების გამოვლენის მიზნით, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს შრომის. ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოსთან, საიდანაც პერიოდულად ხდება ინფორმაციის გადმოგზავნა არასრულწლოვან პირთა გაშვილების შესახებ. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მიმდინარეობს მშვილებელი და გამშვილებელი მოქალაქეების შესწავლა და მათი გამოკითხვა არასრულწლოვნის მიმართ რაიმე სახის გარიგების გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით.
- მობილური ჯგუფების მიერ პროაქტიურად გატარებული ღონისძიებების შედეგად გამოვლინდა და გამოძიება დაიწყო ადამიანით ვაჭრობის ტრეფიკინგის ფაქტზე 5 სისხლის სამართლის საქმეზე და იდენტიფიცირებული იქნა და ტრეფიკინგის დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა 5 პირს. პროაქტიული გამოძიება ორიენტირებულია სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების ინიციატივაზე და გულისხმობს გამოძიების იმ მეთოდს, რომელიც არ არის დამოკიდებული მსხვერპლის განცხადებაზე/მიმართვაზე და ითვალისწინებს გამოძიების დაწყებას ოპერატიული ანგარიშის საფუძველზე. მობილური ჯგუფების მიერ წინასწარ ხორციელდება ტრეფიკინგის რისკის შემცველი დაწესებულებების გამოვლენა-აღრიცხვა, მათ შორის, იმ ადგილების, სადაც სისტემატურად ხდება პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემა. აღნიშნულის საფუძველზე მიმდინარეობს მონაცემთა პერიოდული აღრიცხვა და სისტემატურად ხორციელდება იდენტიფიცირებული ადგილების შემოწმება. ასევე, მიმდინარეობს აღნიშნული რისკჯგუფის შემცველი დაწესებულებების მფლობელთა, ხელმძღვანელთა და დაწესებულებაში მომუშავე პირთა, მათ შორის, პროსტიტუციაში ჩართულ პირთა, დადგენა და ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის მიზნით მათი შემოწმება-შესწავლა და გამოკითხვა. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ

ხორციელდება იმ ორგანიზაციების შესწავლა, რომლებიც ეწევიან საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებას როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ და უზრუნველყოფენ საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ გაყვანას და პირიქით, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა საქართველოში ჩამოყვანას დასაქმების მიზნით. ამასთან, სამართალდამცველების მიერ სისტემატურად ხდება საქართველოში დეპორტირებულ პირთა გამოკითხვა საზღვარზევე იმ მიზნით, რომ გამოარკვიონ, ხომ არ ჰქონდა საქართველოს მოქალაქეების მიმართ ტრეფიკინგის ფაქტს ადგილი იმ სახელმწიფოში, საიდანაც განხორციელდა მათი დეპორტაცია; ასევე, მიმდინარეობს რისკჯგუფს მიკუთვნილ პირთა ინფორმირება ტრეფიკინგის დანაშაულის შესახებ.

ამოცანა 20.1.3. სპეციალისტების ჯგუფის (Task Force) ეფექტიანი საქმიანობა

ამოცანის ინდიკატორი: სპეციალისტების ჯგუფის წევრების მონაწილეობით განხორციელებული პოლიციური კონტროლის და შემოწმებული დაწესებულებების/ადგილებისა და გამოკითხულ პირთა რაოდენობა; გამოვლენილი სავარაუდო ტრეფიკინგის ფაქტების რაოდენობა

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა: სრულად შესრულებული

<u>საქმიანობა 20.1.3.1. სპეციალისტების ჯგუფის (Task Force) წევრების მონაწილეობა ტრეფიკინგის რისკის შემცველი ადგილების შემოწმებისა და პოლიციური კონტროლის განხორციელებისას</u>

პასუხისმგებელი უწყება: *შინაგან საქმეთა სამინისტრო*

შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში ფუნქციონირებას აგრძელებს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შემოწმების მობილური ჯგუფი. ამჟამად ფუნქციონირებს შემოწმების ოთხი მობილური ჯგუფი. თითოეული მობილური ჯგუფი დაკომპლექტდა ორი სამართალდამცველისგან, რომელთა ძირითად მოვალეობას წარმოადგენს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) რისკისშემცველი დაწესებულებების, ადგილების გამოვლენა, სადაც შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტებს, ასევე, რისკჯგუფს მიკუთვნებულ პირთა გამოკითხვა მათ მიმართ შესაძლო განხორციელებული ტრეფიკინგის ფაქტის გამოვლენის მიზნით.

შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს მობილური ჯგუფების მიერ განხორციელებულ იქნა საქართველოს მასშტაბით ტრეფიკინგის რისკშემცველი ადგილების გამოვლენა-აღრიცხვა, გამოვლენილ იქნა რიგი დაწესებულებებისა, მათ შორის ისინი სადაც სისტემატურად ხდებოდა პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემა. გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად მობილური ჯგუფების მიერ 2018 წელს გამოკითხული იქნა 178 პირი, მათ მიმართ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის კუთხით და შემოწმდა 42 დაწესებულება.

შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის მიზნით 24/7 ხდება თბილისის საერთაშორისო აეროპორტის კონტროლი და სისტემატურად მიმდინარეობს

თურქეთის რესპუბლიკიდან და ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან დეპორტირებულ მოქალაქეებთან გასაუბრება. 2018 წელს გამოკითხულია 2648 დეპორტირებული მოქალაქე.

მობილური ჯგუფის მიერ მიმდინარეობს საზოგადოების ინფორმირება არალეგალურად მუშაობის რისკების შესახებ და დანიშნულების ქვეყანაში ყოფნისა და მუშაობის შესახებ არსებული ნორმების და მოთხოვნების გაცნობა.

ორგანოებით ვაჭრობის ფაქტების პრევენციის, მსგავსი დანაშაულის აღკვეთის, დონორებსა და პაციენტებს შორის უკანონო გარიგების ან/და ორგანოების იძულებით გადანერგვის ფაქტების გამოვლენის მიზნით, მჭიდრო თანამშრომლობა ხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის. ძირითადად სასამართლოდან მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო ახორციელებს დონორებისა და რეციპიენტების გამოკითხვას და გადანერგვასთან დაკავშირებული გარემოებების გადამოწმებას.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, პროაქტიული და პრევენციული ღონისძიებების გაძლიერების მიზნით შემოწმების მობილური ჯგუფების მიერ აქტიურად მიმდინარეობს იმ პირებისა და ორგანიზაციების შესწავლა, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებას როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მობილური ჯგუფის მიერ ხდება ქ. თბილისის ორთაჭალის და დიდუბის ავტოსადგურებში არსებული ორგანიზაციების შესწავლა, რომლებიც ეწევიან მოქალაქეების საზღვარგარეთ გადაყვანას. ასევე, არალეგალური მიგრაციის ხელშეწყობის, ყალბი დოკუმენტის დამზადებისა და ტრეფიკინგთან მათი თანამონაწილეობის ფაქტების დადგენის მიზნით ხორციელდება ტურისტული ფირმების საქმიანობის, იმ ორგანიზაციების და პირთა შესწავლა, რომლებიც უზრუნველყოფენ საზღვარგარეთ წამსვლელ პირთათვის სავიზო მომსახურების გაწევას.

შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტს შორის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების გამოვლენის ხელშეწყობის შესახებ“ გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტიდან შემოსული ინფორმაციის საფუძველზე მობილური ჯგუფის მიერ 2018 წლის პერიოდში გამოიკითხა 70 პირი.

არასრულწლოვანთა ყიდვა/გაყიდვის ან მათ მიმართ სხვა უკანონო გარიგების ფაქტების გამოვლენის მიზნით, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს შრომის. ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოსთან, საიდანაც პერიოდულად ხდება ინფორმაციის გადმოგზავნა არასრულწლოვან პირთა გაშვილების შესახებ. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მიმდინარეობს მშვილებელი და გამშვილებელი მოქალაქეების შესწავლა და მათი გამოკითხვა არასრულწლოვნის მიმართ რაიმე სახის გარიგების გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით.

მობილური ჯგუფების მიერ პროაქტიურად გატარებული ღონისძიებების შედეგად გამოვლინდა და გამოძიება დაიწყო ადამიანით ვაჭრობის ტრეფიკინგის ფაქტზე 5 სისხლის სამართლის საქმეზე და იდენტიფიცირებული იქნა და ტრეფიკინგის დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა 5 პირს. (საერთო რაოდენობა დაწყებული სისხლის სამართლის საქმეების შეადგენს 9 საქმეს, ხოლო დაზარალებულად ცნობილია 5 პირი).

ამოცანა 20.1.4. ტრეფიკინგის საქმეებზე მომუშავე პირთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა

ამოცანის ინდიკატორი: ჩატარებული ტრენინგებისა და გადამზადებულ სამართალდამცავთა რაოდენობა;ჩატარებული ტრენინგების თემატიკა

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა: სრულად შესრულებული

საქმიანობა 20.1.4.1. *სამართალდამცავთა კვალიფიკაციის ამაღლება შესაბამისი ტრენინგების გზით*

პასუხისმგებელი უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო

სსიპ - საქართველოს შსს აკადემიაში ტრეფიკინგის თემატიკა ისწავლება, როგორც გადამზადების, ისე საბაზისო მომზადების პროგრამებში და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცა:

- ტრეფიკინგის განმარტება;
- ტრეფიკინგის პრობლემები საქართველოში;
- ტრეფიკინგის გამომწვევი მიზეზები და ხელშემწყობი ფაქტორები; ტრეფიკინგში მსხვერპლის ჩათრევის გზები;
- ექსპლუატაციის ნიშნები;
- საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვა;
- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) დანაშაულის პრევენცია;
- ტრეფიკინგის მსხვერპლთა რეფერალური მექანიზმები.
- 2018 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით აღნიშნული საკითხები გაიარეს:
- სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 6 ჯგუფი, 90 მსმენელი;
- დეტექტივ-გამომძიებლის სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო - 4 ჯგუფი, 75 მსმენელი;
- ადამიანის უფლებები და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია მოზარდებში - 1 ჯგუფი, 20 მსმენელი;
- მესაზღვრე-კონტროლიორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო
- პროგრამა - 4 ჯგუფი, 73 მსმენელი.

ასევე, 2018 წლის განმავლობაში საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში, როგორც საქართველოში ასევე, უცხოეთში, მონაწილეობა მიიღო შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს 41-მა თანამშრომელმა.

მიზანი 20.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის)დანაშაულთან ბრძოლა/პრევენცია

ამოცანა 20.2.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშულის შესახებ ცნობიერების ამაღლება

ამოცანის ინდიკატორი: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ცხელ ხაზზე შემოსული ზარების გაზრდილი რაოდენობა; საქართველოს რეგიონებში საინფორმაციო შეხვედრები განხორციელებულია.

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა: სრულად შესრულებული

საქმიანობა 20.2.1.1. *ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საფრთხეების, ამ დანაშაულთან ბრძოლისა და მისგან თავის დაცვის საშუალებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის რეგიონებში*

პასუხისმგებელი უწყება: იუსტიციის სამინისტრო; ადამიანით ვაჭრობის - ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისოსაკოორდინაციო საბჭო

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს ორგანიზებით, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან (ICMPD) თანამშრომლობითა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით, 2018 წლის 17-19 თებერვალს, ქ. თბილისში, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში სტუდენტებისთვის გაიმართა პროექტის „გიორგი მარგიანის სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე" ზეპირი რაუნდები.

პროექტში მონაწილეობა მიიღო 5 უნივერსიტეტის 8 გუნდმა (სულ 37 მონაწილე). პროექტის ფარგლებში მონაწილეებს, ასევე, ჩაუტარდათ ტრენინგების ტრეფიკინგის თემაზე.

იმიტირებულ პროცესი განხორციელდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდთან და სახალხო დამცველის აპარატთან მჭიდრო თანამშრომლობით.

ანალოგიური იმიტირებული პროცესი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მჭიდრო თანამშრომლობითა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით სტუდენტებისთვის გამოცხადდა 2018 წლის ნოემბერში. პროექტის ზეპირი რაუნდები დაგეგმილია 2019 წლის 15-17 თებერვალს, თბილისში, იუსტიციის სასწავლო ცენტრში.

2018 წელს საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა, თბილისში, ახმეტის მუნიციპალიტეტის (პანკისის ხეობა), სოფელ დუისსა და ჯოყოლოში, გორში, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ხვითისა და სოფელ დიცში, მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ წილკანში, სოფელ საგურამოში. საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა სკოლის მოსწავლეებთან, პედაგოგებთან, სტუდენტებისთვის, დევნილებთან, მერიის თანამშრომლებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან (400-მდე მონაწილე).

2018 წლის 30 ივლისს, ტრეფიკინგთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ორგანიზებითა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდთან მჭიდრო თანამშრომლობით სასტუმრო „რუმსში'' გაიმართა საინფორმაციო კამპანიის, სახელწოდებით: ,,უხილავნი ჩვენს შორის", გახსნის ღონისძიება - მრგვალი მაგიდა. ღონისძიებას ესწრებოდნენ სხვადასხვა სამთავრობო უწყების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის ამერიკის საელჩოს წარმომადგენლები. ღონისძიების ფარგლებში მიმოხილული იყო ტრეფიკინგთან ბრძოლის კუთხით ბოლო დროს განხორციელებული ღონისძიებები და ამ მიმართულებით საქართველოს მიერ მიღწეული წარმატება, რაც გამოიხატა პოზიტიურ საერთაშორისო შეფასებებში. შეხვედრის შემდეგ მეტრო რუსთაველის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო არტ-ინსტალაცია, რომელზეც წარმოდგენილი იყო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა რეალური ისტორიები ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

ტრეფიკინგთან ბრძოლის ევროპულ დღესთან დაკავშირებით (18 ოქტომბერი), 2018 წლის 22 ოქტომბერს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) ორგანიზებით ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ENIGMMA 2-ის ფარგლებში სტუდენტებისთვის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა კონფერენცია თემაზე „ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები და თანამედროვე ტენდენციები" (დამსწრეთა რაოდენობა-30).
2018 წლის 13 ნოემბერს, შრომის ინსპექტირების დეპარტამენტთან ერთად ფონდის ჩართულობით გაიმართა შეხვედრა/დისკუსია დამსაქმებლებთან სახელწოდებით: ,,შრომითი სტანდარტები და შრომის უსაფრთხოება საქართველოში". ფონდის წარმომადგენელი შეხვედრის მონაწილეებს ესაუბრა ტრეფიკინგის კუთხით ფონდის მომსახურებებზე. (დამსწრეთა რაოდენობა-30).

პროექტ „საზოგადოებრივი პროკურატურის" ფარგლებში 2018 წელს ტრეფიკინგის თემაზე ჩატარდა 78 შეხვედრა (4000-მდე მონაწილე).

2017 წლის 6 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გამოაცხადა საგრანტო კონკურსი თემაზე „საინფორმაციო კამპანია ნარკოტიკების ავადმოხმარებით გამოწვეული ზიანისა და ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვთა მიმართ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის მიზნით". საგრანტო კონკურსის ერთ-ერთი მიმართულება (ლოტი) შეეხებოდა ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვთა ტრეფიკინგისგან დაცვის მიზნით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. კერძოდ, 2018 წელს პროექტის სამიზნე რეგიონში (თბილისში, რუსთავში, გორში, ახალციხეში, ბორჯომში, ქუთაისში, ბათუმში, ქობულეთში, ზუგდიდში, ოზურგეთში, თელავში) საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა ადგილობრივი მოსახლეობისათვის მათთვის მისაღები ფორმითა და საშუალებით, რაც ხელს შეუწყობს მათ ინფორმირებას იმ საფრთხეების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია არასრულწლოვნების ქუჩაში ცხოვრებასთან ან/და მუშაობასთან, მათთვის მოწყალების გაცემით ბავშვების ქუჩაში ყოფნის წახალისებასთან, ასევე, მიუსაფარი ბავშვების დაცვის მიზნით არსებულ სახელწიფო მექანიზმებსა და სერვისებზე. საგრანტო პროგრამის ფარგლებში, ასევე მომზადდა ვიდეო რგოლი და გავრცელდა საინფორმაციო ბროშურები 6 ენაზე (ქართული, რუსული, ინგლისური, აზერბაიჯანული, თურქული და სომხური).

2018 წელს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ცხელ ხაზზე (116 006) შემოვიდა 34 ზარი, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელ ხაზზე - 45 ზარი.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს ორგანიზებით, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან (ICMPD) თანამშრომლობითა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით, 2018 წლის 17-19 თებერვალს, ქ. თბილისში, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში სტუდენტებისთვის გაიმართა პროექტის „გიორგი მარგიანის სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე" ზეპირი რაუნდები.

პროექტში მონაწილეობა მიიღო 5 უნივერსიტეტის 8 გუნდმა (სულ 37 მონაწილე). პროექტის ფარგლებში მონაწილეებს, ასევე, ჩაუტარდათ ტრენინგების ტრეფიკინგის თემაზე.

იმიტირებულ პროცესი განხორციელდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდთან და სახალხო დამცველის აპარატთან მჭიდრო თანამშრომლობით.

ანალოგიური იმიტირებული პროცესი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მჭიდრო თანამშრომლობითა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით სტუდენტებისთვის გამოცხადდა 2018 წლის ნოემბერში. პროექტის ზეპირი რაუნდები დაგეგმილია 2019 წლის 15-17 თებერვალს, თბილისში, იუსტიციის სასწავლო ცენტრში.

2018 წელს საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა, თბილისში, ახმეტის მუნიციპალიტეტის (პანკისის ხეობა), სოფელ დუისსა და ჯოყოლოში, გორში, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ხვითისა და სოფელ დიცში, მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ წილკანში, სოფელ საგურამოში. საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა სკოლის მოსწავლეებთან, პედაგოგებთან, სტუდენტებისთვის, დევნილებთან, მერიის თანამშრომლებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან (400-მდე მონაწილე).

2018 წლის 30 ივლისს, ტრეფიკინგთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ორგანიზებითა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდთან მჭიდრო თანამშრომლობით სასტუმრო „რუმსში" გაიმართა საინფორმაციო კამპანიის, სახელწოდებით: „უხილავნი ჩვენს შორის", გახსნის ღონისძიება - მრგვალი მაგიდა. ღონისძიებას ესწრებოდნენ სხვადასხვა სამთავრობო უწყების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის ამერიკის საელჩოს წარმომადგენლები. ღონისძიების ფარგლებში მიმოხილული იყო ტრეფიკინგთან ბრძოლის კუთხით ბოლო დროს განხორციელებული ღონისძიებები და ამ მიმართულებით საქართველოს მიერ მიღწეული წარმატება, რაც გამოიხატა პოზიტიურ საერთაშორისო შეფასებებში. შეხვედრის შემდეგ მეტრო რუსთაველის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო <u>არტ-ინსტალაცია,</u> რომელზეც წარმოდგენილი იყო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა რეალური ისტორიები ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

ტრეფიკინგთან ბრძოლის ევროპულ დღესთან დაკავშირებით (18 ოქტომბერი), 2018 წლის 22 ოქტომბერს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და და

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) ორგანიზებით ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ENIGMMA 2-ის ფარგლებში სტუდენტებისთვის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა კონფერენცია თემაზე „ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები და თანამედროვე ტენდენციები“ (დამსწრეთა რაოდენობა-30).

2018 წლის 13 ნოემბერს, შრომის ინსპექტირების დეპარტამენტთან ერთად ფონდის ჩართულობით გაიმართა შეხვედრა/დისკუსია დამსაქმებლებთან სახელწოდებით: ,,შრომითი სტანდარტები და შრომის უსაფრთხოება საქართველოში“. ფონდის წარმომადგენელი შეხვედრის მონაწილეებს ესაუბრა ტრეფიკინგის კუთხით ფონდის მომსახურებებზე. (დამსწრეთა რაოდენობა-30).

პროექტ „საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში 2018 წელს ტრეფიკინგის თემაზე ჩატარდა 78 შეხვედრა (4000-მდე მონაწილე).

2017 წლის 6 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გამოაცხადა საგრანტო კონკურსი თემაზე „საინფორმაციო კამპანია ნარკოტიკების ავადმოხმარებით გამოწვეული ზიანისა და ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვთა მიმართ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის მიზნით.“ საგრანტო კონკურსის ერთ-ერთი მიმართულება (ლოტი) შეეხებოდა ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვთა ტრეფიკინგისგან დაცვის მიზნით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. კერძოდ, 2018 წელს პროექტის სამიზნე რეგიონში (თბილისში, რუსთავში, გორში, ახალციხეში, ბორჯომში, ქუთაისში, ბათუმში, ქობულეთში, ზუგდიდში, ოზურგეთში, თელავში) საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა ადგილობრივი მოსახლეობისათვის მათთვის მისაღები ფორმითა და საშუალებით, რაც ხელს შეუწყობს მათ ინფორმირებას იმ საფრთხეების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია არასრულწლოვნების ქუჩაში ცხოვრებასთან ან/და მუშაობასთან, მათთვის მოწყალების გაცემით ბავშვების ქუჩაში ყოფნის წახალისებასთან, ასევე, მიუსაფარი ბავშვების დაცვის მიზნით არსებულ სახელწიფო მექანიზმებსა და სერვისებზე. საგრანტო პროგრამის ფარგლებში, ასევე მომზადდა ვიდეო რგოლი და გავრცელდა საინფორმაციო ბროშურები 6 ენაზე (ქართული, რუსული, ინგლისური, აზერბაიჯანული, თურქული და სომხური).

2018 წელს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ცხელ ხაზზე (116 006) შემოვიდა 34 ზარი, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელ ხაზზე - 45 ზარი.

ამოცანა 20.2.2. ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება

ამოცანის ინდიკატორი: სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის ფარგლებში ერთობლივად განხორციელებული ღონისძიებები: გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით გამართული სამთავრობათაშორისო შეხვედრების რაოდენობა;

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა:

<u>საქმიანობა 20.2.2.1.</u> <u>ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების გზით სახელმწიფო უწყებების თანამშრომლობის გაღრმავება სამოქალაქო საზოგადოებასთან (არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვ.)</u>

პასუხისმგებელი უწყება: იუსტიციის სამინისტრო; ადამიანით ვაჭრობის - ტრეფიკინგის

წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო

საკოორდინაციო საბჭო

სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის ფარგლებში ერთობლივად განხორციელებული იმიტირებული პროცესისა და საინფორმაციო კამპანიის თაობაზე, სახელწოდებით: ,,უხილავნი ჩვენს შორის", ინფორმაცია იხილეთ 20.2.1.1 აქტივობის შესრულების ნაწილში. გარდა ცნობიერების ამაღლების ღონისძიებისა, სახელმწიფო უწყებები აქტიურად თანამშრომლობენ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების განხორციელების მიზნით.

2018 წლის 28-29 მარტს მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან მჭიდრო თანამშრომლობით და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით ქ. ათენში, საბერძნეთში, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლებისა და საკონსულო დაწესებულებების თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგ კურსი ტრეფიკინგის საკითხებზე. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს თესალონიკში, სტამბულსა და ტრაბზონში საქართველოს საკონსულო დაწესებულებების კონსულებმა და თურქეთში, იტალიასა და საბერძნეთში საქართველოს საელჩოების საკონსულო წარმომადგენლებმა.
2018 წლის 26-27 ივნისს, შსს-ს აკადემიაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებისა და შვედი ექსპერტების ჩართულობით, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობითა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე 2-დღიანი ტრენინგი გაიმართა სასაზღვრო გამტარ და საბაჟო გამშვებ პუნქტებში მომუშავე პერსონალისთვის. ტრენინგის მიზანი იყო, ერთი მხრივ, საზღვარზე მომუშავე პერსონალისთვის ტრეფიკინგის თემაზე კვალიფიკაციის ამაღლება, მეორე მხრივ კი - ტრეფიკინგთან ბრძოლის საბჭოს მიერ ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა ამოსაცნობ ინდიკატორებზე 2017 წლის 19 დეკემბერს დამტკიცებული სახელმძღვანელო დოკუმენტის გაცნობა.

2018 წლის 19-20 ივნისს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) ორგანიზებით, ასევე საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით, გაიმართა ტრენინგი თემაზე: „უწყებათაშორისი კოორდინაციის მნიშვნელობა ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის სფეროში".

2018 წლის 22 ნოემბერს, იუსტიციის სამინისტროსა და ICMPD-ის ერთობლივი ორგანიზებით, ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის სახელმწიფო ფონდის მხარდაჭერით გაიმართა ტრენინგი იუსტიციის სახლებისა და სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თანამშრომლებისათვის თემაზე „ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები და თანამედროვე ტენდენციები“. დამსწრეთა რაოდენობა-15.

ანალოგიური ტრენინგი, იუსტიციის სამინისტროსა და ICMPD-ის ერთობლივი ორგანიზებით, ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის სახელმწიფო ფონდის მხარდაჭერით, 2018 წლის 10 და 11 დეკემბერს, ქ. თბილისსა და ქ. ქუთაისში გაიმართა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომელთა ორი ჯგუფისთვის (სულ 30 მონაწილე).

2018 წლის 15 ნოემბერს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მჭიდრო თანამშრომლობითა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით, სტუდენტებისთვის გამოცხადდა ყოველწლიური პროექტი "გიორგი მარგიანის სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე“. პროექტის ზეპირი რაუნდები დაგეგმილია 2019 წლის 15-17 თებერვალს, თბილისში, იუსტიციის სასწავლო ცენტრში.

2018 წლის 4-5 დეკემბერს, ბორჯომში საქართველოს გენერალური პროკურატურის ორგანიზებითა და საქართველოში ამერიკის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა უწყებათაშორისო სამუშაო ჯგუფის შეხვედრა შრომითი ექსპლუატაციის თემაზე. შეხვედრას ესწრებოდნენ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის ფონდისა და სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლები.

ამასთან, როგორც 20.2.1.1 აქტივობაში აღინიშნა, იუსტიციის სამინისტროს მიერ არასამთავრობო ორგანიზაციისთვის გაცემული 25000 ლარიანი გრანტის ფარგლებში, საქართველოს 10 ქალაქში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები ადგილობრივი მოსახლეობისათვის იმ საფრთხეების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია არასრულწლოვნების ქუჩაში ცხოვრებასთან ან/და მუშაობასთან, მათთვის მოწყალების გაცემით ბავშვების ქუჩაში ყოფნის წახალისებასთან, ასევე, მიუსაფარი ბავშვების დაცვის მიზნით არსებულ სახელწიფო მექანიზმებსა და სერვისებზე. საგრანტო პროგრამის ფარგლებში, ასევე მომზადდა ვიდეო რგოლი და გავრცელდა საინფორმაციო ბროშურები 6 ენაზე (ქართული, რუსული, ინგლისური, აზერბაიჯანული, თურქული და სომხური).

ასევე პერიოდულად, თბილისში იმართება საკონსულო თანამდებობის პირთა შეხვედრები (ბოლო სესია გაიმართა 2018 წლის 10-16 დეკემბერს (პირველი რაუნდი) და 2019 წლის 4-8 თებერვალს (მეორე რაუნდი)), სადაც სხვა თემებთან ერთად განიხილება ადამიანებით ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხებიც. ტრეფიკინგის საკითხები ასევე შესულია საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო თანამდებობის პირთა მოსამზადებელ კურსებში (ბოლო სესია გაიმართა 2018 წლის 16 აპრილიდან 2018 წლის 16 ივლისამდე), სადაც ერთი ლექცია მთლიანად ეძღვნება „ტრეფიკინგის საწინააღმდეგო მექანიზმებსა და სახელმწიფოს ვალდებულებებს.“

უფრო მეტიც, საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს დიპლომატიური და საკონსულო თანამდებობის პირთათვის ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლებთან/სავარაუდო მსხვერპლებთან ურთიერთობის

შესახებ ტრენინგი ყოველწლიურად შესულია მიგრაციის სამოქმედო გეგმის სავალდებულო საკითხთა სიაში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აქტიურად ჩართულია მთავრობათაშორის პროცედურებსა და მოლაპარაკებებში დანაშაულის (მათ შორის, ადამიანებით ვაჭრობის) წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებასთან დაკავშირებით.

მსხვერპლთა დაცვისა, მხარდაჭერისა, საქართველოდან თავის წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებისა და შემდგომ სისხლისსამართლებრივ პროცედურებში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტი ეხმარება საქართველოს შესაბამის უწყებებს მსხვერპლის წარმოშობის ქვეყნის დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობებთან ურთიერთობაში.

ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლთა მხარდაჭერა და დაცვა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მხრიდან შეიცავს შემდეგ პროცედურებს:

- ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლთა/შესაძლო მსხვერპლთა დახმარება მათი მომართვის საფუძველზე, უსაფრთხო დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა;
- ტრეფიკინგის ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ დაუყოვნებლივ საქართველოს შესაბამისი უწყებების ინფორმირება;
- კომპეტენციის ფარგლებში, გამოძიების პროცესზე ყურადღების მიქცევა
- მსხვერპლთა დახმარება საქართველოს ტერიტორიაზე უსაფრთხო დაბრუნების მიზნით, საჭირო დოკუმენტაციით მათი უზრუნველყოფა (მათ შორის, სამგზავრო დოკუმენტით).

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით, საკონსულო დეპარტამენტმა მოამზადა ადამიანებით ვაჭრობის შემთხვევებთან დაკავშირებული სახელმძღვანელო, რომელიც გამოვა 2019 წლის ბოლოს.

<u>საქმიანობა 20.2.2.2.</u> <u>პარტნიორი ქვეყნების, განსაკუთრებით კი საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოების, შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის გაღრმავება/მოლაპარაკებების დაწყება, მათ შორის, ტრანსნაციონალური თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით</u>

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; მთავარი პროკურატურა; საგარეო საქმეთა სამინისტრო

2018 წლის 14-15 მარტს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (1), პროკურატურისა (1) და შინაგან საქმეთა სამინისტროს (3) თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. სტოკჰოლმში გამართულ ვიზიტში, რომელიც მიზნად ისახავდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის ტრეფიკინგთან ბრძოლის მიმართულებით არსებული გამოცდილების გაზიარებას. ღონისძიება განხორციელდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის "აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პოლიციის სფეროში თანამშრომლობა" ფარგლებში. მონაწილეებმა გამოცდილება გაუზიარეს მათ შვედ, მოლდოველ, უკრაინელ და სომეხ კოლეგებს.

2018 წლის 5-7 ივნისს, კიშინოვში ცენტრალური კრიმინალური პოლიციისა და იუსტიციის სამინისტროს ორმა თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო სამუშაო შეხვედრაში თემაზე „შესაძლებლობათა განვითარება ტრანსსასაზღვრო სისხლის სამართლებრივი თანამშრომლობის, ეროვნული ანგარიშგების სისტემისა და ტრეფიკინგთან ბრძოლის მექანიზმები“. სამუშაო შეხვედრის ფარგლებში იუსტიციის

სამინისტროს წარმომადგენელმა დამსწრე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ქვეყნების წარმომადგენლებს გაუზიარა გამოცდილება ტრეფიკინგთან ბრძოლის ქართული პოლიტიკის თაობაზე.

2018 წლის 10-13 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ორგანიზება გაუწია და უმასპინძლა უზბეკეთის რესპუბლიკის დელეგაციას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საქართველოს გამოცდილების გაზიარების მიზნით. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა შინაგან საქმეთა სამინსიტროს, გენერალური პროკურატურის, საგარეო საქმეთა სამინისტროს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წარმომადგენლებს, თბილისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებსა და ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს.

20.3. ტრეფიკინგის მსხვერპლთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირთა ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა

21. იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები

მიზანი 21.1 დევნილთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი ადეკვატური საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა, სამართლებრივი, კულტურულ-ეკონომიკური გაძლეირება და ინტეგრაცია.

ამოცანა 21.1.1. დევნილთა სოციალური დახმარებისა და დაცვის სახელმწიფო პროგრამებში ჩართვის ხელშეწყობა

ამოცანის ინდიკატორი: სოციალურ პროგრამებში ჩართულ დევნილთა რაოდენობა

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა: სრულად შესრულებული

საქმიანობა 21.1.1.1. *ყველა დევნილის სოციალურ პროგრამებში ჩართვის უზრუნველყოფა, რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამის კრიტერიუმებს*

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

31 000 დევნილი ჩართულია სოციალურ დაცვის პროგრამაში.

ამოცანა 21.1.2. დევნილთა საარსებო წყაროებიზე წვდომის გაუმჯობესება

ამოცანის ინდიკატორი: *მხარდაჭერილია, სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული, საჭიროების მქონე ყველა დევნილი, მათ შორის 40% ქალი. დაფინანსებულია, სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წინასწარგანსაზღვრული პროფესიების 50-მდე კურსდამთავრებული დევნილი, მათ შორის 40% ქალი.*

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა: *სრულად შესრულებული*

<u>საქმიანობა 21.1.2.1.</u> *<u>სახელმწიფო პროფესიურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული საჭიროების მქონე დევნილებისთვის ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურება</u>*

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო/საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

2018 წელს სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტმა 386-მა დევნილმა მიიღო მხარდაჭერა სააგენტოდან. მათ შორის 193 (53%) ქალია.

<u>საქმიანობა 21.1.2.2.</u> *<u>სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების, წინასწარგანსაზღვრული პროფესიების კურსდამთავრებულ დევნილთა თვითდასაქმების ხელშეწყობა</u>*

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო/საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

2018 წელს სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების 44 კურსდამთავრებული დაფინანსდა, მათ შორის 43% ქალია. დაფინანსებულ კურსდამთავრებულებს შემოსავლის წყაროს გაჩენის/გაუმჯობესების მიზნით, გადაეცათ პროფესიული სახელობო იარაღები.

ამოცანა 21.1.3. დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება

ამოცანის ინდიკატორი: 2018 წელს - 2424 დევნილი ოჯახი იქნა უზრუნველყოფილი გრძელვადიანი საცხოვრებლით;

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა 21.1.3.1.</u> *<u>ახალი საცხოვრებელი კორპუსების (კომპლექსების) მშენებლობა თბილისსა და საქართველოს რეგიონებში და დევნილი ოჯახებისთვის საკუთრებაში გადაცემა.</u>*

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

2018 წელს - 100 დევნილმა ოჯახმა, რომელმაც მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებულ ვადამდე იპოთეკური სესხით შეიძინა საცხოვრებელი ბინები და იგი არის მათი ერთადერთი ფაქტობრივი

საცხოვრებელი, მიიღო ფინანსური დახმარება;
2018 წელს - დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა მათ საკუთრებაში არსებულ ობიექტებში (ყოველწლიურად მინიმუმ 150 ობიექტი) ჩასატარებელი სამუშაოების თანადაფინანსება.

2000 დევნილმა ოჯახმა (ყოველწლიურად) მიიღო საცხოვრებელი ფართების დაქირავებისთვის ყოველთვიური ფულადი დახმარება. ახალაშენებულ საცხოვრებელ კორპუსებში გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილდა 581 დევნილი ოჯახი.

<u>საქმიანობა 21.1.3.2.</u> *<u>დევნილი ოჯახებისათვის სახლებისა და ბინების შესყიდვა და საკუთრებაში გადაცემა.</u>*

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

2018 წელს - 100 დევნილმა ოჯახმა, რომელმაც მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებულ ვადამდე იპოთეკური სესხით შეიძინა საცხოვრებელი ბინები და იგი არის მათი ერთადერთი ფაქტობრივი საკუთრება.

2018 წელს თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, შეძენილ იქნა 709 საცხოვრებელი სახლი დევნილი ოჯახებისათვის.

<u>საქმიანობა 21.1.3.3.</u> *<u>ერთჯერადი ფულადი დახმარება იმ დევნილი ოჯახებისთვის, რომლებმაც მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებულ ვადამდე იპოთეკური სესხით შეიძინეს საცხოვრებელი და იგი არის მათი ერთადერთი ფაქტობრივი საცხოვრებელი.</u>*

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

2018 წელს 116 დევნილ ოჯახს 20 000 ლარის ფარგლებში იპოთეკური სესხის დაფარვის მიზნით გაეწია ფულადი დახმარება.

<u>საქმიანობა 21.1.3.4.</u> *<u>საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით დევნილებისათვის საკუთრებაში გადაცემულ მრავალბინიან სახლებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსება მუნიციპალიტეტებთან ერთად</u>*

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

2018 წელს დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა მათ საკუთრებაში არსებულ ობიექტებში 110 პროექტის თანადაფინანსება მუნიციპალიტეტებთან ერთად.

<u>საქმიანობა 21.1.3.5.</u> *<u>იმ დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რომლებიც ცხოვრობენ სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ ნგრევად და/ან საცხოვრებლად უვარგის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართობების შესახებ ინფორმაციის რეგულარული განახლება და აღნიშნული ობიექტების დახურვა.</u>*

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

2018 წელს საქართველოს მასშტაბით დაიხურა 28 ნგრევადი ობიექტი და ახალ საცხოვრებელ ბინებში გადაყვანილ იქნა 337 დევნილი ოჯახი.

<u>საქმიანობა 21.1.3.6.</u> *<u>საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით დევნილთა ოჯახებისთვის ყოველთვიური სოციალური და ფულადი დახმარებების გაწევა.</u>*

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით 2018 წელს ფულადი დახმარება გაეწია 1456 დევნილ ცდოჯახს.

ამოცანა 21.1.4. დევნილთა ჩართულობა და ინფორმირება მათთვის განკუთვნილი პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში მათ შორის საარსებო წყაროების პროგრამების შესახებ

ამოცანის ინდიკატორი: დევნილებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე, პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე, შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მუნიციპალიტეტებთან, მედიის წამომადგენლებთან და დევნილთა ჯგუფებთან გამართული შეხვედრების თანაფარდობა მიღებულ გადაწყვეტილებების რაოდენობასთან

გაიმართა მინიმუმ 10 საინფორმაციო შეხვედრა; გავრცელდა 6000-მდე ბეჭდური მასალა; ინფორმირებულთა მინიმუმ 40% ქალია; საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გაიმართა საარსებო წყაროების მინიმუმ 3 ფორუმი;

გაიგზავნა 3,000,000-მდე მოკლე ტექსტური შეტყობინება საარსებო წყაროების სხვადასხვა პროგრამასთან დაკავშირებით; სამინისტროს თითოეულ ტერიტორიულ ორგანოს გადაეცა 2000 ცალი საინფორმაციო ბეჭდური მასალა საარსებო წყაროების პროგრამებზე;

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა 21.1.4.1.</u> *<u>არასამთავრობო ორგანიზაციების, მუნიციპალიტეტებისა და მედიასაშუალებებისა და დევნილების,ინფორმირება, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები დევნილებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე, პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე</u>*

პასუხისმგებელი უწყება: *საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო*

2018 წელს, დევნილთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირების მიზნით, განხორციელდა სხვადასხვა საინფორმაციო ხასიათის ღონისძიება, რეგულარულად იმართებოდა დევნილთა პირადი შეხვედრები მინისტრის მოადგილესა და დეპარტამენტის უფროსთან, ასევე დეპარტამენტის სხვა

თანამშრომლებთან. 2018 წლის განმავლობაში, განხორციელდა 12000-მდე პირადი შეხვედრა და 50-მდე საველე ვიზიტი დევნილთა სხვადასხვა დასახლებაში. მედია-საშუალებების ინფორმირების მიზნით, სამინისტროში გაიმართა მრავალი ბრიფინგი. სამინისტროს თანამშრომლებმა მიიღეს მონაწილეობა არაერთ სატელევიზიო გადაცემაში. დევნილებსა და დაინტერესებულ მხარეებს საშუალება ჰქონდათ ინფორმაცია მიეღოთ სოციალური ქსელებისა და ინტერნეტ-გვერდის მეშვეობით. დევნილებისათვის განკუთვნილი პროგრამების შესახებ მათ რეგულარულად გაეგზავნათ მოკლე ტექსტური შეტყობინებები და დაურიგდათ ბროშურები.

დევნილთა კონსულტაციის მიზნით განხორციელდა მათი სატელეფონო გამოკითხვა, ასევე ფოკუს ჯგუფების შეხვედრები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. განხორციელდა სხვადასხვა პროგრამის ბენეფიციარ დევნილთა კმაყოფილების კვლევა და შედეგების ანალიზის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინება მოხდა 2019-2020 წლების დევნილთა სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს.

<u>საქმიანობა 21.1.4.2.</u> *<u>სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში დევნილთა ჩართულობა, მათი პოზიციისა და საჭიროებების იდენტიფიცირება.</u>*

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში აქტიურად იყო ჩართული დევნილთა საინიციატივო ჯგუფები, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები. ასევე სამოქმედო გეგმა განხილული იქნა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

<u>საქმიანობა 21.1.4.3.</u> *<u>დევნილთა ჯგუფებთან წარმომადგენლობითი შეფასებისა და საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება. სტრატეგიის განხორციელების განხილვა და წინადადებების მომზადება.</u>*

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ, სამინისტროსა და სხვა ორგანიზაციების, მათ შორის საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლის მონაწილეობით, 2018 წლის იანვარში დევნილთა მოსაზრებების გამოვლენის მიზნით განხორციელდა მონაწილეობითი შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიმართა შეხვედრები თბილისში, მცხეთა-მთიანეთში, ქვემო ქართლში, იმერეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. შეხვედრების შედეგები შეჯამებულ იქნა და შემუშავდა კონკრეტული რეკომენდაციები იდენტიფიცირებული პრობლემების გადაჭრის მიზნით. რეკომენდაციები მხედველობაში იქნა მიღებული 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის აქტივობების შემუშავების დროს.

<u>საქმიანობა 21.1.4.4.</u> *<u>სააგენტოს თანამშრომლების მიერ, საველე ვიზიტების ფარგლებში, დევნილთა დასახლებებში საარსებო წყაროების პროგრამების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების გამართვა</u>*

პასუხისმგებელი უწყება: საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

ჩატარდა 10 საინფორმაციო შეხვედრა კოდაში, ზუგდიდში, მარნეულში, ქუთაისში, წეროვანის და

კოპიტნარის დევნილთა ჩასახლებაში.

<u>საქმიანობა 21.1.4.5.</u> *<u>მოხალისეების მიერ, საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, კარდაკარ პრინციპით დევნილთა ინფორმირებულობა საარსებო წყაროების პროგრამების შესახებ</u>*

პასუხისმგებელი უწყება: საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

5000 - მდე დევნილ ოჯახს პირადად გააცნეს მოხალისეებმა სამოქმედო გეგმაში შესული საარსებო წყაროების პროგრამები. კარდაკარის პრინციპით, გავრცელდა ინფორმაცია სააგენტოს პროგრამის შესახებ გორის, კასპის, ქარელის, ზუგდიდის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში.

<u>საქმიანობა 21.1.4.6.</u> *<u>მთელი საქართველოს მასშტაბით, საარსებო წყაროების ფორუმების გამართვა, სადაც ერთ სივრცეში წარმოდგენილია იქნება საარსებო წყაროების განმახორციელებელი უწყებები/სააგენტოები და ორგანიზაციები</u>*

პასუხისმგებელი უწყება: საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

ჩატარდა 2 საარსებო წყაროების ფორუმი წეროვანში და მარნეულში.

<u>საქმიანობა 21.1.4.8.</u> *<u>სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლების უზრუნველყოფა ინფორმაციის გავრცელების საშუალებებით</u>*

პასუხისმგებელი უწყება: საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

დაიბეჭდა საარსებო წყაროებთ უზრუნველყოფის სააგენტოს პროგრამების შესახებ 5 000 ცალი ფლაერი და 6 000 საინფორმაციო ბროშურა საარსებო წყაროების სახელმწიფო პროგრამების შესახებ. მათი ნაწილი გასავრცელებლად გადაეცა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებს გასავრცელებლად.

ამოცანა 21.1.5. დევნილთა მონაწილეობის ხელშეწყობა საგანმანათლებლო, კულტურულ და სპორტულ პროგრამებსა და აქტივობებში

ამოცანის ინდიკატორი: დევნილთათვის ხელმისაწვდომია სკოლისგარეშე და არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამები. უზრუნველყოფილია დევნილთა ჩართულობა კულტურულ და სპორტულ აქტივობებში

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა: სრულად შესრულებული

<u>საქმიანობა 21.1.5.1.</u> *<u>დევნილთა დასახლებებში სკოლისგარეშე სახელოვნებო და სპორტული სასწავლებლების ხელშეწყობა.</u>*

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

2018 წელს ხელოვნების დეპარტამენტის მიზნობრივი ქვეპროგრამის ფარგლებში ხელი შეეწყო სსიპ ივ. მაჩაბლის სახ. პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის საქმიანობას, საგასტროლო და სადადგმო ხარჯით. წლის განმავლობაში თეატრმა ითამაშა 29 სპექტაკლი, მათ შორის 1 პრემიერა და 12 გასვლითი სპექტაკლი საქართველოს რეგიონებში.

2018 წელს ხელოვნების დეპარტამენტის მიზნობრივი ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე შეეწყო ხელი სსიპ ჩრდილების პროფესიული სახელმწიფო თეატრს, რომელმაც გამართა 45 სპექტაკლი და სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის პროფესიულ სახელწმიფო ტეატრს სადადგმო და საგასტროლო ხარჯით. ყველა ეს თეატრი არის დევნილი თეატრის კატეგორიაში.

სამინისტროს ხელშეწყობით, ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი ხელოვანები თანადგომისათვის“ განახორციელა დევნილთა კომპაქტურ დასახლებაში სახელოვნებო წრეების ფუნქციონირების ხელშეწყობა.

გახსნილია 12 სკოლა: გორი, წეროვანი, მეტეხი, შაუმიანი, კოდა, თელიანი, შავშვები, სკრა, კარალეთი, ხაშური, მოხისი, ახალსოფელი. სადაც დასაქმებულია 69 პედაგოგი და სწავლობს 700- მდე მოსწავლე. სკოლებში ფუნქციონირებს წრეები: თექა, ხატვა, ქსოვა, კერვა, მინანქარი, ხალხური საკრავები და სიმღერა, ფორტეპიანო, საესტრადო სიმღერა. სასწავლო პროცესი გრძელდება 15 თებერვლიდან 15 დეკემბრამდე. პროექტის საერთო ბიუჯეტი - 208 000 ლარს შეადგენს.

სამინისტროს დაფინანსებით, ასევე გაიმართა მასობრივ სპორტული ღონისძიება სოფელ ნიქოზში, სადაც სპორტულ აქტივობებში 200-მდე ბავშვი და ახალგაზრდა ჩაერთო.

სამინისტროს მმართველობაში შემავალი სსიპ მუზეუმების მიერ განხორციელდა 4 ღონისძიება.

<u>საქმიანობა 21.1.5.2.</u> *<u>არაფორმალური განათლების პროგრამებში დევნილთა ჩართვის ხელშეწყობა</u>*

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

სამინისტროს მმართველობაში შემავალი სსიპ მუზეუმების მიერ 2018 წელს დევნილთა ჩართვის ხელშეწყობის მიმართულებით, განხორციელდა 12 ღონისძიება.

<u>საქმიანობა 21.1.5.3.</u> *<u>კულტურულ და სპორტულ აქტივობებში დევნილთა მონაწილეობის ხელშეწყობა</u>*

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

2018 წელს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით განხორციელდა პროექტი ,,კულტურა საზღვრებს გარეშე, რომლის მიზანია გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრები ჩვენი მოსახლეობის, მათ შორის დევნილების, ქვეყანაში მიმდინარე კულტურულ პროცესებში ჩართულობის ხელშეწყობა, ახალგაზრდების ინფორმირებულობა და სახელოვნებო განათლების დონის ამაღლება, შემოქმედებითი უნარების განვითარება.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, შიდა ქართლისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში - სოფ.მეჯვრისხევი/ქ.გორი - 10 მაისი; ქ. ზუგდიდი/სოფ. ტყაია /სოფ. რუხი- 21-22 ივნისი; სოფ.ორსანტია/ანაკლია - 6-7 სექტემბერი; სოფ. მერეთი/ქ.გორი - 28 სექტემბერი, გაიმართა შემდეგი ღონისძიებები:

ადგილობრივი მოსახლეობის შეხვედრა ქართველ მწერლებთან და მეცნიერებთან:

მონაწილეები: სსიპ თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. **ირმა რატიანი,** ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, **პროფ. მაკა ელბაქიძე** და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, მწერალი **გიორგი კეკელიძე,** მწერალი/ ლიტერატურათმცოდნე - **ზაალ ჩხეიძე;** მწერალი/ ლიტერატურათმცოდნე/კრიტიკოსი - **გაგა ლომიძე,** სსიპ თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი - **ნანა ლატარია** და სსიპ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერი - **ესმა მანია;** სოციოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **- ემზარ ჯგერენაია:**

- პირველი რესპუბლიკის 100 წლისთავი;
- ქართული მწერლობა და ხელოვნება 1918-1921;

- ალ. ყაზბეგის, კ. გამსახურდიას, ო. ჭილაძის, ა. ბაქრაძის, ნ. დუმბაძის საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილი ლექციები - **ჯამში 11 ლექცია/სემინარი.**

1) პროექტის ფარგლებში სოფლებში მეჯვრისხევი, მერეთი, ტყაია და ორსანტია, დაბა ანაკლია მოეწყო **5** სხვადასხვა სახის გამოფენა ადგილობრივი ახლაგარზდა ხელოვანების მონაწილეობით;

2) აღნიშნულ რეგიონებში მოეწყო ბოლო დროის ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული და ანიმაციური ფილმების - **„დაკარგული სოფელი“** (რეჟ. გიორგი თოდრია“ **„აპრილის სუსხი“** (რეჟ. თორნიკე ბზიავა), **„წითელი ვაშლი“** (რეჟ. გიორგი სიხარულიძე) **„ფრანი“** (რეჟისორი ვლადიმერ სულაქველიძე), **„მამა“** (რეჟ. დავით ფირცხალავა), **„ანდრო“** (რეჟი. თორნიკე გოგრიჭიანი), **“Cofee Break”** (რეჟ. გიორგი თავართქილაძე) ჩვენება - **ჯამში 9 ჩვენება;**

3) ადგილობრივი მოსახლეობისათვის, აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილებისათვის სოფ. რუხში, ქ. გორში, დაბა ანაკლიაში გაიმართა კონცერტები როგორც ადგილობრივი მუსიკალური კოლექტივის „Under 7“ (რუხი), ასევე დედაქალაქიდან ჩასული ჯგუფის „ქიმერა“ – (გორი), სანდრო ნიკოლაძის ბენდის „Space Board” (ანაკლია/გორი), ნეკა სებისკვერაძის ბენდის (რუხი) და **ახალქალაქელი მუსიკოსის ტიგრან მღდესიანის (ანაკლია/გორი)** მონაწილეობით - **ჯამში - 4 კონცერტი.**

4) ქ. ზუგდიდის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში, სსიპ ივ. მაჩაბლის სახ, ცხინვალის სახელმწიფო პროფესიულმა დრამატულმა თეატრმა, აფხაზეთიდან დევნილებისათვის და საზღვრისპირა რეგიონის მოსახლეობისათვის გამართა **სპექტაკლი „კვაჭი“.**

5) აღნიშნული სოფლების საჯარო სკოლების, ასევე ქ.ზუგდიდის და ქ.გორის მუნიციპალური ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი განახლდა სამინისტროს ხელშეწყობით გამოცემული წიგნებით და ალბომებით.

6) სოფლებში ტყაია, მეჯვრისხევი, ორსანტია, მერეთი, არ არსებობს მუნიციპალური ბიბლიოთეკები და თავშეყრის ისეთი ადგილები, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ისარგებლებს წიგნებით და განახორციელებს საგანმანათლებლო აქტივობებს და შემეცნებით ღონისძიებებს. ქართველი გამომცემლების ჩართულობით, აღნიშნულ სოფლებში დაარსდა „სკვერის ბიბლიოთეკები“ - სივრცე, სადაც ახალგაზრდებს შეეძლებათ იკითხონ წიგნი, განახორციელონ საგანმანათლებლო აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს წიგნის პოპულარიზაციასა და განათლების დონის ამაღლებას.

მიზანი 21.2. საერთაშორისო ძალისხმევის მობილიზება ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების და მათი უფლებების დაცვის ხელშეწყობის მიზნით

ამოცანა 21.2.1. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების საკითხის საგნობრივი განხილვა;

ამოცანის ინდიკატორი: ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში მიმდინარეობს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების საკითხის განხილვა;

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა: შესრულება მიმდინარეობს

<u>საქმიანობა 21.2.1.1. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების აუცილებლობის დაყენება და საკითხის საგნობრივი განხილვის მიზნით ძალისხმევის გაგრძელება;</u>

პასუხისმგებელი უწყება: საგარეო საქმეთა სამინისტრო;

ქართული დელეგაცია ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების საკითხის განხილვის აუცილებლობას მუდმივად აყენებდა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებზე, სადაც აღნიშნული საკითხი თემა დღის წესრიგის ერთერთ მთვარ საკითხს წარმოადგენს;

ასევე მუდმივად მიმდინარეობდა მუშაობა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეებთან და მათ ორგანიზაციებთან, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებთან, როგორც მოლაპარაკებების მონაწილესთან, კონკრეტული გზების გამონახვის მიზნით, რათა მოხერხდეს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში საკითხზე საგნობრივი მსჯელობა.

<u>**ამოცანა 21.2.2.** საერთაშორისო თანამეგობრობის დღის წესრიგში ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უფლებების დაცვის საკითხის დასმა/შენარჩუნება;</u>

ამოცანის ინდიკატორი: ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკითხი დგას საერთაშორისო თანამეგობრობის დღის წესრიგში; გაეროს გენერალური ასამბლეა იღებს რეზოლუციას "აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ";

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა: შესრულება მიმდინარეობს

საქმიანობა 21.2.2.1. პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უფლებების დაცვის საკითხის რეგულარულად დაყენება და ძალისხმევის გაგრძელება სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტებში (მათ შორის, განცხადებებში, ანგარიშებში, დეკლარაციებში, რეზოლუციებში და სხვ.) საკითხის სათანადოდ ასახვის მიზნით;

პასუხისმგებელი უწყება: საგარეო საქმეთა სამინისტრო;

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უფლებების დაცვის საჭიროების საკითხი, 2018 წლის მანძილზე, რეგულარულად განიხილებოდა პარტნიორ ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ამასთან, მიმდინარეობდა მუშაობა სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტებში (მათ შორის, განცხადებებში, ანგარიშებში, დეკლარაციებში, რეზოლუციებში და სხვ.) საკითხის სათანადოდ ასახვის მიზნით.

საქართველო, 2018 წლის განმავლობაში, აქტიურად და რეგულარულად იყენებდა საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს ღია დებატების, გენერალური ასამბლეის და მისი ძირითადი კომიტეტების სხდომების, ასევე ადამიანის უფლებათა საბჭოს სესიების ფორმატებს, ასევე ეუთო-სა და ევროპის საბჭოს შესაბამის ფორმატებს ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უფლებების დაცვისა (მათ შორის, პირველ რიგში, საცხოვრებელ ადგილებზე უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უფლების) და რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით აღნიშნულ საკითხზე ყურადღება გამახვილებულ იქნა 2018 წლის განმავლობაში საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა მონაწილეობით გამართულ არაერთ ღონისძიებასა და შეხვედრაში ევროკავშირის, ასევე ნატოს ფორმატებში.

საანგარიშო პერიოდში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების თემა განხილვის საგანი იყო ასევე პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივ ურთიერთობებში, მათ შორის, აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში გამართულ სამუშაო ჯგუფებსა და პლენარულ სხდომებზე, საქართველო-გაერთიანებული სამეფოს „უორდროპის სტრატეგიული დიალოგის“ ფარგლებში, ასევე საქართველო-გერმანიასაფრანგეთის სამმხრივი პოლიტიკური კონსულტაციებისას.

ორმხრივ და მრავალმხრივ ფომრატებში გაწეული საქმიანობის შედეგად შესაძლებელი გახდა ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მიერ საკუთარ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების აუცილებლობის და მათთვის აღნიშნული უფლების განხორციელებისთვის ხელშეწყობის შესაბამის დოკუმენტებში ასახვა, როგორიცაა:

- გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა მდგომარეობის შესახებ (2018);
- გაეროს გენერალური მდივნის ანგარიში იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა მდგომარეობის შესახებ (2018);
- გაეროს ადამიანის უფლებების საბჭოს რეზოლუცია საქართველოსთან თანამშრომლობის შესახებ (2018 წლის 23 მარტი);
- გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის ანგარიში საქართველოსთან თანამშრომლობის შესახებ (2018);
- ევროსაბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის გადაწყვეტილება (2018);
- ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის კონსოლიდირებული ანგარიშები საქართველოში კონფლიქტის შესახებ (აპრილი 2018, ნოემბერი 2018);
- ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია (Resolution 2214) Humanitarian needs and rights of internally displaced persons in Europe (2018 წლის აპრილი). რეზოლუცია მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, პატივი სცეს იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთარ საცხოვრებელ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უფლებას;
- ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია „10 წელი საქართველოში 2008 წლის აგვისტოს ომიდან“ (2018). რეზოლუცია მოსკოვს მოუწოდებს, აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან დევნილი ასობით ათასი იძულებით გადაადგილებული პირისა და

ლტოლვილის ფუნდამენტური უფლებების განხორციელების მიზნით, უზრუნველყოს მათი უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნება.

- აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი რეზოლუცია (2018);
- აშშ-ს 2017 წლის ადამიანის უფლებათა ანგარიში (2018).

2018 წლის აპრილში მიღებულ იქნა რეზოლუცია (Resolution 2214) Humanitarian needs and rights of internally displaced persons in Europe, რომელშიც რუსეთი მოხსენიებულია, როგორც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეფექტური კონტროლის განმახორციელებელი ძალა. აღნიშნული რეზოლუცია მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს ევროკავშირის შუამავლობით დადებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება და უზრუნველყოს ევროკავშირის მონიტორინგის მისიისთვის საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ ტერიტორიაზე შესვლა. რეზოლუცია ასევე მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას პატივი სცეს იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთარ საცხოვრებელ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების, თავისუფალი გადაადგილების და მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლებას. ასევე მოუწოდებს რუსეთს ე.წ. გადასასვლელების გახსნისკენ, მოუწოდებს შეწყვიტოს მავთულხლართების და სხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვა და უზრუნველყოს გადაადგილების თავისუფლება.

2018 წელს, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეამ 27-ე ყოველწლიური სესიის ფარგლებში ქ. ბერლინში მიიღო რეზოლუცია „10 წელი საქართველოში 2008 წლის აგვისტოს ომიდან“. რეზოლუცია მოუწოდებს რუსეთს საქართველოს ტერიტორიიდან გაიყვანოს თავისი სამხედრო შენაერთები და უარი თქვას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებაზე. რეზოლუციაში ასამბლეა ხაზს უსვამს რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობას, აღიაროს რეგიონის ყველა მოქალაქის ფუნდამენტური თავისუფლებები და ადამიანის უფლებები და მოსკოვს მოუწოდებს, აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან დევნილი ასობით ათასი იძულებით გადაადგილებული პირისა და ლტოლვილის ფუნდამენტური უფლებების განხორციელების მიზნით, უზრუნველყოს მათი უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნება.

საქმიანობა 21.2.2.2. გაეროს გენერალური ასამბლეაზე საქართველოს მიერ ინიცირებული რეზოლუციის "აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ" მიღება;

2018 წლის 12 ივნისს, გაერო-ს გენერალური ასამბლეის 72-ე სესიის 95-ე პლენარულ სხდომაზე, მიღებულ იქნა რეზოლუცია A/RES/72/55 "აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ". რეზოლუციის თანაავტორი გახდა 43 ქვეყანა (საქართველოს ჩათვლით).

პასუხისმგებელი უწყება: საგარეო საქმეთა სამინისტრო;

22. მიგრანტთა და ლტოლვითა უფლებები

მიზანი 22.2. საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

ამოცანა 22.2.1. საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა საზღვარგარეთ მიღებული ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების აღიარების ხელმისაწვდომობის და მისი რეფერალურ მექანიზმში გათვალისწინების უზრუნველყოფა

ამოცანის ინდიკატორი: სერვისით სარგებლობის მაჩვენებელი (პირთა რაოდენობა)

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა: დაწყებულია შესრულება

საქმიანობა 22.2.1.1. *არაფორმალური განათლების აღიარების წესისა და პირობების დამტკიცება*

პასუხისმგებელი უწყება: *საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო*

საქართველოს პარლამენტმა მიიღო პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს ახალი კანონი, რომელიც ითვალისწინებს არაფორმალური განათლების აღიარების საკითხებს. მომზადდა არაფორმალური განათლების აღიარების წესის პროექტი, რომლის დამტკიცებაც დაგეგმილია 2019 წლის გაზაფხულზე.

საქმიანობა 22.2.1.2. *არაფორმალური განათლების აღიარების წესისა და პირობების დამტკიცების შემდეგ აღნიშნული სერვისის სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამებში* გათვალისწინება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

საქართველოს პარლამენტმა მიიღო „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი, რომელიც ითვალისწინებს არაფორმალური განათლების აღიარების საკითხებს. დამტკიცდა არაფორმალური განათლების აღიარების ხელშეწყობის ქვეპროგრამა. 2019 წლის გაზაფხულზე დაგეგმილია შესაბამის კანონქვემდებარე აქტების დამტკიცება და ამოქმედება, რის შემდეგაც 2 შერჩეულ სფეროში დაიწყება არაფორმალური განათლების აღიარების პროცესი.

დამტკიცდა არაფორმალური განათლების აღიარების ხელშეწყობის ქვეპროგრამა. არაფორმალური განათლების აღიარების წესის დამტკიცების შემდეგ 2 შერჩეულ სფეროში დაიწყება არაფორმალური განათლების აღიარების პროცესი.

ამოცანა 22.2.2. სარეინტეგრაციო პროგრამის გაფართოება და დახვეწა

ამოცანის ინდიკატორი: შეფასების დოკუმენტი

შესრულების მიმდინარეობა: შესრულება არ დაწყებულა

ამოცანის მიმოხილვა:

<u>საქმიანობა 22.2.2.1. მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით სახელმწიფო სარეინტეგრაციო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება</u>

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

23. ეკო-მიგრანტთა უფლებები

მიზანი 23.1. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) სამართლებრივი და სოციალური დაცვა და ინტეგრაცია

ამოცანა 23.1.1. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლებით უზრუნველყოფა, მათი ინტეგრაციის ხელშეწყობა

ამოცანის ინდიკატორი: ყოველწლიურად 120 ეკომიგრანტი ოჯახის საცხოვრებლით უზრუნველყოფა; უძრავი ქონება საკუთრებაში გადაცემულია 600-მდე ეკომიგრანტი ოჯახისთვის

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა: ნაწილობრივ შესრულებული

<u>საქმიანობა 23.1.1.1.</u> <u>სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახებისთვის (ეკომიგრანტებისთვის) საცხოვრებელი ფართების გადაცემა.</u>

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

2018 წელს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო 120 ოჯახისათვის სახლის შესყიდვა, საბოლოოდ ეკონომიის ხარჯზე, 2018 წლის მანძილზე 122 ოჯახი დაკმაყოფილდა.

<u>საქმიანობა 23.1.1.2. საცხოვრებელი ფართების კანონმდებლობით დადგენილი წესით, საკუთრებაში გადაცემა იმ ეკომიგრანტებისთვის, რომლებმიც 2014 წლის 1 იანვრამდე სამინისტროს მიერ არიან განსახლებულნი</u>

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

2018 წლის განმავლობაში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი კერძო საკუთრებაში გადაეცა 116 ოჯახს.

<u>საქმიანობა 23.1.1.3. არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად განსახლების ადგილებში ეკომიგრანტი ოჯახებისათვის საინტეგრაციო პროგრამების შემუშავება, განხორციელება.</u>

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

2018 წელს სსიპ საარსებო წყაროების უზრუნველყოფის სააგენტომ დაიწყო ეკომიგრანტების საჭიროებების კვლევა, რომელიც დასრულდება 2019 წელს. კვლევის შედეგად თუ დადგინდა, რომ ეკომიგრანტებს გააჩნიათ დევნილებისგან განსხვავებული საჭიროებები, მოხდება სააგენტოს მიერ ახალი პროგრამის შემუშავება პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, ხოლო თუ საჭიროებები იქნება იდენტური, მოხდება ეკომიგრანტთა ინტეგრირება სააგენტოში არსებულ საგრანტო და სუბსიდირების პროგრამებში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პროგრამებს სააგენტო ახორციელებს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად.

ამოცანა 23.1.2. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) საარსებო წყაროების საჭირობების შესწავლა

ამოცანის ინდიკატორი: ეკომიგრანტების საარსებო წყაროების საჭიროებები იდენტიფიცირებულია

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა: შესრულება დაწყებულია

<u>საქმიანობა 23.1.2.1. ეკომიგრანტების საარსებო წყაროების საჭიროებების შესწავლა, გამოკვლევა</u>

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო/საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

2018 წელიდან სსიპ საარსებო წყაროების უზრუნველყოფის სააგენტო, სამინისტროს ანალიტიკის სამმართველოსთან და ეკომიგრანტთა საკითხების სამმართველოსთან ერთად, ატარებს ეკომიგრანტთა საჭიროებების კვლევას და გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე 2019 წლის ბოლომდე მოხდება ინტერვენციების დაგეგმვა.

24. ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები ადამიანების უფლებების დაცვა

მიზანი 24.1. ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები ადამიანების უფლებათა დაცვის ხელშეწყობა

ამოცანა 24.1.1. საერთაშორისო თანამეგობრობის რეგულარული ინფორმირება ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფი ხაზების სიახლოვეს ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ;

ამოცანის ინდიკატორი: საერთაშორისო თანამეგობრობა ინფორმირებულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესების შესახებ;

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა: შესრულება მიმდინარეობს

<u>**საქმიანობა 24.1.1.1.** ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფი ხაზების სიახლოვეს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე სხვადასხვა მასალების მომზადება და ინფორმაციის რეგულარულად მიწოდება პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის;</u>

პასუხისმგებელი უწყება: *საგარეო საქმეთა სამინისტრო*

საანგარიშო პერიოდში რეგულარულად ხდებობა საერთაშორისო საზოგადოების აქტიური ინფორმირება ოკუპირებულ ტერირიებზე არსებულ მძიმე უსაფრთხოების და ადამიანის უფლებრივ მდგომარეობაზე. ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე, მიმდინარეობდა პარტნიორ ქვეყნებთან საქმიანობის მჭიდრო კოორდინაცია, რაც თავის მხრივ ასახული იყო შესაბამისი ორგანიზაციების და ქვეყნების დოკუმენტებში (განცხადებები, დეკლარაციები, რეზოლუციები, ანგარიშები, გადაწყვეტილებები და სხვ).

განსაკუთრებული აქცენტები კეთდებოდა გადაადგილების თავისუფლების უხეშ დარღვევებზე, უკანონო დაკავებებსა და გატაცებებზე, ეთნიკური ქართული მოსახლეობის დისკრიმინაციაზე, მშობლიურ ენაზე განათლების აკრძალვაზე, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთარ სახლში დაბრუნების უფლებაზე და დავით ბაშარულის, გიგა ოთხოზორიას და არჩილ ტატუნაშვილის წამების და მკვლელობის ფაქტებზე.

<u>**ამოცანა 24.1.2.** პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევის კონსოლიდაცია, რათა საერთაშორისო დღის წესრიგში მუდმივად იდგეს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში და გამყოფი ხაზის სიახლოვეს ადამიანის უფლებათა მდგომარეობა და ადგილზე არსებული ჰუმანიტარული პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობა;</u>

ამოცანის ინდიკატორი: ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზების სიახლოვეს ადამიანის უფლებათა მდგომარეობის ასახვა სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტებში (მათ შორის, პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების განცხადებებში, ანგარიშებში, დეკლარაციებში, რეზოლუციებში, სხვ.);

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა: შესრულება დაწყებულია.

<u>**საქმიანობა 24.1.2.1.** ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფი ხაზების სიახლოვეს ადამიანის უფლებათა მდგომარეობის რეგულარული დაყენება ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში და ძალისხმევის მობილიზება სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტებში (მათ შორის, პარტნიორი</u>

ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების განცხადებებში, ანგარიშებში, დეკლარაციებში, რეზოლუციებში, სხვ.) საკითხის სათანადოდ ასახვის მიზნით;

პასუხისმგებელი უწყება: *საგარეო საქმეთა სამინისტრო*

საქართველოს მთავრობა აქტიურად იყენებდა მის ხელთ არსებულ ყველა დიპლომატიურ, პოლიტიკურ და სამართლებრივ მექანიზმს, რათა მოეხდინა საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის მობილიზება, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებული მძიმე მდგომარეობის გამოსწორების მიზნით:

- აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებსა და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ არსებული მდგომარეობა მუდმივი განხილვის საგანი იყო მაღალი და უმაღლესი დონის ვიზიტებისა და შეხვედრების ფარგლებში, იქნებოდა ეს ორმხრივი მოლაპარაკებებისა და კონსულტაციები საქართველოს პარტნიორ სახელმწიფოებთან თუ მრავალმხრივ დიპლომატია საერთაშორისო ორგანიზაციების: ევროკავშირის, ნატოს, გაერო-ს, ეუთო-ს, ევროპის საბჭოს ფორმატებში;
- საგარეო საქმეთა სამინისტრო და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები მუდმივ რეჟიმში ახდენდნენ საერთაშორისო თანამეგობრობის ინფორმირებას ოკუპირებულ რეგიონებსა და საოკუპაციო ხაზის პირას ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა კუთხით არსებული ვითარების შესახებ;
- პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საგარეო საქმეთა სამინისტრო მუდმივად აყენებდა ადგილზე უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების დაშვების საკითხს;
- საგარეო საქმეთა სამინისტრომ აქტიური ძალისხმევა გასწია პარტნიორ სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რათა საერთაშორისო დოკუმენტებში სათანადოდ ასახულიყო ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების მხრივ არსებული რთული ვითარება.

საქართველო, 2018 წლის განმავლობაში, აქტიურად და რეგულარულად იყენებდა საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს ღია დებატების, გენერალური ასამბლეის და მისი ძირითადი კომიტეტების სხდომების, ასევე ადამიანის უფლებათა საბჭოს სესიებს, ეუთო-სა და ევროპის საბჭოს შესაბამის ფორმატებს სადაც აქცენტი გაკეთდა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა უფლებებზე. საანგარიშო პერიოდში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის მაღალი დონის სტრატეგიული დიალოგი, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა ასევე აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში არსებული ვითარება.

აღნიშნულ პერიოდში საანგარიშო პერიოდში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში არსებული ვითარება განსაკუთრებული განხილვის საგანი იყო პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივ ურთიერთობებში, მათ შორის, აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში გამართულ სამუშაო ჯგუფებსა და პლენარულ სხდომებზე, აგრეთვე საქართველო-გაერთიანებული სამეფოს „უორდროპის სტრატეგიული დიალოგის“ ფარგლებში და საქართველო-გერმანია-საფრანგეთის სამმხრივი პოლიტიკური კონსულტაციებისას.

საანგარიშო პერიოდში საქართველო აქტიურად თანამშრომლობდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან საოკუპაციო ხაზზე კონფლიქტის ესკალაციის პრევენციისა და რუსეთის პროვოკაციულ

ქმედებებთან გამკლავების მიზნით. პარტნიორ ქვეყნებთან, ისევე, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველო მუდმივად აყენებდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ოკუპირებულ რეგიონებში შესვლისა და მანდატის სრულად განხორციელების აუცილებლობას. შედეგად, აღნიშნული საკითხი აისახა არაერთ საერთაშორისო დოკუმენტსა თუ განცხადებაში.

გაგრძელდა კოორდინაცია ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირებისა და ადგილზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, მათ შორის, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფარგლებში. მიმდინარეობდა აქტიური ძალისხმევა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების შეხვედრების განახლების მიზნთ.

საქართველოს ძალისხმევით, 2018 წელს შემუშავდა არაერთი განცხადება, რეზოლუცია, დეკლარაცია, გადაწყვეტილება თუ ანგარიში, რომლებშიც ასახულ იქნა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში არსებული ადამიანის უფლებების მდგომარეობა, რუსეთის ფედერაციის მიმართ მოწოდებით, რომ შეწყვიტოს თავისი უკანონო ქმედებები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. მათ შორისაა:

- გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა მდგომარეობის შესახებ (2018);
- გაეროს გენერალური მდივნის ანგარიში იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა მდგომარეობის შესახებ (2018);
- გაეროს ადამიანის უფლებების საბჭოს რეზოლუცია საქართველოსთან თანამშრომლობის შესახებ (2018 წლის 23 მარტი);
- გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის ანგარიში საქართველოსთან თანამშრომლობის შესახებ (2018);
- ევროსაბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის გადაწყვეტილება (2018)
- ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის კონსოლიდირებული ანგარიშები საქართველოში კონფლიქტის შესახებ (აპრილი 2018, ნოემბერი 2018)
- ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია (Resolution 2214) Humanitarian needs and rights of internally displaced persons in Europe (2018 წლის აპრილი). რეზოლუცია მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, პატივი სცეს იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთარ საცხოვრებელ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უფლებას;
- ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია „10 წელი საქართველოში 2008 წლის აგვისტოს ომიდან“ (2018). რეზოლუცია მოსკოვს მოუწოდებს, აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან დევნილი ასობით ათასი იძულებით გადაადგილებული პირისა და ლტოლვილის ფუნდამენტური უფლებების განხორციელების მიზნით, უზრუნველყოს მათი უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნება.აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი რეზოლუცია (2018);
- აშშ-ს 2017 წლის ადამიანის უფლებათა ანგარიში (2018);
- 2018 წლის ევროპარლამენტის რეზოლუცია საქართველოს შესახებ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები რუსეთისინტერვენციიდან 10 წლის შემდეგ“. რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ საქართველოს კონფლიქტის მოგვარება არსებითია ევროპულ კონტინენტზე სტაბილურობისა და უსაფრთხოების გასაძლიერებლად;
- 2018 წლის ლიეტუვის სეიმის რეზოლუცია რუსეთის მიერ საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ოკუპაციის მეათე წლისთავთან დაკავშირებით,საქართველოსადმი მტკი ცე მხარდაჭერის ხაზგასმის მიზნით;

- 2018 წლის ირლანდიის სენატის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ევროინტეგრაციის მხარდამჭერი რეზოლუცია – „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და მისი ევროკავშირში ინტეგრაციის მხარდაჭერის შესახებ, რომლითაც მხარი დაუჭირა საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.
- პოლონეთის რესპუბლიკის სეიმის რეზოლუცია რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის მე-10 წლისთავთან დაკავშირებით

2018 წელს ლიეტუვამ შემზღუდავი ზომები დააწესა ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში შესული პირების მიმართ, რაც ასევე იყო უპრეცედენტო ხასიათის გადაწყვეტილება ჩვენი პარტნიორი ქვეყნის მხრიდან.

2018 წლის 23 მარტს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ მიიღო რეზოლუცია A/HRC/RES/37/40 „თანამშრომლობა საქართველოსთან". რეზოლუციაში გამოთქმულია შეშფოთება საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების დარღვევებზე. რეზოლუციაში არის მოწოდება გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და რეგიონული მექანიზმების აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში დაუყოვნებლივი შეღწევის უზრუნველსაყოფად. ასევე, გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭო, გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარს ავალებს რეზოლუციის შესრულების შესახებ საბჭოს 38-ე და 39-ე სესიებზე, შესაბამისად, ზეპირი და წერილობით ანგარიშების წარდგენას. რეზოლუციის შესაბამისად, 2018 წლის 4 ივლისს, ადამიანის უფლებათა საბჭოს 38-ე სესიაზე, გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენელმა წარადგინა ზეპირი ანგარიში, ხოლო 2018 წლის 27 სექტემბერს საბჭოს 39-ე სესიის ფარგლებში გაიმართა გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის წერილობითი ანგარიშის განხილვა.

საქართველომ, საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში (გაერო, ეუთო, ევროპის საბჭო) გაავრცელა საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული - „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ" 2018 წლის შემაჯამებელი ანგარიში.

საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის 10 წლისთავთან დაკავშირებით ეუთო-ში საქართველოს მეგობართა ჯგუფის მიერ გაკეთდა შესაბამისი განცხადება და მომზადდა ჯგუფის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების ერთობლივი ვიდეომიმართვა;

2018 წლის 6-7 დეკემბერს ეუთო-ს მინისტრთა საბჭოს 25-ე სესიის ფარგლებში საქართველოს მეგობართა ჯგუფის მიერ გაკეთდა საქართველოს მხარდამჭერი განცხადება;

2018 წლის 2 მაისს, ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტმა 1315-ე სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება „ევროპის საბჭო და კონფლიქტი საქართველოში. გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბდა მტკიცე პოზიცია, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული ქმედებები, ხელს უშლის კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას და ძირს უთხრის რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გამყარებისაკენ მიმართულ ძალისხმევას, აშკარად არღვევს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და იურიდიული ძალის არმქონეა. გადაწყვეტილებაში ასევე ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ რუსეთი არის კონფლიქტის მხარე, რაც ხაზს უსვამს მის საერთაშორისო სამართლებრივ პასუხისმგებლობას კონფლიქტთან მიმართებით.

2018 წლის განმავლობაში მომზადდა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მე-17 (18 აპრილი) და მე-18 (14 ნოემბერი) კონსოლიდირებული ანგარიშები „კონფლიქტი საქართველოში". აღნიშნული ანგარიშებით ევროპის საბჭო ახდენს საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირებას საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების კუთხით არსებულ მდგომარეობაზე, ასევე აღწერს ყველა იმ ფაქტს და განვითარებას, რასაც ადგილი ჰქონდა საანგარიშო პერიოდში. კონსოლიდირებული ანგარიშების განხილვისას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეებმა

სიტყვით მიმართვეს ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტს. გამოსავლებში ყურადღება გამახვილდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ სიტუაციაზე.

2018 წლის 12 სექტემბერს ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის სხდომაზე გააკეთა განცხადება რუსეთ საქართველოს ომის 10 წლისთავთან დაკავშირებით.

2018 წლის 15 ნოემბერს, ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის მიერ გაკეთდა განცხადება ევროპაში იძულებით გადაადგილებულ პირთა ჰუმანიტარულ საჭიროებებთან და უფლებებთან დაკავშირებით. გამოსვლაში ყურადღება გამახვილდა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების უხეში დარღვევების ფაქტებზე და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების მნიშვნელობაზე.

ამოცანა 24.1.4. ინციდენტთა პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების ფარგლებში შეხვედრების გამართვა ადამიანის უფლებათა დაცვისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებული პრობლემების გადასაწყვეტად;

ამოცანის ინდიკატორი: ინციდენტთა პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში განხილულ საკითხთა რაოდენობა

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა 24.1.4.1.</u> <u>ინციდენტთა პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებული საკითხების დასმა და განხილვა</u>

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

სახელმწიფო მინისტრის აპარატი მონაწილეობას იღებდა ერგნეთსა და გალში გამართულ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრებში (გასულ წელს ერგნეთში 7 და გალში 6 შეხვედრა დაიმართა).

აღნიშნულ ფორმატში განიხილება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელებული ადამიანის უფლებების დარღვევების, მათ შორის უკანონო დაკავებებისა და პატიმრობის ფაქტები, ყაჩაღობის, ძალადობის, თანხის გამოძალვის მიზნით გატაცების, მკვლელობისა და ქონების მისაკუთრების შემთხვევების, მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვის, ასევე გიგა ოთხოზორიას და არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობაში ბრალდებული პირების სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის საკითხები. ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის მუშაობის ფარგლებში, სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან.

მიზანი 24.2 გამოყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრები ადამიანების უფლებების დაცვა და მათი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება

ამოცანა 24.2.1. გამოყოფი ხაზის სიახლოვეს არსებულ დასახლებებში ინფრასტრუქტურის მოწესრიგება

ამოცანის ინდიკატორი: განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა: მიმდინარეობს შესრულება

<u>საქმიანობა 24.2.1.1.</u> <u>გამყოფი ხაზის სიახლოვეს არსებულ დასახლებებში ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა</u>

პასუხისმგებელი უწყება: *გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია*

ამოცანა 24.2.2. გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ პირთა ინფორმირება მათთვის არსებული სერვისებისა და პროგრამების შესახებ

ამოცანის ინდიკატორი: გამყოფი ხაზის სიახლოვემ მცხოვრებ პირებთან ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა: შესრულება დაწყებულია

ამოცანის შესრულების მიზნით ღონისძიებების გატარება მიმდინარეობს პერიოდულად.

<u>საქმიანობა 24.2.2.1.</u> <u>საინფორმაციო შეხვედრების წარმოება გამოყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ პირებთან</u>

პასუხისმგებელი უწყება: გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია

ამოცანა 24.2.3. უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდა გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ პირთათვის

ამოცანის ინდიკატორი: განხოციელებული უფასო იურიდიული დახმარების საკონსულტაციო შეხვედრების რაოდენობა გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ პირთათვის

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა: სრულად შესრულებული

<u>საქმიანობა 24.2.3.1.</u> <u>წლიურად არანაკლებ 5 უფასო იურიდიული დახმარების საკონსულტაციო შეხვედრის ორგანიზება გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ პირთათვის</u>

პასუხისმგებელი უწყება: იურიდიული დახმარების სამსახური

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი არსებული ორგანიზაციების მიერ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში 2018 წელს 15 პროექტი განხორციელდა საგზაო ინფრასტრუქტურისა და წყალმომარაგების სისტემების განვითარების მიზნით. ამოცანის შესრულების მიზნით, ღონისძიებების გატარება მიმდინარეობს სისტემატურად.

2018 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურმა ჯამში 7 საინფორმაციო შეხვედრა გამართა გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობასთან.

დეტალური ინფორმაცია:

იმერეთის – ზესტაფონის ბიურო – პერევი (საჩხერის რაიონი) – 1 შეხვედრა, დაესწრო 12 ადამიანი; შიდა ქართლის ბიურო – ბერძენაული (ქარელის რაიონი) – 1 შეხვედრა, დაესწრო 7 ადამიანი; შიდა ქართლის ბიურო – კნოლევი (ქარელის რაიონი) – 1 შეხვედრა, დაესწრო 6 ადამიანი; შიდა ქართლის ბიურო – შერთული (გორის რაიონი) – 1 შეხვედრა, დაესწრო 6 ადამიანი; მცხეთა – მთიანეთის ბიურო – ფრეზეთი (მცხეთის რაიონი) – 1 შეხვედრა, დაესწრო 7 ადამიანი;

სამეგრელოს – ზუგდიდის ბიურო – ზღვაია (წალენჯიხის რაიონი) – 1 შეხვედრა, დაესწრო 14 ადამიანი;

სამეგრელოს – ზუგდიდის ბიურო –ახალაბასთუმანი (ზუგდიდის რაიონი) – 1 შეხვედრა, დაესწრო 8 ადამიანი.

სულ გაიმართა 7 შეხვედრა, რომელსაც ჯამში 60 ადამიანი დაესწრო. შეხვედრების დროს, იურისტებმა ადგილობრივებს გააცნეს იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები, ესაუბრნენ გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ პირთა სამართლებრივი პრობლემების, სოციალური დახმარების პროგრამების, საკუთრების, მათ შორის მიწის, უძრავი ქონების რეგისტრაციისა და პრივატიზების, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის, მემკვიდრეობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხების თაობაზე, ასევე, პენსიის დანიშვნის პრობლემებების მოგვარების სამართლებრივი საშუალებებისა და ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტების შესახებ. გარდა ამისა, გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ პირებს გაეწიათ ინდივიდუალური კონსულტაციები და დაურიგდათ საინფორმაციო ბუკლეტები.

მიზანი 24.3. საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის უფლების დაცვა

ამოცანა 24.3.1. საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობის უზრუნველყოფა ხარისხიანი სამედიცინო სერვისებით;

ამოცანის ინდიკატორი: საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობა უზრუნველყოფილია ხარისხიანი სამედიცინო სერვისებით

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა: უმეტესად შესრულებული

საქმიანობა 24.3.1.1. საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. რუხში მრავალპროფილური საავადმყოფოს მშენებლობის გაგრძელება;

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

დასრულდა სოფელ რუხში მრავალპროფილური საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობა. ამჟამად მიმდინარეობს აღჭურვისა და კადრებით დაკომპლექტების სამუშაოები.

<u>საქმიანობა 24.3.1.2.</u> <u>გამყოფი ხაზის სიახლოვეს მდებარე სოფლებში ზოგადი და პროფილური ექიმების რეოდენობის გაზრდა.</u>

პასუხისმგებელი უწყება: *საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო*

მიზანი 24.4. ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრებ პირთათვის განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

ამოცანა 24.4.1. გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები პირებისთვის განათლების სერვისებზე წვდომის გაუმჯობესება

ამოცანის ინდიკატორი: გარემონტებული, აღჭურვილი და მოქმედი სასწავლო დაწესებულებების რაოდენობა; სოციალური პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა; არაფორმალური განათლების პროგრამებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა: ნაწილობრივ შესრულებული

<u>საქმიანობა 24.4.1.1</u> <u>გამყოფი ხაზის სიახლოვეს სასწავლო ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გაუმჯობესების განხორციელება;</u>

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ფარგლებში ოკუპირებული გალის რაიონში ფუნქციონირებადი სკოლების პირველკლასელებისთვის და მათი დამრიგებლებისთვის გადასაცემად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს გადაეცა 424 ცალი პორტაბელური კომპიუტერი (ბუკი). ასევე, პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ფარგლებში დაჯილდოვდა საბაზო საფეხურის კურსდამთავრებული 12 წარჩინებული მოსწავლე. „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში ოკუპირებული გალის რაიონის ენგურს მოსაზღვრე 9 სკოლის, ოკუპირებული გალის რაიონის ომამდელ საზღვრებში აღდგენილი და ფუნქციონირებადი ოცი სკოლის პირველი კლასის და ოკუპირებული გალის რაიონის ომამდელ საზღვრებში აღდგენილი და ფუნქციონირებადი ოცი სკოლის II-XI კლასის (მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და საქართველოს გეოგრაფიის სახელმძღვანელოები) მოსწავლეებისთვის გადასაცემად I-VI კლასის 9547 ცალი სახელმძღვანელო გადაეცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს.

პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ და „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში პორტაბელური კომპიუტერებითა (ბუკი) და სახელმძღვანელოებით უზრუნვეყოფილნი არიან გამყოფი ხაზების სიახლოვეს არსებული საჯარო სკოლების მოსწავლეები.

რაც შეეხება გამყოფ ხაზთან მდებარე საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურული პროექტებს, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მუნიციპალიტეტებს შორის გაფორმებული 2018 წლის 2 თებერვლის მემორანდუმის ფარგლებში, ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილებები დელეგირებული იყო მუნიციპალიტეტებისთვის, შესაბამისად, გამყოფ ხაზთან მდებარე საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს პრეროგატივაა.

<u>საქმიანობა 24.4.1.2.</u> <u>გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრების ახალგაზრდებისათვის არაფორმალური განათლების პროგრამების განხორციელება</u>

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 სექტემბრის 463 დადგენილებების შესაბამისად, უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა დაუფინანსდა 199 სტუდენტს, რომლებიც ბოლო სამი წლის მანძილზე სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის N257 დადგენილებით შექმნილი გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელდა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსების პროგრამა, რომლის ფარგლებში 2018 წლის გაზაფხულის სემესტრში უმაღლესი განათლების პირველ საფხურზე დაფინანსდა 1012 ბაკალავრი და 181 მაგისტრანტი, ხოლო შემოდგომის სემესტრში უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე დაფინანსდა 1374 ბაკალავრი და 233 მაგისტრანტი.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, დაბა ჯვარში ფუნქციონირებს სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“, სადაც ირიცხება 60-მდე პროფესიული სტუდენტი. აგრეთვე სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის განვითარების მიზნით დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები.

2018-2019 სასწავლო წელს ამოქმედდა დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიების ქვეპროგრამა. ბენეფიციარები არიან საქართველოს ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული სტუდენტები, რომლებიც ბოლო 2 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაში და ცხინვალის რეგიონში) არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. ქვეპროგრამის ფარგლებში გაიცა დიმიტრი გულიას სახელობის ერთი სტიპენდია იმ სტუდენტისთვის, რომელიც სწავლობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის ერთი სტიპენდია იმ სტუდენტისთვის, რომელიც სწავლობდა ცხინვალის რეგიონში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. თითოეული სტიპენდიის ოდენობა შეადგენს თვეში 300 ლარს.

ამოცანა 24.4.2. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების განათლების სერვისებზე წვდომის გაუმჯობესება

ამოცანის ინდიკატორი: ოკუპირებულ ტერიტორიებიდან ქვეყნის შეგნით და მის ფარგლებს გარეთ უმაღლესი განათლების მისაღებად დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაცემული განათლების დამადასტურებელი აღიარებული დოკუმენტების რაოდენობა. გალის რაიონის პედაგოგების გადამზადებისა და აბიტურიენტების ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების“ ქვეპროგრამის ფარგლებში გადამზადებული პედაგოგები რაოდენობა; გალის რაიონის პედაგოგების გადამზადებისა და აბიტურიენტების ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების“ ქვეპროგრამის ფარგლებში გადამზადებული პედაგოგები მიერ გადამზადებულ სტუდენტებთან რაოდენობა; გალის რაიონის პედაგოგების გადამზადებისა და აბიტურიენტების ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების“ ქვეპროგრამის ფარგლებში გადამზადებული პედაგოგები მიერ გადამზადებულ სტუდენტებთან რაოდენობა რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს ეროვნული გამოცდები;

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა 24.4.2.1.</u> <u>ოკუპურებულ ტერიტორიებზე მცხოვრების პირთათვის ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ არსებული უმაღლესი განათლების მიღების, შესაძლებლობების გაზრდა და მათ შესახებ ინფორმაციის მიწოდება</u>

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ფარგლებში, შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან და სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინაციით, მიმდინარეობს მუშაობა სკოლისშემდგომი განათლების მომზადების პროგრამის შემუშავებაზე, რომლის მიზანია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა მიერ, რომლებიც ბოლო 2 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელებისათვის მომზადებასთან დაკავშირებული პროცედურების განსაზღვრა და ფინანსური მხარდაჭერა.

ასევე, გავამარტივდა 1+4 პროგრამაზე აფხაზურ და ოსურენოვანი აბიტურიენტების წვდომა, რომელთაც მიეცათ შესაძლებლობა უნარების ტესტის ნაცვლად, რომლის ჩაბარება სპეციფიური ტერმინების გამო მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენდა, ჩააბარონ აფხაზური და ოსური ენის ტესტი.

საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვის გამარტივების მიზნით, ამოქმედებულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების სრულიად სტატუს-ნეიტრალური შესაძლებლობა. ამგვარი აღიარების მიღება და შემდგომში სწავლის გაგრძელება, როგორც დანარჩენ საქართველოში, ისე საზღვარგარეთ შესაძლებელია საქართველოს მოქალაქეობის აღების და კონტროლირებად ტერიტორიაზე ჩამოსვლის გარეშე, ელექტრონულად, საერთაშორისო ორგანიზაციის ან საქართველოს უმაღლესის სასწავლებლის მეშვეობით, რაც მანამდე შეუძლებელი იყო. 2018 წელს

საერთაშორისო ორგანიზაციის გარდა, აღიარების პროცესში ჩართვის შესაძლებლობა მიეცა საქართველოს უმაღლეს სასწავლებელს.

<u>საქმიანობა 24.4..2.2.</u> <u>განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მოქმედი სოციალური პროგრამით ოკუპირებული ტერიტორიებიდან სტუდენტების დაფინანსება და სხვა სახის შეღავათებით უზრუნველყოფა;</u>

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 სექტემბრის 463 დადგენილების შესაბამისად, უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა დაუფინანსდა 248 სტუდენტს, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ან რომელთა სრული ზოგადი განათლების აღიარება მოხდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით; ასევე სტუდენტებს, რომლებიც 2008 წლის 7 აგვისტომდე, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, სწავლობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ხოლო სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

<u>საქმიანობა 24.4.2.3.</u> <u>კონფლიქტის ზონებში და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ (გალის რაიონი; ახალგორის მუნიციპალიტეტი) მოსწავლეთა სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა;</u>

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 22 თებერვლის N15 ბრძანებით, დამტკიცებულია „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამა“, რომლის ფარგლებშიც, გალის რაიონის და ახალგორის მუნიციპალიტეტის სკოლების მიეწოდათ მათ მიერ მოთხოვნილი სასკოლო სახელმძღვანელოები.

<u>საქმიანობა 24.4.2.4.</u> <u>,,გალის რაიონის პედაგოგების გადამზადებისა და აბიტურიენტების ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების“ ქვეპროგრამის განხორციელება</u>

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

გალის რაიონის 46 პედაგოგი გადამზადდა 9 საგანში (ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, ისტორია, გეოგრაფია, მათემატიკა, ზოგადი უნარები, ბიოლოგია, ქიმია). მასწავლებლებს გადაეცათ საგამოცდო ტესტების კრებულები და შესაბამისი საგნების მეთოდური სახელმძღვანელოები, აბიტურიენტებს გადაეცათ საგამოცდო კრებულები, პედაგოგების მიერ ეროვნული გამოცდებისათვის მომზადდა 350 აბიტურიენტი.

<u>საქმიანობა 24.4.2.5.</u> <u>ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდებისათვის არაფორმალური განათლების პროგრამების განხორციელება</u>

პასუხისმგებელი უწყება: *საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;*

რეორგანიზაციის პროცესის გამო ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვის დეპარტამენტში შეჩერებულია აღნიშნული მიმართულებით ღონისძიებების განხორციელება.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 31 დეკემბრის №786 ბრძანებით დამტკიცდა „არაფორმალური განათლების აღიარების დანერგვის ხელშეწყობის ქვეპროგრამა“, რომლის ფარგლებშიც არაფორმალური განათლების აღიარება განხორციელდება სოფლის მეურნეობასა და მშენებლობის სფეროში. შესაბამისად, არაფორმალური განათლების აღიარებით დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ექნებათ მიმართონ კოლეჯებს და მოითხოვონ ზემოაღნიშნულ სფეროებში ცოდნის/უნარის/კომპეტენციის აღიარება.

მიზანი 24.5. კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობისათვის საქართველოს სხვა მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომი სიკეთეებითა და შესაძლებლობებით სარგებლობის უზრუნველყოფა

ამოცანა 24.5.1. კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის სახელმწიფოებრივ სივრცეში არსებული სერვისებისადმი წვდომის გაუმჯობესება და ხელშეწყობა

ამოცანის ინდიკატორი: სახელმწიფო სერვისებით მოსარგებლე პირების რაოდენობა; გაწეული დახმარების მოცულობა; განხორციელებულია საკანონმდებლო და ნორმატიული ცვლილებები

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა: სრულად შესრულებული

<u>საქმიანობა 24.5.1.1.</u> <u>ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მიერ სახელმწიფოებრივ სივრცეში განათლების, სოციალურ-ეკონომიკური და სხვა სერვისების მიღების შესაძლებლობების განვითარება</u>

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, 2018 წელს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, სხვა სახელმწიფო უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობით, შეიმუშავა ახალი სამშვიდობო პოლიტიკის ინიციატივა - „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რომლის ერთ-ერთი მიმართულებაა ვაჭრობის წახალისება გამყოფი ხაზების გასწვრივ.

სამშვიდობო ინიციატივის მიზანია, არსებულ სასოფლო-სამეურნეო სახის ვაჭრობაზე დამატებითი რეგულაციების დაწესების გარეშე, გამყოფი ხაზების გასწვრივ სავაჭრო ოპერაციების ხელშეწყობა, გამარტივება და გაფართოება სტატუს-ნეიტრალური ინსტრუმენტებისა და ფინანსური მექანიზმების გამოყენებით, როგორიც არის პირადი ნომრით სტატუს-ნეიტრალური რეგისტრაცია, გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის გადასახადებისგან გათავისუფლება, ვაჭრობის წახალისების მიზნით სპეციალური საგრანტო პროგრამის და ფონდის შექმნა.

აღნიშნული ინიციატივის განხორციელება საგრძნობლად გააუმჯობესებს გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ასევე დადებით გავლენას იქონიებს გადაადგილების თავისუფლებასა და ადამიანთა შორის ურთიერთობების გაღრმავებაზე.

სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ითვალისწინებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების ხარისხიან განათლებაზე წვდომის გაუმჯობესებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ.

აინიციატივის ფარგლებში სხვა საკანონმდებლო აქტებთან ერთად ცვლილება შევიდა ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში. საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად, აფხაზურენოვან და ოსურენოვან აბიტურიენტებს - ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო, ე.წ. 1+4 პროგრამაზე სწავლის გაგრძელება უფლების შეუძლიათ ახალი რეგულაციით, კერძოდ, ერთიანი ეროვნული გამოცდების აფხაზური ან ოსური ენის ტესტის ჩაბარების საფუძველზე, ნაცვლად ზოგადი უნარების აფხაზურენოვანი ან ოსურენოვანი ტესტის ჩაბარებისა.

საკანონმდებლო ცვლილების შედეგად, ასევე შეიქმნა სამართლებრივი საფუძველი სკოლისშემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამის განხორციელებისათვის. გამომდინარე იქიდან, რომ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) მოსახლეობა ვერ იღებს საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე არსებული ზოგადი განათლების სტანდარტების შესაბამის განათლებას, შეიქმნება სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა, რომელიც სპეციფიურად გათვალისწინებული იქნება აღნიშნულ რეგიონებში მცხოვრები პირებისთვის, უზრუნველყოფს მათ ზოგადი განათლების დონის გაზრდას და სრულფასოვან მომზადებას უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების მიზნით. აღნიშნული პროგრამის არსებობა, საგანმანათლებლო და პროცედურული თვალსაზრისით, საგრძნობლად გააუმჯობესებს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრები პირებისათვის განათლების ხელმისაწვდომობას როგორც საქართველოში არსებულ, ასევე უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. სკოლისშემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი იქნება განხორციელდეს ზემოხსენებული რეგიონიდან სტუდენტების მომზადება/გადამზადება სასურველ საგნებში, მათ შორის ქართულ ენასა და ლიტერატურაში, აფხაზურ ან ოსურ ენაში, უცხოურ ენაში, ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის გათვალისწინებულ არჩევით საგნებში, ზოგად უნარებში, კომპიუტერულ პროგრამებში, და ა.შ, რათა მათ შემდგომში გაუადვილდეთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შერჩეულ ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელება. ერთწლიანი პროგრამის დასრულებისა და შერჩეულ საგნებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის დაძლევის შედეგად, პირს შეეძლება ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო - სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გასვლის გარეშე.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების სტატუს-ნეიტრალური პროცედურის უფრო გამარტივების და მოქნილობის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე საერთაშორისო საგანანმანათლებლო პროგრამებში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით, 2018 წელს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით კიდევ ერთი ცვლილება განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 1 დეკემბრის N1067 ბრძანებაში. შედეგად, განმცხადებლის სახელით

აღიარებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის, ასევე აღიარების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა საერთაშორისო ორგანიზაციის გარდა ასევე მიეცა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

საქართველოს მთავრობისთვის მნიშვნელოვანია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების ჯანდაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და გამარტივება. ამ მხრივ გრძელდება სახელმწიფო რეფერალური პროგრამის ეფექტური ფუნქციონირება, რომელიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ პირებს ჯანდაცვის მომსახურეობას უფასოდ აწვდის. აღნიშნულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებს, რომლებიც კვეთენ საოკუპაციო ხაზს, შესაძლებლობა აქვთ მიიღონ სრულფასოვანი, საჭიროებაზე გათვლილი სამედიცინო მომსახურეობა საქართველოში არსებულ ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებაში. 2018 წელს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში შემოვიდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები 1 516 ადამიანის განცხადება საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსთან სამედიცინო დახმარების შუამდგომლობის თაობაზე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მცხოვრებლები აგრძელებენ C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში ჩართვას და სათანადო სამედიცინო მომსახურების მიღებას.

გარდა ამისა, საკოორდინაციო მექანიზმის საშუალებით, რომელიც აგრძელებს ეფექტურად მუშაობას ჩართულობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, საქართველოს მთავრობა განაგრძობს აფხაზეთის რეგიონისთვის საჭირო ვაქცინების, მათ შორის იმუნიზაციის და ვეტერინარული ვაქცინების, დიაბეტის, B ჰეპატიტის ვაქცინების და C ჰეპატიტის ტესტები, ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ანტიბიოტიკების, აივ/შიდსის საწინააღმდეგო მედიკამენტების მიწოდებას.

საკოორდინაციო მექანიზმის საშუალებით აფხაზეთის რეგიონს ასევე პერიოდულად გადაეცემა სასწრაფო დახმარების მანქანები, სამედიცინო ინვენტარი, ტექნიკა, აღჭურვილობა და სხვადასხვა სამედიცინო დანიშნულების ნივთი.

საქართველოს მთავრობის მიერ ჯანდაცვის კომპონენტზე დახარჯული თანხა 2018 წელს დაახლოებით 7 მილიონი ლარი შეადგინა.

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ დაქვემდებარებაში არსებული საზოგადოებრივი ცენტრები ფუნქციონირებს მეჯვრისხევში (გორის მუნიციპალიტეტი), ტყვიავში (გორის მუნიციპალიტეტი), ბერძენაულში (ქარელის მუნიციპალიტეტი), რუხში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი), ორსანტიასა (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) და ჯვარში (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი).

საზოგადოებრივი ცენტრების მეშვეობით მოსახლეობას საშუალება აქვს, სოფლიდან გაუსვლელად ისარგებლოს 200-ზე მეტი საჯარო (სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“, სსიპ „საქართველოს ეროვნული არქივი“, სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ და შპს „მექანიზატორი“) და კერძო სექტორის („მაგთიკომი“ და „ლიბერთი ბანკი“) სერვისებით. სერვისების გარდა, საზოგადოებრივ ცენტრებში ხელმისაწვდომია ბანკომატი და სწრაფი გადახდის აპარატი, უფასო ინტერნეტი, კომპიუტერები, ელექტრონული და მატერიალური ბიბლიოთეკა; ასევე, შეხვედრების ოთახი.

აღნიშნულ ცენტრებში 2018 წლის განმავლობაში ჩატარდა სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, საინფორმაციო და კულტურული ხასიათის 89 ღონისძიება (მათ შორის, გენდერის და ოჯახში

ძალადობის, შშმ პირთა საკითხებსა და ადამიანის უფლებების თემებზე, სოფლის მეურნეობის მიმართულებით და სხვ.), სადაც მონაწილეობა მიიღო 1450-მდე ადგილობრივმა მცხოვრებმა.

<u>საქმიანობა 24.5.1.2.</u> <u>ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე სარგებლის (როგორიც არის, მაგალითად, უვიზო რეჟიმით მიმოსვლა, ევროკავშირის ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობა) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა</u>

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი

საქართველოს მთავრობისთვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესით შექმნილი სარგებელი თანაბრად ხელმისაწვდომი გახდეს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის. უვიზო რეჟიმით სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით, სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ფარგლებში გათვალისწინებულია საქართველოს მოქალაქის პასპორტის აღების პროცედურების გამარტივება. კერძოდ, მოქალაქეობის დადგენა მოხდება ხელთ არსებული დოკუმენტების საფუძველზე ერთი თვის ვადაში, უფასოდ. შესაძლებელი იქნება კიდევ უფრო დაჩქარებული პროცედურის გავლაც.

გარდა ამისა, სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ მთავარი მიმართულება - ვაჭრობის წახალისება გამყოფი ხაზების გასწვრივ გულისხმობს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში წარმოშობილი/წარმოებული პროდუქციის გამყოფი ხაზების გავლით საგარეო ბაზრებზე წვდომას იმ უპირატესი საექსპორტო შესაძლებლობების გამოყენებით, რაც საქართველოსთვის ხელმისაწვდომი გახდა ევროკავშირთან ინტეგრაციის შედეგად. ეს უპირველესაც მოიცავს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო რეჟიმს (DCFTA). ინიციატივის ამოქმედებისათვის საჭირო სამართლებრივი პროცესის სრულად დასრულების შედეგად, იარსებებს მსგავსი სიკეთით სარგებლობისთვის საჭირო სამართლებრივი და პრაქტიკული შესაძლებლობები.

<u>საქმიანობა 24.5.1.3.</u> <u>გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის ხელშეწყობის შესახებ სამშვიდობო ინიციატივის შემუშავება</u>

პასუხისმგებელი უწყება: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი

2018 წელს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, სხვა სახელმწიფო უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობით, შეიმუშავა ახალი სამშვიდობო პოლიტიკის ინიციატივა - „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“.

სამშვიდობო ინიციატივა არის ცალსახად კონსტრუქციული და ემსახურება ჰუმანიტარულ მიზნებს, იძლევა სხვადასხვა საკითხების ჰუმანიტარული პრინციპების გათვალისწინებით გადაჭრის შესაძლებლობას, გარკვეულ შემთხვევებში სტატუს-ნეიტრალური ინსტრუმენტებისა და ფორმატების გამოყენებით. ინიციატივა ეფუძნება მოქნილ და პრაგმატულ მიდგომას, ეხმიანება მოსახლეობის

ინტერესებს და საჭიროებებს და ქმნის სივრცეს ყველა დაინტერესებული აქტორის კონსტრუქციული მონაწილეობისთვის, საზოგადოებრივი დიალოგისა და თანამშრომლობისათვის. აღნიშნული ინიციატივის განხორციელება საგრძნობლად გაუმჯობესებს გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ასევე დადებით გავლენას იქონიებს გადაადგილების თავისუფლებასა და ადამიანთა შორის ურთიერთობების გაღრმავებაზე.

საქართველოს მთავრობამ სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" თანმდევი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი განსახილველად წარუდგინა საქართველოს პარლამენტს 2018 წლის აპრილში. საქართველოს პარლამენტმა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი ფართო კონსესუსის საფუძველზე სამი მოსმენით მიიღო 2018 წლის ივნისში.

საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივამ ასევე მოიპოვა ფართო საერთაშორისო მხარდაჭერა ევროკავშირის, ცალკეული წევრი სახელმწიფოების, სახელმწიფოს მეთაურების და აშშ-ს, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების და მათი ინსტიტუტების მხრიდან. აღნიშნული მხარდაჭერა დაფიქსირდა არაერთ რეზოლუციასა და დეკლარაციაში, მათ შორის ევროპარლამენტის რეზოლუციაში „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები რუსეთის შემოჭრიდან 10 წლის შემდეგ", ნატო-საქართველოს ერთობლივი კომისიის განცხადებაში, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაში „საქართველოში 2008 წლის აგვისტოს ომის 10 წლისთავის შესახებ".

სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" ერთერთი მთავარი მიმართულება არის ვაჭრობის წახალისება გამყოფი ხაზების გასწვრივ. ინიციატივის მიზანია, არსებულ სასოფლო-სამეურნეო სახის ვაჭრობაზე დამატებითი რეგულაციების დაწესების გარეშე, გამყოფი ხაზების გასწვრივ სავაჭრო ოპერაციების ხელშეწყობა, გამარტივება და გაფართოება.

კერძოდ, ინიციატივა ითვალისწინებს:

- აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში წარმოშობილი/წარმოებული პროდუქციის გამყოფი ხაზების გავლით შიდა ქართულ ბაზარზე და ასევე საგარეო ბაზრებზე წვდომას იმ უპირატესი საექსპორტო შესაძლებლობების გამოყენებით, რაც საქართველოსთვის ხელმისაწვდომი გახდა ევროკავშირთან ინტეგრაციის და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე (ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი (DCFTA), ასევე თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობები სხვა ქვეყნებთან). ინიციატივა ასევე მოიცავს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე წარმოებული და იმპორტირებული საქონლის მიწოდებას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში;

- იდენტიფიცირების სტატუს-ნეიტრალური მექანიზმის შექმნას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირებისთვის, რომელიც გულისხმობს ხელთ არსებული დოკუმენტების საფუძველზე რეგისტრაციას ინდივიდუალური (პირადი) ნომრით და არ ხდის სავალდებულოს რეგისტრირებული პირის მიერ რაიმე სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტის აღებას. პირადი ნომრით რეგისტრაცია არ გულისხმობს პირისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებას და ემსახურება მხოლოდ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები პირის იდენტიფიცირებისა და რეგისტრაციის ამოცანას. ამ ფორმით რეგისტრირებულ პირს შეუძლია წვდომა ცალკეულ სერვისებზე, რაც აუცილებელია სავაჭრო ოპერაციების განხორციელებისათვის გამყოფი ხაზების გასწვრივ.

- სავაჭრო-ეკონომიკური საქმიანობისთვის გამყოფ ხაზებთან ახლოს სოფელ რუხთან, ინფრასტრუქტურის განვითარებას, რაც მოიცავს სავაჭრო ოპერაციებისათვის აუცილებელი

მომსახურების გაწევას ერთი სარკმლის პრინციპით. ამ სივრცეში თავს მოიყრის იუსტიციის და ფინანსთა სამინისტროების შესაბამისი სამსახურები, საინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრი, მრავალფუნქციური ტრენინგ ცენტრი და ბიზნეს ინკუბატორი, ავტომანქანების ბაზრობა;

- გამყოფი ხაზების გასწვრივ სავაჭრო ოპერაციების განხორციელებით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის უშუალოდ სავაჭრო ოპერაციებთან მიმართებაში გადამხდელის სპეციალური სტატუსის მინიჭებას. ამ სტატუსის მქონე პირებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ საგადასახადო შეღავათი, კერძოდ გამყოფი ხაზების გასწვრივ სავაჭრო-ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში გათავისუფლდნენ ქონების, მოგების, საშემოსავლო და დამატებითი ღირებულების გადასახადებისგან;

- სტატუს ნეიტრალური მარკირების შემოღებას. შიდა ბაზარზე წვდომისათვის აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში წარმოშობილი/წარმოებული პროდუქციის მარკირება შესაძლებელი იქნება ფაქტობრივი მისამართის (კომპანიის, ქალაქის დასახლების, ქუჩის) მინიშნებით. ექსპორტის შემთხვევაში გამოიყენება საერთაშორისო ექსპორტისათვის დადგენილი წესები. შესაძლებელი იქნება მეწარმის რეგისტრაციის ადგილად მიეთითოს სპეციალურ ეკონომიკურ სივრცეში რეგისტრირებული იურიდიული მისამართი (მაგალითად, სოფ. რუხი);

- გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის სტიმულირების მექანიზმების ამოქმედებას, რაც გულისხმობს სპეციალური ქვეპროგრამების შექმნას ქართულ-აფხაზური/ქართულ-ოსური ერთობლივი წარმოების და პარტნიორული პროექტების ხელშეწყობისთვის. ასევე, გათვალისწინებულია სპეციალური დამოუკიდებელი ფონდის ჩამოყალიბება, სადაც მოიზიდება თანხები სხვადასხვა დონორისა და აქტორისგან, საერთაშორისო პარტნიორებისგან ან კერძო ორგანიზაციებისგან. გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით ფონდი მოემსახურება ინდივიდუალური და ერთობლივი ბიზნეს ინიციატივების დაფინანსებას და გამყოფი ხაზის სიახლოვეს მდებარე სოფლების განვითარებას.

გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის ხელშეწყობის შესახებ სამშვიდობო ინიციატივის შემუშავების ფარგლებში 2018 წლის 6 ივნისის N2476-რს საქართველოს კანონით საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილება და დაემატა 24^2 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს გამყოფი ხაზის გასწვრივ ეკონომიკური საქმიანობის პრეფერენციულ რეჟიმში განხორციელების შესაძლებლობას.

25. ბიზნესი და ადამიანის უფლებები

მიზანი: 25.1 თავისუფალი მეწარმეობის უზრუნველყოფა/ხელშეწყობა

ამოცანა: 25.1.4 პასუხისმგებლიანი ბიზნესის ჭრილში საჭირო უნარ-ჩვევების პოპულარიზაცია და ცნობიერების ამაღლება

ამოცანის ინდიკატორი: სამეწარმეო განათლების საზოგადოებაში პოპულარიზაციის სტრატეგიული დოკუმენტის არსებობა; საგანმანათლებლო დაწესებულებებში, განსაკუთრებით ზოგადი განათლების ყველა საფეხურისათვის სამეწარმეო განათლების სასწავლო პროგრამის შემუშავება და მათი დანერგვის რაოდენობა; პროფესიული ორიენტაციის შემუშავებული ინსტრუმენტების და სკოლამდელი და ზოგად საგანმანათლებლო სწავლების საფეხურზე დანერგილი მექანიზნების რაოდენობა; საინფორმაციო უზრუნველყოფის კონკრეტული ფორმისა და შინაარსის მატარებელი საინფორმაციო მასალების რაოდენობა; სახელმწიფო პროგრამებში საზოგადოების სამეწარმეო განათლების პოპულარიზაციის მექნაიზმების რაოდენობა;

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა 25.1.4.1</u> <u>ექსპერტთა ჯგუფის შექმნა და სამუშაო ჯგუფის მართვა</u>

<u>საქმიანობა: 25.1.4.2.</u> *<u>სასწავლო პროგრამების შემუშავება და მათი დაწესებულებებში დანერგვა</u>*

პასუხისმგებელი უწყება: *სსიპ „აწარმოე საქართველოში“; საქართველოს განათლებისა, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო*

პროფესიული ორიენტაციის კომპონენტის ფარგლებში 2017 წლიდან ხორციელდება „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა“. პროგრამის ერთ - ერთ მიზანს წარმოადგენს სწორედ მოზარდების თვითგამორკვევის ხელშეწყობა - რაც გულისხმობს პროფესიის გაცნობის, საკუთარი შესაძლებლობებისა და პროფესიული ინტერესების გაანალიზების შესაძლებლობას.

მიმდინარე რევიზიის ფარგლებში დაწყებითი და საბაზო საფეხურების ეროვნულ სასწავლო გეგმაში სამეწარმეო განათლების კომპონენტი დამატებულია. საგნების „მე და საზოგადოება“ და „მოქალაქეობა“ სასწავლო პროგრამები მოიცავს ცალკე მიმართულებას – ინიციატივა და მეწარმეობა. გეგმაშია აღნიშნული კომპონენტის გათვალისწინება ზოგადი განათლების მესამე (საშუალო) საფეხურზეც. მეწარმეობა ისწავლება პროფესიული განათლების საფეხურზეც. კერძოდ, შემუშავებულია მეწარმეობის მოდული, რომელიც ზოგადი სავალდებულო მოდულის სტატუსით არის ინტეგრირებული ყველა მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამაში. ამჟამად, ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით, მიმდინარეობს აღნიშნული მოდულის რევიზია.

<u>საქმიანობა: 25.1.4.3 სათანადო ეფექტური ინსტრუმენტების შემუშავება და მათი ინტეგრირება სასწავლო პროგრამებში</u>

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ „აწარმოე საქართველოში"; საქართველოს განათლებისა, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებში (მიმართულება: ჯანსაღი ცხოვრების წესი და მეცნიერების ელემენტები) ინტეგრირებულია სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარება და გამოყენება. ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით და University of California, Davis-ის ჩართულობით, მიმდინარეობს პროექტებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის პილოტირება მეწარმეობის საგანში.

ამოცანა: 25.1.8. ბიზნესისა და ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ ერთიანი პოლიტიკის შემუშავებისა და მისი ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფა

ამოცანის ინდიკატორი: ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა; საინფორმაციო კამპანიის წარმოების მიზნით ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა: 25.1.8.1</u> *<u>ბიზნესისა და ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და საინფორმაციო კამპანიის უზრუნველყოფა</u>*

პასუხისმგებელი უწყება: *მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო*

მთავრობის როლი პასუხისმგებლიანი შრომითი ურთიერთობების პრაქტიკის გაუმჯობესებაში იყო ერთ-ერთი მთავარი თემა სამდღიან სამუშაო შეხვედრაზე, რომელიც მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოსა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ორგანიზებით 25-27 თებერვალს ბორჯომში გაიმართა.

სემინარზე, რომლის მიზანი იყო ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის თავის - „ბიზნესი და ადამიანის უფლებები" შესრულების ხელშეწყობა, ასევე იმსჯელეს პასუხისმგებლიანი ბიზნესის ქცევაზე, მულტინაციონალურ კორპორაციებსა და სოციალურ პოლიტიკასთან დაკავშირებული პრინციპების სამმხრივი (MNE) დეკლარაციის მიდგომებზე და ა.შ.

შეხვედრის მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობაზე, MNE დეკლარაციის მიზანზე, მიდგომასა და მოქმედების ინსტრუმენტებზე, გენდერულ თანასწორობასა და ღირსეულ სამუშაო გარემოზე, ეკონომიკურ გაძლიერებასა და ქალთა მეწარმეობაზე, ასევე კერძო სექტორის ჩართულობაზე ღირსეულ განვითარებაში.

სემინარის ფარგლებში განიხილულ იქნა სამოქმედო გეგმის „ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ" თავის განხორციელების პროცესში არსებული გამოწვევები და სამოქმედო გეგმაში განსახორციელებელი ცვლილებების საჭიროება.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ, როგორც „ბიზნესი და ადამიანის უფლებების" თავით განსაზღვრული საქმიანობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, ასევე გაეროს ქალთა ორგანიზაციის, არასამთავრობო ორგანიზაცია სამოქალაქო განვითარების სააგენტოს,

დამსაქმებელთა ასოციაციის, პროფესიული კავშირების, სავაჭრო-სამრეწველო პალატის და ფინანსთა სამინისტროს აკადემიის წარმომადგენლები.

ამოცანა: 25.1.24. ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებთან დაკავშირებით შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავებისა და მისი პოპულარიზაციის ხელშეწყობა

ამოცანის ინდიკატორი: პასუხისმგებელი ორგანო განსაზღვრულია; ჩატარებული ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების რაოდენობა

ამოცანის შესრულების სტატუსი: დაწყებულია შესრულება

<u>საქმიანობა: 25.24.1.2. ტრენინგებისა და ცნობიერების ასამაღლებელი სამუშაო შეხვედრების ორგანიზება</u>

პასუხისმგებელი უწყება: *მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო*

არასამთავრობო ორგანიზაცია სიდას ორგანიზებით, რომელიც გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის სამდივნოს წარმოადგენს, საქართველოს ოთხ ქალაქში - რუსთავში, თელავში, ზუგდიდსა და მესტიაში გაიმართა შეხვედრები თემაზე პარტნიორობა ადგილობრივი განვითარებისათვის. მოცემულ შეხვედრაში მონაწილეობას იღებდა ადამიანის უფლებათა სამდივნოს წარმომადგენელი.

შეხვედრები საინფორმაციო ხასიათს ატარებდა და მასში მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის, ბიზნესისა და სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები იღებდნენ.

შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს ადგილობრივი გამოწვევები და მისი გადაჭრის შესაძლებლობები, იმსჯელეს სამომავლო პარტნიორობაზე და ადგილობრივი გარემოს გაუმჯობესებისათვის საჭირო აქტივობებზე.

შეხვედრი მონაწილეებს ინფორმაცია მიეწოდათ ბიზნესი და ადამიანის უფლებების თავით განსაზღვრული საქმიანობების შესახებ, ასევე თუ რას წარმოადგენს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და რა როლი აქვს მის განხორციელებაში კერძო და საჯარო სექტორს.

შეხვედრები გაიმართა შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით პროექტის „ლიდერობა მდგრადი განვითარებისათვის საქართველოში“ ფარგლებში.

26. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვა პოლიტიკის წარმოების პროცესში და კარგი მმართველობის ინსტრუმენტების განვითარება

მიზანი 26.1. კორუფციის პრევენცია და ანტიკორუფციული პოლიტიკის ეფექტური გატარება
ამოცანა 26.1.1. ანტიკორუფციული პოლიტიკისა და სამართლებრივი ბაზის შესახებ საჯარო და სახელმწიფო მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლება

ამოცანის ინდიკატორი: განახლებული ტრენინგ-პროგრამის კურიკულუმი მოწონებულია ანტიკორუფციული საბჭოს მიერ; ჩატარებულია ტრენინგები სახელმწიფო მოსამსახურეების მონაწილეობით;

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა: შესრულება არ დაწყებულა

საქმიანობა 26.1.1.1. ანტიკორუფციული პოლიტიკისა და სამართლებრივი ბაზის შესახებ სახელმწიფო მოსამსახურეთა ტრენინგ-კურსის მომზადება და ტრენინგების ორგანიზება

პასუხისმგებელი უწყება: ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საჯარო სამსახურის ბიურო

ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს იუსტიციის სასწავლო ცენტრთან და საჯარო სამსახურის ბიუროსთან თანამშრომლობით მოამზადა საჯარო მოსამსახურეთა ტრენინგ-პროგრამის კონცეფცია. კონცეფციას თან ერთვის შესაბამისი კურსების კურიკულუმები. დოკუმენტი ანტიკორუფციულმა საბჭომ მიერ 2017 წლის 24 აპრილს დაამტკიცა.

სამდივნომ კურიკულუმით გათვალისწინებული კურსების ჩატარება დაიწყო 2018 წლის დასაწყისში. შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საქართველოში დემოკრატიული განვითარების ინიციატივის (GGI) მხარდაჭერით ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს, საჯარო სამსახურის ბიუროსა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლებმა ტრენინგები ჩაატარეს ქუთაისის, ბათუმისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში თვითმმართველი ორგანოების წარმომადგენლებისთვის. ტრენინგები ეხებოდა საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის სიახლეებს, საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის წესებსა და ანტიკორუფციული პოლიტიკის საკითხებს (იხ. დღის წესრიგი). ტრენინგებში მონაწილეობა მიიღეს საჯარო მოხელეებმა სენაკის, ხობის, ბათუმის, წალენჯიხის, ხულოს, ზუგდიდის, ქობულეთის, ქედის, შუახევის, ოზურგეთის, ახალციხის, ბორჯომის, ადიგენის, ტყიბულის, წყალტუბოს, ცაგერის, თერჯოლის, ვანის, სამტრედიის, ქუთაისის, ხონის, ასპინძის, ნინოწმინდას, ხაშურის და სხვა მუნიციპალიტეტებიდან.

27. ადამიანის უფლებების საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება

მიზანი 27.2. სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობა

ამოცანა 27.2.1. სამართლებრივი თანამშრომლობის ქსელებთან ურთიერთობების გაღრმავება

ამოცანის ინდიკატორი: eurojust-თან ხელშეკრულების გაფორმებულია

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა: უმეტესად შესრულებული

<u>**საქმიანობა 27.2.1.1** Eurojust-თან ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე მოლაპარაკებების წარმართვა და შეთანხმების გაფორმება</u>

პასუხისმგებელი უწყება: იუსტიციის სამინისტრო; მთავარი პროკურატურა

თანამშრომლობის შეთანხმების პროექტზე კონსულტაციებისა და ტექნიკური მოლაპარაკებების ეტაპი ევროჯასტის მხარესა და საქართველოს შორის 2018 წლის იანვრიდან აქტიურ ფაზაში გადავიდა. ტექნიკური მოლაპარაკებების პირველი ეტაპი გაიმართა 2018 წლის 30 იანვარს ჰააგაში. საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა იუსტიციის მინისტრის მოადგილე. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ გენერალური პროკურორის მოადგილე, იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის უფროსი და პერსონალურ მონაცემთა დაცვის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი. ვიზიტის დროს დელეგაციას გადმოეცა საქართველოს და ევროჯასტს შორის გასაფორმებელი შეთანხმების პროექტი.

სააგენტოსთან ოფიციალური მოლაპარაკების რაუნდი გაიმართა 2018 წლის 16 აპრილს, როდესაც მხარეებს შორის შეჯერდა ტექსტის პროექტი. შეთანხმების პროექტი შიდა სახელმწიფოებრივი პროცედურების გავლით განიხილა შესაბამისმა უწყებებმა.

საქართველოსა და ევროჯასტს შორის შეთანხმების გაფორმების თაობაზე წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად 2018 წლის 3 ივლისს საქართველომ მოახდინა ხელშეკრულების ტექსტის პარაფირება და პარაფირებული ტექსტის ევროჯასტისთვის მიწოდება.

საქართველოსა და ევროჯასტს შორის თანამშრომლობის შეთანხმებას ხელი მოეწერა 2019 წლის 29 მარტს, ჰააგაში, ნიდერლანდების სამეფოში. საქართველოს სახელით შეთანხმებას ხელი მოაწერა საქართველოს იუსტიციის მინისტრმა და გენერალურმა პროკურორმა.

ამოცანა 27.2.2. სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკის დოკუმენტების გამოცემა

ამოცანის ინდიკატორი: სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკის დოკუმენტების გამოცემულია

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა: შესრულება დაწყებულია

<u>**საქმიანობა 27.2.2.1.** სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკის დოკუმენტების მომზადება</u>

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა

დოკუმენტზე მუშაობა მიმდინარეობს და დასრულდება 2019 წლის ივნისამდე;

ამოცანა 27.2.3. სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვა

ამოცანის ინდიკატორი: სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ელექტრონული საქმისწარმოება დანერგილია

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა: შესრულება დაწყებულია

<u>საქმიანობა 27.2.3.1.</u> <u>სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის შექმნა და პრაქტიკაში დანერგვა</u>

პასუხისმგებელი უწყება: *მთავარი პროკურატურა*

მფლობელ კომპანიასთან (ნიდერლანდების მთავრობის კონტრაქტორი კომპანია) პროგრამის გადმოცემაზე შეთანხმება მიღწეულია; მიმდინარეობს პროგრამის გაქართულება; პროცესი დასრულდება 2019 წელს.

ამოცანა 27.2.4. პრაქტიკოსებისთვის სამართლებრივი დახმარების სახელმძღვანელოს შექმნა

ამოცანის ინდიკატორი: სამართლებრივი დახმარების სახელმძღვანელოს შექმნილია

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა 27.2.4.1</u> <u>სამართლებრივი დახმარების სახელმძღვანელოს შექმნა და მისი პროკურორებისათვის გაცნობა</u>

პასუხისმგებელი უწყება: მთავარი პროკურატურა

სახელმძღვანელო შექმნილია და 2019 წლის გაზაფხულზე ხელმისაწვდომი იქნება შიდა ქსელით; სახელმძღვანელო ასახავს სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობების მომზადებისა და შესრულების საუკეთესო პრაქტიკას.

მიზანი 27.3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებთან დაკავშირებით საერთასორისო ორგანიზაციების ანგარიშებში მოცემული რეკონენდაციების შესრულება

ამოცანა 27.3.1. საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების ასახვა თემატურ სამოქმედო გეგმებში

ამოცანის ინდიკატორი: რეკომენდაციების შესრულებაზე საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასების დოკუმენტები; თემატური სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები

ამოცანის შესრულების მიმდინარეობა: უმეტესად შესრულებული

<u>საქმიანობა 27.3.1.1. თემატური სამოქმედო გეგმებით აღებული ვალდებულებების შესრულებისთვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება</u>

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (თემატური უწყებათაშორისი საბჭოები)

ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის პროექტის შედგენისას გათვალისწინებულ იქნა წამების, არაადამინაური და ღისებისშემლახავი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) 6-ე პერიოდული ვიზიტის ფარგლებში მომზადებული წინასწარი ანგარიშის (Preliminary observations) რეკომენდაციები.

2018 წლის 24 დეკემბერს დამტკიცდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმის კონკრეტული მიზნების და აქტივობების გაწერის პროცესში საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს წამყვანი უწყება, ითვალისწინებს და საჭიროების შემთხვევაში ახდენს საერთაშორისო რეკომენდაციების სამომავლო აქტივობების სახით ასახვას სამოქმედო გეგმაში.

ამჟამად მიმდინარეობს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების 2-წლიანი ანგარიშის მომზადება.

2018 წლის 28 ივნისის ანგარიშით აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოს მიერ ტრეფიკინგთან ბრძოლის კუთხით გატარებული ღონისძიებები კვლავ პოზიტიურად შეაფასა (ანგარიში ხელმისაწვდომია: https://www.state.gov/j/tip/rls/tiprpt/2018/).

აშშ-ის ანგარიშის მიხედვით საქართველო 188 სახელმწიფოდან მოხვდა საუკეთესო შეფასების მქონე 39 სახელმწიფოს შორის და ევროკავშირისა და დასავლური სახელმწიფოების გვერდით კვლავ შეინარჩუნა ადგილი პირველ კალათაში, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო აკმაყოფილებს ტრეფიკინგთან ბრძოლის სტანდარტებს და მთავრობა სისტემატურად ახორციელებს ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ წელს პირველად აღმოსავლეთის პარტნიორობის სახელმწიფოებს შორის მხოლოდ საქართველო მოხვდა რეიტინგული სკალის უმაღლეს საფეხურზე. ამასთან, ანგარიშში წელს პირველად გამოიყო საქართველოს მთავრობის ძალისხმევა მიუსაფარი ბავშვების პრობლემის

აღმოფხვრის მიმართულებით. ჩვენი ქვეყნის მოდელი საუკეთესო მაგალითად დასახელდა.

საერთაშორისო კვლევის – „მონობის გლობალური ინდექსის“ – 2018 წლის ანგარიშის მიხედვით, ტრეფიკინგთან ბრძოლაში საქართველოს მიერ გატარებული ეფექტიანი ღონისძიებების შედეგად, საქართველო 2 პოზიციით დაწინაურდა და 167 ქვეყანას შორის, მე-17 ადგილის ნაცვლად, მე-15 ადგილს, ხოლო რეგიონში პირველ ადგილს იკავებს (https://www.globalslaveryindex.org/).